ლექსის აკვანი

ტომი VI

ქუთაისი
2021

შემდგენელი, რედაქტორ—გამომცემელი

გერმანე საზანოელი

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საზოგადოება პოეზიელი"—ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.
პროექტის ,,ლექსის აკვანი" ავტორი და რედაქტორი ამავე სახელწოდების პოეტური ტომეულებისა.
გაზეთ სახალხო განათლების რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი.
საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის, თავმჯდომარე იმერეთში.
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი.
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ISBN 978-9941-495-31-1

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

აი, უკვე მეექვსე!

მზის შუქზე გამოვიდა და მკითხველთა გულებისკენ გზას იკაფავს პოეტური კრებულის "ლექსის აკვანის" აი უკვე მეექვსე ტომი.

ვულოცავ თანაავტორებსა და პროექტის ხელმძღვანელს, ბ-ონ გერმანე საზანოელს მკითხველებთან ერთად ამ საინტერესო წიგნის გამოცემას.

ლიტერატურული ცხოვრება, მიუხედავად ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა მაინც გრძელდება.

ერთ ერთი ფაქტი და დადასტურება ზემოთ თქმულისა გახლავთ სწორედ "ლექსის აკვანის" ტომების შეუფერხებლად გამოსვლა, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს თითოეულ თანაავტორსა და პროექტის მესვეურთ.

ვულოცავ მათ ამ სერიოზული საქმის განხორციელებას და ვუსურვებ წარმატებებს.

იმედს ვიტოვებ, რომ კიდევ მრავალი ტომის გამოცემის მომსწრენი გავხდებით კიდევ და კიდევ.

მრავალი ასეთი პროექტი განეხორციელებინოთ შემოქმედებით ჯგუფს და სხვა საინტერესო სიახლეები არ მოჰკლებოდეს ერთგულ მკითხველს.

პატივისცემით,

ზურაბ ქობალია
ჟურნალისტი, მწერალი;
გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის სარედაქციო საბჭოს
თავმჯდომარე, გამომცემლობა „ზენაარის“ დამფუძნებელ-
დირექტორი, ჟურნალ „ამერიმერის“ თანარედაქტორი,
საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის
აღმასრულებელი დირექტორი.

გერმანე საზანოელი

ამ სამყაროში

ეს სტრიქონები განთიადს აჰყვა,
თუმცა აზრებით რაღას ვუშველი
და ხშირად არის მღვრიე წყლის ნაყვა
უფრო მძლავრი და რაღაც უშვერი.
როცა მტერსაც კი პატიობ ღალატს,
მოყვრის სიყვარულს ჰკლავ, არ ენდობი,
თავსაბურავად რომ მადგამ, ღალას,
თან ზღვას ჩემს ზღურბლით გადაედნობი.
ზურგს აქცევ მთებს და ამით გულს მიკლავ,
ცის ცოცხალ აზრებს არც იზიარებ,
ძირს კი აბლაგვებ, ხმელეთის იმ რკალს,
რაც არასოდეს გაიმზიანებს.
უკვდავებაზე? ნეტავ ვთქვა რაღა?
მის ბედს ხომ ღამის არე ათენებს,
ერთიანობა გაფრინდა საღად,
თან ვეღარც კი ვცნობ, ღამეგამთევებს.
უიმედობა ჭედს მადლს გვრიტებად,
კლდის პირას ზიხარ და თან დაბრმავდი,
სამწუხაროა ჭეშმარიტება,
ბევრი დრო გავა წამის დაბმამდის.
მე სივრცეს ვქმნი რომ ფრთები გავშალო..
ფრენა ვისწავლო, მორევს მივადგე,
სუნთქვავ და გულის ცემავ აშარო

რად აკნინებენ მდორედ დიად დღეს.
კი მესმის, ის დრო, ყოველთვის მოვა,
მათთანაც ალბათ ცუდად დღეს ვინც ბჭობთ,,
სიმს დაადნება, წარსულის გროვა,
როცა უგრძნობ და ცივ ხელს დავიჭდობთ.
ვერ გამოვარჩევ, ვინ როგორია,
დღეს ვის შინიონს ვინ იდგამს თავზე,
გამოვიცანი ბედს რაც ჰგონია
დღეიდან არც მსურს ვიფიქრო ავზე.
ადრე ნდობაზე რომ გული მედო
დღეს შუაღამით სხივებს ვაღვიძებ,
როგორ გაკოცოთ, ან როგორ გენდოთ,
თუკი დედისას ურცხვად დაღვრი რძეს.
ყველას სძინავს და ვის გავაღვიძებ?
ირგვლივ ღრმა ნისლი სუფევს, გამჭოლი,
მოსავლის ნაცვლად მუდამ ვალს ვიძენ,
ბრმად ვხარობ, როცა მართალს ჰკლავს, ჭორი.
ეხლა კალენდრის ფურცლებს ჩამოვხევ,
მსურს დავემგზავრო, გაღმა მიდიან,
ბინდი გფარავდა, ჩემო სამოთხევ
და სამწუხაროდ დღესაც ბინდია.
და როცა გული გიძგერს, სიკეთით,
და სხვათა ხილვის ტრფობად ანთია,
ჰაეროვანი ხმა აქვს, სიმს მკვეთრი,
თან საოცრება ჰქვია განთიადს.
და რაც არ უნდა იყოს სათქმელი,
თუნდაც სამძიმრით გამიგებს ღამეც,
ნეტავ თუ არის ამ სამყაროში
რომ დიდ სიცოცხლეს სჭარბობდეს რამე..
როგორც ეული ღრუბელი ცაზე,
კოკისპირული წვიმა უშვერი,
აქ მზის სხივებიც გაცვლილა სხვაზე,
რასაც ვერასდროს ვეღარ ვუშველი!

სოსო სიგუა

თარგმანები
ალექსანდრ ბლოკი.
კლეოპატრა

ღიაა სევდის პანოპტიკუმი
უკვე რამდენი წელიწადია,
მთვრალებთან ერთად მეც იქ ვიჩქარი,
სადაც დედოფლის ათინათია.
აი, წევს იგი მინის კუბოში,
არც ცოცხალია და აღარც მკვდარი,
ხალხის ბაგეს კი ჩურჩულით უვლის
ურცხვი სიტყვები, ვით ნიავქარი.
წევს ნებიერად - მივიწყებული,
მიძინებული აწ და მარადის,
სრიალებს გველი და იკბინება
და სანთლის მკერდზე ზანტად გადადის...
მე გაყიდული და სამარცხვინო,
ლურჯი წრეებით თვალგაწყობილი
მოველ, რომ ვნახო ვარდებთან ერთად
კუბოში მწოლი სანთლის პროფილი.
აქ ყველა გიმზერს, მაგრამ დაცლილი
შენი სამარე რომც დამენახა,

მომესმეზოდა ამაყი სუნთქვა
მე ზესკნელიდან, სადაც შენა ხარ,
"გუნდრუკს მიკმევთ და ყვავილებს მაყრით,
მე ხომ ოდესღაც ეგვიპტის მცველი
და დედოფალი ვიყავი მაგრამ
ახლა ვარ მხოლოდ მტვერი და ცვილი".
"ო, დედოფალო, მე შენი ტყვე ვარ,
მე ეგვიპტეში ვარ გაყიდული
და მონას ახლა განგების ნებით,
ჩამედგა მგოსნის და მეფის სული.
ხედავ? რუსეთი, როგორც რომ რომი
შენი მშვენებით რარიგ მთვრალია,
რომ კეისარი და რომ მგოსანი
ბედის წინაშე თანაბარია?"
ვმჩუმდები, ვუმზერ. ის აღარ მისმენს,
მაგრამ ნელინელ ირხევა მკერდი
და გამჭირვალე ქსოვილი კრთება
და წყნარი სიტყვა სიჩუმეს ერთვის.
"მაშინ ვიწვევდი ელვას და ქუხილს,
დღეს ისღა ძალმიძს მე ჩემი ძალით,
მთვრალი პოეტი რომ ავაცრემლო
და გავაცინო მთვრალი მეძავი".

SPOLETO – ელი გოგონა

მე შენი ტანი ეკლესიის სანთელს მაგონებს,
და შენი მზერა მახვილია გულის დამჭრელი
სანამ სინათლე წამერთმევა შენთან შეხვედრით,
დაე, ბერივით მომეხვიოს ცეცხლი, დამწველი!

სიყვარულს არ გთხოვ, მოფერება შენი არ მინდა,
ტლანქი ალერსით ხომ ისედაც გული ღონდება?
მე მხოლოდ მხატვრის თვალით ვუმზერ ამ გარეშემოს,
სადაც ყვავილებს შენი ხელით მიწა შორდება!
ახლოს, სულ ახლოს დაგინახე ქარით დევნილი,
მზით დაფერფლი....შენ, მარიამ, მიეცი.ნება
თვალს – მოკრძალებით შემოგხედოს, როგორც ქერუბიმს,
და გულს – ახსოვდეს ამ ტკივილის გასხივოსნება!
ჩემი ლექსების ალმასები წყნარი ციმციმით
მიმოგებნევა კულულების როს სიშავეში,
გულს გადავისვრი მე უწყალო ტრფობით დაისრულს
შენი თვალების მანათობელ შუაღამეში!..

პოეტები
ალექსანდრ ბლოკი

ამოიზარდა ჭაობებში მთელი კვარტალი,
სად უდაბური ადგილებია.
იქ პოეტები ცხოვრობენ და თითეულ შემხვედრს
ზვიად ღიმილით ესალმებიან.
ამაოდ იდგა ნაღვლიანი ჭაობის თავზე
დღე მშვენიერი, დღე სხივოსანი:
ღვინოს სვამდა და გულმოდგინე ჯაფით იწვოდა
მისი მკვიდრი და მისი მგოსანი.
როცა დალევდნენ, ძმობის ფიცი ეკერათ პირზე,
ყბედობდნენ გესლით, ცინიკურ ნებით,
დილით კი გული ერეოდათ, შემდეგ ოთახში
წერდნენ მორჩილად და რუდუნებით.
გამოდიოდნენ ჯიხურიდან, ვით ქოფაკები,
და თვალწინ ედგათ ზღვა ნახანძრალი,
იბნიდებოდნენ ოქროსფერი ნაწნავთა ცქერით

თითქოსდა ეგრძნოთ რამ ნაპერწკალი.
ასე დაშლამდე ოცნებობდნენ ოქროს დროებზე
და ერთხმად სძულდათ გამომცემელი,
ცხარე ცრემლებით ქვითინებდნენ ყვავილის ბუჩქთან,
სადაც მოუცავს ღრუბელს ტყე-ველი.
ასე ცხოვრობდნენ პოეტები, ჩემო მკითხველო,
შენ კი, იქნება, ფიქრობდი თმენით,
ყოველდღიური და უძალო წვალებით სავსე,
ობივატელურ ტბორის მოწყენით?
არა, ძვირფასო, შენ - მკითხველო ბრმავ კრიტიკოსო!
პოეტი მუდამ არის მდომელი
ამ ნაწნავების, ამ ღრუბლების, ოქროს დღეების,
რაც შენთვის არის მიუწვდომელი!..
იყავი ასე კმაყოფილი შენ ცოლთან ერთად
გწამდეს უგვანი კონსტიტუცია,
მაგრამ მგოსნისთვის, ამ მსოფლიო დონის ლოთისთვის
კონსტიტუციას რა მოუცია!
დაე, თუნდ მოვკვდე მე ღობესთან,
როგორც ქოფაკი,
სასტიკ ცხოვრებამ ამრიოს მიწად,
მჯერა, უფალი და ქარბუქი თოვლად წამიღებს,
ქარბუქი თვალებს რომ მიკოცნიდა!

ია ნანეიშვილი

***

იტყვი სიმართლეს?!- ცუდი ხარ!
ტყუილს იტყვი და კარგი!
მართალი ცოტას უნდიხარ,
არ უნდიხარ და დარდი.

მართალს იტყვი და ავი ხარ,
გაჩუმდები და ბრძენი!
როცა დღესავით ცხადი ხარ,
გაგერიდება ბევრი!

ტყუილს ღიმილით ისმენენ,
სიმართლეს მოსდევს ცრემლი.
გითმენენ და ვერც გითმენენ,
შენ კი არაფერს ელი...

აღარც მადლობა! ბოდიში!
აღარ გჭირდება უკან!
ამ ცხოვრებაში რატომღაც,
ტყუილის მთქმელი უყვართ!

არა და ტყუილს ვერ სწავლობ,
სიმართლე გიჯობს მწარე.
არ გინდა ვინმეს შეჰკადრო,
მლიქვნელობები მდარე...

შენ მაინც შენს გზას გაჰყვები,
ვერ ხარ ყველასთვის კარგი!
მართალი ცოტას სჭირდები?!
არ სჭირდები და დარდი!

***

როცა თოვლი მოვა, სივრცით შუაღამის,
მაშინ მოდი ჩემთან, თოვა მომილოცე.
სულის სიგიჟემდე რადგან მსურდა ლამის,
მერე წამწამებზე ფიფქი დამიკოცნე.

როცა ოცნებები ციდან ჩამოცვივა,
შენი მკლავის სითბო მხრებზე შემომაცვი.
მკითხე დეკემბერში კარგო ხომ არ მცივა,
როგორ შემოგხედავს ნახე "დიდი ბავშვი"...

როცა გარეთ ყინვა გზებზე წამოწვება,
ყველა ამოსუნთქვას ზღაპრად გადააქცევს.

შენი გაოცება მე არ გამომრჩება,
მერე უსიტყვობა ათას ფიფქად დაგცდეს.

მერე?! - ფანტელების სუნთქვას მოვუსმინოთ,
შუბლზე შენი ტუჩის ვიგრძენო მხურვალება.
ზამთარს გულის ფეთქვა ცივი მოვურჩინოთ,
თმებზე დავიღვაროთ ფიფქთა მდუმარება.

როცა თოვლი მოვა, სივრცით შუაღამის,
მაშინ მოდი ჩემთან, თოვა მომილოცე.
სულის სიგიჟემდე რადგან მსურდა ლამის,
მერე წამწამებზე ფიფქი დამიკოცნე!

***

კაცი, - არწივია, ცისკენ მიისწრაფვის...
ქალი, - ბეღურაა, მღერის...
კაცი, - გონებაა! ქალი-მთლად გულია!
ერთი გაღიმება შველის...

მიზეზს ნუ იკითხავთ, დიდი სევდებისთვის,
მაინც იპოვის და ტირის.
იქნებ, თბილი სიტყვა შემოჰკლებია და,
წყენას ცრემლის მძივად იცლის?!

ქალი - მომავალს შობს,დედად ნაკურთხია,
დედის ბედი ცაში წყდება.
კაცი -არწივია, ქალს რომ აიტაცებს,
როცა ყველა ტოტი ტყდება...

ქალი - ფოთოლია, ქარი რომ იტაცებს.
კაცი?! - ქარია და ძალა.
კაცი - ფარია და ქალის დამცველია,
კაცი - ქმარია და მამა!

ქალი - ყვავილია, სიო ეფერება,
იქნებ, შეაშინოს წამმა...
კარგი კაცისაგან ქალი არასოდეს,
მართლა, არასოდეს წავა!!!

ქალი - ნამუსია, ფიცი სიყვარულის!
კაცი - ღირსება და ნდობა!
მაგრამ, ამქვეყნად ხომ ცოტას შეუძლია,
ქალის სულის სიღრმის წვდომა.

ქალი -აპრილია, თუნდაც ცივ ზამთარში,
თავის ერთი ცალის ფერი...
კაცი - არწივია, ცაში დანავარდობს...
ქალი - ბელურაა, ელის...

***

ვისაც გააღმერთებ, ყველა დაგიმტკიცებს,
ადამიანი - მცირეა!.
წავა, დაგივიწყებს, არც კი გაგიფიქრებს,_
ღმერთობა, ძალიან მძიმეა!..
ვისაც ცად აიყვან, ციდან არც მოგხედავს,
ცაზე ხომ ისედაც მაღლაა!
შემოაკლდები და მერე გაგიხსენებს,
სიცარიელე დამღაა!

ვისაც გულს გაუყოფ, არ გაგიფრთხილდება,
აღარ დააჯერო კარგია!
თორემ დარწმუნდები, სხვაზე გადაყოლა,
დაუფასებელი დარდია!
ვისაც ჩაიწვეთებ თვალში წამალივით,
ვადა თუ გაუვა, სულს გატკენს.
ნურავის მიეკრობი გულზე მაგნიტივით,
დარდზე ნუ ააგებ ნურაფერს!

***

გული რომ გეტკინოს, გული უნდა გქონდეს!
ზოგჯერ სხვის ადგილას ყოფნა უნდა შეძლო.
მხოლოდ საკუთარზე არ უნდა ფიქრობდე,
სხვასაც გაუგო და სხვასაც უნდა ენდო.
სხვას რომ უთანაგრძნო, სული უნდა გქონდეს,
უნდა განიცადო, როგორც საკუთარი.
მხოლოდ ასე შეძლებ ადამიანობას,
ზოგჯერ ეგოიზმზე უნდა თქვა უარი!
ზოგჯერ შენს აზრშიაც ეჭვი შეიტანო,
რაღაც უნდა დათმო, უკან დაიხიო...
მე ვარ მართალიო, არ უნდა იძახო,
მერე მიზეზები ხელზე დაიხვიო...
მაგრამ, ამპარტავანს ეს არ შეაწუხებს,
გული მას არ აქვს და აღარც თანაგრძნობა.
მხოლოდ საკუთარი "მე" აქვს საფიქრალი...
მას არ შეუძლია მსგავსის ამოცნობა...
გული რომ გეტკინოს, გული უნდა გქონდეს!
ზოგჯერ სხვის ადგილას ყოფნა უნდა შეძლო!
- მხოლოდ საკუთარი დარდი თუ გექნება,_
ადამიანობა აღარ დაიჩემო!..

ნუგზარ კობერიძე

რად გიყურებ?

რად გიყურებ ემაგ თვალებს მოკითხე,
რომ იღვრება, ხან დარად, ხან ავდარად
მე ვერ ვუძლებ გამოხედვას მედიდურს
ვხარობ, როცა გამიღიმებ ალალად.

რა ვიღონო თუ ოხერი თვალები
ჩემდა ჭირად შენსკენ გადმოიხრება,
მეც არ მინდა შემოგხედო მალულად,
არადა შენ გვერდზე ხედვა გიხდება.

როგორ შევძლო საოცრებას ვხედავდე,
არ შეგხედო ვიტანჯო და ვეწამო,
ატმისფერი მოელვარე ლოყები
თვალით მაინც არ მივწვდე და შევჭამო.

წამწამები მოციმციმე სხივები
წარბის ჩრდილში იმალება, ხან ჩნდება,

აქეთაც, რომ მოიხედო ამ გულში
ჩამეკითხო რა ტრიალებს რა ხდება.

მაშინ ალბათ მიხვდებოდი ჩემს ტანჯვას
რა მიჭერდა გულში ასე მარწუხებს,
ყოველივეს განიცდიდი ჩემსავით
გაიგებდი თუ რა სენიც მაწუხებს.

ფიროსმანი

რა ჰონორარი, რის ჭიქა ღვინო
კაცი ღირსებით ქმნიდა შედევრებს,
მას გასამრჯელოც არ აუღია
ისე შორიდან დებდა შედეგებს.

მან მეეზოვეს შთაბერა სული
შექმნა სახე და საქმე უკვდავი,
დღეს ყველგან მოსჩანს მისი ხელწერა,
ცის თაღზე შუქთა გამომფინავი.

აგერ მეთევზე პირმომღიმარი
ანკესით რომ დგას გვიჩვენებს თევზსაც,
მტკვარზე ტივებზე მოქეიფენი
ბორნის ჭრიალიც კი ისმის დღესაც.

მისმა ფერწერამ სხივთა სიუხვემ
დამაფიქრა და თან ამატირა,
ცოცხლად ვუყურებ მოხუც მეთევზეს
ყარაჩოხელებს და მარგარიტას.

პოეზიაა აქ შემოქმედი

ერთ სათქმელს გეტყვით მე ეს სათქმელი
დიდი ხანია გულით დამქონდა,
ვერ დავიჯერებ, ვერ დავიჯერებ,
რომ არსაკიძეს რითმა არ ქონდა.

ყოველი კარგი რითმის პირმშოა
ჩვენი ყოფა და ნაზი ქმედება,
ურითმოდ ვერა ფეხს ვერ აიდგამს
ვერცერთი კაცის შემოქმედება.

თუ გლეხი ყანას ესალბუნება,
ან მოქანდაკე ძერწავს სკულპტურას,
პოეზიაა აქ შემოქმედი,
ისე ვერ შექმნის თავის კულტურას.

არც ხელოვანი და არც მრეწველი,
წინ ვერ წაწევდა საქმეს საგმიროს,
ვერც მეზვრე ზვარში მოწეულ ყურძენს
ვერ აარჩევდა კარგს და საღვინოს.

მაღალი ღმერთი, რომელმაც შექმნა
სამყარო ჩვენთვის ჯერაც უცნობი,
მუზის გარეშე არ იქნებოდა
ჩვენთვის მარადჟამს გამოუცნობი.

პოეზიაა, პოეზიაა,
ქვეყნად ყოველი კარგის მოქმედი,
სიყვარულია პოეზიასთან
ერთად შერწყმული და შემოქმედი.

შეგონება

ვინ მოსთვლის რამდენს დაგვიქადნია
ჩვენ ფარნავაზის მოდგმისა ვართო,
და თუ დაგვჭირდა აუგსაც ვკადრებთ,
ძვირფას წინაპრებს უმისამართოდ.

რა ვუპასუხოთ სამას არაგველს,
ან ასიათას წმინდა მოწამეს,
სადღაა დღეს ის სპეტაკი სული,
ასე ულმობლად როგორ მოწამლეს.

თუ გავიხსენებთ ასპინძის ომში
პატარა კახის ხმლით შერკინებას,
მაშინ ნამდვილად არავის მივცემთ
ქართული მიწის გაყიდვის ნებას.

ვინ შეედრება დღეს სააკაძეს,
ანდა თევდორეს ხმლით რომ აკუწეს,
წმინდა ქეთევანს მის წმინდა სხეულს
ჯალათებმა რომ შანთით დაკუწეს.

ამ ისტორიას თუ არ დავკარგავთ
სულ იჭიხვინებს ქართული რაში,
რამდი წინაპრის სულს დავაფასებთ
მანამ არ გავცვლით სამშობლოს სხვაში.

უსათაურო

ვაჟა ფშაველა ხოტბას გასხამდა,
ბედჰოვენი კი მუსიკას წერდა,
ზოგისთვის გახდი სანატრებელი
ბევრისთვის კიდევ დარდი და სევდა.

მე როგორ გაქო როცა ამდენი
წამართვი მკვიდრი და მეგობარი,
შენთან ჭიდილი არავის არგებს,
იყოს დევგმირი ან მეომარი.

რამდენ არსებას სული წაართვი
ჩვენ შეგვიმოკლე სიცოცხლე ამით,
შენთვის დროს ფასი დაუკარგია,
მოდიხარ დღისით, მოდიხარ ღამით.

რად არ მოგწყინდა ამდენი გლოვა,
რომელიც შენგან ქმედებას მოსდევს,
როგორ უყურებ შენგან დათრგუნულს,
ამდენ ქვრივსა და საცოდავ ობლებს.

რა დაგიშავეთ ამ წუთისოფელს
ასე ულმობლად რომ ანიავებ,
ქვეყნად ყოველი იგვიანებს და
შენ ოდნავ მაინც დააგვიანე.

დეზი ემანულიძე

***

სამშობლოს ტკივილს გული დაუსერავს,
მის ბედნიერებისთვის მინდა რომ ვდუღდე,
თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაჭრილს
სიცოცხლის ყიჟინა მინდა რომ ქუხდეს!
სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა,
შვილი ვარ ჩემი ქართულ მთა-ბარის.
მტკივა აფხაზეთს ფრთა-მოტეხილი
ენგურს ვესწრაფვი შეკვრას კამარის.
სამეგრელოში იარებს ვილბობ,
ფსოუს წყალს შევსვამ გულდაკოდილი,
თავისუფლების სიცოცხლით მებრძოლს,
ღრმად მაქვს ფესვები მე დაკოჟრილი.
გურიის მთებში ქრიან ცხენები,
ბახმაროს სუნთქვით გულანთებულნი,
საწერეთლოში ჩონგურს დავმღერი,
სამურზაყანოს სხივანთებული.
ვდგავარ იმერეთს მაღლობზე გორას,
შორს, დარდით გავცქერ მარუხის ტეხილს,

ტკივილით ვიწმენდ კოდორის ცრემლებს,
ველარ ვერევი ფიქრებს ატეხილს,
საქართველოზე გული მიტირის,
გული ბედიის ტაძარში ფეთქავს,
ხმაღაღადისით უფალთან ჩოქვით
მოქვის მონასტერს მსურს ლოცვა მეთქვა,
აქეთ, სამაჩაბლო მისველებს თვალებს,
ლიახვს ჩამოაქვს ცოდვის ცრემლები,
სისხლმა შეღება წვერიახოს მთა
ყველას დასერილ გულს ვეფერები
გმინავს ტკივილის ხმა უდრტვინველად,
მტერს რომ უმღერდნენ გმირულ "შავლეგოს "'
ანწუხელიძის ამაყ, ქართულ სულს ვფიცავ
სიკვდილს სიცოცხლე რომ შევაგებოთ!
თავისუფლება ჩვენი სუნთქვაა,
ტანჯვა ვერ მოგვკლავს, მტერი ვერ დაგვცემს,
თავისუფლება საქართველოა!
ქართველებს ვერვინ რომ ვერ წაგვაქცევს!

***

გთხოვთ სიყვარულით მოეფერეთ ერთმანეთს ყველა,
გემუდარებით გულში სიკეთის აანთეთ სხივები,
კრძალვით ილოცეთ ერთმანეთის სულის ვედრებად,
ყელს მოახვიეთ მოფერების ერთურთს მძივები.
გთხოვთ, გეხვეწებით ერთად მოქარგეთ ლამაზი მდელო,
თესეთ სიყვარულის ნაირფერი ღვთის ყვავილები,
ზეცას აწვიმეთ ცრემლი მხოლოდ ბედნიერების,
დაე, ბრწყინავდეს მანათობელი სულ ვარსკვლავები
გთხოვთ, გევედრებით მეგობრობას კვლავ უერთგულეთ,

და მიჯნურობა თრთოდეს ვნებისა განუკურნელი
ენთოს მადლით, დედა- შვილობის წმინდა ლამპარი,
გვჭირდეს სიკეთის სენი ჩვენ უკურნელი
გთხოვთ, გევედრებით, მიწა დაალბეთ მადლის ცრემლებით,
მზე გაანათეთ, ჩამოხსენით ბნელეთის რიდე,
ღამით, სიზმარეთს უღიმოდნენ ბავშვები ლაღად
ბედნიერების დღის სინათლეს არ ჰქონდეს კიდე
გთხოვთ, გეაჯებით, ფუნჯით მოხატეთ ბედნიერება,
ფრესკად სუნთქავდეს სიყვარული ლოცვის ღიმილად,
აამღერეთ, აამეტყველეთ მუსიკის ჰანგი,
გულს დაეფონოს პოეტური რითმა ტკივილად.
გთხოვთ მომიქარგეთ მწვანე მდელო ლექსის შტრიხებად,
თეთრ ხნულები კვლებად აჩნდეს პოეტთ სულების,
მიმოაბნიეთ ამ მიწიერეთს სიყვარულის ყაყაჩოები
მიწას დააეტყოს კვალი სიკეთის ნაფეხურების.
მიესათუთეთ ყველა გრძნობას სულის კივილად,
ლეწეთ ხალასით სიხარულის კალოს ტევრები
გთხოვთ გევედრებით მოეფერეთ სამყაროს ჩვენსას,
კრიფეთ შარბათისა დახუნძლული მწიფე მტევნები
ერთხელ მოსულნი მიეალერსეთ ერთმანეთს ძლიერ,
ერთურთს უმღერეთ იავნანა სულის წამლობად,
მარადისობად რომ დავტოვოთ სიცოცხლე ჩვენი,
თორემ ხომ ვიცით ჩვენ მეორედ რომ აღარ მოვალთ.

***

დილას თვალი გაახილა ზეცამა,
სიხარულით გაგვიღიმა ზე - ცამა.
მშობლის გული გადამიხსნა მიწამა,
სიცოცხლემ მე სიყვარულით მიწამა.
მზემ მოგვფინა თავის სული და გული,

დამიამა, სევდით გული დაგული.
საოცარი სითბო ვიგრძენ და მიამა,
სიყვარულმა ტრფობით მე დამიამა.
მზის სხივებთან ყინვამ ველარ მაშინა,
როს შევიგრძენ ტრფობა სწორედ მაშინა.
ცაში მყოფმა ველარ ვიგრძენ მიწა მე,
სატრფოს ვთხოვე გთხოვ ერთგულად მიწამე.
შენა ხარო ჩემი სევდის წამალი,
მომეფერე ჩქარა მოდი, წა - მალით.
მე შენი ვარ საუკუნოდ იცოდე,
შენის ტრფობის შარბათსა ვსვამ იცოდე.
შენთან ყოფნით თავი ვიგრძენ ნეტარად,
ბედნიერი შენ შემოგტრფი ნეტა რად?
შენ დამილბე გული კვნესით დანაგულს,
შენმა ტრფობამ ლახვრად დამცა დანა გულს
მოხიბლულსა თავბრუს მახვევს ვარდები,
ჩემთან ერთად ვნების ალში ვარდები
შემსა გულსა შენნაირი სად არი?!.
შენა მყავხარ ტრფობით ღმერთის სადარი.
ხმა ეს ჩემი შენდა მღერად გაისმა ,
ბედნიერებს გვსურს გვისმინოს გაისმა.
ამ სიყვარულს ჩვენ ვფიცავდეთ მარადის ,
ჩემი გული გწამდეს მხოლოდ მარად ის.
შენგან ტრფობის დამსობია ისარი,
შენ გაჩუქე და ეს გული ის არი.

***

ოდესღაც, მერიმ ღამე დაჩრდილა,
ჯვრისწერა გლოვად იყო ნაწამები.
და როცა ტატოს მერანი ქროდა,
კატინკას ნამიანი ჰქონდა წამწამები.

როცა მესაფლავე ქალს მტირალს ხედავდა,
საფლავებს აჩრდილებად ეფინა მოგონება
ძაძებში მოსილი კრთოდა სიყვარული
და კვლავ ცდუნება ბინდავდა გონებას.
გურიის მთებში ლურჯა ცხენები,
იისფერ თოვლში აწყვეტით ქროდენ
დიდ გალაკტიონს ვერ იტევს ზეცა,
თუმცა მიწაზე იყო დრო, გმობდნენ.
დღესაც გაჰკივის სულის ბოჰემა მუზათა რითმად,
სადღაც კვლავ დაქრის თავაწყვეტით ტატოს მერანი
მერი კვლავაც დგას თავდახრილი საკურთხეველთან
და ლურჯა ცხენებს ვერ შეაჩერებს ქვეყნად ვერავინ.

***

დღეს ისევ მე მოგწერ ბარათებს
დღეს ისევ დავიცლები რითმებად
უკვე შემოსულა ზამთრის სისუსხე
მოგწერ რომ მოხვიდე იქნება
დღეს ისევ მე დაგიწერ ლამაზ წერილებს,
ლექსებს მოგიძღვნი ლამაზ სიტყვებად,
გარეთ ანცი ქარი აშარად დარბის,
ქვეყანას ჩვენს ამბავს უყვება.
კვლავაც მე მოგწერ ლექსებს ბარათებად,
ქარს ფოთლებთან ერთად შენთან გამოვატან,
ცრემლის მძივები ფიფქებად დაფერფლილი
მათოვს და მეც თოვად ამ ფიფქებს გავატან.
დღეს მე დავიცლები შენში სიყვარულად,
ცა დაგვეფინება ლამაზად თოვად,
ერთად შევაგროვებ ყველა იმ ბარათს
ქარს გამოვატან, თოვლს გამოვატან
და მეც იმ ბარათებთან ერთად
იცოდე შენთან მოვალ.

ზურა მამულაშვილი

უბრალოდ

ხომ არ გგონია ამ ქვეყანაზე,
მარტო შენა ხარ ულამაზესი,
უბრალოდ, შენი ღიმილი მომწონს
რომელიც მაბამს ტრფობის ბადეში.
ხომ არ გგონია მარტო შენა გაქვს
ამ ქვეყანაზე მწველი ტუჩები,
უბრალოდ, როგორც ვარდის კოკორი
სხვებზე ლამაზად შენ იფურჩქნები.
ხომ არ გგონია მარტო შენ დგეხარ
ჩემი ცხოვრების ღია კარებში,
უბრალოდ, მე შენ გამოგარჩიე
მთელი მსოფლიოს ლამაზ ქალებში.

ქართლი

ზეციდან მოსულ ნათლით,
მარიამ-ნინოს მადლით,
ქრისტეს უწმინდეს კვართით,
დავით მეოთხეს საქმით,
მღვდელი თედორეს სახით,

თამარის ერზე დარდით,
დიდი შოთაის კალმით,
დანთებულ თაფლის სანთლით,
რა სასაწაულით, რა დღით-
გადარჩა ესე ქართლი.

მოწოდება ჩამოდით!
ქართველ ემიგრანტებს

ჩემი რჩევაა ყველასთვის,
ვინც უცხო მხარეს წავიდა,
ვერ გააკვირვებთ ვერავის,
თქვენი საქმით და სწავლითა.
დაბრუნდით, სანამ დრო არი
თქვენ სახლში ,თქვენ სამშობლოში,
თუ გინდათ გქონდეთ სიკეთე
თქვენი ცხოვრების ბოლოში.
ქართულ ცის მონატრებულებს
ქართულ მზეს მონატრებულებს.
თქვენი მეუღლის, შვილების
სილაღე მონატრებულებს.
შვილიშვილების ღიმილს და
კისკისებს მონატრებულს,
თქვენი სოფლების - ქალაქის
წყალ - ჭალა მონატრებულებს.
თქვენი ბავშვობის დროინდელს
ბილიკებს მონატრებულებს,
ნათესავ - სამეგობროს და
მეზობლებს მონატრებულებს.
თქვენი ფიქრი და ოცნება

უცხო ადათწესს ვერ უძლებს,
ამიტომ ეცით პატივი
თქვენ ისტორიას შეუცვლელს.
განა, ჩვენ გული არა გვაქვს,
განა, ჩვენ არ გენატრებით,
ხშირად სიზმარში რომ გხედავთ
ხანდახან შოკში ვვარდებით.
როცა ვიხსენებ ადრინდელ
ჩვენ ლამაზ ურთიერთობას,
ახლა ვის მოვეფეროთ და
ვინ გეტყვის გულით შენდობას.
ჩვენი სიცოცხლე ერთია,
ერთი სისხლის და ხორცის ვართ,
ჩვენი უფალიც ერთია,
ერთი ჯიშიდან მოვდივართ.
ჩამოდით, სანამ დრო არი
სანამ ვაქცინით აცრილხართ,
ჩამოდით, სანამ ქართული
აზროვნებისგან დაცლილხართ.
ჩამოდით,სანამ ყველანი
ქართულ მიწიდან ავყრილვართ,
ჩამოდით, სანამ ჯერ კიდევ
ჩვენ ეზო-კარზე დავდივართ.
ჩამოდით, სანამ ქართველი
გაინგლის - გათურქებულა
სანამდე ჩვენი რწმენა და
ანბანი გაუქმებულა.
სანამ არ წაურთმევიათ
ჯვარი, ყინწვისი, ვარძია,
სანამ ჯერ კიდევ გვფარველობს

მცხეთა, გელათი, ტანძია.
სანამდე ვინმე მუსლიმი
აგვიდუღებდეს ჩაიდანს,
სანამ არ ვემსახურებით
ვიღაც შეიხს და შაითანს.
რიონი თურქებს მიჰყიდეს,
გარეჯი აზერბაიჯანს,
სანამდე ქართულ სიმდიდრეს
მტვარი ირანში ჩაიტანს.
ჩამოდით, ამ გაზაფხულზე,
თუნდაც ეს იყოს ზაფხულში,
ყველას დაგხვდებით სადგურზე,
გრძნობით ჩაგიკრავთ ამ გულში.
გადავარჩინოთ ქვეყანა,
ამდენ ხანს ფიქრს ნუ უნდებით,
ეს დრო თუ გამოგეპარათ,
ვერასდროს ვერ დაბრუნდებით.
აქ ისე ცოტანი დავრჩით
ვერვის ვიმეტებთ საფიცრად,
ჩამოდით! - ჩვენი ტანჯული
მამული ერთად დავიცვათ.

ჩემს ღირსად რომ არ გამომეცანი

კიდევ კარგი რომ გვერდით ქმარი გყავს,
მარტო არა ხარ დღემდე ჩემსავით,
თავს მოვიკლავდი ნაღდად ამაღამ
-ჩემს ღირსად რომ არ გამომეცანი.

ჯერ ისევ ფეთქავს იმედი მცირე,
რადგანაც მყავხარ სულის ნაწილად,
უიმედობა მე შენით ვძლიე,
გული ამდენ ხანს რომ არ გაცივდა.

მე ისევ შენით ვსუნთქავ ამ ქვეყნად,
იმ ჩემს შეცდომებს კვლავ გულში ვიკლავ,
შენ გყავს პატრონი ნუ შემიცოდებ,
რა ვქნა ქმრიანი ქალი თუ მიყვარს.

გულს ვერ ვუბრძანებ, არ შემიძლიან,
გადავიწყება ასე არ ხდება,
თემიდა უკვე გამოვიძახე
ვისაც სიმართლე ჰქვია სახელად.

მანვე განსაჯოს ეს სიყვარული
რომელს ეკუთვნის უფრო ძლიერად,
შენ რომ დაკარგე ასე იოლად,
თუ შენთვის მე რომ გამიძლიერდა.

კიდევ კარგი რომ გვერდით ქმარი გყავს,
მარტო არა ხარ დღემდე ჩემსავით,
თავს მოვიკლავდი ნაღდად ამაღამ -
ჩემს ღირსად რომ არ გამომეცანი.

ხათუნა წიქორიძე

***

სულთან შიშველი ვიდექ ხორციელ,
თოვლში - მთრთოლვარეს ვგავდი ბელურას.
მზეო, ერთხელ ვერ წამოგეწიე,
რომ სახლის ჭერი გადამეხურა.
ვუერთდებოდი ჩემებრ სხვათა- ლხინს
მეც, სხვის სხეულში ნეკნად აღქმული
ხშირად ვეკიდე თავდაღმა ბაგირს
თორმეტ წყვილ ნეკნში- ერთი მავთული.
წუხდა და ვწუხდი, აქ მე და იქ სხვა...
ვერ ვრიგდებოდით მიწასთან, ისევ...
მდინარეებად დიოდა რისხვა
ვეფარებოდი ხვედრით კულისებს...
მე, ნისლის ფარდებს ვაგლეჯდი ზეცას,
დაღარულ მიწას ვუცქერდი თმენით...
დღეს ვფენდი გარეთ და ღამე მეცვა-
ცაში ვარსკვლავებს ვეძებდი ხელით.

და დღეს, მე სახელს ვარქმეც ყველაფერს -
რაც იყო, არის და მოვა... რაც კი,
ვაშენებ პაპის რჩეულ ვენახებს
და ზედმეტ დოყებს, ტანიდან ვაცლი...
სულთან შიშველი ვიდექ ხორციელ,
თოვლში მთრთოლვარეს ვგავდი ბეღურას.
მზეო, ერთხელ ვერ წამოგეწიე,
რომ სახლის ჭერი გადამეხურა!

* * *

სამზეო დღეები მაისებს დაურჩნენ,
საწვიმრად მოქუფრულ ცას შევრჩით მღიმარე.
დასცვივდათ კვირტები სევდისგან ალუჩებს,
ქარმა კი... ხმაური წაართვა მდინარეს!
საწყისში დაეტყო გაზაფხულს ნაღველი,
ყვავილებს დასცვივდათ პარკები მტვრიანი...
ათასი ჭირის და ღალატის მნახველი
დუმს, რადგან ვერ ყვირის დღეს ადამიანი!
კარებზე მომდგარი - თურქით და სელჩუკით
ერს მიწის ღალატი დასჩემდა ბოლოხანს!
სამტეროდ, მოდიან წაგვართვან... ჩვენ ვჩუქნით?
მიწა კი გვიწყრება ბელტად და გოროხად...
ადექით, ძმებო და მამებო საომრად,
ქართველებს გვართმევენ, თავდახრილ მონებად...
თქვენა ხართ მერაბის, ზვიადის თაობა
დახურეთ კარი და გახსენით გონება!
ქართველნო, მტერს ყველა გზა გადავუკეტოთ
წინაპართ სულები საომრად გვეძახის...
ვიდრე არ დაგვტოვა უფალმა უღმერთოდ

და ვიდრე კალთა არ მოგვეხსნა დედაღვთის!
საწყისში დაეტყო გაზაფხულს ნაღველი -
ყვავილებს დასცვივდათ პარკები მტვრიანი
ათასი ჭირის და ღალატის მნახველი
რად დუმს და ვერ ყვირის დღეს ადამიანი?!

ეს იყო ადრე...

იდგა ჭასთან ორი მორი
-არც ახლოს, არც შორი-შორს...
ორივეზე და მათს შორის
ვუყურებდი ჰორიზონტს!
მეხდაკრული მუხის ორ მორს -
აერთებდა გამირი,
პირველს, მაგრამ პირმშრალ ორმოს
უფარავდა ღრმა ღიმილს.
ჭასთან ყოველ სამხრობის დროს
თეფშებს რეცხდა ქალი და...
ძელზე ორი გობი იდო
არ ამომდის თვალიდან!
ერთი მომცრო, ერთიც დიდი
სარკესავით ელავდა...
იქვე სკამზე იჯდა კაცი
ყმაწვილივით ღელავდა...
დგაფუნებდა წყალი გობში -
ქალის მარჯვე ხელებით...
კიბის თავთან ძირი კომში
ჰყვაოდა გახელებით!
იმ ორ მოხუცს ერთმანეთის

ჯეელობა ახსოვდათ...
წყალობა და მადლი ღმერთის
ათოვდათ და ათოვდათ!
თუ მოსვრიდნენ საინს მთლად ორს
ქალი რეცხდა მაინც ათს...
მოგონებებს აწვიმს, ათოვს
ისე, როგორც მამითადს.
იდგა ჭასთან ორი მორი,
არც ახლოს, არც შორი-შორს...
ორივეზე და მათს შორის
ვუყურებდი ჰორიზონტს...

ადამიანი...

მე ვარ მიწა, საზღვრებს გარეთ გატანილი
მე ვარ დარდი, მთების თავზე ნისლად მყოფი.
მე ვარ სიტყვა, ტყუილებით გატენილი
მე ვარ ისევ დღესაც- ღმერთის უარმყოფი!
მე ვარ ცრემლი, ისევ ჩემს თვალს დაკიდული-
მე ვარ ეკალ-ბარდით სავსე პურის ყანა...
მე ვარ თვითონ საქართველო - გაყიდული
მე ვარ ტკივილგაუვლელი ეს ქვეყანა...
მე ვარ ვაზი უსხლავი და უმორჩავი,
მე ვარ ნამი, უცვარ-ნამო ამინდების...
მე ვარ ცრემლი, საფლავებზე უბოჭავი
მე ვარ უფლის დაცვას თავს რომ ვარიდებდი.
მე ვარ კლდეზე მიჯაჭვული ამირანი
მე ვარ ჩემივ სისხლის მსმელი ყვავ -ყორანი...
მე ვარ მიწაც და ზედ სისხლიც ტბად ნადენი
მე ვარ ჩემგან ვერშეკრული კვლავ ბორანი.
მე ვარ მოჭრილ ხეთა მკვლელი, როგორც შვილთა

მე ვარ ცეცხლში - შეშაც, კვესიც და აბედიც...
მე ვარ მკვლელი - ცოდვილთა და მართალ ტყვეთა
მე ვარ ჩემსავ თავთან ისევ ჩემი ბედი.
მე ვარ მშობლის დარდი, მერე დამმარხავი
მე ვარ მიწა, ისევ მშობლის და საფლავის
მე ვარ ჩემი ყოფნის ისევ კავიც, ხარიც
მე ვარ ჩემივ თავში ისევ დასაფლავი...
მე ვარ ტყვია - სიტყვის დენთით გაჭედილი
მე ვარ გლახა და ვერა ვარ კარი-ტაძრის
მე ვარ ისევ ჩემი ხელით გაჟლეტილი
მე ვარ, ვინც ვერ დაეწია ქარით გაცლილს...
მე ვარ ერთად: ტანჯვა, შვება, ჭირი, ლხინი
მე ვარ ცოდვაც, მომავალი-მომავალში
მე ვარ ღმერთთან მისასვლელი ჩემივ ხიდი
მე ვარ არ გასტუმრებული ყველა ვალი...
მე ვარ ველი-ბრძოლებში რომ სისხლი რწყავდა
მე ვარ ასჯერ დაჭრილი და მაინც მიწა,
მე ვარ მოდგმა ყოველდღე რომ ქრისტეს ჰკლავდა,
მე ვარ იგი, ვისაც ქრისტემ სისხლი მისცა...
მე ვარ კაცნი, ყველა ერთად და თან ერთი
მე ვარ მიწა და ვეხები ჩემივ ქუსლით
მე ვარ იგი, ვინც გაჰყიდა ვერცხლზე ღმერთი
მერე ჯვარზე გავაკარი ოთხი ლურსმნით...
მე ვარ თვალებახილული ადამ-ევა
მე ვარ გმობა და ღალატში მუდამ მყოფი
მე ვარ მიწა და ამ მიწის მე ვარ ნგრევა
უფალი მყავს, მაგრამ მე ვარ უარმყოფი!
მე ვარ მიწა, საზღვრებს გარეთ გატანილი
მე ვარ სისხლის დაქცეული ყველა წვეთი
მე ვარ თავი, ლოცვად ძირს ვერ დატანილი
მე ვარ მოდგმა, მაინც მწყალობს ცოდვილს ღმერთი!

გულნაზი ხარაიშვილი–ცისკარელი

სიმართლისათვის

მე მტკივა ის რაც, ერს შეაწუხებს,
რაზეც არასდროს, დავხუჭავ თვალებს.
ნადიდგორალებს, ვინც შეაფურთხებს,
აუღელვებლად, სისხლსაც რომ დალევს.
აუცილებლად, ვიტყვი ჩემს სიტყვას,
სიმართლისათვის, თუნდაც მესროლონ,
თავს არ ჩავიგდებ, არასდროს ბრიყვად,
მთელი სხეული, სულ რომ დამსერონ.

საქართველოს ისტორია

საქართველოს ისტორია შემიჭამეს,
დამიღეჭეს, ჩამოაჭრეს ჩუმად გვერდი,
ღმერთიც ალბათ, არასოდეს არ იწამეს,
ამ ტყუილებს ვწუხარ, მეც რომ შევაბერდი.
დამიბრუნეთ, თითო გოჯი ჩემი მიწა,
წინანდელი, სახარება წამაკითხეთ,
ისტორია ვინ სად, როგორ დაამიწა,

დამნაშავეს თვით უფალი განიკითხავს.
ჯერ ისედაც, პირადული მსერავს დაღი,
დავით გარეჯს, სიზმარშიაც ვტირი ცრემლით.
დამიბრუნეთ საკამათოდ ნუღარ დამღლით,
დამიბრუნეთ, თქვენი ხელით მონაცელი!

მერამდენედ

ამოგორდა ცრემლის ტალღა,
დიდი თანაც ზღვის ტოლია.
იქ, რა ხდება, ნეტავ გაღმა,
აქ, პატრონი არ მყოლია.
ხეს დასცვივდა თოთო კვირტი,
აქვითინდა, უტყვი მუხა...
ტუჩის კვნეტით დავაკვირდი,
დრო, ამ ტოტებს, როგორ სუსხავს...
ღმერთმა იცის ვინ ტყუის და...
ან ვის ასე, რატომ აწყობთ
მტკივა, ვკვნესი, დავღმუი და...
იმედს კეცში ვეღარ ვაცხობ.
ამას კი ვგრძნობ, საქართველო,
მათ ცალ ფეხზე რომ კიდიათ,
სხვა ბატონობს, გააქვს ლელო,
ცხრა თავი აქვს, თან დიდია.
რა ჯანდაბა უნდათ ნეტა,
აღარ შერჩა მუხას ყლორტი,
ცა ღრუბლებით გადიპენტა,
მერამდენედ უკვე მოვკვდი!

ნუ შემაძულებთ

სიცოცხლეს მაშინ ექნება ფასი,
თუკი ადათ- წესს გულში დანერგავთ,
რისთვის მოხვედით, ქალი ან კაცი,
სამშობლო შენს წინ თუკი დაგენგრათ.

არარაობას, ნუ მიემხრობით,
ღმერთი იწამეთ, სანამ დრო არის,
თუ არ იღლებით ბავშვების შობით,
არავისთან ხართ, მაშინ მართალი.

მოხვედით ერთი, ნუ წახვალ ისე,
ქალმა კაცს გული, გადაუხსენით,
ნუ შემაძულებთ, ცას ლამაზს ცისფერს,
გზებს ეშმაკისას გამოეხსენით!

სიყვარული

სიყვარულის სახლი უნდა ავაშენო,
მადლით უნდა , მოვრწყა ეზოს არემარე,
უკვდავების ნერგი უნდა გავაშენო,
სევდას ჩემს სახლს არასოდეს გავაკარებ.

შენ კი ბედო, მე რამდენჯერ გადამთელე,
არ გნებდები, სიკეთეზე ვიქადაგებ...
სიყვარული გულის ტკივილს აჯამრთელებს,
სიძულვილი, მტრისიც ხრამში გადავაგდე!

მელოდებიან

შემოღამებას მოვესწარი, ბრუნავს წისქვილი,
საფქვავიც ბევრჯერ გამოვფქვი და პურიც დავაცხვე,
ღამეში მესმის, უსაქმური ღელის სიცილი,
კოდალაც ჩემსკენ გამოფრინდა ცდილობს დამაცხრეს.

მე კი სიმშვიდით ველოდები ხორბლის მოსავალს,
მარცვლის თავთავებს, ხელით დავფშვნი, გავანიავებ,
მელოდებიან და ცის ხიდზე ჩქარე გადავალ,
გთხოვთ არ გამიწყრეთ, ცოტახნით თუ დამაგვიანდეს.

გამიკვირდა

თოვს და დაგეძებ, მინდა რომ გნახო,
მთებივით მაღალს სულს ვეძებ ცაში,
ო, როგორ მინდა, ვიყო შენს ახლოს,
მაშინ ექნება სიცოცხლეს ფასი.

მე ვარ ზაფხული, სიზმარში ვითომ,
თოვლს შევეხე და დნობა დაიწყო,
მეგობრობა სურს რომ შემომფიცოს,
იმ, შარშანდელი მარტის არ იყოს.

თოვლი გაალღო, უცებ ზაფხულმა,
თხილმა საყურე ჩამოიკიდა,
გამოვიღვიძე, სიზმარ ნახულმა,
დავრჩი ზაფხულად და გამიკვირდა.

რა ხდება

არ ვეძებ განძს და არც სასახლე მინდა იცოდეთ,
სიმშვიდეს ვნატრობ, საქართველოს შვილთა შვილების,
ქუჩაში ყველგან „ოროველა“ ისევ ისმოდეს,
კაცი და ქალი დადიოდეს, ერთად წყვილები.

რა დრო დაგვიდგა, აირია, დედა თბილისი,
თითქოს და ჯავრი სხვა არ გვქონდეს, ცოდვილ მიწაზე,
ესეც ზაფხული, ესეც ჩვენი ცრემლის ივლისი,
გული დაიჭრა, ველარაფრით ველარ ვუწამლე.

დაიბადაო, ბიჭიაო, ისროდნენ თოფებს,
თუ გოგო იყო, იღიმოდნენ, ისე ყასიდად,
ახლა რა ხდება არაფერი აღარ გვაშფოთებს,
მუხას რაც ესხა, ის ფოთლებიც ბევრი გაცვივდა.

ნათელა გოგიავა

ღმერთო, დამილოცე ჩემი საქართველო!

გავყევი ანაზდად წარსულის მირაჟებს,
კითხვები დაგროვდა, ახსნას კი ვერ ვაძლევ.
კითხვები, კითხვები და თანაც რამდენი,
ძილსა და ღვიძილში მუდამ რომ თან დამდევს.
დაძრწიან ფიქრები, ჟამი გადათელეს,
ჰოდა, მეც მივყვები ფიქრების ფორიაქს,
მგონია, ისევ ის პატარა გოგო ვარ,
სინამდვილე და ოცნება შორია.
ჟამი მახსენდება, უკვე გარდასული,
მზეს თვალს ვუსწორებდით გიჟმაჟნი, ანცები,
სიცოცხლის ტრფიალით რომ ველარ ვძღებოდით,
შორს იყო ორგემად საწუთროს დარდები.
ეჰ, რა ულმობელად გაფრინდა სილაღე,
მეწია სიბერეც ავი და ტიალი,
ადრე მეფრქვეოდა ვარდების სურნელი,
ზეციდან მათბობდა მზის სხივთა ციალი.
ლამაზი წარსული ნიავმა გაფანტა,

დავეძებ განვლილი ცხოვრების ნარჩენებს,
წლები და თვეები რა სწრაფად მიქრიან,
საათის ისრებიც სულ სხვა დროს აჩვენებს.
ზამთრის კვირაძალში კვლავ ველი გაზაფხულს,
ასე მეორდება დროთა სვლის დავთარი,
მუზა რომ არ მტოვებს, იცოცხლე, კარგია,
სიცოცხლის საზრისი სწორედ რომ აქ არი.
უტყუვრად გამოვთქვამ, რაც რომ გულს სწადია,
მომავლის მოლოდინს ვერაფრით ველევი,
ღმერთო; დამილოცე ჩემი საქართველო,
ამას გეაჯები, მუხლმოყრით, ვედრებით!

***

როცა ფიქრებში გავირინდები,
დავეხეტები, გეძებ, სად არა,
რომ ვერ გპოულობ, მაშინღა ვფიქრობ,
ოცნება ცხადზე ფუჭი გამხდარა.

ალბათ ასეა ყველა მგოსანი,
ბოლო სუნთქვამდე დაეძებს იმედს,
უსასრულო რომ არაფერია,
საუბედუროდ, გვიანღა იგებს.

სამყარო არის უკიდეგანო,
ბედნიერებას ყველგან ელტვიან,
ადამის შვილი ვერას გააწყობს,
განმკარგავი ხომ მხოლოდ ღმერთია.

საქართველო გადავარჩინოთ

არ მომწონს ქვეყნით რომ არ ვართ ავად,
ქვეყნის ტკივილით სულ რომ არ ვკრთებით,
ამდენ ქიშპით და დაუდევრობით
არ მომწონს, უქმად რომ გადის წლები.

არ მომწონს, როცა სამშობლოს ბედი
ჩვენს უმეცრებით ბეწვზე ჰკიდია,
არ მომწონს, როცა იუდას მსგავსად
მამულს ოცდაათ ვერცხლად ყიდიან.

არ მომწონს, ისე რომ ვერ ვისჯებით,
საქმე ვაკეთოთ ქვეყნის სალხინო,
არ მომწონს ისიც, რომ ვერ გავიგეთ,
რა გვიხსნის და თუ რაა საჭირო?

დრო არ დაგვიდგეს მეორედ მოსვლის,
საქმე ვაკეთოთ ყველამ საჩინო,
გონების კარნახით ვიმოქმედოთ,
საქართველო რომ გადავარჩინოთ!

გამოცანად რჩება

ამას რას ხედავს თვალი,
რბიან ქალები სხვაგან
და გამოცანად რჩება,
საშველი აქ კი არ გვაქვს?

შემზარავ პასუხს ვისმენთ,
გვაქვსო ბანკების ვალი,
პრობლემის მოგვარებას
კვლავ ერკინება ქალი.
ამიტომ მიატოვეს
სახლი, ქმარი და შვილი,
ასეთი ყოფა მათთვის
სულაც არ არის მშვიდი.
შვილს დედა უნდა ზრდიდეს,
სითბოს უღვრიდეს გულში,
ქვეყნის მომავალი ხომ
არ გაიცვლება ფულში.
მაგრამ სხვა გზა რომ არ ჩანს,
მისთვის გაწირეს თავი,
ყველანი გონს მოვეგოთ,
თუ რამ საშველი არის?

***

ტყე სევდიანობს, რიონი ოხრავს,
მღვიმეში გაწვა მთვარე, მზისდარი,
მოლოდინებიც გამიფერმკრთალდა,
რა უსაშველოდ ბორგავს ცისკარი.
ღრუბელი ღრუბელს დაჰკიდებია,
ცოტაც და დღე და ღამეც იყრება,
ღამეს დღე შეცვლის, დღეს ისევ ღამე,
ასე იყო და ასე იქნება.
ვთელავ სივრცეებს შენს შესახვედრად,
მზეც აღარ მწყალობს ღამის გამთენი,
მდინარის გაღმა ჰორიზონტს ვუცქერ,
რომ მომევლინოს შენი ნათელი.

არ ვიცი, რა გზით უნდა ვიარო
და როგორ გპოვო, ჩემი ფრთოსანი,
გაზაფხულსა თუ შემოდგომაზე
სულ მოგიგონებ შენი მგოსანი.

***

მზემ სხივები მომაფინა,
გული ლხენით მევსება,
ლექსის წერის დროც მოსულა,
მაგრამ რა მელექსება.
    მაშინ სიომ მიჩურჩულა,
    დასტური ჰყვეს ფრთოსნებმა,
    ჩაიფიქრე, აგიხდება
    მხოლოდ ერთი ოცნება.
საგონებელში ჩავარდი,
რა მინდოდა ძალიან?
ოცნებები თუ ბევრი მაქვს,
განა ჩემი ბრალია?
    ვფიქრობ თუ იმ მრავალთაგან
    ავირჩიო რომელი?
    ყველაფერზე მეტად რა მსურს?
    ან რისი ვარ მნდომელი?
სიყვარული ავირჩიე,
ანდა რაში გავცვალო?
სიყვარული ამოძრავებს,
ამთლიანებს სამყაროს.
    სიყვარული ავირჩიე
    მზიან, სისხამ დილაზე,
    სიყვარული ხომ ღმერთია
    თავად ამ ქვეყანაზე.

მაია ჯალიაშვილი

ვის უნახია სიყვარულით ბედნიერება

როცა ცრემლები არ ასველებს ანთებულ თვალებს,
ანდა ვინ იგრძნო გულის ცეცხლის მარადისობა,
ვინ მორევია ვნების ჟინით მთვარიან ღამეს.
ვინ დაიჯერა სიყვარულის არუკვდავება,
ან უკვდავების სავსე გამა ვინ დაიჯერა,
და ორთა შორის, სიყვარულის ცეცხლოვან ტალღის,
უხმოდ ჩაქრობა, ან ნაცრად ქცევა ვინ დაიჯერა.

როგორ ვნატრობდი სიყვარულის უსასრულობას

წვიმის წვეთები ასველებდა გრძნობათა ბადეს,
ცად გაჭიმული ცისარტყელა ნაირფერებით,
ალამაზებდა წუთისოფლის ნაჯაფარ წამებს.
მე ვერ ვპოულობ საკუთრ თავს ამ სამყაროში,
დაძრწის ეშმა და სიკვდილს თესავს დედამიწაზე,

არ პატიობა შემოვიდა თითქოს მოდაში,
სითავხედე და სიძულვილი რეკავენ ზარებს.

გზა ცხოვრებისა

ცხოვრება ყველასთვის ერთი არაა,
უსწორმასწორო გზებია სავალი,
დაეცი? ადექი არასდროს დანებდე,
თავი ასწიე ბევრია სავალი.
აყვები აღმართს და შეგხვდება დაღმართიც,
მთავარი ისაა ცუდად არ დაგორდე,
ფეხს თუ წამოკრავ და წაბორძიკდები,
ეცადე ისევე ამაყად წამოდგე.
არ დაგავიწყდეს საიდან მოხვედი,
ან რას წაიღებ იფიქრე იმ ქვეყნად
ნამუსის ქუდი თუ შეგრჩება ბოლომდე,
ცხოვრება ხანმოკლე არასდროს იქნება.

ნდობა სიყვარულისა

სველ იასამანს ნუ მომიტან, ეცვლება ფერი,
ისევ გვირილა შემიკარი უზღვავ კონებად,
მკლავი გაშალე, მანებივრე ვით ზღვაში ნავი,
მთვარის მკრთალ შუქზე გაგვიტაცებს უზღვავი ვნება.
და როცა აისს დაუბერავს ცისკრის ნიავი,
წვიმის წვეთები იცეკვებენ ცეცხლოვან ტანგოს,
სიცოცხლის საწყისს, ცის კიდეზე გავეჯიბრები,
მე ჩემს სიყვარულს უდარდელად, მხოლოდ შენ განდობ.....

სცენარი

უხმოდ დავიწყე სცენარის წერა
მთავარ როლში კი შენ აგიყვანე,
ბევრჯერ დამჭირდა ჭირვეულს თმენა
თუმცა ვერაფრით გადაგიყვარე.
რადგან დაბრუნდი, აღარ გაგიშვებ,
შუა სცენაზე შენ გხედავ მარტო,
მაყურებლების მხურვალე ტაში,
ამ გულის ძგერას ვერაფრით ახშობს.
სიყვარული ხომ წყალი არ არის,
მოგწყურდეს უცებ და გადაყლაპო,
როცა ზარები დარეკენ ციდან,
მინდა ჩემს გვერდით შენ დაგინახო.

ადამიანი

ადამიანის დავიწყე ხატვა,
თუმცა ნახატი ვერაფრით შევქმენ,
რადგან არა გაქვს, უსახურს სახე,
ბევრი ვეცადე ვერ გამოგძერწე.
ადამიანო ნუთუ ეს შენ ხარ?
რატომ არა გაქვს მითხარი სახე,
ან კიდევ თუ გაქვს, რად გაქვს ამდენი,
ნამდვილი რატომ ვერ დავინახე.
ვიწვალე ბევრი, თუმცა ამაოდ,
ვერსად ვიპოვე მე, შენი სახე,
არც "პიკასო" ვარ და არც "და ვინჩი",
უსახური კი მე ვერ დაგხატე.....

იასამანი

განა მართლა სველია, სველი იასამანი?
წვიმის ნაზმა წვეთებმა, დაასველა მანამდის,
სანამ გული აალდა სიყვარულის მაქმანით.
მკრთალმა მთვარემ სიჩუმის მიაფარა საბანი,
დილის მზემ კი უეცრად შეუმშრალა დალალი.
მერე ნაზმა ნიავმა შეარხია ნარნარით,
განა მართლა სველია? სველი იასამანი....

***

ცა შეფერილა ზურმუხტის ფერად,
პოეტი მუზით სიყვარულს ამკობს,
ბეთჰოვენი წერს მთვარის სონატას,
მაესტრო უკრავს ცეცხლოვან ტანგოს.
ვოცნებობ ვიყო ფიქრთა მკითხველი,
ღამით ზღვის პირას მჯდომარე მარტო,
ხელში მეჭიროს მოლბერტის დაფა,
ვქმნიდე შედევრებს ვითარც "პიკასო".

***

გადაირეცხა ფოთოლცვენა დაღლილ მდელოზე,
გახუნებულა სავსე მთვარე, შედგნენ ჩრდილები,
წვანან წვეთები გათანგულნი, უწყლო ნაპირთან,
ლურჯ კესანებში არეულა ყაყაჩოები.
გაზაფხულდება, დატრიალდება ყვავილთ სურნელი,
ნუშის ხეებიც ჩაიცვავენ ვარდისფერ კაბას,
გაშლილ წითელ ვარდს, სიყვარულით უმღერს ბულბული,
მრავალჟამიერს იღიღინებს მეურმე ალბათ.

და როცა ცაზე შეიყრება შავი ღრუბელი,
ქარი ღრიალით შემოამტვრევს დარაბის კარებს,
მოგონებები აირევა ფიქრთ არეალში,
სისსლისფერ ალში გაეხვევა მწუხარე ღამე.

ბალადა სიყვარულისა

მსურს სუროსავით შემოგეხვიო აშოლტილ ტანზე,
ყურძნის ნაჟური ცრემლებივით ზედ დაგაპკურო,
მარწყვივით ტუჩებს დავაკონო მხურვალე ბაგე,
აკვირტებულ მკერდს დეკოლტედან ურცხვად ვუცქირო.
მარგალიტებით მორთულ მაქმანს უხმოდ გაგიხსნი,
ბროლივით ყელზე სამკაულად შემოგეხვევი,
გიშრის დალალებს ზღვის ტალღებად, მხრებზე გაგიშლი,
ჟინ-მორეულს და ვნება აშლილს ზედ დაგეკვრები.

***

დღეს გულის სიმებს შეხებია მტერი ვერაგი,
დავიწყებია საქართველოს სახე ნამდვილი,
ვერ დააჩოქებს ჩემი ქვეყნის ლომგულა ბიჭებს,
თუნდაც აღმართოს მილიონჯერ მჭრელი მახვილი.
ჩემი სამშობლო სამოთხეა ღვთისმშობლის ხვედრი,
იბადებიან და იზრდებიან ალგეთს ლეკვები,
ვერავინ შეძლებს ჩემი ქვეყნის თავის ძირს დახრას,
ვერც შინაური, ვერც გარეული ვერაგი მტერი.
კვლავ ინავარდებს ლაჟვარდ ცაში გუნდი მერცხლების,
სიყვარულის ჰიმნს დაამღერებს ბულბული ვარდზე,
არწივი ცაში აიჭრება კამარ შეკრული,
ჯიხვი ამაყად გადმოდგება კლდეთა მწვერვალზე.

ირმა მინაძე

***

თვალის კუთხეში გაგჩენია მცირე ნაოჭი....
სევდა და ფიქრი ლამაზ სახეს შემოჩვევია...
ის აღარა ხარ, რაც იყავი ოცი წლის წინათ,
თუმცა ეგ გული ისევ თბილი შემოგრჩენია....
ყოველ ასაკს რომ თავის ხიბლი აქვს,
ეს ჩემზე კარგად ბავშვმაც კი იცის...
იქნებ, სიბერე უფრო ტკბილია?!
დაველოდები...ვნახოთ...ვინ იცის?!

***

გახსოვთ, როგორ მორიდებით ვეპყრობოდით უფროსებს?
ჩემს ტოლებს ვეკითხები: -"ახლა ვინ "გაუფროსებს"?
დამავიწყდა ვინა ვარ, დეიდა თუ ბიცოლა,
მეჩვენება, თუ მართლა, რქებით უნდა მიწოლა?
მაგრად თუ არ დაუდექ, თავზე დაგახტებიან,
თუკი არ შეაჩერე, კლდიდან გადახტებიან,

შენც თუ დადექ მათ გვერდით, ხელს გკრავენ და გისვრიან,
უხამს სიტყვებს ყოველ წამს აქეთ-იქეთ ისვრიან....
არც დედა ჰყავთ, არც მამა? მე ვერ ვხვდები რა ხდება?!
არ ზოგავენ მოხუცსაც და მგონია, ვერც ხვდება....
ახალგაზრდა თაობას - ყველას, ვისაც ეხება!...
ღმერთო, ყველას მიეცი, ღვთის შიში და შეგნება!

***

თაღლით კაცზე უარესი
ქვეყნად არის ვინმე განა?
ნერვებს გაწყვეტს ცხოვრებაში,
თვითონ ცეკვავს განდაგანას.
არ მოქმედებს შენი ცრემლი,
არად აგდებს შენს გრძნობებსაც,
მოიშორე თაღლით-კაცი,
შეგაძულებს შენს მშობლებსაც.
მოღალატე კაცის სიტყვას,
ნუ ენდობი ერთ ნაბიჯზეც,
გაუშვი და სხვა იპოვე
თორემ გულზეც დაგაბიჯებს.
ვინც გაფასებს-დააფასე,
ვინც არა და ჰკარი ხელი,
თუკი გიჭირს დავიწყება,
ახსენე ღმერთის სახელი.
ღმერთმა შეგვქმნა, ღმერთი გვიცავს,
უფალს ზურგი არ აქციო,
როცა გიჭირს, მას შესჩივლე,
რომ ეშმაკი გააქციო.

ილოცე და აგიხდება,
სიხარულსაც ნახავ მალე,
კაცი გიმტრობს? ღმერთი მოვა,
არ იდარდო, გენაცვალე!

***

როგორ არ დავლოცო ჩემი ქართველები?!
ვინც კი შემხვედრია, ხელი გამიწოდა...
უფალო დამილოცე! თავს შემოვევლები,
ვინც თავის შვილი და თავის და მიწოდა.
ლუკმა გამიყვეს და გულშიც კი ჩამიკრეს,
არ დაიზარეს ჩემთვის დახმარება,
უცხო მიწაზე ჩემთვის უცხო ხალხმა,
რომ მოახერხეს ჩემი გახარება...
უფალო, დაიფარე! უფალო შეისმინე!
ჩემი ვედრება და ჩემი ჩუმი ლოცვა,
ნურსად მიატოვებ ჩემს კეთილ ქართველებს,
არასდროს დაგავიწყდეს მათი სულ დალოცვა!

***

იყო დრო, როცა -ძალიან მიყვარდი,
როცა-ვერ ვძლებდი უშენოდ!
ვიცი, რომ იმ დროს მე-შენც გიყვარდი,
ძილიც არ გინდოდა უჩემოდ,
    რამდენი რამე გადაგვიტანია....
    გვერდით დავდგომივართ ერთურთს,

ცხოვრების ლელოც კი გაგვიტანია,
ერთად ვთამაშობდით "ფეხბურთს"...
მაგრამ...ყველაფერს თავისი დრო აქვს,
ცრემლებით ვამშვიდებ ამ სულს ...
ვერ შევაჩერე დროის მანქანა,
ველარ დავიბრუნებთ წარსულს.

ემიგრანტის ამაოება

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ,
ოქროს ელვარებით კრთიან,
მთვარე ჩემს ფანჯრებთან დაფუსფუსებს,
ჩრდილები გარს მივლიან.
ისევ შემომაწვა ფიქრები და
ვუყვები მთვარეს ზღაპარს.
მალე სამშობლოში ვიქნები და
მოვივლი ცვრიან მთა-ბარს.
მთვარეს ჩაეღიმა როცა მე მისმენდა,
-"შენ გულით ამბობ ამას?
ასე "მიდიან"აქ ვინც ჩამოდის,
წლები კი გარბის სწრაფად.
შენც შეეჩვევი ემიგრანტობას,
ნუღარ წუწუნებ ხშირად.
შენი სამშობლო მუდამ დაგიცდის,
ისევ მიგიღებს თბილად.
თუ მოგენატრა, მე დამაბარე,
რაც გულით გინდა უთხრა,
შენ ვიდრე ჩახვალ საქართველოში,
მე "გამიწყობენ სუფრას".

გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას!

რა უჩუმრად მოგვეპარა
ეს ფერადი გაზაფხული?!
სითბოთი და სიყვარულით
აივსება ხალხის გული.
თვალს ჩამიკრავს ლურჯი ია,
ყოჩივარდაც ყოჩივარდობს,
მზის გულს კარი გაუღია,
თბილი სიო დანავარდობს.
მოუთმენლად ველოდები,
ატმისა და ნუშის ყვავილს,
ბუნება რომ ლამაზდება,
მაშინ ხალხის გულიც ჰყვავის.
ჰოდა, მოუტანოს მინდა,
გაზაფხულმა სითბო ჩემს ერს,
აღარ დარჩეს ერთი ციდა
ყინულიც კი, სიტკბო სჩქეფდეს ...
გაზაფხულთან ერთად მოვა,
ხალისით გზას გაგვიკვალავს,
უფლის მადლი გარდამოვა,
უფლის კალთა დაგვიფარავს!

***

ჩვენ დავბრუნდებით მაშინ როდესაც,
წალკოტი წალკოტს დაემსგავსება,
არ იმათხოვრებს ქართველი ანდა,
აღარ მოხდება ის უმსგავსობა,

რაც რომ დღეს ხდება... ძმა ძმას არ ინდობს,
დედა შვილს გლოვობს, ქმარი ცოლსა ჰკლავს,
ვიღაც უმსგავსო პოლიტიკანებს უნდათ არევა,
ქვეყანა რას ჰგავს?!
ჰოდა, მითხარით ჩემო კეთილნო,
არეულ სახლში მშვიდად იძინებთ?
ველარ დალაგდა ჩვენი ქვეყანა,
დროებით სხვაგან "გამოვიძინებთ".
ნუ გეგონებათ, რომ ემიგრანტი,
რახან ლაღად გრძნობს თავს სხვა მხარეში,
სულის სიღრმეში არა აქვს დარდი,
ან არ ტკიოდეს გულის არეში.

თქვენ არ მოგენატრათ ქუთაისი?

ვზივარ აივანზე და გავსცქერი ცას,
ღრუბლები შეკრებილა ქალაქის თავზე და
თითქოს მათ მიღმა საქართველოც ჩანს.
აი, ბაღის კიდე ისევ მოქათქათე,
იქეთ, ჯაჭვის ხიდი მედიდურად დგას,
ზემოდან დამყურებს ბაგრატის ტაძარი,
გელათის მონასტერიც იქვე ახლოს და...
ხმაურით მოდუდუნებს რიონის ტალღები,
თეთრი ქვები კი ტალღებს გადარჩა,
ჩემი ზასტავა, ქალაქის ბაღები,
თითქოს აქვეა, იქ კი არ დამრჩა.
ყოველ ღრუბელში ჩემს ქალაქს ვხედავ,
ფიქრებშიც, ძილშიც კი მელანდება.
ნიუ-იორკის ქუჩებს გადავსცქერი,
მაგრამ ქუთაისი ძლიერ მენატრება!

მადონა კისკეიძე–ქორიძე

***

მაინც სულ სხვაა გაზაფხულზე ოცნებაც, ფიქრიც,
როცა სულს ასე საოცნებო ფერები დაჰკრავს,
როცა გიზიდავს ვარდიც, იაც, იასამანიც,
ვერ აუდიხარ ამ გაზაფხულზე კვირტების ათვლას.
თვალი შეავლეთ ხის ტოტებზე ფერად ყვავილებს?
ასხმულ მძივივით როგორ უხდება ფერები დილას,
ირგვლივ ისეთი სურნელება ტრიალებს ჩემო,
გაბრუებული დამატარებს შარაზე ტიალს.
ცას გავყურებ და მოხატული ლურჯი კამარა,
თითქოს ჩემს სულში ჩახედვასაც ისიც კი ლამობს,
მზე საოცარი იშვიათი ღიმილით მიცქერს,
ასე მგონია ბესიკივით მიძღვნის ტატანოს.
დავდივარ ასე უმისამართოდ, ისევ ეული,
და გაზაფხულის ფერებივით დავეძებ სითბოს,
გაზაფხულია, თბილა მაგრამ ..ასე მგონია,
სხეული ზამთრის ყინვასავით ცივი მაქვს თითქოს.

სითბოს დაევეძებ, მინდა სულში რომ ჩამეღვაროს,
შემომახვიოს ამ გაზაფხულმა თბილი ხელები,
ჩემ სულს შეეხოს დამიამოს ეს სიმარტოვე,
გული გამითბოს ალერსით და ჩუმი ფერებით..

***

იმერლების გულის გულში ვისაც არ გაუვლია,
ანდა მისი ბაღის კიდე ერთხელ არ ჩაუვლია,
არ უნახავს ქუთათურის სუფრა მამაპაპური,
მისი სტუმარ მასპინძლობა ქორწილები ზღაპრული.
გენაცვალე, მიყვარხარ, შემოგევლე ძამია,
შენი მოსვლით და სტუმრობით გამახარე ძალიან,
ენათ გაილექსება, ვეღარ მალავს სიხარულს,
მისი თბილი მასპინძლობით გინაწილებს სიყვარულს.
არ დამიწყოთ უკეთესი მასპინძლობა ქართული,
მიმიქარავს ყველა კუთხე და სუფრები კახურიც,
ასე თბილად, სიხარულით, იმერეთში გხვდებიან,
სიყვარულით და სითბოთი გულში გეხუტებიან.
ყანწით ხელში სავსე ღვინით, ცრემლნარევი ღიმილით,
იგონებენ, პატივს სცემენ, გარდაცვლილთა ნაღდ სულებს,
სიყვარულით იხსენებენ ცოცხლებსა და წასულებს,
თვალს აყოლებ სუფრის ირგვლივ მოფარფატე ასულებს.
ყველა მიყვარს, მისი ფიცხი, ვაჟკაცური იერით,
გინდა იყოს ბარელი და გინდაც იყოს მთიელი,
ყველა კუთხის მორაკრაკე, მტკვარიც, მიყვარს, იორიც,
ამ ყველაფრის დამნახავი არის ჩემი რიონი..

***

მეამაყება, რომ ვარ ქართველი,
და იმ პატარა ქვეყნის ნაწილი,
სადაც ოდესღაც დავითს უვლია,
უშენებია დიდი ტაძრები.
სადაც თამარის სული ტრიალებს,
როს ამშვენებდა თეთრი ლაშქარი,
მათი სულების მოსაგონებლად,
საყდარში მუდამ იწვის ლამპარი.
სისხლით გაჟღენტილ მიწის შვილი ვარ,
იქ სადაც ძმები ცხრავე ეწამეს,
მე იმ პატარა ქვეყნის შვილი ვარ,
სადაც გორგასლის ხმალი ელვარებს.
მე ქეთევანის სამშობლოდან ვარ,
რუსუდანის და ანას ქვეყნიდან,
იქ სადაც დედას უშიშრად ხელში,
შვილის დაცვისთვის ხმალი ეჭირა.
მე, რუსთაველის სამშობლოდან ვარ,
გენი ილიას, შოთას, აკაკის,
მე იმ ლამაზი ქვეყნის შვილი ვარ,
სადაც მგლის ლეკვის ირწა აკვანი

წლებს არ ვნებდები

წლებს არ ვნებდები თუნდაც დამძრახეთ,
არ ვუშინდები ცხოვრების ქარ ცეცხლს,
წლები მჩაგრავენ, თორემ სიბერე?
ნამდვილად ვიცი ვერას დამაკლებს..

შევებრძოლები არ დავნებდები,
კვლავაც ჩავიცვამ რკინის ქალამნებს,
ვიდრე შემომრჩა ძალა მუხლებში,
ვიდრე ასაკი მე არ წამაქცევს..
ბევრი ნატვრა მაქვს აუხდენელი,
და მის გარეშე მიჭირს ცხოვრება,
და მის ლოდინში და ოცნებებში,
გული ნამდვილად არ დაბერდება..
მანამ ვიქნები ვიდრე ცხოვრებას,
აზრი და ფიქრი ცოტა შემორჩა,
ვიდრე მიყვარხართ , ვიდრე თვალს მიჭრის ,
ვიდრე ხალისი კვლავაც შემომრჩა!

***

დასრულდა სცენა..უამრავი ვარდი მომართვი,
გაოცებული, გარინდული ვიდექ სცენაზე,
აპლოდისმენტი არ წყდებოდა, ცრემლი მდიოდა,
დავიბენი და ვერ მოვახერხე მოსვლა შენამდე..
ისე ამაყად, თავ აწეული, იჯექ ლოჟაში,
თვალს ვერ გწყვეტდი და გამუდმებით შენსკენ ვიწევდი,
მიხვდი რაც მსურდა, მომიახლოვდი, ხელი ჩამჭიდე,
და დიდ სცენაზე სიხარულით ისევ მიწვევდი.
ვერც კი შევნიშნე შუქი შეპარვით როგორ აინთო,
ტაშიც შეწყვიტა მოულოდნელად დარბაზში ხალხმა,
მარტო ვიდექით ჩვენ ორნი მარტო იმ დიდ სცენაზე,
ჩვენს წინ დაეშვა უზარმაზარი თეატრის ფარდა.
იმ ფარდის უკან დავრჩით მხოლოდ მარტონი ორნი,
გესმოდა ალბათ თუ რა საოცრდ მიცემდა გული,
ამ ჩემს ფორიაქს, ფიქრთან ჭიდილს და ფიქრთან დავას,
არღვევდა ირგვლივ კაშკაშა ჭაღის ლამპები ჩუმი..

***

ის ქალი ვარ მომავალს რომ ვუმზერ რწმენით,
სიცოცხლე რომ სულს მიხარებს თუ დამაცლით,
ნურც სიტყვით და ნურც ქმედებით გულს ნუ მატკენთ,
გულზედ მიწას ადრიანად ნუ დამაყრით..
ის ქალი ვარ, ვინაც იცის სიყვარული,
სიძულვილით არსებობა არ სჩვევია,,
ამიტომაც ... ცხოვრებაში დაიჩემებს,
რომ მოძულე, მოღალატე არც ჰყოლია.
ეს ქალია სიყვარულით რომ გიმზერთ და,
თქვენი სითბო, გაღიმება გულს უხარებს,
დააბიჯებს უცხო მიწის ბილიკებზე,
და მას თქვენი ერთგულება მხარს უმაგრებს
ასე უნდა გააგრძელოს ვიდრე ცოცხლობს,
ვიდრე უძგერს გამალებით მკერდში გული,
არ ჩაიქრობს ამ სიყვრულს, მოგიკვდებათ
საქართველოს და ქართველის სიყვარულში!

***

მე უშენობით გამოწვეულ ტკივილს ვიყუჩებ,
და ვებრძოლები, ვეჭიდები დღეებს წამებულს,
ამ ცხოვრებასთან შეგუება მიჭირს რადგანაც ,
ვხედავ ყოველ დღე სიცოცხლესთან ბრძოლას წაგებულს.
არა და არ ზის ჩემს ხასიათში წაგება ბრძოლის,
არც დაცემული ოდეს რომ მნახოს ვინმემ ამ ველზე,
ოღონდ გიყვარდე, გვერდით მყავდე სხვას არას ვითხოვ,
მე სხვა ცხოვრება არაფრად მიღირს ამ ქვეყანაზე..
ხომ ამბობენ რომ წუთიაო წუთისოფელი,
და მეც ჭიდილში ბედნიერებას დღემდე მოველი,
ეს ოცნებაა, თავს ვიტყუებ, მშვენივრად ვიცი,
რომ ამაოა ამ ქვეყანაზე თურმე ყოველი.

ლია სანაძე

***

დედა უთბილესი სიტყვა მზის სადარი,
ხშირად მენატრება, მსგავსი არვინ არი,
დედა ჩემი გულის თბილი ბინადარი,
დედა ჩემი სუნთქვა და ტკბილი ზღაპარი.
ზეცით მოვლენილი, შუქი და ლამპარი,
დედა სულის შვება..... დედა გულის ლხენა,
როცა აღარა გვყავს უფრო გვენატრება!
დედა შვილთა ფარი, კარგი მეგობარი,
მისი ყველა სიტყვა ლოცვა მადლიანი!
დედას რომ ვიხსენებ, თვალებს ცრემლი ნამავს,
მისი სიყვარული, მე ამ გულით დამაქვს.
გაუფრთხილდით დედებს, სანამ ცოცხლობს არი,
ჩვენი საფიცარი, ცოცხალიც და მკვდარიც!
ნათელი გარდაცვლილი დედების სულს!

***

რა ნისლისფერია ცა!
როგორ დუმს ღამე, მომნატრებიხარ
დუმს აკორდებიც, ხელის შეხება და
სათქმელს ამხელს!
როცა ინათებს და მკრთალი შუქი
დატოვებს ღამეს ამ სიმარტოვეს
ტკივილს და განცდას მწამს, გამიქარვებს!
ნეტავი შეძლებ? ჩვენი გრძნობის გამოსარჩლებას?
ლოდინი მომკლავს და სიმარტოვე აუშვებს აფრებს!
იქნება შეძლო გულს მოუსმინო,
შენთვის დავანთებ უთვალავ სანთელს,
ცად აზიდული სანთლის შუქი,
მკრთალი ნათებით თვალდახუჭული,
მოგიყვანს კართან ირწმუნე გწამდეს
რომ ჩვენ სიყვარულს უფალი მართავს!

***

მთვარე ციდან ისე ნაზად მიცქერს,
თითქოს ხვდება გულში ნადებ ფიქრებს
სარკმელს ვაღებ წერას ვიწყებ მყისვე,
ნუთუ მთვარე გადამაჩვევს სიზმრებს?
გული მიგრძნობს შემიყვარებს ისიც,
ბარათს დავწერ, გავუგზავნი ბარემ
უპასუხოდ არ დამტოვებს ვიცი,
სიყვარულის სადღეგრძელოს დალევს!

****

ეს ლურჯი ცა და ეს ვარსკვლავები,
როგორ ზღაპრულად უხდება თბილისს
გრძნობის ალს მინთებს,
სიყვარულს მახვევს მძივებად ყელზე,
ტკივილს მიყუჩებს და მიქრობს დარდებს!

ცაზე ვარსკვლავებს დაუდევთ ბინა,
და მთვარის შუქზე მდორედ სდის მტკვარი
არა არ ვცდები..... არა არ ვცდები,
ო, როგორ მიყვარს, რა ძლიერ მიყვარს, თბილისი ამინ.

***

ხომ შეიძლება ერთხელ მაინც გავშალო ფრთები,
სიზმრებში ჩნდები და მერე ისევ უკვალოდ ქრები,
ასე ძლიერად რად მიმაჯაჭვე შენს სულს ვერაფრით ვხვდები,
გული დაობლდა დარდი დაგროვდა, ცრემლების მზერით.
მონატრებისგან ხედავ? ვარდებმაც იცვალეს ფერი,
არ შეიძლება? ერთხელ მაინც გავშალო ფრთები?
ნეტარებაა სიყვარული ლაღად გაშლილი
ტკბობა სიცოცხლით, სიხარულით, და აღმაფრენით.
მიჯაჭვული ვარ ამ სამყაროს და სუნთქვა მეკვრის!
გული გაჩუქე შენ სიყვარული ვერ შეიგრძენი.

***

ხმა გამაგონე, ნუ დამაღონე ,
შენთვის ბევრი რამ დამრჩა სათქმელი,
ცრემლიან თვალებით დაგეძებ ყოველ წამს,
ვის გავუმხილო ჩემი დარდები?

ვიცი არ მიმართლებს, უკვე დამიღამდა,
ცაში მიუწვდომელ ვარსკვლავს ჩავეჭიდე,
მე შენთვის ვინა ვარ, ასაკით წინა ვარ
და მაინც ჩემ სახეს ფიქრებში ინახავ
ო, როგორ მინდა, ამ ყველაფრის შევძლო ატანა
რადგან ეს გული მხოლოდ შენზე ფიქრმა დაღალა
ნეტავი მართლა არ დამივიწყო გულს მოუსმინე,
ნუ ეტყვი უარს და სურვილს შენსას ნუ ანდობ ქარს,
ამ გულს შემორჩი, რა გინდა სხვა?

საით ვეძებო სად?

ღამე ჩამოწვა
ცაზე ციმციმა ვარსკვლავებს შორის
ამოანათა ვეება მთვარემ.
ნათელი მოჰფინა ცას
ო, როგორ მცივა და ისე მზარავს,
ძლივს ვიმორჩილებ თავს!
უკვე წავიდა, ჩემგან დამტოვა,
რისთვის ან რატომ?
ნუთუ ვინაღვლო კვლავ?
და მაინც მინდა ვიცოდე,
საით ვეძებო სად?
გულს მისი ნახვა ისე სწყურია,
არავინ უნდა სხვა
ისე სჭირდები სულს,
გულს სიყვარული სურს!
მე გადავივლი მთას,
ვიპოვი უთუოდ ვიპოვი,

შენსკენ მომავალ გზას.
და გეტყვი თუნდაც
ათასჯერ რომ მირჩევნიხარ
რომ თავს!

***

ფიქრი, ოცნება, ნაირფერ სურათებს ხატავს,
ეს მონატრება სიცოცხლეს გავს და გულით დამაქვს!
მინდა შენს გულში დავიდო ბინა, კოცონად ვენთო,
მინდა ვშვენოდე ყველა დროს ასაკს,
როგორც გაზაფხულს ენძელა შვენის!
ვოცნებობ მეცვას ყაყაჩოსფერი წითელი კაბა
როგორ უხდება მინდვრებს, გაზაფხულს წითელი ფერი,
მინდა მამკობდეს იის სინაზე, სურნელი,
გვირილის სითბო
(ვგრძნობ სულს რომ გითბობ) ...
დაე ყოველთვის ამაყი ვიყო ...
ოო, შემინდე ღმერთო!
ოცნებები ხომ ოცნებად რჩება
თქვენც მაპატიეთ ყვავილებო,
რომ გედრებით
მით ოცნებები გავათბე თითქოს!
არ ვიცი რატომ,
ან იქნებ მართლა მშურს, ბედი თქვენი,
თქვენ ჩემს გულს გითმობთ!

ჯუბა ნიაბელი

***

ღმერთო, ანდერძს ნუ ამიგებ,
ლექსო, ჭორებს ნუ აჰყვები,
გულო, როდემდის გამიძლებ?!
სულო, სადამდის გამყვები?!
სანამ ვსუნთქავ და ვაზროვნებ,
ქვეყნად სხვას არას ვითხოვდე,
ღმერთო, იქამდის მაცოცხლე,
სანამ ქართულად ვიცხოვრებ!

სიყვარულის მათხოვარი

ლამაზ ზღაპრის მირაჟებში დავიკარგე,
როს იმ დღიდან რაც კოცონი დამინთეს,
არ გეგონოთ ლამაზ ქალის მათხოვარი,
მე მინდა რომ სიყვარული ამიხდეს.

მის საოცრად ლამაზ თვალებს გეფიცებით,
როგორ მინდა მე მის გულში მოვიდე,
ყველა მნათობს ის ერთბაშად გამინათებს,
უაზრო წლებს, სამუდამოდ შემივსებს.

არ გეგონოთ ლამაზ ქალის მათხოვარი,
მე მინდა რომ სიყვარული ამიხდეს,
ლამაზ ზღაპრის მირაჟებში ვიკარგები,
როს იმ დღიდან რაც კოცონი დამინთეს....

მე გახლავართ სიყვარულის მათხოვარი,
მე მინდა რომ სიყვარული ამიხდეს,
ლამაზ ზღაპრის მირაჟებში დავიკარგო,
სიზმრები კი ნათლად მასთან ამიხდეს!

***

ბუნიობა მზეს მთვარეში
ერთდროულად უყოფს წუთებს,
ისევ ჩემო შენზე ფიქრში
არ მეძინა წამი წუხელ,
მთელი ღამე გავცქეროდი
ვარსკვლავებში ცაზე ღრუბლებს,
ისევ დიდი მონატრებით
გიკოცნიდი ყელს და ტუჩებს.
მაგნიტურად მიმზიდველო,
ამინდების მსგავსო ქალო,
მომეც ნება მოგეფერო,
ოცნებები მოგიქარგო.
სიყვარულით მიპასუხე,
ღამე ერთად მოვიპაროთ,

ყოველ დილით ხელის გულზე,
ნატვერბის მზე მოგიტანო.
ჩემი გულის სამშვენეთო,
ჩემი ღმერთის წმინდა მწყემსო,
სიყვარულის დედოფალო,
ლამაზო და მშვენიერო,
გადაშლილან ჩვენს გარშემო
ვარდები და მწვანე მდელო,
მიყვარხარო ცას გავყვირი,
შეისმინე ჩემი ექო...

***

საქართველო ქვეყანაა
მარიამის წილხვედრი,
წმინდა ნინოს ჯვრით ნაკურთხი,
მრავალ ამბის შემხვედრი.
ისტორიით დახუნძლული,
ბაღ-ვენახით შემკული,
პურ-მარილით, მასპინძლობით,
ქართულ ღვინით განთქმული...
აიეტის მეფობიდან
დღემდე ბრძოლით მოსული,
ომის მრავალ ქარ-ცეცხლიდან
გმირულად გამოსული.
მოქარგული ანბანი და
დამწერლობა ქართული,
ენა ტკბილი, სასაუბრო,
ყოველთვის გამართული.
ღმერთის კალმით მოხატული
ქედი კავკასიონი,

კაცის მარჯვენით ნაგები
უწმინდესი სიონი.
მეფედ მოდგმას ამრავლებდა
გვარი ბაგრატიონი,
ერის ღირსებას იცავდა
ქართველთა მხედრიონი.
საქართველოს ამშვენებდა
დედა- თბილისის ქალაქი,
მასპინძლობის კარიბჭე და
ხელმწიფეთა ალაგი.
ხალხი ბრძენი, ენა მჭრელი,
ჭკუა განათლებული,
გულ- მართალი, უღალატო
კაცი- კაცად ქებული.
ქალი ნაზი, მომხიბლავი,
ქმარ-ოჯახის ერთგული,
სინაზით და სინატიფით
აკვნის დედა - ქართული.
გაჭირვების ჟამს იღებდა
დედა ხმალს და ფიალას,
მტერს, ხმლით ეგებებოდა და,
შვილს ურჩენდა იარას.
სვანურ ლილეს! მეგრულ ჩელას!
გურულ ნენას! კახურ დედას!
წარმოსთქვამ და დაგამშვიდებს
გაგიქარწყლებს ყველა სევდას.
საქართველო, როგორც დედა
მფარველია ბევრი ერის,
ყველას გულში იხუტებს და,
სავანეა დიდი გენის!

***

აი დავცქერი სურათებს,
გითვალიერებ თვალებს,
წამწამ მხიბვლელი ნაკვთები
მიგიგავს ლამაზ ვარდებს.
ისე ვარ შეყვარებული,
გულით გატარებ უბეში,
მხოლოდ შენთან მსურს ძვირფასო,
შევება ერთგულ უღელში.
სადაც არ უნდა წავიდე,
უშენობა მკლავს ეული,
უსაზღვრო სიყვარულისგან,
დავდივარ გზა აბნეული.
ნახვის მკლავს შენი სურვილი,
მწყურია შენთან ალერსი,
მონატრებისგან ალესილს
მინდა მოგიძღვნა თან ლექსი.
ვარდის სადარო, მიყვარხარ,
მაგიჟებს შენი თვალები,
ოხ როგორ მინდა მოგართვა
თეთრ თაიგულის ვარდები....
ნეტა იცოდე როგორ მკლავს
უშენოდ ყველა წამია,
შენა ხარ ჩემი ცხოვრების,
გამნათი გზა და კვალია....
ჰაერის ჩასუნთქება ხარ,
გულის პულსი ხარ ჩემი,
დილის თენებას იმედით
შენს მოლოდინში ვხვდები...
აი დავცქერი სურათებს,
გითვალიერებ თვალებს,
წამწამ მხიბვლელი ნაკვთები,
მიგიგავს ლამაზ ვარდებს....



მარიამ პატიაშვილი

თარგმანი/ანაბელ ლი / (ედგარ ალან პო)

ზღვათა შორის, ზღვათა შორის სამეფოში,
ოჰ,რამდენი გარდასული წლების წინათ,
შენ ცხოვრობდი, ნებივრობდი, ანაბელ ლი,
თავს სულ გრძნობდი სიყვარულის ქალიშვილად.
მიყვარდი და შენც გიყვარდი, როგორც ბავშვი
სიყვარული ჩვენ ორს შორის იქცა ხიდად,
მაგრამ ფრთიან სერაფიმებს სამოთხეში,
ამ გრძნობების შური აჩნდათ, თურმე დიდად.
მახსოვს იყო ყველაფერი დიდი ხნის წინ,
ქარი ქროდა ღრუბლებს ფრენით ატარებდა,
ის აღმოჩნდა უნდობელი ქარის მსხვერპლი,
ანაბელი ჟრჟოლავდა და კანკალებდა.
მერე უცბად მოგვესივნენ გვაროვნები,
წაიყვანეს, მოაშორეს შორით ჩემგან,
აკლდამების გამოკეტეს სამეფოში,
ანაბელ ლი, მშვენიერი, სამოთხედან.

დაგვაშორეს, მაგრამ მაინც ვერ წამართვეს
მას მერე ვგრძნობ ყოველღამ მის გამოჩენას,
ვარსკვლავები მისი ფართო თვალებია,
მთვარის შუქი უწყობს გრძნობებს გამოფენას.
ანაბელ ლი, მე მოვდივარ ყოველ ღამით,
სამარეში შენთან წოლას ნებით ვბედავ,
ზღვათა შორის, ზღვათა შორის სამეფოში,
დიდი ხნის წინ, დიდი ხნის წინ, საოცრებავ!

***

რატომ კივი შეშლილივით,
რატომ იძრობ, სულო, საბანს?!
კანში ვეღარ ეტევი, თუ
სისხლს გადენენ ახალ- ახალს?!
პირს რად აღებ ურჩხულივით,
რატომ ტირი, რატომ კვნესი?!
თუ არ იცი, რომ ცხოვრება
ასეთია დანაწესი...
თვალები რომ გაგიდიდდა,
ცრემლმორევით უმზერ სნეულს,
უმზერ სნეულს, შენს ცივ სხეულს,
გეგონა, რომ გაივლიდა...
მაგრამ, რატომ, მაგრამ, რისთვის?!
კითხვას კითხვა მოსდევს ასი,
სულო, გტკივა და ახლაც გრძნობ,
დაგეკარგა უკვე ფასი!

***

რამდენი ვწერე გულისტკივილზე,
რანდენი ვწერე ამ ცხოვრებაზე,
მელნად ვაქციე ფურცლების დასტა,
არ მქონდა საქმე ამორჩევაზე.
ვწერდი სულზე და მძიმე სხეულზე,
მუდამ თან მდევდა მელანქოლია,
გავიდნენ წლები და ისევე ვწერ,
სევდას სასრული არა ჰქონია.
კვლავ თვალწინ მიდგას ჩემი ბავშვობა,
თორმეტი წლის ვარ ისევ, მგონია,
ბუტია, ურჩი, მოუსვენარი,
გულჩათხრობილი, ცოტა პრანჭია.
მახსოვს, პირველად კალმის მოქნევა,
მახსოვს უგულო, მძიმე დღეები,
ბავშვობის ლაღი უსასრულობა,
უცბად გასული გრძელი თვეები.
მე ახლაც ის ვარ, ვინც წლების წინათ,
არ დამტყობია სახეცვლილება,
უბრალოდ სული თუ გამეყინა,
მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლება...
იმაზე უფრო მეტი ვიცხოვრე,
სათუთი წლები ფრენით გავლიე,
უმისამართოდ შორს გამგზავრების
და მოგონების წილი დავლიე.
ახლა რა დროა?! ისევ აპრილი,
კვირტები მოსჩანს დარაბებიდან,
„მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში,
მოდის ცრემლებად ჩემ თვალებიდან"...

***

წვიმის სინესტე ჩემს სულშიც აღწევს,
მე არ ვაპირებ ძილს...
ფიქრი აწამებს ტვინის უჯრედებს
და გარეთ ისევ წვიმს...

მივყვები ლანდებს მოგონებების,
მათში დარჩენა მსურს,
ლაბირინთში ვარ, დავიარები,
ცა კი ძლიერად ქუხს...

ჩემშია ყველა დარდი, ტკივილი,
ურითმო ლექსიც წუხს...
ჩუმი ცრემლები დნება ბალიშზე,
რაღაც აწუხებს გულს...

მინდა დამეცეს ცივი წვეთები,
არ გავიკარებ ძილს!
ოცნებას მოსდევს ლაღი სიზმრები
და გარეთ ისევ წვიმს...

ივეტა რეხვიაშვილი

დედა

თმაში ჭაღარა შემოგპარვია
და შენს თვალებში ჩამდგარა სევდა,
რატომ დაღონდი, რად მოიწყინე?
ჩემო ლამაზო და ტკბილო დედა!
ალბათ შეგშურდა წარსული დრონი,
მოგონებებმა გული დაგსერა,
გთხოვ, გაიღიმე ნუ დაღონდები
ლამაზ თვალთაგან გაჰყარე სევდა.
გაჰყარე სევდა და დაივიწყე,
რითაც ცხოვრებამ დაგტანჯა დედა,
ნუ დაღონდები, რა ვუყოთ მერე,
ადამიანი ტანჯვისთვის ჩნდება.

როგორ

როგორ მენატრები ჩემო სიყვარულო.
როგორ მედარდები ჩემო სიხარულო,

როგორ მინდა ძლიერ მკერდში ჩაგეკონო
და მერე კი ჩუმად, ნაზად მოგეფერო.
ასეთია ნუთუ ჩემი მძიმე ხვედრი,
დიდი გრძნობისათვის ნუთუ დავისჯები,
მე ხომ ცხოვრებაში ისეც დასჯილი ვარ,
ამ ცხოვრების გზაზე ბრძოლით დაღლილი ვარ.
აღარ მინდა ომი, მინდა მშვიდად ვიყო,
შენი დიდი სითბო, სიყვარული ვიგრძნო,
თორემ გარბის წლები და თითქოს ვბერდები,
უკან მომჩხავიან ჩუმი იმედები.
გევედრები კარგო, ნუღარ გამაწამებ
ამ ცხოვრებით ტკბობა, სიამე მასწავლე!

ელენეს (ჩემს ძმიშვილს)

ჩემი პატარა ღუღუნა მტრედი,
მოფრინდა ჩვენთან, ვით მტრედი ჩვენი,
შემოიტანა ზღვა სიყვარული,
სითბო ულევი და სიხარული.
დილას ღიმილით ხვდება,
უღიმის ყველას ყველას,
უღიმის ცას მიღიმის მე,
ზღაპარს უყვება ცხრათვალა მზეს.
შუადღეს სიცილით იწყებს,
სითბოს კი უხვად იღებს,
ღუღუნებს ტკბილად და ხიბლავს ყველას,
მისი უმანკო და მშვიდი მზერა.
ღამით იძინებს ტკბილად,
ისიც ღუღუნებს მშვიდად.

აფრქვევს სიხარულს ულევს,
ყველასგან სითბოს ელის
ჩემგან, შენგან და ღვთისგან
ჩემი ლამაზი სიცოცხლე ე ლ ი...

მე ვერ შევძელი

მე ვერ შევძელი ამ ცხოვრებას შევმატო ფერი,
ავაფერადო, ავაჭრელო ლამაზ ფერებით,
მე ვერ შევძელი მოვაფრქვიო ვარდის სურნელი
და წარმოვსახო ეს ცხოვრება ვარდისფერებში.
მე ვერ შევძელი ავაჟღერო ტკბილი ჰანგები,
ქარს გავატანო ფიქრები და გულის დარდები.
გთხოვ, მომიტევე უფალო და ჩამჭიდე ხელი,
ნუ მიმატოვებ ნურასოდეს ნუ დამეხსნები.
თითქოს ცხოვრებამ მომიხურა მძიმედ კარები,
ვცდილობ გავაღო მაგრამ ვერა, ვერ ვეკარები.
მიმოვიხედე , არსით ჩანდა მკრთალი ნათელი,
იღვენთებოდა და იწვოდა ნელა სანთელი.
მე ვერ შევძელი ამ ცხოვრებას გავუგო გემო,
რომ მიმოვფანტო ირგვლივ მხოლოდ ნაზი სურნელი.
გთხოვ, დამეხმარე ნუ დამტოვებ უფალო ჩემო
მსურს, რომ შევიგრძნო ამ ცხოვრების ტკბილი სურნელი.
მე ვერ შევძელი ამ ცხოვრებას შევმატო ფერი
ცხოვრებისაგან სიურპრიზებს ხომ თავად ველი.

ამ ღიმილს მიღმა

ამ ღიმილს მიღმა რაოდენი ტკივილი არი,
აუხდენელი ოცნებები, დარდი და წყენა,
ამ ღიმილს მიღმა რაოდენი მწუხარეებაა
უძირო სევდა, ფიქრთა ცვენა, თუ ცრემლთა დენა.
ამ ღიმილს მიღმა რაოდენი ტკივილი არი,
სევდად ქცეული მოგონება, თუ მწარე ხვედრი,
მარტო ტკივილი, მარტო გარჯა და მარტო ბრძოლა
რეალობასთან შეჭიდება და განზე დგომა.
ამ ღიმილს მიღმა რაოდენი სიხარულია,
სითბო ულევი, სიყვარული და დიდი ნდობა,
ვიწრო ბილიკებს გამიკვალავს მხოლოდ სიკეთე,
უფლისა მადლი, უფლის ძალა და გვერდით დგომა.
ამ ღიმილს მიღმა რაოდენი ტკივილი არი.

ჩემი ცხოვრება

ჩემი ცხოვრება დაემგვანა შორეულ სიზმარს
გათენებისას რომ გაჰყვება დილისვე ცისკარს,
თითქოს ოდესღაც მოახვიეს ლამაზი ფარჩა,
მაგრამ ჩამოდნა, ჩამოიხა და სადღაც გაქრა.
ჩემი ცხოვრება დაემგვანა იმ ლამაზ ზღაპარს,
ოცნებებში რომ დაფრინავდა, ეძებდა ვარსკვლავს,
მაგრამ ოცნება ჩაიფერფლა, ვარსკვლავი ჩაქრა,
დარჩა ფიქრები, მოგონება და დარდის ჩანთა.
ჩემი ცხოვრება დაემგვანა უმთვარო ღამეს,
გათენებისას მზის სხივი, რომ ამოანათებს,
მაგრამ უეცრად დაიქუხებს წამოვა წვიმა

და დაუნდობლად დაგასველებს არც გკითხავს გცივა?..
ჩემი ცხოვრება დაემგვანა შორეულ სიზმარს,
გათენებისას, რომ გაჰყვება დილისვე ცისკარს...

ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან შენ რომ არ გნახო

ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან შენ რომ არ გნახო,
არ დავინახო სევდიანი, თბილი თვალები,
ღიმილნარევი, მრავლისმთქმელი და ნაწამები.
ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან რომ არ მოგკითხო
რისთვის ფანტავდი ლამაზ სიტყვებს უმისამართოდ,
თუკი უმალვე გაატანდი ქარს და ქარაშოტს.
რად გატყდა გული, რომ აფრქვევდა უამრავ სითბოს,
რა დაემართა სულს, რომელსაც სციოდა თითქოს,
რომ დაემებდა განუწყვეტლივ გულისა სითბოს.
ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან შენ რომ არ გნახო
და რომ არ გითხრა, ის რაც არსად არასდროს მითქვამს,
რად იყავ ასე ლამაზი და სულით მდიდარი,
როცა ეს გული, თავად იყო ტკივილით მკვდარი.
ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ არა გითხრა,
რომ ცხოვრებაა ულმობელი და არ გაგიტანს.
არავის ძალუძს,რომ ჩაგხედოს ნაზ სულში ნაზად,
გაითავისოს ეს ტკივილი ტკივილის ფასად!

თენგიზ პაპაშვილი

***

სიზმრის ქვეყნიდან გამოგექეცი,
საწუთროს გზებზე ლილისფრად თოვდა
და თუ სამყაროს შენც ხარ ნამცეცი,
შენი ბავშვობა რად არ მახსოვდა.
რად არ მახსოვდა ის სიყმაწვილე,
აფეთქებული ატმის სურნელი,
ვერც ოცნებები გაინაწილე,
მოლოდინივით ტკბილსასურველი.
როს გათანგული ტრფობის ტაძარში,
კელეპტარივით ვენთე, ვიწვოდი,
წარსულის დღიურს ვეღარ გადაშლი,
მყვარებიხარ და არც კი იცოდი.
სიზმრის ქვეყნიდან გამოგექეცი,
ოცნების ცისფერ მთებს რომ ათოვდა
და თუ სამყაროს შენც ხარ ნამცეცი
ბავშვობა შენი რად არ მახსოვდა!

და გაილია

შენს დაბრუნებას ისე ველოდი
ვით დედა შვილის გაცრეცილ ბარათს.
თუ სიზმრებიდან ცოტას მშველოდი,
ცხადში რატომღაც ამბობდი: არა.
მე ხომ სამყაროს გაჩენის დღიდან
სტუმარი გავხდი ამ წუთისოფლის.
ვერც საოცნებო მირაჟებს ღლიდა
ჩრდილები ჩვენი ყოფნა-არყოფნის.
მთვარე ხეობას დასთამაშებდა,
ჩრდილს აცეკვებდა ბნელი ნაპრალი
და გაილია ჩემი ბავშვობაც,
ვით პაპის ხმალი ნაწინაპრალი!

ეს გაუმარჯოს!

ეს გაუმარჯოს! სიყვარულის უწერელ კანონს
და აზარფეშით სიყვარულის დაცლილ ფიალას!
ეს გაუმარჯოს! შეუღლებულ გიზოს და მანონს,
მათ წმინდა გრძნობებს გაუხუნარს, მაცდურს კი არა.
ეს გაუმარჯოს! გუთნისდედას და ლექსის მეხრეს,
ერთად ოცნების ახდენის და შეცნობის სურვილს!
ეს გაუმარჯოს! სიყვარულით გადაღლილ მერხებს
და მარადიულ სიჭაბუკეს, სიცოცხლის წყურვილს!
ეს გაუმარჯოს! უნეტარეს დღეების წამებს,
უშბას, მყინვარწვერს, თეთნულდის და შხარას ძმა- ბიჭებს!
ეს გაუმარჯოს! ჩუმ ალერსში გათანგულ ღამეს,
და პირველ კოცნას, პირველ თოვლზე რომ დააბიჯებს!

ეს გაუმარჯოს! სიყვარულის იმ ღვთიურ კანონს
და აზარფეშით სიყვარულის დაცლილ ფიალას.
ეს გაუმარჯოს! ტრფობის ცეცხლით, გიზოს და მანონს,
ეს გაუმარჯოს! მათ წრფელ გრძნობებს, მაცდურს კი არა?!

სანამ დრო-ჟამი. . .

წუხელ მესიზმრა, გადარეზდი ვარდებს შირაზის,
ტრფობის ალმური გედებოდა, გწვავდა აბედი.
დუმს უშენობით გაძარცული ჩემი მირაჟი,
შენ კი არა და სტრიქონს მართლა შემოვაბერდი.
ვატყობ ოცნების ბილიკებზე ფეხი მერევა,
გულის კლდეკარიც მიტომ მოჩანს ამოდ რღვეული.
ჩავლილი წლები შევაჩეჩე მეხსიერებას,
ცხოვრების ფერმკრთალ დღიურიდან ამოხეული.
თეთრად ინათა, ყავლი გასდის ღამის ზმანებას,
აქ კი სულს ღაფავს შენს ლოდინში ბოლო ბწკარები.
რითმას მიკენკავს მთვარეული სიზმრების ძერა
და უშენობას მივაცილებ ცისფერ კარეტით.
ხავსმა დაფარა ძველი ფრესკა ამაოების,
სიმარტოვე და მეწამული მქურდავს მგოსანის.
ეკლის გვირგვინი რად დამადგი შენი პოეტის
ან რად გამიხდი სულის ჯვარცმა და სალოცავი?
ისევ საწუთრო შემიკედლებს ვნებააშლილი,
სანამ დრო-ჟამი თმას ვერცხლისფრად შემიმოსავდეს.
შევეკედლები ძველ სიყვარულს ჩვილი ბავშვივით,
შენ თავს ვფიცავარ, მაგრამ მხოლოდ ქრისტეს მოსვლამდე!

ისევ უშენობა. . .

ფუჭად ამიგია ტრფობის პირამიდა,
არად მივიჩნიე ჟამის სხვა პრიზმები.
რატომ აიჩემე: ლექსის ძირა...მინდა,
რით ვერ დაასრულე შენი "კაპრიზები".

ახლა საშინელი სულის ამინდია,
მოდი, მომაშველე ტრფობის ამპულები.
ბოლო იმედები ცაზე დამიდიან,
შენი ბაგესავით დარჩნენ ზღაპრულები.

ისევ უშენობა მიქცევს პირამიდებს,
შენ კი გაგეყინა ტრფობის აქტივები.
შენზე უკეთესად აწი ვინ გამიგებს,
რა მოსატანია, ახლა აქ ტივები.

სულში ჩამიქციე ტრფობის პირამიდა,
მითხარ: რაში მინდა, ახლა სხვა პრიზები.
მოდი, მომიტანე : ტრფობის ძირა...მინდა,
არც მე დაგაკელი ჩემი "კაპრიზები".

უშენობა მკლავს...

მთვარე მაცდურად მინათებდა ლექსის კაბადონს,
დარდმა დაწყვიტა სევდის რითმა-გულის მყესები.
ვერ ვუდარაჯე მაგ ტკივილის ურიცხვ საბადოს,
ვერც სიყვარულის შეგასწავლე ადათ-წესები.

ლექსით ვსულდგმულობ, ლექსით ვქრები,ლექსით ვინთები,
დარდსა და წუხილს აპრილს ვეღარ დავესესხები,
ო, ბნელ ღამეში სევდის მრუმე ლაბირინთებში,
იღვენთებოდა შენს ლოდინში ჩემი ლექსები.

ვაგლახ, საწუთრომ მეც ურიცხვი დარდი მაგემა,
არ კი მიწამლა, არ დამედო აღარც მალამოდ,
შარბათს მასმევდა, მაშინ მითხრა ცრემლით ნაგვემმა,
შხამის ფიალას ახლა მაინც დაგიმალავო.

როგორ მეწადა, შენთვის ერთი თვალის შევლება,
მწუხრის ღამეა, ივლისის თვე და გილგამეში.
უშენობა მკლავს, ხატება კი თავზე მევლება,
აღარც შენს გულმა შემიფარა ამ გრილ ღამეში.

ლოდინმა გახრა გასახრავი ავი ლაგმები,
არც შენმა ტრფობამ მომიტანა დიდი მათა რა,
ამ ცხოვრებიდან ისე როგორ ავილაგმებით,
რომ სიყარულის არ შეგასვა დიდი მათარა.

დაღლილი მთვარე ღამეს ათევს ფანჯრის რაფაზე,
უფლის განგებამ დღესაც რაკი ასე ინება,
ერთსაც დავარტყავ იმ გადათვლილ ბოლო ნაპასებს,
გზას გავუყვები ჩემ სიზმრებთან დასაძინებლად.

ქარმა წამართვა ციდან ღრუბლის ბოლო ნახევი,
აღარც ცრემლები ემეტება ზეცას სამიწედ...
ახლა ისე ვარ, უფლის მადლით ნაკარნახევი,
ლამის ცხოვრება ძუ ლომივით ფეხთით დამიწვეს...

იოსებ აბულაძე

აღდგომის ღამე

გამოღვიძება დაიწყო ერის!
ბევრმა იწამა ღმერთი,
მიხვდნენ,რომ გვიხსნის
მხოლოდ ის ერთი.

ახლა გამოჩნდა შავი და თეთრი,
სამწუხაროა ვერა ვთქვი ბევრი.
მჯერა, რომ ერთად დადგება
სამშობლოსათვის ერი და ბერი.

აქ არის კვართი უფლისა
და ელიასა ხალენი,
დედა ღვთისასა პერანგი
ვადიდებთ წმინდანს ყველანი.

ჩვენთან არს კვერთხი ღმრთის,
გვწყალობდეს მადლი ამ დღის.

მადლობელი ვარ ზეციურ დედის,
მფარველია ის ჩვენი ქვეყნის.

სამწუხაროა ვერა ვთქვი ბევრი,
როცა უფალი ჩვენთანა
არ გვეშინია მგელის.
ვეღარ შეგვაცდენს გველი.

სიხარულია შემცვლელი სევდის,
ტკივილიანი ცრემლის.
გასახარია აღდგომის ღამე,
მშვიდობა მოგვმადლა ცეცხლით.

ქრისტე აღსდგაო გვაუწყა, მკვდრეთით
და ჩვენც მის გვერდით ვიდექით რწმენით.
ჩვენს მოსაქცევად ნინომ იარა ფეხით.
წინ გაბრწყინება გელით!

მამა ადამს

დაგვლოცე ტკბილო მამაო,
ხარ ჩვენი სულის მალამო.
წმინდა გიორგის ლამპარო,
შენ მნათობი ხარ საზანოს.

ჩვენ სულთა და გულთა მცველო,
მფარველო და დამლოცველო.
ენისა და მამულის,
სარწმუნოების დამცველო.

ბევრი ოჯახის შენ ხარ ნუგეში,
წმინდა გული გაქვს უბეში.
შენი ლოცვები წმინდა,
სულ რომ ვისმინო მინდა.

გულისყურს ცოდვით ვიბრმავებთ
და მერე თავსაც ვიმართლებთ.
ქრისტიანობას ვიბრალებთ,
ურჩობაც ხშირად ვიკადრეთ.

თუ დაგიჯერებ ვიხარებ,
ნეტავ მანდ ვიყო ვინატრებ.
შენდამი ტკბილო მამაო,
ლექსების მოძღვნას ვიკადრებ.

***

მე შენს სიყვარულს უფალს ვავედრებ.
ისე მიყვარხარ, კი არ გაკერპებ,
გაღმერთებ, ჩვენს გულებს ჯაჭვით ვაერთებ,
თეთრ ღამეებსაც ხშირად ვათენებ.

ვდნები და ვიწვი, მე შენი ტრფობით,
გთხოვ მოეკიდე ამ სიტყვებს გრძნობით.
მე არწივი ვარ ლაღად მქროლავი,
ყაყაჩოების დიდი გორაკი.

ქარს ნუ გავატანთ ჩვენს დიდ ოცნებებს
და ნუ გავუსწრებთ წინ-წინ მოვლენებს.

სოფიო სამანიშვილი-აბულაძე

მამა ადამს

უფლის ხელდასმით მოვლინებულო,
უფლის ხატებას ვხედავ მე თქვენში.
ლოცვების მადლით გაბრწყინებულო,
აღმატებული თქვენა ხართ ბევრში.

ხართ სიყვარულის სახიერება
და სათნოება ლაღობს თქვენს სულში.
გაქვთ უამრავი მშვენიერება,
დაბუდებული ალბათ დიდ გულში.

გვაქვს უდიდესი ბედნიერება,
ზეცის ნათელი იღვრება ჩვენში,
როდესაც გისმენთ ჭეშმარიტება
ხორციელდება კვლავ თქვენს სიტყვებში.

სულიერ მოძღვარს
არქიმანდრიტ ადამს (იმნაძე)

ნაწამებ სულს, დარდიან გულს, ემატება სევდა.
გაბარებ ჩემს ცოდვას წარსულს, შენდობას გთხოვ ღმერთან.

მომეცეს კვლავ ნათელი გზა, ათას სურვილს ეს სჯობს.
ვავედრებ თავს უფალს და მუხლს მოვიყრი ხატებთან!

თქვენთვის ვილოცებ, გულით ვილოცებ, ღმერთის წინაშე.
შევთხოვ სიცოცხლეს უკვდავ სიცოცხლეს სულის ცხოვნებას.

უნდა ვირწმუნოთ და რწმენა გვიხსნის ცოდვილ მიწაზე
და თქვენ მოგანდობთ სულიერ მამას კვლავ ჩემს ცხოვრებას.

იღვიძებენ იები

ჩემი სულის სურვილებს ვეღარ დავემალები,
ნისლებიდან მოცურდა მოციმციმე პირიმზე,
იღვიძებენ იები, სურნელებით მთვრალები
და საოცარ სიმშვიდეს ვამჩნევ ფიქრთა ღიმილზე.

იღვიძებენ იები, საამური ზმანებით,
მზის სხივებმა სილაღე დააბნიეს მყის გულზე.
სიძველიდან სიახლის ნორჩი მომასწავები,
სიამაყით მოსულან სიყვარულის ბილიკზე.

მოსულან და გვიმკობენ ამ საოცარ გაზაფხულს,
ფერთა გამოფენაზე დაუპყრიათ თასები.
გვიმღერიან, გვათბობენ სიცივისგან დაზაფრულს,
მთა-ბარს გაზაფხულისას შეუმოსავს ნაზები.

ღვთისშვილის აღსარება

ჩემში ბავშვია, პაწაწინა გულჩვილი ბავშვი,
რომელსაც ძლიერ ეშინია სიმაღლეების.
მას გული უთრთის, როცა ქარი შრიალებს ირგვლივ,
პატარავდება როცა დარდი ძარღვებში მიდის.
ცრემლები სდიან როცა მის გულს ეხება ვინმე,
თითქოს ღრუბელი იწურება წვიმანადენი.
ხმაური აკრთობს, იმალება არაფერს იმჩნევს,
საიდან შერჩა სიფერადე ცით მონადენი?!
ჩემში ბავშვია პაწაწინა, მოკრძალებული,
რომელიც ცქერას ვერ შეგკადრებს ისე თამამად,
როგორც მზის სხივებს ვერ შეხედავ დაუფარავად.
თვალებს დახრის და სიჩუმეში სიტყვებს დამალავს.

ცისა ფერი ვარ

ცისა ფერი ვარ ზეციდან გამოგზავნილი შვილთათვის,
დამიმეგობრდი მიმიღე არ განმეშორო არასთვის.
შენი კაცობის დარაჯად, შენი ქალობის ფასთათვის,
მოვლინებული სიმტკიცედ და შეურყეველ გზათათვის.

სულის საზღვარი არა ჩანს, გული დიდია ჟამთათვის,
სიცოცხლეს წამში ჩატეულს ნუ გაიმეტებ მკათათვის.
გაინაპირე დარდები, იბედნიერე სხვათათვის,
გაუფერადდი სამყაროს და შეიმოსე ცათათვის.

***

წუთს წარუვალს წაშლის წამები,
წლებს წაჰყვება წარსულში წალეკილს.
ცხოვრება ციმციმით ციალებს ცვარზე
ცისარტყელები ცეკვავენ ცაზე.

დღეთა დინებას დავყვები დარდით,
დაუსრულებლად დაგეძებ, დავდნი.
ახლა აპრილი ამშვენებს ალგეთს,
აზრები აზვირთდნენ ალიონს ასეთს.

სამყაროს სიყვარული, სიკეთე სრულყოფს,
სხვაგვარ სიმდიდრეს სიბილწე სულ სპობს.

ადამიანო

ადამიანო! კეთილხმიანო!
შენ, უფლის ხატად შექმნილო ქვეყნად.
შენ, სანუკვარო და შეუცვლელო...
შენ, სულიწმინდის ჭურჭელო ერთავ.

შეუცნობელო! მიუწვდომელო!
მრავალი ნიჭით აღგავსო ღმერთმა.
ხარ შემოქმედი! ხარ ხელოვანი!
ღმერთთან მსგავსებას აქაც კი ვხედავთ.

ოჰ, როგორ გალობ...
ვით ანგელოზი, კეთილ ჰანგებად!

მაგრამ ყოველთვის ასეა ნეტავ?!
სად გადის ზღვარი სიცოცხლის ფერთა?!

შენ, დაუდექი ბოროტსა მხლებლად
და შენ შებილწე სიწმინდე ქვეყნად.
შენ, იქეც ცოდვილ ადამის სახედ
შენ, იქეც ევას უნანელ მახედ.

ხარ წარმომშობი ცოდვათა ბევრთა.
დამანგრეველი-ძმობათა...ერთა...
დაუნახავი სიკეთის დღეთა,
შეუმჩნეველი მშვენიერ ფერთა.

მარად დღეგრძელი არის სიკეთე.
სიმდაბლე გიხსნის ურთულეს დღეთა.
მოთმინებითა, შეიქმნ სიცოცხლეს...
სიცოცხლეს, რითაც მიაღწევ ღმერთთან.

ვერ გაიმარჯვებს ბოროტი ვერსად.
ვერ იდღეგრძელებს, ვერც ქვეყნად, ვერც ცად!
ადამიანო! კეთილხმიანო!
შენ უფლის ხატად შექმნილო ქვეყნად.

თენგო ფანცულაია

მადლობა უფალს

მადლობა უფალს ყოველი დღისთვის,
და ქვეყანაზე ჩვენ მოვლენისთვის,
თვალის გახელა, ცხრათვალა მზისთვის,
ცივი წყარო და შრიალა ტყისთვის.

მადლობა უფალს, ძმისა და დისთვის,
ჩვენზე მზრუნველი ტკბილ მშობლებისთვის,
დიდი მადლობა მეგობრებისთვის,
დაუვიწყარი სკოლის წლებისთვის,

მადლობა უფალს ჩვენი სულისთვის,
ყოველი დილით გზის დალოცვისთვის,
გულს, რომ გვიძგერებს სიყვარულისთვის,
ვაჟკაცს განაწყობს ქალის ტრფობისთვის.

მადლობა უფალს ოჯახისათვის,
თბილი მეუღლის, შვილებისათვის,
მადლობა ჩვენი გამხნევებისთვის,
ჩვენი ცოდვების მიტევებისთვის.

მადლობა უფალს გაჩენის დღისთვის,
არიდებული ბნელი სენისთვის,
სიკეთე, მადლი, სიხარულისთვის,
იმედით სავსე ჩვენი გულისთვის.

მადლობა უფალს ყოველი დღისთვის,
ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენი ერისთვის,
ერთიანი და მუდამ მთელისთვის,
ქართველი ხალხის მოფერებისთვის.

გაუფრთხილდი, მოეფერე ქალს

სანამ ცოცხლობ, მოეფერე, გაუფრთხილდი ქალს,
ვერასოდეს გადაიხდის შვილი დედის ვალს,
მამულისთვის იგი გვიზრდის შვილს ამაყსა და მარდს,
ამიტომაც ყოველ დილით იმსახურებს ვარდს.

ქალი დედა და მეუღლე, დაიკო
ყოველ დილით ხომ გიხარებს ის გულსა და თვალს,
ცხოვრებაში დაგიტოვებს ლამაზ, ნათელ კვალს,
გეფერება საყვარელ შვილს, დას, ძამიკოს, ქმარს.

დედა მუდამ თავის დარდებს გულში ჩუმად ჰკლავს,
ერთნაირად თავს გევლება, ზრდასრულსა თუ ბავშვს,

დაიკო ხორცი-სისხლია, ძმის გვერდში რომ დგას,
და მუდამ გრძნობს ძმის გასაჭირს და მის გულისთქმას.

ქალი გაჩენს და განახებს ამ ცხოვრების ცას,
აკვანს გირწევს, ნანას გიმღერს, წამლის გაძლევს აბს,
ღამეს გითევს და გარიგებს, ის გილოცავ გზას,
და შენც მუდამ ეფერები მის ჭაღარა თმას.

ქალი გიწვევს და გიზიდავს, გაკარგინებს ჭკვას,
ქალი მუდამ ჟინს გიმატებს, ახლოს მიხვალ გწვავს,
შენ გგონია უფროსობ და ის მართავს ბალს,
გულით თუ ამოგირჩია, არ გახედავს სხვას.

შვილს გაჩუქებს, გაგახარებს, გაგიმრავლებს გვარს,
მისი შრომით, რუდუნებით, ის გაგითბობს სახლს,
დაგიმშვენებს შენ გარემოს და მოუვლის ბაღს.
კაცი თუ ხარ, ის დედოფლად მუდამ იგრძნობს თავს,

გაგიმართლა, თუკი ბედი შენ გაგაცნობს კარგს,
შენი გონების და კაცობის კოხტა შესადარს,
უფალს სთხოვე შეგახვედროს ქცევით ლამაზს, წყნარს,
დაღლილს, ღიმილით გაგიღებს ეზო-სახლის კარს.

რატომ მაწვალებ ქალაუ

რატომ მაწვალებ ქალაუ,
რად გამირბიხან განსაო,
ხომ ხედავ, აღარ ივიწყებს,
ეს გული შენსკენ კვალსაო.

ხშირად ავუვლი-ჩავუვლი,
შენ საცხოვრებელ სახლსაო,
ერთხელაც შემომამარცხებ,
მაგ შენ უბედურ ქმარსაო.
არად ჩავაგდებ იცოდე,
ტრფობით ატეხილ შარსაო,
რა ვქნა გულს ვეღარ ვაჩერებ,
ჯიუტს და თავნებასაო.
იქნება ჩუმად მანიშნო,
გამოვასწრებდი ქარსაო,
გადმოვახტები დიდ გორაკს,
ფეხით გავივლი წყალსაო.
მოგეფერები ლამაზო,
მშვენიერსა და წყნარსაო,
უმალვე დაგიკოცნიდი,
დალალებსა და თვალსაო.
ჩავიხუტებდი ნანატრი,
ალვისა სადარ ტანსაო,
ვნებაში დაღლილ-დაქანცულს,
გადაგიწვენდი მკლავსაო.
რა ვქნა,რომ ვეღარ გივიწყებ,
ვეღარ განებებ თავსაო,
რომ ვეღარ ვაქრობ ამ გულში,
უცებ ატეხილ შარსაო.
ნუღარ მაწვალებ ქალაუ,
ნუ გამირბიხარ განსაო,
მოდი და გული გამითბე,
შორით დაგვა და წვასაო.

ჩემ ახალგორელებს

კვლავ დადგება გაზაფხული და გამოვა დარი,
დაბრუნდება შენი ეზო და შენი სახლ-კარი,
მამულს, ფუძეს დაიბრუნებს, შენი ჯიში-გვარი,
ხეობის ხალხს კვლავ ექნება, ერთობა, თან მყარი.
ღალატისთვის ბევრს ინანებს, მგონი არა ორი,
გამოჩნდება ვინ კაცია და ვინ გასაჯორი,
ვინ შეცოდა ხეობასთან და ვინ არის სწორი,
მტკიცედ მჯერა, დაბრუნდება, ჩვენი ახალგორი.

სახალისო—თვალს მიპაჭუნებს ქალაო-

თვალს მიპაჭუნებს ქალაო,
თან აიფარა მარაო,
გრძნობამ თავი ვერ მალაო,
სატრფოსთან მიმიყვანაო.
სითბო არ დაიზარაო,
სულთან გზა გამიკვალაო,
მეცხრე ცას ამიყვანაო,
გულს გამიჩინა ჭვალაო.
აქვე გვაქვს წყნარი ჭალაო.
ხელი ჩამკიდე ქალაო,
ადე, გამომყევ ჩქარაო,
სანამ მზე მიეფარაო.
ვერას დაგიცავს მარაო,
მოდი, გიკოცნო თვალაო,
გეფერო ალვისტანაო,
მერე არ მითხრა კმარაო.
ვატყობ ეშმაკობ ქალაო,
ტუჩქვეშ ღიმილობ განაო,
ჩუმად მანიშნებ თანაო,
გავიმეოროთ ხვალაო.

მანანა სამყურაშვილი

***

მზეო! არ გახსოვს?! დრო შეიცვალა...
ვატყობ დღეს სულ სხვა გაზაფხულია.
გულს ველარ ვატყობ სიმშვიდეს ისეთს,
ხან ღელავს, ხანაც დაზაფრულია.

ჩემს ბავშვობაში მზესაც ვუყვარდი,
ყელზე მაბნევდა ოქროსფერ ბაბთას,
გულს შეციებულს, თვალს ცრემლით ნაბანს,
გადამაფენდა ოქროსფერ კალთას.

მზეს სიტურფის და სიცოცხლის ქომაგს,
ჩემთვის კალთაზე ეფინა სხივი,
სულ მდუმარებას როგორ ითმენდა,
და მებნეოდა მზის ოქროს მძივი.

ახლა მზე თითქოს სევდისფერია,
ხან მოკეთე და ხანაც მტერია,
ისე ჩამთუთქავს, ჩამიწვავს სახეს,
შლიაპაც ურცხობს, ტყუილა მფენია.

ჰზე გარუსხული მიმიკებს იცვლის,
ხან სიმშვიდეს და ხან ღელვას მითვლის,
ითქოს ანაზდად გადარეული, შემომციცინებს
და მწველ სხივებს მესვრის.

მზეო! წავიდა ბავშვობა გაქრა,
მაგრამ მე შენი დობილი ოდეს,
მე, რომ ვღელავ და შენზე ვფიქრობ,
შენ, სათრი ჩემი არ უნდა გქონდეს?!

ნუ ჩამწვავ, ღაწვებს ნუ გამიშავებ,
სახეზე ისევ ღიმი მფენია,
კორდზე რომ ხტოდა ანცი ბავშვი,
არ გახსოვს? შენი მეგობარია!..

ცად გავიელვებ...

მე უფლის ტალკვესის ნაპერწკალი ვარ,
ცად გავიელვებ, ოდეს გავქრები.
ღუზას ჩაუშვებს სიცოცხლის გემი,
გაუშავდება თეთრი აფრები.

დღე-ღამეს ფეხთქვეშ გაიგდებს,
ჯვალოდ ეცმევა თალხები.

მზეს გულზე აუფეთქდება
ბოროტი ღამის ნაღმები.

მთვარე მოჰკრეფავს ცის კაბებს
ღამის მოზვერთან გაფენილს.
მზე დაივარცხნის დალალებს
ქარისგან უშნოდ აწეწილს.

ბუნება კვლავ გააგრძელებს
მწვანე ნოხების დაგებას,
ბებერი მთების მწვერვალზე
თეთრი ფოფოხის დადებას.

კვლავ გააგრძელებს საუბრით
მტერი მოყვასთან გაგებას,
მტყუან მართალის მიჯნაზე
ურყევი ბურჯის აგებას.

პაპის აკვანი...

მე ქრისტეს ბაღში აღმოცენებულს,
ამავ ბაღშივე მიდგას ფესვები.
ვაზის ბრწკალებით შემოხვეული,
გულზე მასხია მისი მტევნები.
ჩემი სამშობლო კავკასიონის
ჭაღარა მთებზე შეფენილია,
მისი შვილების გმირული საქმე
ცად ვარსკვლავებად გაფენილია.
ეს მიწა ჩემია, რასაც უყურებთ
პაპის ხელებით ნაფერებია.
ვერ შემიხორცდა ძველი იარა,

გულში რამდენი იარებია.
პაპის ნაომარ ხმალს ვეფერები,
სისხლის წვეთებით ნაფერებია,
დღეს ფხა რომ დასჟანგებია,
ოდეს მტრის გულზე ნალესებია.
პაპის აკვანი მუხისგან თლილი,
ის ქრისტეს ხელით ნაჭედებია.
მასში იზრდება ჩემი მოდგმა და
ზედ მარიამის ნამღერებია.

***

ისეთი პაპა მყოლია,
მტრის გულზე ლესდა ხმალსაო,
მისივე ხელით სინჯავდა
მჭრელად ალესილ ფხასაო.
ტანად პატარა,ძლიერი,
ჯაჭვის პერანგი სცმიაო,
მისი პერანგის ნაგლეჯი
ჩემს გულში დღემდე გდიაო.
პერანგზე სისხლის წვეთები
ისევ ზედ ამჩნევევიაო,
შიშის ზარსა სცემს მომხდურ მტერს
გულს ცეცხლი გასჩენიაო.
შიშის კანკალით ცხოვრება
ვისთვის რა საქებიაო.
პაპის გმირული საქმენი
დღეს ჩემთვის საკვეხიაო.

თუ გსურს...

არ მინდა ჩინი, მედალი,
და არცა ოქროს მძივიო,
უბრალოებით შემამკეთ,
მხოლოდ მზისა მსურს სხივიო,
სიღარიბისა მგმობელი,
სიმდიდრეს არა ვჩივიო.
არ მინდა ხელზე ბაჯაღლო,
ყელს ვერცხლის, ოქროს წნულიო,
არად ღირს გული ბოროტი,
სიხარბეს გადართულიო,
ხე არ გინახავს უბრალო?
წელშია გამართლიო?!
ოქროს კრუხი და წიწილი?
ან ოქროს ხარი, გუთანი?!
"შაირ სიტყვითა მესტვირეს",
სული, გული აქვს სუფთანი,
დღეს პირზე სევდას მოვწმენდ და
ხელსახოცი მაქცს სუფთანი.
მზეს სხივთა კოცნით მივყვები,
გაზაფხულს იის კონითა,
ბოროტება და სიხარბე
ჩემგან დადექით შორითა,
ყოველი მინდა მივიღო
მხოლოდ ალალი შრომითა.
ნუ გამომყვებით ნურავინ,
შურით, ბოღმით და ომითა,
არც ძლიერება არა მჭირს
არ განვირჩევი ღონითა,
ასპარეზს ერთხელ დაგითმობ
თუ გსურს ვიჭიდოთ გონითა.

დავით გასიტაშვილი

ნამდვილი მეწყვილე

რაში სჭირდება ნეტავ ქალს კაცი?
ანდა კაცს რაში სჭირდება ქალი?
გაუთავებლად იკინკლაონ და
ერთ-ურთს რომ დასდონ ამაში ბრალი?

ასეთ ცხოვრებას ცხოვრება ჰქვია?
ან ასეთ ოჯახს კიდევ ოჯახი?
საქმეს არ შველის თუნდაც სასახლე
და მითუმეტეს ერთი ოთახი...

ბევრი მოთმენას ამჯობინებს და
ამის საფუძვლად ბავშვები მოჰყავს...
ბავშვის ფსიქიკა როგორ აიტანს
ღმერთმა ნუ ქნას და ქმარი თუ ცოლს კლავს?

ბავშვი სიტკბოში უნდა იზარდოს,
ნორმალური რომ იყოს სრულიად...

მშობლებმა უნდა ის დაუმალონ,
რაც მისთვის უცხო და უხერხულია...

არავის უყვარს გადაკეთება,
არც პატარას და მითუმეტეს დიდს!
როდესაც ვინმე შენს შეცვლას ცდილობს,
ამით სიცოცხლეს აუტანელს ხდის!

კონფლიფტები კი მაშინ იწყება,
როდესაც მასში რაღაც არ მოგწონს...
გაგების ნაცვლად აქეთ მოგდგება,
წურბელასავით სისხლსაც გამოგწოვს...

ცხოვრება თაფლად რომ მოგეჩვენოთ,
თავი ტყუილად რომ არ აგტკივდეთ,
ისეთთან უნდა შექმნათ ოჯახი,
გადაკეთება არცერთს დაგჭირდეთ!

ბევრი რჩევებით თავს არ შეგაწყენთ,
მე მხოლოდ ჩემს აზრს გაგიზიარებთ:
ნამდვილ მეწყვილეს თუ აღმოაჩენთ,
ამით აიცელთ ფსიქო-იარებს!

შენს სულს რომ აკლდა, მეორე ნაწილს,
ნამდვილ მეწყვილეს ის წარმოადგენს,
წყენის ნაცვლად რომ გაგიღიმებს და
ცუდს არას გეტყვის, პირს რომც მოადგეს...

და თუ აქამდე მეწყვილეს ეძებ,
დავიღალეო არასოდეს სთქვა!
უსიყვარულოდ ოჯახს ნუ შექმნი,
რომ არ დატანჯო არც თავი, არც სხვა!

კაცის ბჭობაზე, ღმერთმა იცინა

ერთად ვშრომობდით რამდენიმე წელს,
ავეჯის ცეხში მე და ნათანი.
თუმცა ხნიერი, მაგრამ ჯიგარი
კაცი კი იყო, გითხრათ მართალი!
ერთ დღეს როდესაც შესვენებაზე,
სასადილოში ვისხედით უქმად,
ნათანმა თავის პენსიონური
მომავლის გეგმა გამანდო ჩუმად:
-თურქეთში წავალ და ტბის ნაპირზე
ერთ ლამაზ ვილას რომ ავიშენებ,
ხან ვინადირებ... ხან ვითევზავებ...
და ჩემს გემოზე მეც დავისვენებ!
მე რა თქმა უნდა მოვუწონე და
წარმატებები ვუსურვე გულით...
ტკბილი სიბერე ეკუთვნის მართლა,
ვინც გაიარა ცხოვრება რთული!
ფეხები ჰქონდა საწყალს მტკივანი,
აღარ შეეძლო შრომა ხვდებოდა...
როგორც უდაბნო წვიმებს მოელის,
პენსიას ისე ელოდებოდა...
ცოტაღა დარჩა ამნისტიამდე,
სამოცდახუთის მალე ხდებოდა,
მაგრამ ნათანმა ის არ იცოდა,
კანონ-პროექტი რომ მზადდებოდა...
მაშინ ისრაელს კრიზისი ჰკლავდა,
მთავრობა ხარჯებს ვერ გაუმკლავდა...

მდიდრების თვითონ ეშინოდათ და
ნათანისთანა მათ რას უზამდა?
ხოდა ასწიეს პენსიის ზღვარი,
(ასე აჩვენეს ხალხთან მიდგომა)
ეს კი ნიშნავდა ნათანისათვის,
მტკივან ფეხებზე ორი წლით დგომას...
გლოვის დღე გვქონდა ჩვენს სამსახურში,
ყველანი ნათანს თანავუგრძნობდით...
მთავრობამ თავის სახე გვაჩვენა,
დაუნდობელი, ასე უგრძნობი...
მუშაობის დროს ჩვენი ნათანი
ხან მღეროდა და ხანაც ყვიროდა...
ახლა კი იდგა ამხელა კაცი,
მუშაობდა და ჩუმად ტიროდა...
სუსტი დაჩაგრო, გადაუარო,
ეს ბევრი ქვეყნის მუშა სქემაა!
ძლიერი თუ ხარ, ძლიერს ეჭიდე!
სუსტის მორევა რა პრობლემაა?
რამდენ კაცს ასე მოუკლეს გული,
არჩევნებშიც კი ხმა მათ რომ მისცა...
მიკვირს ამ ცოდვილ პოლიტიკოსებს,
რად არ უსკდებათ ფეხებქვეშ მიწა!
მას მერე ხუთი წელი გავიდა,
ის სამსახური მალე ვიცვალე...
ისე დავკარგეთ ჩვენ ერთმანეთი,
რომ მოსაკითხად ვერც მოვიცალეთ...
ერთხელ, როდესაც ჩემს ავტობუსით
მივუახლოვდი მე გაჩერებას,

რაც დავინახე, ვერ გავარკვიე
ცხადი იყო ეს თუ მოჩვენება:
საინვალიდო ეტლში ჩამჯდარი,
ნათანი მომვლელ ქალს შესცინოდა...
მისი მოჭრილი ფეხების მნახველს,
ცრემლები ღვარად ჩამომდიოდა...
-ეს რა მოგსვლია უფროსო ძმაო?!
ცხოვრებას როგორ დაუჩაგრიხარ?!
ტყეთა შემოვლას აპირებდი და
ეხლა ფეხითაც ვეღარ დადიხარ?
როგორი, სულით ძლიერი უნდა
იყოს კაცი, რომ ამდენს გაუძლოს?!
სახეზე მწუხრი არ დაიტყოს და
ვინმეს სიცილით რომ ესაუბროს...
სწრაფად გავშორდი იმ გაჩერებას,
მოწოლილ გრძობებს ძლივს გავუმკლავდი...
ვიფიქრე: ნათანს ჩემი ნახვით და
მოგონებებით გულს მოვუკლავდი.
სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობს ნათანი...
ისეთით, რომ ვერც წარმოიდგენდა...
მისი ოცნება ოცნებად დარჩა,
გეგმებს ტყუილად თურმე იდგენდა...
დასკვნა ერთია: როდესაც ვგეგმავთ,
ვითვალისწინოთ უნდა იცით რა?
ყოველთვის კარგად გვახსოვდეს ის რომ,
კაცის ბჭობაძე, ღმერთმა იცინა!

ძვირფას მამას

ბავშვის გონებას ღრმად ჩაებეჭდა,
ყოველი სიტყვა შენგან ნათქვამი...
პატიოსნებაც შენგან ვისწავლე
აწ გარდაცვლილო ძვირფასო მამი!

გაფიქრებულად და გონივრულად
გამოვიყენო წუთი და წამი,
დროის ყადრიც ხომ შენგან ვისწავლე
აწ გარდაცვლილო ძვირფასო მამი?!

არ შევეპუო მძიმე ბედ-იღბალს,
გამოვუცხადო ბრძოლა თამამი!
გამძლეობაც ხომ შენგან ვისწავლე
აწ გარდაცვლილო ძვირფასო მამი?!

ცურვაც გინდოდა გესწავლებინა,
მაგრამ ტალღებმა დამახრჩვეს ლამის...
დაკვრა, ხატვა და მანქანის მართვაც
შენ შემასწავლე ძვირფასო მამი!

თუკი დღეს რამეს მეც წარმოვადგენ,
თუკი ვერ დამწვა ცხოვრების ალმა,
თუკი ოდესმე გამიმარჯვია,
დამსახურება შენია მამა!

თიკო თათხაშვილი

***

შენი სურვილი მწვავს და მაგიჟებს,
ვნება ხორკლებად თეთრ კანზე მაყრის,
რა უმწეო ვარ მე შენს გარეშე,
როგორც უფრესკო კედლები საყდრის...

რა უმწეო ვარ და რა ცოდვილი,
ასეთ ვნებაში რომ ვიძირები,
ღამეს გავლევდი შენს ფერებაში,
მერე ტკბილ ძილით ჩავიძინებდი...

მწუხარებაა ამ გულში მაშინ
როცა ჩემს გვერდით არ მეგულები,
ღამდება, ახლაც ვარ ისევ მარტო,
და მთვარეს ჩვენზე ვეჩურჩულები...

***

მე შენ კი არა, საკუთარ თავს ვეღარ ვუშველი,
გარეთ აპრილი, მაგრამ სულში ქარიშხლებია,
ახლა ყვითელი შემოდგომის მინდა დღეები,
დაღლილ სულივით, ხეები რომ გაშიშვლდებიან ...
დღეებს ვიპარავ მაგრამ ფიქრი გახდა მსაჯული,
გახშირებულა სუნთქვა, მიტევს ტახიკარდია,
რა პროგნოზები, რა სიტყვები, რა სიხარული,
ირგვლივ სიჩუმე გულისწყრომა, ყველგან დარდია...
სევდამ თითქოს და ფრთები ისევ შემომამსხვრია
მე უკანსვლები არ მჩვევია და არ ვნებდები
იქნებ ტკივილი დროებითი სულის ხსნა გახდა
სოდა მეც მოვალ ვირუსივით გადაგედები....
მაგრამ არ ვიცი ახლა რა გსურს რა გიხარია
და ვგრძნობ რატომღაც უხალისოდ მართულ იგნორებს,
არაფერია რადგან ვიცი რომ სიყვარული
ტკივილისა და ტანჯვისათვის გამოიგონეს ....

***

ვუმზერ ცას, თითქოს ვხედავ ჰორიზონტს
და ჰორიზონტზე შენს თვალის ჩრდილებს,
ვხედავ სიბნელეს, მთვარესაც ვხედავ,
ცაზე მწოლარე ვარსკვლავებს ჩვილებს...
ვუმზერ მიწას და სურნელი მათრობს,
ხეებს კვირტები რარიგ ამშვენებს,
თეთრად მორთულა პატარძალივით
და აწი უკვე რა შეაჩერებს!..
აქ გაზაფხულმა ნუშის, ატმების
და ალუბლების იცის ქორწილი,
იცის სამშობლოს რარიგ უხდება,

მთებზე ღრუბლები ჩამოწოლილი...
ვერ მოვისვენე... შენზე ვფიქრობ და
ქარმა გნიასით ისევ ამრია,
ვერ გხედავ მაგრამ... გიყურებ თითქოს,
ეს შეგრძნება მაქვს, საოცარია!

***

იქნებ ვაპატიო ამ ღამეებს,
დღესაც უშენობის აგონია,
ცრემლი ლაბირინთში დამატარებს,
სევდა ჩემი სულის პატრონია...
იქნებ მაპატიო უთქმელობა,
დროის გაყვანა და ეს სიშორე,
მინდა გჯეროდეს რომ მეც შენსავით,
ვეძებ სიმშვიდეს და ვერ ვიპოვე...
იქნებ ვაპატიო ამ ღამეებს,
თეთრად ნათენები ყველა წუთი,
თორემ უკვე ბოლო იმედივით,
ჩემს თავს საბოლოოდ ავუცრუვდი...
იქნებ საჭიროა ეს ტკივილიც
ასე უღიმღამოდ ავიტანოთ,
მერე ერთმანეთი როგორც მაშინ
გახსოვს?!- სულ თავიდან შევიყვაროთ...
იქნებ საბოლოო დღეებია,
მე კი სასტიკი ვარ...გიბრაზდები,
სიზმრად მხედავ... შორს ვარ... გენატრები,
მე კი... უნახავიც მიყვარდები...
იქნებ ლოცვასავით შენი მეც მწამს,
აღარ უნდა ამას დაფიქრება,
მოდი სიყვარულზე ვიგალობოთ,
სანამ ყველაფერი გაგვიქრება!

***

ზღვა ღელავს, ქარი ქრის, მატულობს სიცივე,
ჰორიზონტს ვუყურებ, ვკითხულობ სონეტებს,
ღმერთია აქვე და მხოლოდღა ის ამჩნევს,
თუ როგორ ტოვებენ ეულად პოეტებს...

არა ვარ არავის მსგავსი და არც ვჩქაროობ,
რომ გავცდე მიწას და მოვთავსდე ღრუბლებზე,
სამყარო ისედაც ვერაფერს მთავაზობს,
ვერავინ ვერ მადებს მალამოს წყლულებზე...

არა ვარ დიდი და არცა მსურს ღმერთმანი,
ჩვენში... არ იხდიან ოქროსფერ მონეტებს,
და რაღა თქმა უნდა სიტყვებით, ქმედებით,
ყოველდღე ხოცავენ უსისხლოდ პოეტებს!

***

სულიდან თითქოს წვიმისფერი წვეთები ჟონავს,
ყელში კი მიჭერს, ამოუთქმელ სიტყვის მარაგი,
მახრჩობს ტკივილი, სასთუმალთან მთვარე ირწევა,
რომ შემძლებოდა ციდან ვარსკვლავს მოვიპარავდი...
რომ შენს კედლებზე ეციმციმა ღამით ჩუმ-ჩუმად,
რომ შენს თვალებშიც ჭინკებივით იმედს ვხედავდე,
რომ არასოდეს მივდიოდეთ ერთმანეთისგან,
ასე უაზროდ მიჩვევიდან გადაჩვევამდე...

***

ლექსებს რა კარგად წერ ქალაუ და
ლექსებს კი არადა ტკივილებს ვწერ,
ხანაც ცრემლებისთვის მეწერება,
ხან კი პირზე მომდგარ ღიმილებზე...
ლექსებს მე არა ვწერ მკარნახობენ,
სულში მოფარფატე ბაცილები,
წუხელ ქარმა კარი შემომიღო,
მე კი აივნიდან ვაცილებდი...
დარდი იმდენია... აღარ მკითხოთ,
მაჯებს გადავიხსნი დასერილებს,
ლექსებს სიძულვილი კი არადა
ლექსებს სიყვარული მაწერინებს!

***

შენ რომ არ იყო დარდი ვიცი სულ მთლად წამლეკავს,
და ყორანივით დააცხრება სულს სიმარტოვე,
სიცოცხლის ხაზი ხელისგულზე ვიცი გაწყდება,
ჩემს არსებობას საბოლოოდ დაეპატრონე...

რა უხაროდა გულს აქამდე... აღარც კი მახსოვს,
ან რაც გამაჩნდა იქნებ ჩემი არცრა იყო რა,
ჩვენმა შეხვედრამ ყველაფერი გადამავიწყა,
გაქრა წარსული თითქოს ის დრო გადაიყოლა...

ეხლა სხვა ფიქრით უმიზნობით მიზნებს ვისახავ,
ასე... რატომღაც... ყველაფერი უფრო მარტივი-
მეჩვენება და სიყვარულის თავდავიწყებას,
მივეძალები ნაქარიშხლარ გიჟი მარტივით...



ლანა ბიბილურიძე

***

მე მტკივა ჩემი გარდაცვალება,
სულისმიერი, ჩუმი, ფარული
ყოველდღე თითქოს ვცოტავდები და
უფერულ დღეებს მივყვები რხევით.
ჩემი სიკვდილი დაიწყო ასე:
უმტკივნეულოდ რაღაცნაირად,
თითქოს ვიღაცამ წამავლო ხელი
და მომისაჯა სულის წვალება.
ნუ გეგონებათ ერთ დღეში მოვკვდი,
სიკვდილს სჭირდება სულ სხვა ზმანება,
ასე უეცრად სული არ კვდება
და იმედები უცებ არ ქრება.
ჯერ ითმენ დღეებს აწ გადატანილს
და აღარ იცი, რა გზა სჯობია,
დაეხეტები უმისამართოდ,
მუჭში გეტევა მთელი სამყარო.
მერე თენდება, მერე ნელდება

შენი სარკმლის წინ სხვა დარი დგება,
აღარ ღამდება, გესმით ვედრება,
სადღაც შორიდან მოდის ღვთაება.
თითქოს სხვა ხდები,ვიღაც სხვა ფერი,
დაკარგულ წუთებს ითვლი და ითვლი,
ვერ გაგიგია რისთვის მოხვედი,
ან საით მიდის წუთისოფელი.
მე მტკივა ჩემი გარდაცვალება,
სულისმიერი, ჩუმი, ფარული..

***

აპრილია და გჩემობ გაზაფხულივით ერთო,
გვირილებიან მდელოს როგორ უხდები ჩემო.
აყვავილდება ია, გზად შემოგხვდები ისევ,
რა სევდიანი დღეა და უშენობას ვითმენ.
აპრილია და გჩემობ, გაზაფხულივით ერთო,
მოდი, თვალებით გიცნობ, ჩემო ცხოვრების ღმერთო!

***

საით მიფრინავ ჩემო გვირილა?!
ნეტავ ოდესმე კიდევ გიხილავ?
წლები მიდიან და შენც მიდიხარ,
ვერ დაგივიწყებ, ვერა ნიბლიავ.
რა უსაშველო დარდი გცოდნია,
თვალები სევდით ამოგივსია,
დღეს ჩვენი გზები ისე შორია,
შენამდე კარგო ვერ მომიგნია.

საით მიფრინავ ჩემო გვირილა,
დროს შემორჩება რაც კი გვივლია,
თუ გზად შემომხვდი ნუ გამიწყრები,
მუდამ გახსოვდე შენი ფერია.

***

ლექსად გადმოცემულ ტკივილს გაუმარჯოს
და იმ ტკივილებზე ვარდებს მოშენებულს,
სევდის ნაკვალევზე ირმის ნაფეხურებს
და იმ ნაფეხურზე ტაძრებს აშენებულს.
სანთლის ჩამოღვენთილ წვეთებს გაუმარჯოს
და იმ ნაღვერდალის ძალას დაუშრეტელს,
სინანულის ცრემლებს წმინდა მოყვასისგან
და იმ სინანულით მლოცველს მუხლმოდრეკილს.
სიყვარულით სავსე გულებს გაუმარჯოს
და იმ სიყვარულის აღმართ-დაღმართებსაც,
აღმართ-დაღმართებზე მომვლელს გაუმარჯოს
და იმ ბილიკებზე დარგულ ყვავილებსაც.
ჭიდილს გაუმარჯოს სიკვდილ-სიცოცხლისა
და იმ ჭიდილებში სიკვდილს დამარცხებულს,
ყოველ მზის ამოსვლას, სულის კვლავ აღდგომას,
ყველა დაცემულის ფეხზე წამოდგომას.
ყვითელ შემოდგომის ხეებს მოშიშვლებულს
და იმ სიშიშვლეში იმედს გაუმარჯოს,
გაზაფხულის მოსვლას ფოთლების შემოსვას
და იმ გაზაფხულზე იების ამოსვლას.
ზღვაზე გადაფრენილ ჩიტებს გაუმარჯოს
და იმ ჩიტებისგან ნიშანს საიმედოს,
ბულბულების ლამაზ ფერად მელოდიას
და იმ მელოდიის წმინდა ჰარმონიას.

მაპატიე!..

მაპატიე მე ის წასვლა მაპატიე,
ზამთრის სუსხი დაგიყენე კართან,
დაივიწყე!..ყველაფერი დაივიწყე,
გაზაფხული დაიბედე ბაღთან.
დაასრულე შემოდგომის ფოთოლცვენა,
სულში ნულარ მიმოფანტავ დარდებს,
გაიხსენე! გარდასული გაიხსენე,
თუ ნახავ რომ გაგიჭირდეს რამე.
მაპატიე, მე ის წასვლა მაპატიე,
ცრემლის გუბე დაგიტოვე თვალთან,
არ გითხარი, არაფერი გაგიმხილე,
მიგატოვე, მიგატოვე სხვასთან.

***

შენი თვალები ხომ ჩემი ტაძარია,
სევდის ბილიკები, გზები,
ცოდვისა და მადლის დიდი ჭიდილია,
უჭკნობი ვარდია და მთები.
შენი თვალებია ჩემი შემოდგომა,
ზამთრის დათოვლილი დღენი,
გაზაფხულის ნაზი ლურჯი აკაცია,
ენძელები იისფერი.
შენი თვალები ხომ წვიმის წვეთებია,
ცრემლისფერი ზღვისა ფერი,
ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავია,
მტრედის ფრთების შესაფერი.
შენი თვალებია ჩემი მელოდია,
დღესასწაულია ღმერთის,
წმინდა სანთლებია, თავად უფალია,
საგალობელია ჩემთვის.

***

მეც დავკარგულვარ შემოდგომის ქარიან ღამეს,
იადონებსაც უთენიათ სასთუმლოს მხარეს,
სევდის ღრუბლებში მიცურია ტკივილით სავსეს,
მაგრამ ყოველთვის მოველოდი სასწაულს რამეს.
მეც მიგემნია წუთისოფლის ავი და შხამი,
ცრემლის გუბეში დამწევია ეშმაკი, ქარი
ქარიშხლისაგან დამმტვრევია ნიჩბები, ნავის
მაგრამ იმედი არ მტოვებდა არც ერთი წამი.
განსაცდელისთვის მზად იყავი მუდმივად მგზავრი,
ხვალინდელი დღის არ დაკარგო იმედი, მრწამსი
ვარდი თუ გინდა აიტანე ეკლები, ქარი
ცრემლის გარეშე დაბადება არ მჯერა ახლის.

***

აპატიეთ!..ადამიანს ყველაფერი აპატიეთ,
იქნებ ღამეს უკანასკნელს ათევს,
გაუღიმეთ მოკვდავს ყველას გაუღიმეთ,
თქვენ რა იცით,რა ტკივილი აქვს ბევრს.
გაწყენინათ? ნუ ჩაიდებთ ბოროტს გულში,
შენს გარეშეც მოერევა ღმერთი,
ზოგს იარა ამჩნევია დღემდე სულში,
ვერ იშორებს დიდ ტკივილებს ერთი.
სიამაყე? ამაყია თავად ღმერთი?
ჩვენი ცოდვის მიტევების ბერი.
შენ კი უფლის ორეულო, რად იცვალე ფერი?!
მიუტევე, დაივიწყე ყველაფერი,
შენც ოდესმე აგიცდება ფეხი,
ნუ იფიცებ ვარდებიან მომავალზე,
შენ რა იცი რას გიმზადებს ბედი.
აპატიე! ადამიანს ყველაფერი აპატიე,
აკოცე და თუ გინდ შორსაც წადი,
განეშორე !.. ოღონდ მართლა აპატიე,
შეიბრალე ამ ცხოვრების მგზავრი.

დალი ბანცაძე

***

ლიხს იქით მთას რომ გადახვალ,
ნახავ სოფელს მაღალმთიანს,
გულს გაგიხსნის, ჩაგიხუტებს,
ხალხს იხილავ იქ მადლიანს!...

სოფლის სახელს ვინც მიხვდება,
საჩუქარსაც ის მიიღებს,
იქ ყველა ღიმილით გხვდება,
გულის კარსაც კი გაგიღებს!....

ყველა კენჭი, ქვა და ღორღი
ისე მიყვარს, ვერც კი ავღწერ,
ეხლა დავჯდები და ამას,
ყველაფერს ფურცელზე დავწერ!...

ჩემი ბავშვობა იქ არის,
ბედსიერი, უბოროტო,
იქ ამ სიტყვას არც ხმარობენ
რომ იციან:--,,შე ბოროტო"!....

ყველასთან ღიმილით შეხვაღ,
კარში არავინ ჩადგება,
ყველა გაგიხსნის დიდ ,,ჭიშკარს"..
და ყველა ფეხზე დადგება!...

მოდი, სახელსაც გაგიმხელთ,
წიფა ჰქვია, რად დავმალო,
ბოროტებას იქ ვერ ამხელ,
სადღაც უნდა გადამალო!...

სიყვარული ამდაგვარი,
სხვაგან არსად არ მინახავს,
ბავშვობის მოგონებები,
ყველა გულში შემინახავს!...

ჩემს სამშობლოს მთასა და ბარს,
არაფერი შეედრება,
ღმერთო წიფა დამილოცე,
შეისმინე ეს ვედრება!...

ყველა იქ მაცხოვრებელი,
კარგად ამყოფე უფალო,
შენი მადლით და დიდებით,
რომ ლეწონ ცხოვრების კალო!..

***

მე ვარ იმერი მელექსე,
გულიდან საქართველოსი,
მსურს ყველა შემოვირიგო
აფხაზი იყოს,გინდ ოსი!..

ჩემ საქართველოს გავცქერი
დაჭრილს, ფრთებჩამოტეხილსა,
გაუძლო ტანჯვას, გვემას და
უამრავ ქარტეხილებსა....

ან კი რა უნდათ,რას ხრავენ,
სიკეთე მისგან მოდისა---
თუ გაბრწყინება მოგველის,
უფალო მითხარ:--- როდისა?

რომ შევემზადოთ მაგისთვის,
გავშალოთ სუფრა დიდია,
ქართველს თან ახლავს ყოველთვის,
მოწიწება და რიდია!!!

მოვზიდავთ ყანწს უშველებელს,
უფლის დიდებას ვიტყვითა,
მეგობრობას და მოყვრობას---
ვამტკიცებთ გულის გულითა!..

წავალ და მეც იქ დავდგები,
სადაც სამშობლოს უჭირსა,
ყველა ხომ ასე იქცევა----
ვისაც გონება უჭრისა?!...

***

ხანდახან ისე ვარ, თითქოს დავიღალე
და რომ აღარ მინდა არაფერი,
ხანდახან კიდევ, ნიბლია ჩიტი ვარ,
მაღლა ღრუბლებში ანაფრენი!...
ხანდახან მეტირება, მაგრამ ვიცინი,
ჩემ დარდს არავის არ ვახვევ,
ხანდახან მომინდება კიდეც ქვითინი,
ფიქრებს ლაბირინთში გავახვევ!...
ხანდახან, შემიპყრობს დარდი და ნაღველი,
და თან დამყვება მელანქოლია,
ხანდახან, თითქოს არაფერს ველი
და ყველაფერი ქარს გაჰყოლია!..
ხანდახან ასეა, ხანდახან ისეა,
ცხოვრება თავის გზით მიდის,
დგას მატარებელი - სადღაც შორეულში
და სამოგზაუროდ - მიცდის!..

***

თითქოს სისხლი გადამისხეს პოეტის,
გული რაღაც უცნაურად ძგერს,
მუზას უკვე ყოველ დილით მოველი,
უსაქმურად კალამიც ვერ ძლებს!..

სულში სითბო სხვანაირად იღვრება,
გონებაზე გრძნობა გავაბატონე,

სიყვარულით გული სულ არ იღლება,
სიძულვილი სულ სხვა მხარეს დავტოვე.....

პოეტის გზას მე ვუწოდებ სიყვარულს,
როცა ქვეყნად არავინ არ გძულს,
ეს ქმედება, შენც განიჭებს სიხარულს,
აღმაფრენა ემატება სულს!

პოეტს თურმე,სხვანაირი აქვს განცდა,
გრძნობებისგან გული ვეღარ დავცალე,
ძველი წლები, თურმე ტყუილად გაცდა,
დღეს კალამი ვერაფერში გავცვალე!

***

ჭიკჭიკებენ, ჭიკჭიკებენ ბეღურები--
და ერწყმიან სულის ჰარმონიას,
იმედით და რწმენით მაღლა ვიყურები,
არ მსურს, დღე რომ ჰგავდეს აგონიას!.

მაღალ ღმერთს ვთხოვ, საქართველოს გადარჩენას,
მატეანე ისტორიას დაწერს,
სხვა გზა არ გვაქვს, უნდა მივყვეთ უფლის ნებას,
ის ყველაფერს მისხალ-მისხალ აღწერს!..

მტერს ყოველთვის მიეზღვება თავისი,
ჩვენ ვჩქარობთ და უფალი კი არა,
არ გვსურს ცუდი ქვეყანაზე არვისი,
ვცდილობთ,ყველას მოვუშუშოთ იარა!

სისხამ დილით,ალიონზე ვილოცები,
ჩემს ქვეყანას მოაშოროს მტრები,
მტარვალებო, მუხლმოდრეკით გევედრებით,
არ დაფერფლოთ წინაპართა ძვლები!

***

სანამ ქვეყნად ვიარსებებ და ვიქნები,
მსურს რომ უხვად სიყვარული ვარიგო,
ისე უცბათ გადის წლები და გავქრები,
ან რა ვიცი, იქნებ ხვალაც არ ვიყო!!!

ეს ცხოვრება საოცარი რამ ყოფილა,
სან ავდარი, ხანაც კიდევ დარია,
მწუხარებამ, სევდამ უკვე მამყოფინა,
ფიქრებმა კი დღე და ღამე არია!..

არ მსურს სევდას დავემონო ბოლომდე,
ოცნებები შევატოვო ხელში,
სიყვარული მსურს და მინდა მხოლოდ მე,
რომ სუფევდეს ერშიცა და ბერშიც.

გაზაფხულის საოცარი სურნელია,
აბიბინდა, აშხვართალდა ბუნება,
რაც რომ გულში სევდა, დარდი უთქმელია,
მოვიშოროთ, ავიმაღლოთ გუნება!

სანამ ქვეყნად ვიარსებებ და ვიქნები,
მინდა უხვად სიყვარული ვარიგო,
გთხოვ, ღმერთამდე აიტანო ეს ფიქრები,
სამსხვერპლოზე შეწირულო ვარიგო!

ლია კუპატაძე

გელოდები

გელოდები დღესაც ისევ როგორც მაშინ,
არ გეგონოს რომ ლოდინით დავიღლები.
დღეებს წუთებს არასოდეს არ დავუთვლი,
ვიცი მოხვალ და ოდესღაც დაბრუნდები!

გელოდები ისევ იმ ძველ ადვილს ვდგავარ,
სადაც ადრე ჩვენ გვიყვარდა შეხვედრები.
ახლა შორს ხარ, ვიცი ესეც მესმის მაგრამ...
ვფიქრობ მაინც შენ ოდესღაც დაბრუნდები!

არ ვიღლები მე ლოდინით არა ასე,
იცი? ფირი უფრო მე მღლის უშენობის.
გარეთ თოვს და მე კი მხოლოდ სულში მათოვს,
გაცრეცია ფერი პალტოს მოლოდინით!

ფიფქს ვეხები გაყინული ხელით ახლა,
მინდა მე რომ გეგუნდაო ამ ზამთარში.

გელოდები, არ გეგონოს დავიღალო...
გაცრეცილი პალტო ტანზე გავიხადო!

თოვს და ბარდნის, უსაშველოდ გადაფარა ბილიკები,
გზას გავსცქერი თითქოს ლანდათ მოდიხარ და მეპარები.
გელოდები, არ გეგონოს დავიღალო, დაგივიწყო...
სიკვდილამდე გელოდები! სიცოცხლემდე მეყვარები!

მარტია

ჰო ისევ მარტია, ჯერ ისევ მარტია,
აპრილი არ არის ეს მარტის ლანდია.
შეშლილი წვიმაა, ხან ისევ ქარია,
ჯერ ისევ სიცივე და ისევ დარდია.

მომწყინდა ფიქრებით წვიმის წვეთს გავსცქერი,
შეშლილ წამწამებს მე წვიმა მისველებს.
მომწყინდა ნაღვლიან, შენს თვალებს ვუცქერი,
მივყვები ქუჩაში ხალისით პატარებს.

გრძნობამ გამიტყუა, მე ისევ თავხედმა,
წვიმაში ფიქრები ო, როგორ გახელდა.
ქარიც იასამნებს ფანჯრის წინ არხევდა...
და გაზაფხული შეშლილ მარტს ამხელდა.

არასდროს დავუშვებ, მივყვები დინებას,
რა მოხდა თუ მარტმაც აშალა ფიქრები.
ჰორიზონტს გავსცქერი შევხედავ მზის ჩასვლას...
და ბედნიერი ვფიქრობ რომ ვიქნები.

მიყვარხარ! მიყვარხარ! ეს უნდა გახსოვდეს,
არავინ არ მისმენს არ მყავს მშველელი.
მზე როცა ჩავა უკვე დასალიერს
აპრილი ფიქრებით თავისთან მეძახის.

თუმცა ჯერ მარტია, ყინვაა, ქარია,
ფიქრებით შეშლილი მემგონი მთვრალია.
ვიღაცა მეძახის, ქუჩაში ქალია,
ღაწვებზე ცრემლი აქვს როგორი მხდალია.

ვუყურებ გავსცქერი, ვეძახი დარდიანს,
მტრედებიც ღუღუნით ვხედავ რომ დადიან.
ჰო, ახლა მარტია შეშლილი მარტია,
პასუხს არ მაძლევს მემგონი ლანდია!

მიყვარხარ! მიყვარხარ! მინდა სულ გახსოვდეს,
რა მოხდა თუ მარტმა ცოტათი შემშალა.
სულს მოგცემ მთლიანად არ მოგატყუებ!
ცრემლებმაც ო, როგორ ძლიერ დამღალა.

ჰო, ახლა მარტია შემშალა გრძნობებმა,
წვიმაა როგორი და თან ქარია.
ქალია რომელიც ძლიერ მადარდებს...
და სიყვარულზე მალაპარაკებს!

მე ასეთი ქოხი მინდა

მე პატარა ქოხი მინდა შენთან ერთად,
წვიმდეს ძლიერ ქუხდეს თუნდაც ცას ელავდეს.
სარკმელს შუქი ანათებდეს თბილი სიო,
გულს მითბობდეს ბუხარს კვამლი ადიოდეს.

შემოდგომის ფერად ფერად ფოთლებს ვგვიდე,
გავყურებდე ცისარტყელას ცაში მაღლა.
ჭიკჭიკებდნენ მერცხლები და მათ ვუსმენდე,
ხელგაშლილი შეგეგებო მსურს მე სახლთან.

შემოდგომის წვიმა მიყვარს ფიქრებს ვამხელ...
და ვუყვები ტკივილიან მე ჩემს ზღაპარს.
სიზმარია ყველაფერი რაც კი ხდება,
მსურს რომ შენთან გავიღვიძო იცი?ახლა.

მიყვარს წვიმა! მიყვარს ქოხი,
არ ვინატრებ სასახლეებს,
შენთან ერთად მთებს ვუმზირო...
ვფიქრობ ღამეს ცის ქვეშეთში გავათენებ.

მე ასეთი ქოხი მინდა შენთან ერთად,
ჩვეს ყველასგან შორს რომ ვიყოთ უსასრულოდ.
ღმერთო, ღმერთო, გამითენე მე ეს დილა,
რომ ეს ნატვრა უსასრულო აღარ იყოს!

მაპატიე

მაპატიე, ასე როგორ როგორ დაგთმე,
ასე როგორ დავთმე ნეტავ გაზაფხული.
ასე როგორ დავთმე ნეტავ მე ის ღამე,
უსუსურად ახლა ვდგავარ განაბული.

ალბათ ფიქრში ყველაფერი ფიქრში დავთმე,
ყველაფერი მოგონილი მითი იყო.
ან სად იყო გაზაფხული ან ის ღამე,
დასათმობი ან კი რამე სადღა იყო!

ახლა ქარი მეჩხუბება ალიონზე,
საქმეს მირჩევს რომ მე დავთმე გაზაფხული.
უსუსური მივატოვე ბაღში ია,
ბუჩქებშია თურმე როგორ მინაბული.

ვარსკვლავებიც დამესივნენ მე ზეციდან,
მთვარეც თურმე მივატოვე გაბადრული.
გამაოცეს ამას რაღას მაბრალიან,
ამიჩუყეს გული როგორ გალეული.

ვერაფერი ვუპასუხე ან რა მეთქვა?
გამოვდექი მოღალატე დაბნეული.
ვინ მაცადა ანდა აზრი გამომეთქვა,
დამესივნენ ვარსკვლავები არეული.

ახლა მგონი ცრემლებიც კი მომრევია,
გულზე დარდი სევდათ როგორ მომფენია.
მოღალატე? მე არასდროს არ მრქმევია!
სიტყვა მითქვამს, გადათქმა კი არ მჩვევია!

მე მიყვარს ღამე

მე მიყვარს ღამე,
რადგან ფიქრები იწყებენ ხმაურს,
მე მიყვარს ღამე,
რომ ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე...
შევყურებ მთვარეს.
მე მიყვარს ფიქრი ხმაურიანი,
თუმც უხმაურო სიჩუმეც მიხმობს.
ღამე მე ვხდები ალერსიანი,
არ გავუწყრები ჩემს ფიქრებს ვფიქრობ!
კვლავ დავითენებ ალერსში ღამეს,

და მე წავყვები ოცნებით მთვარეს.
დილით კი იცი?მზეს ვეტყვი სათქმელს,
მას მოვუყვები წუხანდელ ამბებს.
თუ რა ბოდვებით ვათიე ღამე,
როგორ ავაგე პირამიდები...
და მის მწვერვალზე ავედი თანვე,
ცრემლებიც ბევრი დამდინდა თვალს მე!
მზეს ვეტყვი ასე უბრალოდ სათქმელს
და მის სხივებში მოვფანტავ რამდენს,
მძივებად ასხმულს, ცრემლებად ნაბულს,
მე მიყვარს ღამე, რადგან ფიქრები იწყებენ ხმაურს!

ქუთაისს ჩავეხუტები

ქუთაის ჩავეხუტები, მოვეფერები კალმით,
მის სილამაზეს ვუცქერი ვტკბები ყოველი წამით.
ეს შემოდგომაც უხდება, ფოთლებს რომ აბნევს ქარი...
და ბაღის კიდეს ჩავლის ქალი, ლამაზი ქალი!

შენ სანატრელო ქალაქო შენს სიყვარულში მთვრალი,
ქარიც ძლიერი უბერავს კაბა გამხადა ლამის.
აქ სულ სხვა სიყვარულია სულ სხვა პეპლებიც დაჰქრის,
ქუთაისური სიმღერა ყურს მე ჩამესმის მრავლის.

აყვავებულხარ ქალაქო დე გაზაფხულიც გშვენის,
ირგვლივ მწვანეში ჩაფლულხარ სიყვარული ხარ ღმერთის.
მოგეფერები ქალაქო ფეხთ შემოვივლი ქუჩებს,
ჩავივლი რიონს ნაპირებს თეთრ ქვებს გავანდობ ფიქრებს.

მიყვარს ქალაქი სადაც ვშობილვარ,
ის სულ სხვა სურნელს აფრქვევს.
ჩავეხუტები მე ჩემს ქუთაისს,
მოვეფერები მას ბევრს!

ქეთევან ცაბაძე

***

ისე მოიღრუბლა თითქოს,
ცეზაც ჩემს მაგივრად ფიქრობს,
როგორ ვერ ვივიწყებ იმ დროს,
როცა ვიფიქრე, რომ იგრძნობს.

უკვე მეზიზღება დილა,
მტკივა ჩვენი ყველა წამი,
მე დღეს დავიჯერებ მორჩა,
შენ კი სამუდამოდ წადი!

როგორ მიმტკიცებდი „სხვა ვარ“,
მე კი უიმედოდ გენდე,
და მაინც სულერთი არ ხარ,
და ამას განვიცდი დღემდე.

უკვე ყველაფერ მორჩა,
მზეც აღარ ანათებს მდელოს,

ოდნავ სინანული დამრჩა,
შენ კი? უბრალოდ მე ვერ მთმობ!

***

ქარმა წაიღო, ფერი იცვალა,
ფერმკთალი გახდა ჩემი გრძნობები,
იარა დამრჩა მე მხოლოდ შენგან
და ცრემლიანი უხვი დღეები.
მინდა გავბრაზდე,
მინდა, რომ მძულდე,
მინდა გიყვირო აღარ მჭირდები,
მაგრამ ჩუმად ვარ და მენანება,
კვლავ მენანება ის ოცნებები.
შემოდგომაა, ტკივილი მიპყრობს,
ხესაც სცვივდება ჭრელი ფოთლები,
ახლაც ვერ ვხვდები შენით წახვედი,
თუ მე გაგიშვი, როცა მოხვედი?!
ახლაც ვერ ვხვდები, თუ ღირს, რომ ისევ
კვლავ განვიახლო შენზე ფიქრები,
მხოლოდ ჩამესმის „ასე აჯობებს“,
მხოლოდ ჩამესმის შენი სიტყვები!

***

მაგრამ ხომ იყო რაღაც,
რისთვის ცხოვრებაც ღირდა,
ხომ დამიტოვე რაღაც,
რისი ოცნებაც ღირდა.

უნდა წავიდე, კარგად,
დროც უსუსური გახდა,
მე შენ მასწავლე ტანჯვა,
ბედნიერებით ტანჯვა!
მე ვუყურებდი ზეცას
და ვარსკვლავების ცვენას,
შენ კი შორს იყავ ჩემგან
ვერ გრძნობდი გულის ფეთქვას.
მე შენ მაჩუქე ცრემლი,
შენზე ოცნება, ფიქრი,
მე შენ მასწავლე განცდა,
რაც ყველა ფასად მიღირს.
მაგრამ ოცნებად დარჩი,
ვერ ახდენილო ნატვრავ,
ახლაც შენს ირგვლივ ვიცდი,
ახლაც გეძახი აქ ვარ.
დრო კი სასტიკად გარბის,
დრო კვლავ მაშორებს შენგან,
მე ვერ გითხარი მაშინ,
რომ შენ ხარ გულის ფეთქვა.

***

შემოდგომა, სევდა, დარდი,
უკვე ცვივა ფოთლებიც,
მე დაგარქმევ შენ ცივ წვიმას
ჩემს გულს ცივად ეხები.
მე მინდოდა ყოფილიყავ თბილი,
ნაზი, გულწრფელი,
მე მინდოდა, რომ გაგეგო
ჩუმად ჩემი გრძნობები.

ახლა ვნანობ, ვნანობ ძლიერ,
რომ გადავდგი ნაბიჯი.
ახლა ვნანობ, რომ ვეცადე
მიმხვდარიყავ რა მიჭირს.
თურმე შევცდი, შევცდი ძლიერ,
შენ ვერაფერს ვერ მიხვდი,
ახლა კი ვარ ისევ მარტო
და ყველაფერს განვიცდი.
შემოდგომა, სევდა, დარდი
და ტკივილის ნამღერი,
ფოთლებივით ჩამოვარდი
ქარს მივყავარ თავისით.
სულელს როგორ მიხაროდა,
რომ გიპოვე ამდენში,
მაგრამ ვეღარ შეგიშნოვე
ჩემგან ისევ გაგიშვი.

***

ბევრი დრო გავა და დაივიწყებს ვიღაცა ტკივილს,
დაგავიწყდები შენც ვიცი, ბრძოლას აზრი აღარ აქვს,
ის რომ ერთ გზაზე მოვხვდით დროებით შეცდომა იყო,
და მაგ შეცდომას ვიხსენებ და ვიღიმი ახლაც.
ალბათ დრო გავა და შენზე ფიქრი ჩემშიც გაქრება,
ფიქრი იმაზე რაც არ ყოფილა, უხერხულია,
შენ სხვანაირად გაიგე და აღიქვი ჩემი,
შენი გაგება კი ჩემთვისაც ალბათ რთულია.
გაურკვევლობას უნდა მოვრჩე, გზა გავაგრძელო,
ჩემით დავუსვა წერტილი მას, რაც დღემდე ჩემშია.
შეცდომა იყო, რაც გეხებოდა, რაც თავს გადამხდა
და გული მაინც მაგ შეცდომით ბედნიერია.

ლექსი, რომლის დაწერაც ყივჩაღის პაემანმა შთამაგონა

„მარადიული პაემანი“

ქარი ჰქროდა და რაღაც ფიქრები,
ჩემთან მოჰქონდა აურაცხელი,
გული მიგრძნობდა, რომ შეგხვდებოდი,
უკანასკნელად კიდევ გნახავდი.
პურის ყანებიც ისევ ყვაოდნენ,
არაგვი ძლიერ მოგუგუნებდა,
ბოლო შეხვედრა მახსენდებოდა
და ქსნის ხმაური ყურთ ჩამესმოდა.
ეს წინათგრძნობაც წამსვე ამიხდა
გამოგვიდექი შენი ულაყით,
მცხეთამდე გვდიე, აღარ დაგვეხსენ,
კვალი დატოვე ნაფეხურების.
ხმალი იშიშვლე, ჩემს ქმარს მივარდი
გამდებაობას ღვინო გმატებდა,
მის მუზარადთან ვერაფერს გახდი
და მან ჭრილობა გულს მოგაყენა.
ვერ შემოგხედე მაშინ თვალებში
ვიცოდი მასში რაც იქნებოდა
როცა ისინი ნელა ქრებოსა
მასში სიცივე იპარებოდა.
გული მიგრძნობდა მელოდებოდი
ბოლო წუთებშიც გაგონდებოდი
წამებს ითვლიდი და მიდიოდი
ჩემს გულს მთლიანად თან იყოლებდი.
ქართლის ხეობა ნისლმა მოიცვა,
ჩემი გულივით ისიც ტიროდა
კვლავ მარტო დავრჩი, შენზე ფიქრები
მე და ამ ადგილს დაგვამახსოვრდა.
ათასმა წელმა განვლო ლოდინში,
ვარდი იშლება და ისევ ჭკნება.
მე ყველგან გეძებ შენ კი არ ჩანხარ
ეს პაემანიც არ ასრულდება.

მაია ანთაძე

***

მოველ....სიცოცხლის მძლავრი წყურვილით,
ვითარც ჩანჩქერნი კლდიდან ვარდნილნი.
მოველ.... საფრენად ვითარც არწივნი,
მწვერვალთ დამპყრობი არიადნები.
მოველ.... ამაყი, მიწის მზვერავი
ვითარც ჯიხვები კლდეს შეფენილნი.
მოველ... ნაკრძალებს ხევთა დამპყრობი,
მეფე ირმები ქორბუდ ასხმულნი.
ზღვებზე აწყვეტილ შმაგ ქარებად
ვით იალქნები აფრებ გაშლილი.
მთებზე ყვავილთა ჰარმონიებად
ვითარც ორკესტრთა სიმფონიები.
მოველ და მოველ ამ სამყაროში
ზე იმედებით გაბრწყინებული,
მოველ... სიცოცხლედ, აღმაფრენებით,
გაცისკროვნებულ ზე მოთხოვნებით.
დარჩა ზღაპრებად თქმული ამბები,

იწყო გამოცდა, რთული მოძღვრებით,
იწყო დაცემა, სულით ხორცამდე.
ყოფასთან ბრძოლა, ფრთებ შეკვეცილი.
ცხოვრებას შევრჩი, ვით მარტოსული
იწყო ჩოქება, სულის გათრევა,
ღმერთო, რამდენი იმედ გაცრუება
განდეგილობა... მწარე განგება.
უსამართლობით გათანგულები
წანწალ წანწალით, გზას მორჩილება.
იწყო ღრეობა, კარნავალები
ღიმილიანი.....ნიღაბთ ხროვები,
ირგვლივ უგულო მარიონეტები.
ყალბი ლოშნებით, გულში ჩაკვრები.
ლხინში ერთგულნი, ჭირში ორგულნი
სუფრას ყანწებით შური, შარები.
ღმერთო, რამდენი გაცრუებები
სუსხი, წვიმები თუ ნიაღვრები.
ცას აზიდულნი ტაძართ თაღები
აკლდამებივით დადუმებულნი,
ოცდაათ ვერცხლად გაყიდულები
დაშოლტილები, ჯვარზე გაკრულნი.
ღმერთო, რამდენი გაცრუებები
წნეხით ჩოქვები, სისხლით მორწყვები,
მწარე ქილიკით დამცირებები
თავზე ეკლიან გვირგვინთ დადგმები.
გამეტებული მოყვასის ხელით
ზურგში მძიმე მუშტის დარტყმები.
გზასაყარს მდგარი, ხოხვა წანწალით
დატყავებული ფეხის ტერფებით
სიმწრის ცრემლებით, შემცბარი მგზავრი

შევდექი აღმართს, ტაძარს მავალი.
მოვიწევ შენკენ, რწმენა შემდგარი
მწარე განგებით მრავალ ცემული,
ცხოვრებისაგან, სილა გაწნული
ზურგზე მოგდებულ ცოდვების ჯვარით.

***

ნუ განსჯით შეყვარებულ ქალს
მოტყუებული ტრფობის ლოდინში,
დამჭკნარ სიტურფეს, მოთოკილ ვნებებს,
შემოდგომაზე დაცვენილ გრძნობებს.
ნუ განსჯით მარტოდ დარჩენილ ქალს
დაკარგულია, ბედის ძებნაში,
გაზაფხულისგან ნაღალატევი
მარტოდ რომ ებრძვის ცხოვრების ქარბუქს.
ქალი ქალია სავსე ვნებებით
მძლავრი გრძნობებით,იდუმალებით,
ქალი ვარდია, ტრფობის სურნელით,
მინდვრის ცვარია, ბროლის გულმკერდით.
ქალი ქარია საკინძ ახსნილი
გიჟურ ვნებების ამომფრქვეველი.
ქალი ერთგული სამარადისოდ
უსასრულობამდე შეყვარებული,
მხოლოდ:ერთისთვის ერთადერთისთვის,
იმ ერთს ელოდა მუდამ ელოდა ის კი, არ ჩანდა
არა, არ ჩანდა ჰოდა, ნუ განსჯით ქალს, ქალი ელოდა.

***

ძლიერ ქალებს არ სჩვევიათ სხვისი დაცინვა,
ძლიერ ქალებს არ სჩვევიათ სხვისი ძაგება,
ძლიერ ქალებს არ სჩვევიათ უკან მალულად
ვულგარობა, ჭორაობა, მასხრად აგდება.

***

ჩემი მოვლენა ამ ქვეყანაზე,
უცნაურ ფიქრებს მიშლის ხანდახან,
რისთვის მოვედი, ვისთვის მოვედი,
ეჭვებში მაგდებს, ჩემს უნებურად.
გასეირნება დედამიწაზე
ასე დავარქმევ, მე ჩემს მოვლენას,
ერთს ვხდები მხოლოდ,
შენთან მოსვლამდე
სიცოცხლე უნდა გეჩუქებინა.
სიკვდილ-სიცოცხლის გაუსვლელობით,
მე შენ, ვერასდროს, ვერ შეგხვდებოდი.

***

მიჩურჩულებს ქარი ტკბილად, შენგან მონაბერი,
ვგრძნობ მწველ ბაგეს ბადაგივით , სუნთქვა გახელებულს,
ეს ფიქრები ჩემი გულის უხმოდ ძახილია,
ნაზი სიო, შენი სულის ჩუმი ალერსია.
უხილავად ვგრძნობ შენს მკლავებს, ტანზე შემოხვეულს,
განაბული მივენდობი, ქარის გულის ფრიალს,

ჩვენი ბედის აივანზე, დავთქვი პაემანი,
კვლავ შევიგრძნო, გიჟი გრძნობის, თოთო ნაამბორი.

***

მთებზე გადმოდგა, მთვარე დუმილით,
ზეცას ჩამოხსნა მწუხრის მანდილი,
მე მივაბიჯებ დაღლილი სულით
სევდისფერ ფიქრებს, მიარხევს ქარი.
უკან მივყვები ჩემს ჩრდილს, უსულოს
მთვარე იმ ღამით, მიწერს განაჩენს,
მხრებზე შემსხმია წელთა აკიდო,
დრო მწარედ მეტყვის, ალბათ დანარჩენს.
მზე მიაცილებს ნისლიან დღეებს
მინდვრის ყვავილებს ცვრად ვეცრემლები,
ვაგონებივით მიჰქრის დღეები
წუთების თოვა, დნება ფიფქივით.
ამ წვიმიანი დღის გადამკიდემ
ბუდეს ვერ აგნებს სველი ბეღურა,
და მობუზული წვიმის ხელებით
დაიწყო ძებნა, ბოლო დღეების,
მტვრიან თაროზე შევიცან წიგნი,
სარჩევში, უკვე მე ჩემს თავს გავცდი
ოჰ საოცრებავ, თურმე ცხოვრება
შეთხზული ჰქონდა ჩემთვის, მეზღაპრეს.
და მე ვიბრძოლე ფუჭად, მთელი გზა
ომში წაგებულ ჯარისკაცს ვგავარ,
თურმე ცხოვრება ჩემი, ამ ქვეყნად
ზღაპრის გმირივით, სიცრუე დარჩა.

მაია ირემაშვილი

რომ შემიყვარო

რომ შემიყვარო რა მოხდება, ახლა სუსხია,
ზამთრის სიცივეს ვეღარ უძლებს ჩემი თვალები,
იქნებ მოხვიდე ჩემს სარკმელთან შენი ძალებით
და მზის სხივები ათინათო ამორძალებით.

რომ შემიყვარო რა მოხდება, გარეთ ქარი ქრის,
გაზაფხულისთვის მივსუსტდები ნასეტყვარივით,
სიყვარული ხომ თვით ძალაა ამ სამყაროში
და ეს სამყაროც გაყინული მიტევს ძალებით...

გთხოვ შემიყვარე, ცუდი არ ვარ, არაფერს გავნებ,
მარტოს სიცოცხლე არაფრად ღირს, მთვარის ფიქრივით,
მოდი გავექცეთ ამ სამყაროს, სადმე შორეთში,
სადაც სიყვარულს პატივს ცემენ დიდი ძალებით!

***

და გაზაფხულის სურნელობა ტანზედ ემოსა,
სიო რომ ქროდა ჩემს სარკმელთან მიუსაფარი,
და მეც შევიგრძენ მთელი ძალით ყვავილთ სურნელი,
რადგან მეც ვიყავ, ჰო! ქარივით მიუსაფარი.

და გაზაფხული ჰგავდა ნისლებს

მზე ფანჯრის რაფებს წამოწვა მშვიდად,
იისფერ სურნელს ქარი არხევდა,
და მოგონება შორეულ ზღაპრის,
გულის სარქველში ღამეს ათევდა.
იფურჩქნებოდა ველად ასკილი,
მთებზედ დნებოდა თოვლის ფანტელი,
ნაზამთრალ ხელებს მზე რომ მითბობდა,
მაგონდებოდა ჩემი წარსული.
იცქირებოდა გოგო შორიდან,
ჭრელი კაბებით გვირგვინ მორთული,
სულ არ იცოდა რას უმზადებდა,
ბედი შუბლის შრეს დაღად დასმული
და ახლა შორეთს გადახვეწილი,
იის სურნელით ხარბად თვრებოდა,
მოჩითულ კაბებს ისევ ირჩევდა,
აგონდებოდა მთელი წარსული...
არ სურდა სულაც გამოფხიზლება,
რადგან გულს ისევ წვიმა უვსებდა,
ასე ეგონა ბავშვობის ზღაპრებს
ახლაც დედისგან ისევ ისმენდა...

და გაზაფხული ქარგავდა ნისლებს,
იისფერ სურნელს ქარი არხევდა,
მოგონებები შორეულ ზღაპრის,
გულის სარქველში ღამეს ათევდა.

მზემ დაგიქარგა გულისა პირი

მზემ დაგიქარგა გულისა პირი,
ქარმა მოგტაცა მზერა მანდილის,
საპკურებელი მეგონა წვიმა,
არ დამიტოვა ზღვამაც ნაპირი.

ვუმკლავდებოდი მოვარდნილ გრძნობებს,
უნიჩბო ტივით შენსკენ ვიწევდი,
მაგონდებოდი ისევ ნარნარა,
თუმც ტალღით სველი უფრო ვიწვოდი.

აპრილი როცა გიკერდა კაბებს,
თან გიყვებოდა ათასგვარ ამბებს,
აღარ გახსოვდა ქვეყნად არავინ,
აღარც აპრილსა, ახსოვდა ღამე.

ისევ ყვავილობს ბაღში ვარდები,
და ქარიც დაჰქრის, სურნელით სავსე,
ნეტავ შენ იყო, ქარად ქუჩებში,
მომეხვეოდი გრძნობებით სავსე.

მოვარდნილ გრძნობებს გულში ვიკლავ და
დატყვევებული ვყავარ მაგ თვალებს,
ჩემი ცხოვრების მეფაიტონევ,
არ დასრულდები, სანამ ვიცხოვრებთ!

***

ისევე გაწვიმდა გულისა ღადარში,
როგორაც გვაწვიმდა მაშინ,
გემებდი დარჩენილ კადრების ნაზავში,
მეგონა გნახავდი მასში.

ეზოში გაშლილი წითელი ვარდია,
ცრემლობს და ჩუმად თრთის დარდით,
საიდან მოხვედი აზრებში ნეტავი,
მახსოვს რომ წარსულში დამრჩი.

ხელებით ვეხები ზეცას და დაგეძებ,
ღრუბლიან ზეცაში, ნამში,
არ მინდა დამთავრდეს ეს წამი უცებ რომ,
რადგანაც შენა ხარ მასში.

გრძნობები გადივსო თასში და ამრიე,
ფიქრებში მოხველ და დამრჩი,
არ სჩანდი გაცრეცილ ფურცლებში გეძებე,
გიპოვნე დაცვარულ ვარდში.

ხელები ჩამკიდე ხელებში ისევე,
შევცუროთ ორთავემ ზღვაში,
არ მინდა დამთავრდეს, ეს წამი, არ მინდა,
რადგანაც შენა ხარ მასში!.

კორდებზე ღიმილობს მზისფერი გვირილა,
ყვითელ გულს ანათებს ცაში,
ყაყაჩო გიყვარდა მახსოვდა ჩემო და,
გიკრიფე ნაწვიმარ ბაღში.

მომაქვს და მოვდივარ! ზღვა მოლოდინებით,
გამოდი კართან ვარ, კარში,
არ მინდა დამთავრდეს ეს გრძნობა ისევე,
როგორაც დამთავრდი მაშინ.

ჩემო თბილისო

ცად აციმციმდა ვარსკვლავი ისევ,
ღამემაც ნისლი გადაიფანტა,
,,თბილისო ჩემო, ნეტავ მაგ ცრემლებს ,
მზის სხივით როდის გადაიქარგავ".

მთაწმინდის მთვარე ჩამოჯდა მტკვარზე,
სხივებს თან გაყრის მოსაფერებლად,
და ანცი ქარი როგორც ყოველთვის
ჭადრებთანა ზის მოსათევებლად.

ვდგავარ ღამესთან მუზებით ხელში,
და გრძნობით სავსე ფიქრით გიცქერი,
მეც მთვარესავით მამუნჯებ ისევ,
და ცრემლით სავსე მტკვარში ვიქცევი.

ჩემო თბილისო, თვითონ ვარსკვლავო,
ცად აზიდულო გუმბათებითა",
იციმციმე და არასდროს ჩაქრე
როგორც ყვავილი გაზაფხულისა...

მაკა ღიბრაძე

პრინცი

ოცნებებში დამალულა,
ვუხმობ, მაგრამ მაინც არ ჩანს,
ხან დუმბაძის "ლიმონას" ჰგავს,
ხანაც ინგას კუკარაჩას.
იმ ბავშვობის ია არის
და თავთუხის ოქროს ყანა,
ძალამ, გრძნობის ნიაღვარის
მწვერვალებზე ამიყვანა.
იმ ამურის ისარია,
გულში ღრმად რომ გაიარა,
ის ქარია, გაზაფხულს,
კაბა რომ ამიფრიალა.
რაც კი წამწამს უცელია
ჩემი ცრემლი, არნახული,
თეთრი ვარდის ფურცელია,
გალას წიგნში შენახული.

ერთგულების არის ფიცი,
ერთხელ სიზმრად გაგონილი,
ასეთია ჩემი პრინცი,
პრინცი, ჩემი მოგონილი.

***

მჯერა,გამოიდარებს,
მზე ქარაფებს ეწვევა,
ვერ გავუძელ იარებს -
ლექსი შემომეწერა.
ცხელი ცრემლით ვტირივარ,
მიმზერს, ვარსკვლავთ კრებული,
საქართველოს შვილი ვარ,
სხვაზე გაშვილებული.
ბედის ირონიაა
აწმყოცა და წარსულიც,
ვისთვის კარი ღიაა,
ვისთვის გადარაზული.
ჩაიქროლებს დრო, როცა,
მომიშუშებს იარებს,
იმათაც კი დავლოცავ,
გულზე რომ გაიარეს.
გულნატკენი, ყველაზე,
ამ ყოფით დაღლილი ვარ,
საქართველოს პერანგზე
აწყვეტილი ღილი ვარ.

***

მთვარეს ვერ მოვტაცე თვალი,
ღამე მიყვებოდა ზღაპარს,
როგორ აცეკვებდა ქარი
მუხლებს გამოქცეულ კაბას.
გედი, ამოსული წყლიდან
როგორ დაემგვანა ასულს,
ცრემლი, სპეტაკი და წმინდა
როგორ ჩააბარა წარსულს.
ვაჟს რომ მოარიდა კალთა,
ვინც რომ აცდუნებდა ფიცით,
იდგა, ვიღაც ქალი კართან,
იყო თურმე ცოლი მისი.
მოვიდა გლახაკი, ვიღაც
ნამუსს ყიდულობდა გროშად -
იყო ეს, სიზმრების მიღმა
და მერე, ზღაპარიც მორჩა.

***

მეგონე დიდი - ცის კაბადონს ხსნიდი ხელებით,
იყავი უცხო, შორი იყო შენსკენ სავალი,
როცა თვალებში აელვარდნენ ცისარტყელები
მოდი - გიხმობდა ჩემი ბაღის იასამანი.

ცხოვრებამ ისე ჩამიქროლა, ვით ელმავალმა,
ისევ გავყურებ უსასრულო ფიქრთა ლიანდაგს,
არ უყვარხარო - გამაფრთხილა მაშინ მავანმა,
მაინც გელოდი, მაგრამ ძლიერ დაგაგვიანდა.

გავიზარდე და თავად შევწვდი ზეცას, ხელებით,
შეხვედრას ცდილობ - თან რარიგად გამითამამდი...
რომც მისახსოვრო მთელი ზეცა, ცისარტყელებიც,
მე გავიზარდე უკვე, შენ კი დაპატარავდი.

* * *

მაღლით დაგვცქერის მთვარე, მდუმარე,
ვარ შენი მკლავით შემორკინული,
თვალები აყვნენ ვარსკვლავთა თარეშს,
სულში დათბა და დადნა ყინული.

შეშფოთებულან ჩემი თვალები
და უპეები ცრემლით მევსება,
მამშვიდებს, შენი მძლავრი მკლავები,
თითები - ყელზე მეალერსება.

დაგვნათის ღამე, თავს, უჩვეულო,
მტრედისფერ შუქთა ნაზი ნათელით,
ბედნიერი ვარ, ჩემო რჩეულო,
თუმც სიზმარია ეს ყველაფერი.

***

ვხედავ ყმაწვილს ლაყაფისტს,
მგონი გაილახება
დარდი არ აქვს არაფრის
კაცი მოილახვრება.

როგორ უყვარს ბასრობა
თვალებში აქვს შური,
აღარ შერჩა კაცობა
გაყინვია გული.

აგერ, ერთი კილიკა
ჭკუა არ აქვს თავში
ბუშტებს ისვრის პირიდან
მაცაცერა ბავშვი.

ყურზე თითებ დაცული
მათ ბასრობას ვერ ვიტან
მე, ჰატარა ასული
ვხტები მატარებლიდან.

***

შენ იყავ ჩემი მზე და
შენ იყავ ჩემი მთვარე ,
ხან სიხარული სევდა
ფიქრში დაღლილი ღამე.

იმ ცრემლისა ხარ წვეთი
თვალებს რომ მიკოცნიდა
და სიყვარულის ღმერთი
ჩვენ ორს გვლოცავდა ციდან.

ის სიყვარულიც გაქრა
ცამ ჩაიქნია ხელი
ვდგევარ გაღებულ კართან
სულ სხვა გაზაფხულს ველი.

ნანა ყალიჩავა

წვეთი

მე პოეზიის ვრცელ სამყაროში
ალბათ დიდი ზღვის ვიყავი წვეთი,
მიადვილებდა მაინც ცხოვრებას,
რის შეწდომასაც გულწრფელად შევწვდი.
მსურდა შეეგრძნო ფურცლის თეთრ სივრცეს
ვერგამოთქმული ფიქრები მუნჯის...
ვით აღსარება სულს რომ სწყურია,
მაგრამ მოძღვართან მისვლა რომ უჭირს .
როგორც ქარები, გაცოფებული,
ხეებს უმსხვრევენ უფოთლო ტოტებს
და გაბარცვული ზამთრისგან უღვთოდ
დღეს უცრემლოდ და უსიტყვოდ გოდებს.
მაინც გადარჩა ჩემში ის ქალი,
ვინც ლექსის სიოს შეძლო ჩასუნთქვა,

ვინც სულ უდაბნოს გზებს მიკვალავდა
და დანებება ბედთან არ სურდა
გზები რაღაცას ბადებენ ჩემში,
ვინ იცის ამ გზებს საით მივყავარ,
როგორც ლოცვები, ჩუმად ვჩურჩულებ,
სამყაროც ჩემო, როგორ მიყვარხარ!

დამიძახე

ყველა ემიგრანტისო, უფალო, გევედრები წინაპართა
ადათ-წესი, რწმენა აღარ დამავიწყო.
მიწის გულში იმედად რომ მეგულება,
ქართულ ფესვებს არასოდეს არ მომწყვიტო.
სამშობლოა, სადაც ვცხოვრობ, დავიბადე,
სადაც ფეხი ავიდგი და გავიმაგრე,
მეც ხომ შენი ფესვის ამონაყარი ვარ,
შენს თბილ მკერდზე, როგორც ღილი, დამიმაგრე.
მე ვამაყობ ჩემი ჯვარით, ჩემი რწმენით,
ჩემი ბრძენი წინაპარი სადაც იშვა,
მომეც ძალა, რომ ცდუნებებს აღარ ავყვე,
სხვაგან ბედის საძიებლად არ გამიშვა.
თუკი ხშირად გული მწარედ მეტკინება,
ჩემს მიწაზე თავშესაფარს ვერსად ვპოვებ,
არ გამიშვა, ამატკიე ჩემი ფესვი,
შემახსენე; სხვა სამშობლოს ვერსად ჰპოვებ!
უშენობის სევდას ვეღარ გადავიტან,
უშენობით კარგად არსად არ ვიქნები,
დამიძახე, გთხოვ, დედის ხმით დამიძახე,
თუ ოდესმე ამერია ნაბიჯები.

***

ეს მე ვიყავი მამულის დედა,
მე ოჯალეშის ლერწებს გირგავდი,
აკვანს გირწევდი, გოლუაფირო,
შენ გაღმერთებდი და შენ მიყვარდი.
შენი ლეგენდის გმირებს ვეძებდი,
შენი წარსულის ვიყავ მეზღაპრე,
გეძებდი ყველგან ზღვაში, ხმელეთზე,
და ვგრძნობდი ერთხელ უნდა მენახე...
ძარღვებში შენი სისხლი მიჩქეფდა,
მისახვედრელსაც შენით ვხვდებოდი,
მე შენი გენის ძახილი მერქვა
და შენს ნაპირებს ვეხეთქებოდი.
მეწურებოდი გულზე ზედაშედ,
შენ მიჯანყებდი სისხლს და გონებას,
მიკიჟინებდი ტკივილთ გაძლებას,
არდაცემას და არდამონებას.
არც მე ვყოფილვარ მონა, მშიშარა,
თავიც არასდროს არ დამიხრია,
ქართველი ვარ და საქართველოა
ჩემი ლოცვა და ჩემი ბიბლია.

ვედრება

ო, გვედრი უფალო, აღარ მიმატოვო,
შენი ჯვრითა და ლოცვით მეცისკროვნე,
შენდამი რწმენა ცემი ჯეგბირია,
ჩემი სიბრძნეა და ჩემი მეციხოვნე.
მინდა აღსარება გულწრფელად მოგიყვე,

რაც ვეღარ გითხარი, რაც დამრჩა უთქმელი...
მე მოვინანიე, დუმილსაც დავარღვევ
და შენთან ვიქნები ბოლომდე გულწრფელი.
ღმერთო, მიკარვე შენი თბილი კალთა,
შენი სიყვარული ლოცვად მაბარია,
უფლისადმი რწმენა, მირონი და ჯვარი,
ჩემი ბიბლიაა, ჩემი ტაძარია.

გიჟის პერანგი

ამაღამ ალბათ არ დავძინებ,
აღარ გავიშლი ფარდაგს საძილედ
და ერთხელ კიდევ ფრთხილად მოვზომავ
ისევ გასავლელ გზებს და მანძილებს.
დღეები, ასე ვერცხლისფერი,
ისევ სიცხიანი ლექსებს მაბოდებს...
და მაინც ავკრეფ თეთრი კლავიშებზე
ჭკუიდან შემშლელი ბოლი აკორდებს
დავუდარაჯებ მზეს განთიადზე,
იქნებ მოვპარო სხივი სამკერდე,
წამოვიშლები ზღვებზე აფრებად,
რომ გადარეულ სიზმრებს დავნებდე.
სანამ მერწყული ბობოქრობს ჩემში,
ისევ მივდივარ გიჟურ დინებად,
მე მოვაგროვებ სითბოს, სიყვარულს
და დავიკიდებ ყელზე მძივებად.
თვალსაწიერი ჯერაც მოჩანს და
მომნატრებია მოსვლა შენამდე,
სანამ მაცვია გიჟის პერანგი
და ქალი მქვია ბოლო გენამდე.

გადაკვეთის წერტილი

მე გადაკვეთის ვიპოვე წერტილი,
პულსი საოცარი სიჩქარით მიფეთქავს,
ლექსები მაჟრჟოლებს გენებს მონასხლეტი
და სისხლი ველური საფერთქლებს მიხეთქავს.
ეს სული უფალს და ანგელოზს მორჩილებს,
კაბებად მაცვია ფერები ლაჟვარდის,
სხეულზე რითმები ამდიან ნისლებად
და ეს გაზაფხული ლექსებად მაბარდნის.
სივრცეებს ჩავუმსხვრევ მიხურულ დარაბებს,
შორს, სამყაროს მიღმა, გადავიჯირითებ,
მე ქვებზე ნარბენი მდინარის ტალღა ვარ,
კალმახი ლექსად რომ მაყრიდა ქვირითებს.

ვეღარ ავკინძე

რა ციცაბოა ეს აღმართი და რა საშიში,
მაინც მივყვები, ვითომ გულში დარდს არ ვიკარებ.
შემომეძარცვა იმედები, ვით ხეს ფოთლები
და შიშველ სულზე ჩემს სევდიან ლექსებს ვიფარებ.
ვერ დავემალე ცივი ზამთრის სუსხიან ქარებს,
უხეში ხელით რომ შემიხსნა თეთრი საკინძე,
სადღაც გამებნა მძივებივით ნაოცნებარი
და სული ჩემი ხელმეორედ ვეღარ ავკინძე.

ნანა მომცელიძე

დავკიდე მთვარე

დავკიდე მთვარე, როგორც ჭაღი გასანათებლად
აბაჟურივით ჩამოვკიდე თეთრი ღრუბლები,
ჩემი ფიქრები დამენანა ასალაგებლად
რადგან სიცოცხლის ნახევარი ამას ვუნდები.
დავკიდე მთვარე და ვიფიქრე გასალაღებლად
ნეტავ რად უნდათ ავი ზრახვა, ავი ფიქრები,
ან რად იხდიან ამ ცხოვრებას დასამადლებლად
ვფიქრობ და ჩემთვის, უხმაუროდ, უკვე ვგიჟდები.
რა გემართებათ, ხორციელნო, რა გემართებათ
ნუთუ არ გესმით საოცარი სულის კივილი,
არ გეკადრებათ, ქართველებო, არ გეკადრებათ
სამიდღემჩიოდ სხვების ლანძღვა, სხვებზე ჩივილი.
მოდით დავკიდოთ ბადრი მთვარე გასანათებლად
აბაჟურივით ჩამოვკიდოთ თეთრი ღრუბლები,
ჩვენი ცხოვრებაც წამია და წამში მთავრდება

იქნებ ცის გულში ჩავაქსოვოთ ჩვენი გულები.
დავკიდე მთვარე, როგორც ჭაღი გასანათებლად
აბაჟურივით ჩამოვკიდე თეთრი ღრუბლები,
ჩემი ფიქრები დამენანა ასალაგებლად
რადგან სიცოცხლის ნახევარი ამას ვუნდები.

მე მიყვარხარ

ჩემს ტკივილებს სიყვარულად შემოუჩნდი
აპრილები ააფეთქე კვირტებში,
გაზაფხულად ჩემს სულს მხოლოდ შენ დაუცდი
ვარსკვლავი ხარ ამდენ ზღაპარ-მითებში.
ეს ცხოვრება ნარინჯისფრად დამანახე
სიყვარულად ჩამეშალე ფიქრებში,
ტკივილები ჩემთან ერთად გადალახე
სალბუნი ხარ ამდენ ტყვია-ისრებში.
სულს ღრუბლებში სილაჟვარდე მოენატრა
ეს ოცნებაც მხოლოდ შენი ბრალია,
შენ გიყვარვარ, ამის მეტი რა მენატრა
მეც მიყვარხარ, თანაც უკვე ძალიან.

რას ნიშნავს

რას ნიშნავს,ამქვეყნად არ მიყვარს ზამთარი
რას ნიშნავს,გავურბი შორს დამზრალ ხეებს,
ავფურცლე,ავშალე ეს სულის დავთარი
და იქ წავიკითხავ თბილ ზამთრის დღეებს.
რას ნიშნავს ამქვეყნად არ მიყვარს ზღაპარი
პირიქით, ზღაპრის გმირს ვაცოცხლებ ტყეში,

ასეთი ლამაზი კონკია სად არის
რომელიც ვიპოვე მე ახლა ჩემში.
რას ნიშნავს არ მიყვარს თოვლი და ნაცარი
ბუხრის პირს წარსულის პირსავსე სკივრი,
არ ვიცი ამდენი ამბები სად არის
გულიდან ცეცხლივით გარეთ რომ ვისვრი.
და გავა ზამთარი, კვლავ მოვა აპრილი
გული კი ივიწყებს სიცივეს, ყინვას,
აღარ თქვათ რომ ზამთარს არ მოაქვს ნამდვილი
აპრილის თოვლი და ეს სიტყვა "მიყვარს".

დონ ჟუანი

ოპერის თეატრში იდგა დონ ჟუანი
მოცარტი გმინავდა, ანგრევდა კულისებს,
მოდი ჩამოვიდეთ ყველამ მაზიანი
ეს კაცი ამაღამ სხვა ქალსაც უმიზნებს.
აქეთ კაზანოვა, იქით ონეგინი
პუშკინს და ბაირონს გაჰქონდათ ქირქილი,
ბოლოს "ქვის სტუმარიც" ჩვენთვის მოვლენილი
როგორც სულიერთა დარდი და სირცხვილი.
ოპერის თეატრში ორკესტრიც გმინავდა
სირცხვილი როკავდა სცენაზე მალიმალ,
ეს დონ ჟუანი კი ნამუსსაც წირავდა
მათთვის, ვინც ეტყოდა"მე შენი ქალი ვარ".
რამდენი კაცია დღესაც რომ ვუყურებ
ქალს რომ ეფარება საცვლების უბეში,
ასეთ კაცს არავის, არავის ვუსურვებ
სადაც არ დაგხვდებათ სითბო და ნუგეში.

ოპერის თეატრში იდგა დონ ჟუანი
მოცარტი გმინავდა, ანგრევდა კულისებს,
მოდი ჩამოვიდეთ ყველამ მაზიანი
ეს კაცი ამაღამ სხვა ქალსაც უმიზნებს.

უენო ღამე

მზე ჩაიფერფლა, გადაიწვა, გული აალდა
გაცისკროვნებულ ვარსკვლავებში აენთო მთვარე,
ეს სიყვარული იმ მზესავით გაქრა, გათავდა
და ჩემი გახდა იდუმალი, უენო ღამე.
მე ხომ არ მსურდა დაღამება, მე ხომ არ მსურდა
ცხოვრების ფერხულს ვერ ავუწყე ფეხი ტიალი,
შენ გინდა, მაგრამ შენს იქით რომ უფალს არ უნდა
ვერ გადალახავ, როცა გჯაბნის ორომტრიალი.
ჩემო სიცოცხლევ, გთხოვ, შენ მაინც არ მიმატოვო
ჩემო სიკვდილო, ცოტა ხანი მაცალე კიდევ,
სულო დაღლილო, ტკივილამდე არ იმარტოვო
ისევ აღზევდი, ჩამოშორდი უფსკრულის კიდეს.
მთვარეს მოვტაცე ანარეკლი ჩემი სხეულის
უკან გავყევი ჩრდილად ქცეულ საკუთარ ნებას,
თითქოს დავეცი მუდამ ზევით ასვლას ჩვეული
რადგან ავყევი უაზრობას და მარტივ ვნებას.
მზე ჩაიფერფლა, გადაიწვა, გული აალდა
გაცისკროვნებულ ვარსკვლავებში აენთო მთვარე,
ეს სიყვარული იმ მზესავით გაქრა, გათავდა
და ჩემი გახდა იდუმალი, უენო ღამე.

სულის განგაში

სწორუპოვარი შემართებით მოვილტვი შენსკენ
მოხიდე მშვილდი, სანამ ღმერთი ყველაფერს ხედავს,
რა დამრჩა ნეტავ გზა სავალი ხვალინდელ მზისკენ
სიკვდილის ცელი მზის სხივების წართმევას ბედავს.
ცხოვრებას ვუსპობ ცისფერ ღრუბლებს ბედისწერისას
სულის განგაში მოეძალა ციმციმა ნერვებს,
გუაშით ვხატავ სულის ფერებს ჩემი ფერისას
მაგრამ სითეთრეს ვერ ვერევი, ვერ ვურევ ფერებს.
არანამდვილი სინამდვილე გამიჯდა ძარღვში
ჯვარცმაა ის ხსნა, რაც დაშანთავს დამბუგველ ცეცხლებს,
ღვთიური ფერი ქარბორბალად ტრიალებს თავში
და ელოდება გაზაფხულზე ფრთხიალა მერცხლებს.

ფიქრი

მოგონებათა ტახტრევანზე დაბრძანდა ფიქრი
ბინდი, ქაოსი მოეძალა წარსულის ფერებს,
ნება ჟამისა დაევანა და მოდის თითქმის
დატყვევებული, გზებშეკრული აცეცებს ხელებს.
აკივლებულა უშენობა ნაწვიმარ გზებზე
ნაწვიმარ ვერხვებს დასდებია ჯანღი და ნისლი,
დღეს დიონისე ჭიქას ასწევს, დაიდგამს მხრებზე
და დაითრობა ქანცგაცლილი, დაღლილი ფიქრი.
წვიმის წკეთები ნაწილ-ნაწილ იკვრება თვალთან
ბახუსით მთვრალი თვალებიდან იშორებს ნისლებს,
თუ მართალი ხარ და ალალი საკუთარ თავთან
მაშინ უფალი შენს ნაფიქრსაც ყოველ წამს ისმენს.

მარი კუბლაშვილი

როცა დავბერდებით

როცა დავბერდებით, როცა გავთეთრდებით,
როცა მოგონება დაგვათოვს...
ისევ ავმღერდებით, ისევ ავღელდებით,
თითქოს დღეს იყო და არ გვახსოვს...
ბევრი ათეული წლების წინანდელი,
ჟინი ყმაწვილური, სიგიჟე...
მერე ათასგვარი ბედის ქარტეხილი,
დარდი, სისუსტე და იგივე...
რაც ბევრს დამართნია, გზა რომ არევია,
გვიან სინანული განვლილზე,
მაგრამ სიყვარულის ძალა გვეწეოდა,
მაინც დავიბრუნეთ ქარვის მზე.
ახლა თუკი გინდა მოდი და დავბერდეთ,
ერთად გაგვითეთრდეს ბარემ თმა,
მაინც გამოვატან შენთან ლექსებს სათქმელს,
რადგან ასეთი მაქვს გულისთქმა.

წლებმა დაგვაბეროს, წლებმა შეგვაბეროს,
დაე, რაც ვიცხოვროთ, წლებმა თქვან!
ჩემთვის სულერთია, მართლა სულერთია,
რაც სურთ, კვლავ იგი თქვან სხვამ და სხვამ!

გპირდები!

ჯერ წინ იქნება ბევრი დღე და ბევრი აპრილი,
ჯერ კიდევ ბევრჯერ შემოგიღებს სინანული კარს,
და ის წუთები, შენგან უკვე პატივაყრილი,
დაგწვავს და მაინც ვერ გაამხელ, როგორ ძლიერ გკლავს.
იღიმი? მერე რა, თუ ახლა ამას სხვა მამცნობს,
მერე რა, თუკი შეკითხვაზე ისევ ფითრდები,
იცი, ძვირფასო? შენი ერთი ღიმის სანაცვლოდ
ხვალ ათასსა და ათი ათას ღიმილს გპირდები!

***

ამაღამ ბოლოჯერ დავწერ-თქო ტკივილზე,
ვასწორებ აქამდე ცრუ, შეთხზულ ეპილოგს,
უსულო ღამეა, როგორც დღეს ცივი მზე,
და ვფიქრობ სიტყვებიც არ უნდა გეტკინოს.
მივუშვი ნებაზე გული და გონება,
დამღალეს იქნება ათასმა ენებმა,
არაფრად მჭირდება მე გამოგონება,
ყოველი ისეა, როგორც ღმერთს ენება.
ჩვენს შორის სიბრაზე ამომყრის გულის ჯავრს,
ჯერ ისევ მაწუხებს უაზრო ფიქრები,

მაგ გულისცემასაც თითებით გისინჯავ
და საკითხავია, კვდები თუ გიკვდები?!

შენ

დღეს ქარი სავსე ქუჩას არ სცილდება,
ვხედავ, თოვს ათასგვარი სისულელე,
მიზნამდე ბევრი ბრძოლა დაგჭირდება,
უგულოდ გამარჯვებას გისურვებენ.
ჩემთან კი აღარ ვიცი რა მოხდება,
მე ისევ ჩემს ძველ, რთულ გზას გავუყვები,
შენს გულსაც ის წუხილი აღმოხდება,
რომელსაც აღარავის არ უყვები.
დღეს ასე, და ხვალ ალბათ სხვა იქნება,
გახსოვდეს, შენთვის ვცოცხლობ უპირობოდ,
ფიქრებსაც დასტყობიათ გაფითრება,
არ ვიცი რას ნაღვლობენ, ანდა როგორ.
ქარი კვლავ სავსე ქუჩას არ სცილდება,
ხვალ მოთოვს ათასგვარი სისულელე,
მე უფრო ბევრი ბრძოლა დამჭირდება,
შენ ალბათ სხვა სიყვარულს გისურვებენ.

ცხოვრება დიდი თეატრია

ის დროა, როცა ალმოდებულს დღეს გულზე მაწვიმს...
დავღლილვარ, თითქოს საუკუნე გავლიე დღემდე,
სანამ ცხოვრება კიდევ ერთხელ სილას გამაწნის,
სანამ ჯერ კიდევ ვაწრთობ ნერვებს ცხოვრების გრდემლზე,

ისევ შენ განდობ ჩემი სულის ბოლო სიმღერას,
მარადიული წამებიდან ვიტოვებ ამ ერთს,
ნეტავ ან ახლა რას გაიღებ ჩემთვის იმდენს რას,
რომ დავუბრუნდე ხელმეორედ სიცოცხლეს და ღმერთს.
ვცილდები ყოფას... მე ოდესღაც მიყვარდა იგი,
გარეთ წვიმაა, და რატომღაც არც ერთს არ გვაწვიმს.
ცხოვრება? - დიდი თეატრია, დრამებით სავსე,
ვინ იცის, კიდევ მერამდენე სილას გამაწნის.

***

ძვლებში გაატანა მაისის მზემ,
წყალსაც წაუღია ახლა დარდი,
ის, რაც გაზაფხულზე დამესიზმრა,
მერე ზამთარსაც კი არ ვატანდი.
ერთხანს შეგაფარებ ისევ ლექსებს,
მერე სამოსივით გამოგიცვლი,
იქნებ ჩვეულებად აღარ მექცეს
ის თვე, ის წელი და კვლავ ის რიცხვი.
ჩემი ხასიათი მენანება,
შენი ჩვევები და გათანაბრებ
ყველა უნიათო შეგონებას,
რაც კი შენს საქციელს სიტყვით ანგრევს.
მერე ამ ყველაფერს დანაჩვევი,
აღარ მომინდება ლექსის წერა,
აღარც სტრიქონებში, აღარც ჩემში,
ველარ იბატონებს ბედისწერა.
ძვლებში გაატანა მაისის მზემ,
წყალსაც წაუღია ახლა დარდი,
რაღაც სასწაულად დამესიზმრე,
რაღაც ჩემებურად შემიყვარდი!

***

ვერ აგარიდე ტკივილები, ვერ გირჩენ წყლულებს,
ვერ მოგიყვანე აპრილები და დღემდე რაიც
იყო უსაზღვრო, იყო მძიმე და დასათმენი,
გამქრალა, მე კი პოეტურად განვიცდი მაინც.
თუ მოვიხვეჭე სიყვარულად დღეცა და ღამეც,
თუ ადუღებულ სისხლს შარბათი კვლავ შეერია,
გეტყვი, რომ ძველი ოცნებების აღარ მაქვს დარდი,
და რომ ცხოვრება ამბოხითაც მშვენიერია.
ხომ ხედავ, ჩემში გარდაქმნილა უკვე ყოველი,
აღარ მადარდებს ძველებურად მკლავდა რომ რაიც...
აღარც საზღვრები, აღარც ტვირთი, რომელი ერთი...
მე კი აქ ვარ და პოეტურად განვიცდი მაინც...

„ექსპრომტად"

ფრენით ვესწრაფვი იდუმალებას,
ბევრჯერ მივუშვი ბედის სადავე,
ღიმილში ცოცხლობს ვინც დუმს ალებად,
უნდა გასრულდეს, კმარა, სადამდე!
და შფოთავს ღამის მოუთმენლობა,
არ მეძნელება გოდება ახლა,
რამდენჯერ უფალს ვთხოვე შენდობა,
იმდენჯერ შვებად შემომისახლდა.
კვლავ უცოდველი ჩნდება სიშიშვლე,
სიტყვის გარეშე მწვავენ ეჭვები,
გზადაკარგული წამი ვიშიშვლე,
უფსკრულის პირას დგომას ვეჩვევი.
შენ რომ იცოდე, შენ რომ იცოდე...
რასაც დავეძებ, როგორ მეშორვის,
ეს არც ჯვარცმაა, არც ზეიმია,
სიყვარულია დიდი ჩვენს შორის!

ლალი კორთავა

***

იცით, ნახევარი საუკუნის გავლიე დღენი.
სარკეში ვხედავ, ნაოჭები შემომტირიან
წლებმა ვერ შესძლებს დაემალათ ღიმილის კვალი
დაბადებიდან სიყვარულის გზებით მივლია.

მიყვარს ფიქრები, ცრემლიანი ლოდინი ღამის.
თვალებთან ახლოს გადაშლილი თეთრი ღრუბელი..
ლექსები მიყვარს, პოეზია, ნატიფი მუზა
და წელიწადის ლამაზ დღეთა ტკბილი სურნელი.

სიცოცხლეს შევტრფი, ამისათვის მადლობა უფალს
მადლობა დედას, წასულ მამას და მათ დიდ ამაგს.
ჩემს გულისგულებს მინდა გითხრათ ძლიერ მიყვარხართ
და ჩემი ჯვარი სალოცავად უფალთან მიმაქვს!

***

ადამიანი თვალცრემლიანი, ღიმილიანი,
მიყვარს, გულწრფელი, სამართლიანი,
კეთილი, სანდო, ხალისიანი...
მიყვარს ღიმილი, წრფელი მადლობა
მიყვარს თვალებში ღმერთის ჩადგომა.
რა ვქნა? მახარებს მე თავმდაბლობა
მიყვარს ლოცვა და ღმერთის აღდგომა .
მიყვარს სიცოცხლე, ბედნიერება
მიყვარს უფალი და ათი მცნება.
მიყვარს სინათლე ტაძარში სანთლის
მიყვარს სიკეთე და სულის რწმენა.
მიყვარს უბრალო ადამიანი.
მიყვარს! მიყვარს და გითხარით რატომ.
მინდა ვიცოცხლო, ვსუნთქავდი დიდხანს
ყველას ვეფერო ვინც გულით მიყვარს!

***

შენ ისეთი ძვირფასი ხარ წმინდა,
შენთან ერთად სიყვარული მინდა.
გაბრწყინებულ მთვარეს ველოდები
დამიბრუნდი უფალს ვევედრები.
შენთან ერთად დამათენდეს მინდა.
შენთან ერთად ნეტარება მინდა.
შენთან ერთად, გაღვიძება მინდა.
შენთან ერთად, დაბერება მინდა..
ერთგულებას დაუკარგავს ფერი
გადავფურცლე მონატრება მწველი,
დამეუფლა უშენობის სენი
სიყვარული აღარ არის წრფელი.

დამეკარგა გრძნობა ალისფერი
იცი? მხოლოდ ლექსის წერა მშველის.
ვიცი, არ იქნები ჩემი
და გედივით სიკვდილის წინ ვმღერი...

***

ცხოვრება - სცენაა დიდი
სიცოცხლის ხალისი, რწმენა და რიდი
ტკივილი, ფიქრი და ღამის ბინდი.
ლაღი ოცნებით ნაგები ხიდი.
ცხოვრება - ბრძოლაა დიდი.
სიკვდილი, ცრემლი და პანაშვიდი
უძილო ღამე, შვილებზე დარდი
ხან ბოროტება, ხან ია-ვარდი.
ცხოვრება - ღუზაა დიდიიი
ფინიშთან მისვლა და მონაგარი
ნიღბების ტარება, კეთილი ზღაპარი
გვიყვარდეს უფალი ესაა მთავარი!

***

მომნატრებია უკუნი ღამე,
გალაქტიონის მთვარის დუდუნი.
ის სიყვარული მომნატრებია
ტკივილის ცრემლებს რომ დამავიწყებს...
გრძნობის ბადეში თუ გახვეულხართ?
და მოთმინების ფიალა გისვამთ?
დალოდებიხართ ტრფობის იმ განცდას?
სიცოცხლის სურვილს რომ გიხალისებთ?
რა დამავიწყებს სიყვარულს ლამაზს
გრძნობების მითებს ჩემში ჩაბნეულს
გრძნობა ზღაპრული დღეს მე მოვკალი
და მოგონების ცეცხლში ჩავიწვი...

***

მაცალე სიბერევ, ნუ მიჭერ მარწუხებს.
ჯერ კიდევ ბევრი მაქვს უფალთან სათქმელი.
არ მითხრა, რა გზებით, საიდან მოვედი,
მაცალე ცხოვრების ჩამოდნეს სანთელი.

მადროვე სიბერევ ნუ მითვლი ჭაღარას
,,ღიმილის ნაოჭებს" მზერაში ჩავკარგავ,
მაბრძოლე, მალაღე და დარდი მაკმარე
მაშორე თვალებთან სევდა.

კარგ მთქმელსაც კარგი გამგონე უნდა
სიცოცხლეს უნდა შველა
ხელი ჩამკიდეთ, არსად გამიშვათ.
მიყვარხართ, მიყვარხართ ყველა!

***

ვტანჯულობ ლოდინით, ზიზღით, კამათით.
ნაკლები ღიმილით, გულის ტკივილით.
ვიღლები სიცრუით, ტირილით, ღალატით.
შურისძიებით, გულზე გადავლით..
უსამართლობით, ავადმყოფობით.
ფიცის გატეხვით, რწმენის დაკარგვით.
ზურგის შექცევით, ზიზღის შენახვით.
ცოდვის დამალვით, სიტყვის გადათქმით.
სხვისი გაწირვით, ხალხის დაღუპვით.
როლების თამაშით, წვრილმანზე კამათით
მოყვასის ტკივილით და სულის კივილით...

ნელი სანებლიძე

***

მარგალიტებად გაშლილა გულში,
ზღვა სიყვარულის, წრფელი, ბუნება..
უკვდავი სული, უხმობს სურვილებს
და სიხარულით, ესალბუნება..

ადამიანის გულის სიკეთეს,
ვერც ვერაფერი ვერ შეედრება..
წარსულს ვერ წაშლი, აწმყოს ფერებით,
ფიქრი, მომავალს შეეგებება

***

ნატვრით ვხვდები ღიმილებს,
სიყვარულს ვეზარები,
სანამ ქვეყნად დავდივარ,
არც მიწას ვეზარები..

მერე როცა დრო მოვა,
ცას ვერ მივეკერები,

სითბოს ყვავილად დავრგავ,
იმედს, დავესესხები,

და წავიღებ იმ ქვეყნად,
რასაც რომ ვეფერები,
ჩემეული გრძნობებით,
ცის და მიწის ფერებით,

მერე წვიმად წამოვალ,
ყველას დავენამები,
გულით ვინც ამიკინძა,
სულში, მარგალიტები..

დავნამავ..

უკვდავო სულო, მარადიულო,
გაგრძელება ვარ, მე შენი ფიქრის,
კენტავრის ვალი, დამაქვს ზეციდან,
გზას გამინათებს - მერანი-თეთრი..

დავნამავ რიდით, ოცნებას ქალში..
სიკეთისფერებს, შევაბამ ეტლში ..
მთის სურნელს, ხარბად შევისუნთქავ და
ნისლისფერ კაბით, გავქრები ცაში..

ჭრელი რვეული..

ბევრი დღე-ღამე შეხიზნულა, ჩემს ჭრელ რვეულში..
რამდენი სითბო, დარდი, სევდა, შემოსევია..
ვუყურებ ვხვდები, თითქოს სუნთქავს, ყველა სულდგმული,
ლექსებს შორეულ, არშიად, რომ შემოვლებია..
რაც არ მომწონდა, ან არ მომწონს,ვებრძვი, ვამარცხებ,
ვმარცხდები ხანაც, უძალობა,თუ მომერია,
ეთან ,,ხელს მაშველებს,, საიმედო მოგონებანი,
სულის კარს, ერთგულ ნათითურად, რომ დამჩნევია..

შემოუნახავს ყველა ჩქამი, გულის სასანთლეს,
რაც ნათელია, რაც არ ცვდება, რაც ნამდვილია
და ადვილდება შეგუება, იმ სინამდვილის,
რაიც სიცოცხლეს გზასავალად, რომ დარჩენია..

ნიავს ფიქრაშლილს, აუფურცლავს ჭრელი რვეული
და დილის მადლით მოგონება, დაუნამია..
ნისლიან მთებში შეყუჟულა, მშობლიურ განცდად,
სიყვარულისფერ მოლოდინში - ცის მისტერია..

***

გავლენ თვეები, ახლა და მერეც..
აშრიალდება, ოქროს ფოთლები,
შენ შეირხევი წარსულზე ღელვით,
გაგეღიმება, მაშინ მიხვდები-
გივლია იმ გზით, რომ დაეძებდი?
ესაა სუულ? და შეცბუნდები..
თვალს გააპარებ ცის კიდურისკენ..
ზეცას მისწვდები- აღიარებით

და გაოცდები..მოკლე ყოფილა,
წუთისოფელი.. ისევ ფიქრდები,
და შენ იცვლები..მერე შემოდის,
უცხო ფერები.. ძველი განცდილი,
დასაბამიდან- სიახლეების განმეორებით..
განმეორდები? წარმოსახვებით,
აშრიალდება მწვანე ფოთლები,
სურათ ხატები, მომავალ დღეთა..
იფრთხიალებენ ხეზე ჩიტები..
რა საოცარი განცდით ბრუნდები..
ლოდინი კრთება, მარადიული
მდინარებებით.. ანგელოსივით,
მშვიდობა მოგაქვს, მშვიდი ფიქრებით...

ბედისწერის საფეხურები

ჩემი სიჩუმე, ჩემი სიტყვა, არა ჰგავს შენსას,
ისინი მე მგავს და მივყვები, ჩემს ბედისწერას..
ორთავე სულის ტკივილია, იცანი განა?
იმქვეყნად მათაც გავიყოლებ წარვიმძღვან თანა..

რაც გამიხარდა,ან მეწყინა ისიც ჩემია,
იმათაცა აქვს დარქმეული, თავის სახელი..
ტკივილთათმენის, გარინდების, დამდგარა ჟამი,
სტრიქონებს უკან შევაყუჟე, მთავრად სათქმელი..

ყოველგვარ ყოფას, მისებური აქვს გამართლება,
სწორედ იმ მიზეზს ეგებება მწარე, ნაღველი..
მარადიული არა არის ამ ქვეყანაზე და ნატვრა -
ლოცვით ანთებული, სასწაულს ველი..

მაშფოთებენ..

ზოგჯერ სიცარიელე,
სულში მაჯლაჯუნები,
დაღლილ უსასრულობის,
მისტიური ურვები..

მოგონების ფარფატი,
რუხი ღრუბლის ნახატი,
მიჰქრის, არას გკითხავს და
მოუთმინო-სანამდი..

დაორთქლილი მინების,
სევდიანი წვიმები,
უსაშველო სიშორით,
გარითმული სიტყვები..

ადევს კლიტე მოლოდინს,
აღარაა საშველი
და მომავალს სევდისფრად-
შეუყრია ფიქრები..

ნეტავი სად ვიქნები,
მაჟრჟოლებენ კითხვები..
სიკეთე მსურს და მაინც
მაშფოთებენ ღრუბლები..

სიჯიუტე მიპყრობს და
მეწამული ფერებით,
ველოდები მზის სხივებს,
მთვარეს შენაბერები..

ზაზა ფელიშვილი

იქნებ სევდაც წავიდეს?!.

„შენი ქოხუკელა ვარ, ბედნიერებისათვის!"-
ეს მითხრა საცხოვრისმა სულის დიდებისათვის.

მაქვს ავდრისთვის ბუხარი, -
საწოლ-სკამი, მაგიდა...
მცირე კომფორტისათვის
ღვთის შვილს მეტი რა მინდა?

ფრესკებთან და ხატებთან
ვცხოვრობ უფლის ლოცვებით,
ძლივს ვტევ გულში სიყვარულს
„ტიკჭორით" და „ბოცებით."

ხან-ხან ლექსებსაცა ვთხზავ, –
მათაც სიყვარულიანს,

მათ ღმერთი მაწერინებს
კაცთ არ დასაწუნიანს;

გამახარა ძალიან
ჩემმა ციხე-სიმაგრემ...
ღმერთს მადლობა ბინდისას
ჩემს ,,ბუდეს'' რომ მივაგნებ!

ჩემი ,,ციხისა'' არის
ერდოს მბოლი ეს ბოლი
და აპრილსაც ვესწრები
ორმოცდაჩვიდმეტს მგონი;

გაზაფხულის მერცხალი,
კვლავ მილოცავს მარტის თვეს...
გავიხარებ და მერე
იქნებ სევდაც წავიდეს?!

მკითხველო არ ღირს!

დილის სიყუჩემ, განთიადისამ,
ფეხსაცმლის ლანჩს რომ ნამი აჭამა,
როგორც წერტილმა კარგ დღის ათვლისამ,
ღამე მისსავე გუდით ალაგმა.

მთვარის ღიმილმა, ტრფობისმაგვარმა,
მიჯნურულ ხიბლის სიკაშკაშისამ,
დღის განცდის ეშხით იმდენს გასტანა,
შვა კეკლუც-სიამ-სინავარდის ხმა.

სილურჯე ქიშპით ნარინჯისფერთან,
ტიტან ცას ერწყმის სადიფუზიოდ,
და სამადლობელს ამ დღისას ღმერთთან
არარს კეთილი, ვინც ილუზიობს.

სდგას განთიადურ ლამაზად მთენი
სტარტი, ისეთი სირიალისა,
რომ დიად სულში სიკეთის მთებიც
ლამის დადნენ და იქცნენ აისად.

ისევ გათენდა ისე ლამაზად,---
პოეტურ სულის ისეთ ბრწყინებად,
ლექსი მოვარდეს ლამის ანაზდად,---
რითმა-მუსიკად და მზე-სხივებად.

დახტის ნიავი და დანავარდობს,
კაშნედ ეხვევა ედელვაისებს,
კოხტაობს, ლამის თავადაც ვარდობს,
ტრფობს განთიადებს და მტრობს დაისებს.

საკინძეს იხსნის სულმგუდვი ბაღჩა,---
არ გადასანსლოს კიდეც ნიავი,
და ენძელების ლირჯ-თეთრი ფარჩა
არ გადათელოს ამ ქარ-ფირალით...

სინარნარეა საგაზაფხულო
და დაბადება ნათელი ხვალის...
მზე და იმედი სამამ ზაფხულობს,
რეგრესზე ფიქრი მკითხველო, არ ღირს!

მალე დადგება აღმასვლა

ამბავი რომ გავარდნილა, ყბადაღებული შორეთში,
წალკოტ-ქვეყნის არსებობის, ორზღვათაშუა მორევში,
შეუკრებიათ ურდოებს, შუბიანნი და ხმლიანნი,
რადგან ქვეყანა სდომიათ, მთა-გორებ-მდინარ-წყლიანი.

შემოცვენილან სამხრეთით, თბილისთან მოსვლა სდომიათ,
მაგრამ დამხვდურებს იმათზე მეტი მხნეობა ჰქონიათ,
ჩაუკეტიათ ვიწრონი, ხიდები ჩაუტეხიათ,
ქვიტკირის ციხე-ტაძრები უტეხად ჩაუკეტიათ.

დამდგარა სისხლის გუბენი და „ჰკამაგასას" ძახილი,
დაფასებულა ქართული ჯარის სარდლობა, მახვილი...
დამცველებისკენ ყოფილა იღბალი ბრძოლის მოგების,
სიმღერას უნდა ეჯობნა ხმაზე დაჭრილთა გოდების.

მაგრამ ვაი, რომ ოდითგან ციხე ტყდებოდა შიგნიდან,
ასე მომხდარა გრემ-ქალაქს, მცხეთასთანა თუ თბილისთან...
გადავუწვივართ ურდოებს, გავუხიზნივართ ტყე-ღრეში,
სიკვდილ-ხანძარი უქნიათ ქრისტეს შიგ შუა ედემში.

საუკუნეებს ვერაფრით, ვერ უსწავლიათ ჩვენთვის ის,
რომ ციხის შიგნიდან ტეხვა მტრის ხმალზე უფრო ბასრად ჭრის...
და ზღვათაშუა ქვეყანა ახლაც დიდ განსაცდელშია,
რადგან ის შლეგი ღალატი კვლავ ძველებურად ჩვენშია.

დღეს „ჰკამაგასას" ჭყივილი შეცვალა „ვაი-უიამ,"
წახდენის სიომ დაბერა, არს ავად ჩვენი სულია,

მაგრამ არ არის სულ ისე, ალგეთს მგლობა არ დაიწყოს
და მტრის ჯინაზე ქართველმა აღმასვლა კვლავ არ აიწყოს.

მერე გასკდება ბოღმისან ჩვენი მიწების დამჭვრეტი,
სულ აღიგვება მიწისგან ეშმისეული ქაჯეთი,
გემოთი ტკბილი აყვება ჩვენს გვიან ნაცხობ ობლის კვერს
და ერი წინ ბევრ მარაბდას, ხრესილს, ბასიანს მოიგებს...

საით იხრება სასწორის პინა დღეს?

საით იხრება სასწორის პინა დღეს?
კვლავ ამართლებენ დიქტატ პილატეს.
ველარ ჰპოვებენ ისეთ სინათლეს,
რომ აშუქებდეს შავ-ბნელ გვირაბებს;

ვშიშობ: განთიადს დააგვიანდეს,---
ცეცხლის ხანძარი სულებს მივარდეს!
ყალბი მზე ქუჩას ველარ მინათებს
და ძალად წინსვლა ძალით მიმათრევს;

გინდა სამშობლო ისე გიყვარსეს,
რომ არა გლეჯდე არამ ფინანსებს...
თუმც გაცდენს ეშმა და ,,გაფინანსებს..."
და მერე ასე ხვალ მზე ინათებს?

საით იხრება სასწვრის პინა დღეს?
კვლავ ამართლებენ დიქტატ პილატეს.
ველარ ჰპოვებენ ისეთ სინათლეს,
რომ აშუქებდეს შავ-ბნელ გვირაბებს...

მამუკა ოჩიაური

დაჩეხილო მამულო

ასე რომ გჩეხავთ, ნეტავ რა გველის
საით გაგვრიყავს დროის ტალღანი,
ხორცი ხალისობს, სული ნაგვემი
სწუხს და წყლულზე აქვს ისევ ბალღამი.

უღმერთოების ჩამოდგა ჟამი,
ღვთისმშობლის წილხვედრს ებრძვის დემონი,
სანთელი ჩაქრა, გვიქრება კვარი
ხატებსაც აღარ მოსდით მირონი.

გათითოკაცდა ერი თუ ბერი
გვიხმება ფესვი, ჯიშის და მოდგმის
უცხო ტომელთა სიმღერას ვმღერით,
როცა დრო გვიდგას გლოვის და მოთქმის.

რა ქართველობა, რის ქართველობა
ჩაგვმახის უცხო, - გონებას გვირევს
ღალატი გახდა ჩვენი ხელობა,
გულში ნაისრალს ვგევართ ხარირემს.

გამოღვიძება და ერთად დგომა,
დღეს გადარჩენის გზაა მცირედი,
სამშობლოს ვყიდით, არ გვინდა შრომა
ვხედავთ უფსკრულის პირას მივედით.

აღსდექი ერო შეუდრეკელო,
გმირო ვაჟკაცო სახე ნათელო,
ვერ აუღებო ზღუდე კედელო
გაუტეხელო მუდამ ქართველო.

ნეტავ სადამდე ანდა როდემდე ,
უნდა ვიცხოვროთ ტანჯვა - გვემაში,
არის საშველი გზა გადარჩენის -
ერთობაში და უფლის რწმენაში

ბალღამიანი სული ნაგვემი,
ჩამონგრეულის იწყებს შენებას
ნუღარ იკითხავთ - ხვალე რა გველის?!
გეტყვით, - გაქრობა, გადაშენება.

უკანასკნელი ხატობა – ათენგენობა

ხატისკარს მოდგა მეზღვნე ძღვენითა,
აღარ ეთქმოდა ნიავს ქარობა
ხუცესმა პაპამ ტკბილი ენითა,
ჯვრის გარდასახვით გვითხრა წყალობა.

ხატის დროშაზე რეკდა ზარები,
ყველას თავისი უხმობდა ბედი
გაბრწყინებოდა მოხუცს თვალები,
სრულად მოსავდა შარავანდედი.

მისი ჭაღარა ენთო სანთლადა,
დრო ახლანდელი წარსულზე გოდებს
საკლავთა სისხლით პაპა ნათლავდა,
ხატის კოშკებთან დაწყობილ ლოდებს.

ის ასრულებდა ადათ - წესს მთისას,
მეზღვნეს უხმობდა მდგარს მიჯნის ზღურბლზე
თითით იღებდა სისხლს საკლავისას
და ჯვარს სახავდა მლოცველის შუბლზე.

დრო - ჟამს უძლებდა ხატის შენობა,
მას ზეციური ავსებდა ფერი
ყოველ წელს იყო ათენგენობა,
სანამ ცოცხლობდა აქ ხევისბერი.

მერე უკუღმა დაბრუნდა ჩარხი,
და მდუმარებამ კამარა შეკრა
ბარში გასახლდა აქ მყოფი ხალხი,
არაა ხატში მეზღვნის თავშეყრა.

დღეს აღარც დროშის რეკენ ზარები,
დღეს წინაპართა გამქრალა ჯაფა
წლებმა დაშალა ხატის კარები,
მიწამ დანაცრა მოხუცი პაპა.

ღმერთო მოგვეცი იმდენი ძალა,
რომ არ დავკარგოთ წინაპართ კვალი
გაუკვალავი არ დაგვრჩეს ჭალა,
შამბს არ დავუთმოთ ჯვარ- ჯვარის კარი!

დაგვიანებულ გაზაფხულს

დაგაგვიანდა, გაზაფხულო დაგაგვიანდა
აქადმე მოგვდევს ცივი ზამთრის სუსხი ცბიერი,
ისევ ქათქათა ფერებშია აქ მთათა კალთა,
მოგვნატრებია ამ ბუნების მწვანე იერი.

დაგაგვიანდა, გაზაფხულო მთებში შემოსვლა,
ღრუბლით და ქარით იმოსება მთათა თხემები,
მომნატრებია ველ - მინდვრების ჭრელად შემოსვა
მაგრამ, შორსაა შენი მწვანე, თბილი ხელები.

დაგაგვიანდა, გაზაფხულო მთებს მოსავს თეთრი,
გახვეულია ფრიალონი ყინულთა თორში,
აღარც ბარისკენ სავალია , ბილიკი მკვეთრი
ვით მთის კალთები ,დაფარულა ბილიკიც თოვლში.

დაგაგვიანდა, გაზაფხულო დაგაგვიანდა!

ქართველი ქალი

დარწეულა ქარში ხე და
კვლავ იღება ამ დღის კარი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი.
ნიავქარმაც არ იკადრა,
აუჩეჩოს თმა და კაბა
და სიამით დაბანგული,
ორღობეში გაინაბა.

ქალი, ქალი მზისა დარი
"გავაზივით მოქნეული",
საროსა და ლერწმის ტანი,
თავზე თავშალმოხვეული.
ძუ ვეფხვივით მოსხლეტილა
მტრისას, სიტყვაც გაუბედო
მასზე ფიქრით სულ არ სძინავს,
მომავალში მის საბედოს.
მოდის, მოაქვს სურნელება
დანამული ტურფა ვარდის,
გული მასზე ფიქრით დნება,
ზვავად მოდის ,კი არ დადის.
დაარწია ქარმა ხე და
უნანავებს ღამე ნათევს,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მზისებრ მოანათებს.
ძუ ვეფხვივით მოსხლეტილი,
არვის ამჩნევს, არვის ხედავს
სიტყვის თქმა და გულსწადილი,
დღემდე ვერვის გაუბედავს.
ხის ტოტებში როგორც სურო
ჩამოწნულა თმები ქარის,
ღმერთმა არ თქვას გაახუნოს,
სილამაზე ქართველ ქალის!
მომევლინა ამ დღის მზედა . . .
გულს სწვავს ფიქრის ნაღვერდალი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი!

ნანა ჩარკვიანი

ჩემი ბავშვობა, ბლის ტოტზე დამრჩა

ცამ გადაჰფანტა შავი ღრუბლები,
ააციმციმა, ნამი ბალახზე.
სამყარო ხატავს, საოცარ ხედებს
და გულს მიმშვიდებს, ეს სილამაზე.
ბლის კუნწულები, ჩამწიფებულან
მაგრამ ვერ შევწვდი, ასე მაღალზე.
ტოტიდან, მიცქერს ჩემი ბავშვობა
და ეღიმება, ეხლა ამ ქალზე.
ხეებზე, ისე მარდათ დახტოდა,
მსუბუქი იყო, ის ნიავქარზე.
ფიქრებში, ვხედავ პატარა გოგოს,
ჩამოხევია, კაბა მაყვალზე.
ხან მოთხუპნული, თუთით ტუჩები,
ხანაც ყურებზე, ბლის კუნწულები.
ხან,ფეხშიშველი მინდორში რბენა,

ხანაც, ჩამავალ მზის სხივთა ცქერა.
ხანაც, ფრინველთა ჭიკჭიკის სმენა,
უმანკო ბავშვის ლაღი სიმღერა.
ტოლებში ბურთის თამაში წრეში.
ჭრელი პეპლების ფარფატი მზეში.
ჭიამაი, ამინდის მაცნე
და გვირილები, ჩაწნული თმებში.
ჭიდან მზირალი, ნამგალა მთვარე
და, ჭრიჭინების, ჭრიჭინი ხმებში.
ციცინათელას ადევნებული
ციცინათელა, პატარა ქალი.
მხრებზე დაყრილი წყვილი ნაწნავი
ლოყაზე, მკრთალი პატარა ხალი.
გაწრიპულ გოგოს, ვხედავ ნაწნავით.
ცხვირთან გაჩენილ ჭორფლის წერტილებს,
დახუჭობანას ისე თამაშობს,
რომ თავს არავის დააჭერინებს.
ვერ გავექეცი, ძველ მოგონებებს,
შემოვიხვიე, წარსულის ფარჩა.
ეხლაც, დავეძებ მე ჩემს ბავშვობას,
ჩემი ბავშვობა, ბლის ტოტზე დამრჩა.

წვიმა წამოვიდა თქეში

ნისლი გაიფანტა მთებში.
ვარდებს დაუსველა კაბა,
კნუტი, გახვეულა პლედში.
წვიმა დაერიათ ვარდებს,
ისევ აიწყვიტა ქარმაც.
ვარდებს გააცალა ქანცი,

ფურცლებს აღმა, დაღმა ჰფანტავს.
ბულბულს დასტყობია დარდი,
ხმაში შეჰპარვია სევდა,
სტირის, ფურცლებ დაყრილ ვარდებს,
ისმის, მისი სულის კვნესა.
წამით, მზემ შეავლო მზერა,
ბაღში, ათინათებს აწნავს.
ცაში, ჯადოსნური ქნარით,
ღმერთი, ცისარტყელას ჰქარგავს.

ყაყაჩო

უფრიალებს კაბას ქარი
სიმორცხვისგან წითლდება,
ყაყაჩოო! შავი ხალი
იცი?, როგორ გიხდება.
წელზე ნაზად მოგეხვია,
აგაყოლა თვალი
სერენადებს გიმღეროდა,
სიყვარულით მთვრალი.
ამწვანებულ მდელოს ჰშვენი,
გულზე ღილად ეკვრები,
მეც წითელი კაბა მინდა,
კაბა მინდა, შენფერი.
ყანა იწვის სიყვარულით,
თავს გევლება,პეპლები.
გაზაფხულის სურნელი დგას,
ჭიკჭიკებენ მერცხლები.
ცეკვით თავბრუ დაგახვია,
არ ჩერდება ქარი.
ლამის წელში გადაგწყვიტა,
გაგაცალა ძალი.

მაინც დგახარ,სიფრიფანა,
მინდვრის დედოფალი.
ამწვანებულ მდელოს ჰშვენი,
გულზე ღილად ეკვრები.
მეც წითელი კაბა მინდა,
კაბა მინდა,შენფერი.

***

მე და მთვარე
ბედისწერას
გავუსწორე
მზერა და,
ღამე, ისევ
უძილობით გავტეხე.
მთვარე იყო,
ფანჯარასთან
მომდგარი,
მან მე, მე კი,
მთვარეს
სულში ჩავხედე.
ვკითხულობდი,
ცხოვრების წიგნს
ცრემლებით,
მთვარემ მითხრა,
არ გაბედო დანებდე.
მოიმარჯვე,
ცისარტყელის ფერები,
სანამ ახალ,
სუფთა ფურცელს
დაწერდე.
აფერადე, შენი ხელით

სამყარო,
არ დანებდე,
სანამ გიჭრის გონება.
ეს ღრუბლები
ისე გაიფანტება,
ცოტა ხანში,
არც კი, მოგაგონდება.
ხედავ?!
როგორ ვცოტავდები
ვიშლები,
მერე ისევ,
ვიბადრები ვივსები.
აღმართს,
მოსდევს,
მერე ისევ დაღმართი,
არ დანებდე,
არ იფიქრო
დავმარცხდი.
დავუჯერე...
კვლავ ავივსე იმედით,
დავდიოდი,
კვლავაც ვივლი
სიკეთით.
თენდება და,
ჩვენ საუბარს
ვერ მოვრჩით.
ყველას სძინავს
მე და მთვარე
შემოვრჩით.

მაგდა გორგიძე

შენ არ გინახავს

როგორ ვნებდები დილა სისხამზე მზის პირმშო სხივებს.
არც ის გიგრძვნია, როგორ დრტვინავს ჩემში აზია.
ან ჩემი ყელი, როგორ იხდენს ამბორის მძივებს..
და არც ის იცი. ჩემი მკერდი რა ლამაზია!
შენ არ გიგრძვნია ჩემი კანის რძისფერი ბაცი.
არც ჩემი ბაგის დაგიცლია ამბროსიები,
ან, როგორ კვნესის ქარი, როცა მარტს ყვავილს აცლის..
როგორ ელიან ნაზი წვიმის ამბორს იები.
გინახავს იქნებ, შემოდგომის მზით გალეშილი,
როგორ მღელვარებს მუქ მტევნებში ძოწეულები.
ან, მოფართხალე კალმახები, აღმა მცურავი
ან გასლეჩილი, მოცახცახე ბროწეულები...
შენ არ გინახავს! მხოლოდ ერთხელ, სიზმარში მნახე!
მაგრამ არ მიკვირს ასე ცხადად რომ შემიყვარე!

***

აურია ამინდმა!
და ზაფხულის შუადღე
ღრუბლის ჯარმა დაბინდა.

აურაა მსხვრევადი!
თითებს ცეცხლი ედება
ჩემსკენ გამოწვდენამდი.
აუუ, რაა ეს გრძნობა!
სიმძაფრე და სიშორე
ღელვა ვერ მოვიშორე.
აურებს თუ შევურევთ
ტალღა გადაირევა,
ქაფად გადაიღვრება..... და
ნაქანდაკარ სხეულზე
შენი ნება ქაფ-ქაფებს...
მიბნედილ თვალებიდან
ჰორიზონტი ქათქათებს!

***

მე, აღარ ვწყალობ მარგალიტებს..
არ ვიხვევ ყელზე, არც ლალის ქვებს..
არც საფირონი, არც ზურმუხტი
აღარც ქება და არც გუნდრუკი
არ მაღელვებს, დაჟინებული
შემოხედვა, დაღვინებული,
ვნებიანი, ძლიერი მამრის
არც ძველისძველი, შორი ნატვრის
არ ახდენას აღარ განვიცდი
შენ თუ გიყვარვარ და დამიცდი.
ჰორიზონტიდან რომ მიწამე...
ასე შორიდან რომ მიწამლე.
აქა ვარ ახლა! უ-მარგალიტოდ... უ-იაგუნდოდ...
რა ვარ უშენოდ? კავკასიონი-უ-იალბუზოდ

***

მაცვია სურვილი-ანცია ვნება!
გაცვია წყურვილი-ფარსია თმენა.
ბორგავენ, შეცვლილი სამთვარო ციკლები,
გვბოჭავენ, შეშლილი სამყაროს რითმები.
და მაინც...ვბედავ და მე შენში ვიწყები,
არ ვჩქარობ, ვნებივრობ, ვიცვლები,
ვიწვები და მერე...
გაცვია იმედი! შეგასხი ფრთეები.
მაცვია სიმშვიდე! და შენით ვთვრები.
შენში ჩასახლების სურვილით ვკვდები.
და მერე, შენი ნეკნიდან ვჩნდები..

***

შემომმძარცვე სამოსელი, ფერით –
საქალღმერთო ძოწეულის!
სურნელოვან ოფლის წვეთებს
ისე აკრეფ ნაქანდაკარ სხეულიდან,
როგორც მარცვლებს ბროწეულის.
შემოახვევ მჟრჟოლავ გველებს
მარგალიტებ ნაფერებ ყელს.
ამტყდარი და გათანგული მიუყვები,
ბროწეულით დანაღმულ ველს.
ახლა იცი, გემო მსუყე შეერთების!
და სურვილით გალეშილი,
გახლეჩილი ბროწეულის.
სისხლისფერი, ბლანტი სითხე,
მიუყვება რძისფერ ღარებს

და ენით გრძნობ მიმოფანტულს
ყველგან ხალებს.
ერთი ხალიც არ დაკარგო!
მსხმოიარე ბროწეული,
სხვაგან არსად არ გადარგო!
მე მაგიჟებს საქალღმერთო ძოწეული..
შენი ხელით გახლეჩილი ბროწეული.

***

რა ვქნა, მე კი დაგივიწყე, ვერ გივიწყებს ზღვა.
ღელავს, ღმუის, მეუბნება: არ დავუთმო სხვას-
მაგ თვალების გამჭოლი და უტიფარი მზერა,
რომ, არასდროს არ წყინდება ჩემი ტანის ცქერა.
რომ ,მაშიშვლებს თვალთა ელვა,
მაცმევს რხევას.... მაცმევს ღელვას...
და იწყება - ყველა წესის, ყველა საზღვრის უღვთოდ
მსხვრევა.
რა ვქნა, მე კი დაგივიწყებ ვერ გივიწყებს ზღვა!

***

ზოგჯერ, აფროდიტი, მოკვდავი მამრის
სიყვარულით ტკბობას მოისურვებს და შიშველი და
მაცდური გამოდის ზღვიდან, მზად ყველაფრისთვის.
ვინ არ ინატრებდა, ასეთ დროს აღმოჩნდეს მის წინ?

გიზიდავს მისი ტანი და ქაფი.
უხვი მარილით ნაზავი თაფლი..
ზღვის მარგალიტებს, ხმელეთის საფირს

შიშველ სხეულზე სიხარბით დათვლი.
მიახლოების თუ მოგცა ნება,
მკერდს თუ ყვავილად ამოსკდა ვნება,
მაშინ შეიგრძნობ როგორ ენთება,
როგორ იწვება და იფერფლება!
შემოგხედავს და გონი გერთმევა
ჩაგითრევს, გეკვრის, გლოშნის, გეხვევა.
შურისგან, იქნებ თავიც მოიკლან
ქვესკნელ-ზესკნელის დიდმა ღმერთებმა.

რაფსოდია

მე რომ აღმართები გაგივაკე,
გული რომ აგინთე, კელაპტრებად.
სული გაგიშალე სპეტაკ სარკედ,
ჩემო უცნაურო მონატრებავ!
ცისფერ სიმშვიდეში შერეულო,
ღელვას, ოკეანურს რად არ იმჩნევ.
ჩემი სიმძიმილის დასამალად,
შენგან დატოვებულ მზერას ვიცმევ.
დავდივარ, ვაგროვებ მელოდიებს,
ჩემი უნდა ვპოვო რაფსოდია,
"შემოდგომის ცაზე" ანთებულ მზეს,
რა აღმაფრენა და წვა ცოდნია!
და მეც, მომთაბარე რაფსოდივით
განაბული ვუსმენ ყველა ბგერას..
ასიათასში არ ამერიოს
შენი უცნაური გულის ბგერა.

სპარტაკ ლაცაბიძე

მოკვდა და აწი უწყალობებს ნათელს უფალი

რა არის მაინც,სასაფლაო, რაა სამარე?!
ბევრჯერ სიცოცხლეს ჩაგაფიქრებს, იქნებ არც თუ ღირს?!
ცხოვრობდა კაცი, ერთი ნაბდის მახსოვს ამარა,
მოკვდა და პიჯაკს ძლივს ეღირსა ნასკვი ჰალსტუხის.

ღმერთმა აცხონოს! – მეტი რამ დევს ამ ერთ ნათქვამში...
ვინც მოკვდა მიდი ახლა იმის ცოდო–ბრალი თქვი?!
ჯავრობდა კაცი ვერ შელესა კედელს ბათქაში,
მოკვდა და ირგვლივ ორ სართულად ერგო ,,გრანიტი''

ეჰ ზეციელნო! ახლა მაინც გამოგიტყდებით,
აქ მყოფნი პატივს მერე უფრო თქვენსას ველევით,
ცოცხალს ვინ მისცა ესოდენი თბილი სიტყვები,
საიქიოს რომ მიაცილებს სოფლის ცრემლები?!

აფსუს! ანახა რამდენი ყავს ,,წასულს'' მტირალი,
შეწყდა მსუბუქი, არხეინი ზურგის ქირქილი,
ცოცხალი ბევრჯერ არც ახსოვდათ იუბილარი,
მოკვდა და ახლა მოკრძალებით მიაქვთ გვირგვინი.

ყოფნა–არყოფნის, ადევს ქვისგან საფლავს ტიხარი,
გულში ალალად ხელმოკლე კაცს გლოვობს უბანი,
ცოცხალს ამ ქვეყნად არ სწყალობდა საწყალს იღბალი,
მოკვდა და აწი უწყალობებს ნათელს უფალი.

***

ზოგი ისეთ წესის გახლავთ,
ისეთს ნახავთ ნირიანს,
თავის სუფრას იცის მარხვა
და სხვისას კი ხსნილი აქვს.

თავისივე თავის მომჭრელს,
შეხვდე არც თუ ძნელია,
თავის საქმეს მოიკოჭლებს,
სხვისაში კი ბრძენია.

ზოგიერთს კი „დიდებასთან"
ზურგის ქარი ეწია,
თავის თვალში დირე აქვს და
სხვის თვალს ეჭვობს ბეწვია.

არ შევიქმნი ილუზიას,
მიწად ფრთა არ გაგვშლია,
ყველას თავის მინუსი აქვს,
ანგელოზი ცაშია.

კაცს მაინც ვთვლი კაცის წამლად
და მაინც ვგრძნობ ჩემებად,
წამალიც ხომ ცოტა ავად,
მოდის უკუჩვენებად.

ხანდების კლდეები

ჟამთან მებრძოლო ქვათა „დევებო"
მეხზეც რომ არ კრთის თქვენი გუმანი,
წელგამართულო ზორბა კლდეებო,
გაგქვავებიათ ჟამი მდუმარი.

თვალს დროის ისარს თითქოს უნელებს,
მარადისობა ფეხთან დაბმული,
რა მშვიდად შთანთქავს საუკუნეებს,
თქვენი პირღია გამოქვაბული.

ფერთა სიტურფეს ცივად ელევით,
ბედი მოგსჯიათ ავით ნარევი –
არ გიშრიალებთ ტანზე ტყეები,
მკერდს არ გიმოსავთ ყვავილნარები.

გაჩენის დღიდან სხეულს სირბილის
მსუბუქი ხვედრი გაკლდათ ბუნების,
არ იცით რაა მინდვრის ბიბინი
და გულს გადავლა ნაკადულების.

ბევრისთვის გითქვამთ კარით უარი,
წინდაწინ ვინ სცნოს თუ რას ჰპირდებით,
თუ ვინმე გახდა თქვენი სტუმარი,
„ცეცხლთან თამაშით" უმასპინძლდებით.

თქვენი ბებერი შუბლის ნახაზებს,
იერი გასდევს შეურყეველი,
სულ რომ დადუღდეს ხანი ქვა–ქვაზე,
და გადაიწვას უღრანს ტყე–ველი,

რომც ჩამოიქცეს მთაზე ფერდები,
რომც ღვარცოფებმა ჩაჭრან ხევები,
თქვენ მაინც ქვეყნად არრას ნებდებით
და მაინც დგახართ ქვების დევები.

თვალმა, გიგანტი გადაგიზომათ
ცა და ლოდების სართულს ყურენი,
ღმერთმა შეგარგოთ მარადისობა
და მზით გაცვითეთ საუკუნენი!

დალიეთ ღვინო!

ამ უფლისაგან დალოცვილთან,სიტყვით ქედს ვიხრი,
და უფალს შევთხოვ მეტისმეტით არ გახდეს ,,დენთი''
შევსვამ ფხიზლდება ნელა–ნელა ძარღვებში სისხლი,
გულსა და სულში დაბრძანდება თითქოსდა ღმერთი.

მიეტევება სიტყვას ზოგჯერ თუ წასცდა ,,როში''
რა უშავს წვრილმანს თუ პირწმინდად ამ დროს ვერ გაცრი,
სანაცვლოდ ფასი ფუფუნების გამხდარა გროში,
და სიკეთეზე კი იზრდება სიმდიდრით კაცი.

რამდენჯერ სუფრას მიჯდომია სიტყვაში მკვახე,
მაგრამ როდესაც შემოსულა ბახუსი მლხენი,
უჟმურ კაცსაც კი უკეთდება პირქუში სახე,
და გადაკოცნო მოგეხვევა იმაზეც ხელი.

როცა სიტყვაა ასაფრენი და ფრთას ვერ იშლის,
დალიეთ ღვინო და პირისპირ რომ დადგეს ჯარი,
მზეზე გამლღვალი ყინულივით გაქრება შიში,
და იმართება წელში გულის სიტყვა და ჯანი.

ეს დალოცვილი დარდებსაც რომ გზას მოკლედ უჭრის,
პატარა კაცი რომ იქცევა დიდ კაცად ხელად,
დაასხით ღვინო, განიბანოს დიდების ჭუჭყი
და გაანათოს სიყვარულმა ძალა და ლხენა.

***

იღვიძებს სოფლად ძელური სახლი,
მონიტორს რთავენ სიახლის წესად
და „ვარსკვლავს" შორეთს სიმდიდრით დაღლილს,
ბედს უთანაგრძნობს „ყვითელი"პრესა.

ჯდება ზურგსუკან ბოჰემა ძვირად,
არ ჰქონდა მშვიდი სიყვარულს ძილი,
იყოფა განძი, რანჩო და ვილა,
შორდება ქვეყნად ცნობილი წყვილი.

ღმერთმა კი მისცა „აქეთკენ" ფქვილი,
მაგრამ „იქითკენ' აზილეს ქატო,
გაქრა „სადავე" ახსნილი ლხინი
და ქონებასთან რჩებიან მარტო.

ირმა ალფაიძე –იმერელი

ჯერ წინაა

ჩამიარა დრომ და ხელი დამიქნია,
გაიტაცა სიყმაწვილის სუნთქვა...
გულში სითბოდ დამიტოვა სურნელება,
ძოგონებებს მადლობა რომ ვუთხრა...

თუმცა ფიფქი შემპარვია თმებში, მაინც
მზის ამოსვლას ოცნებებით ვხვდები...
მხიბლავს, მათრობს გაზაფხულის ათინათი,
ჯერ წინაა საოცარი წლები...

სულში ვირგებ ბავშვის სამოსს-სიყვარულით,
და ვკამათობ კვლავ საკუთარ თავთან...
ვგრძნობ, სიბერე დაბერდება მოლოდინში,
ჩამომჯდარი ჩემი სახლის კართან...

ჩამიარა დრომ და ხელი დამიქნია,
გაიტაცა სიყმაწვილის წლები...
ვერ შემცვალა, გათენებულ დილას დღემდე
გვირილების თეთრ კაბაში ვხვდები...

სულის ორეულს

ეს ერთი ღამეც გაიპარა მარტოობაში
და განთიადი შემომყურებს ღია სარკმლიდან
შემოდგომაა ... ეს დრო უფრო მასევდიანებს
თითქოს წარსული მახსენდება წამით თავიდან.

არა, დამთავრდა, გადავშალე წიგნის ფურცელი,
ვერ დამაბრუნებს მე წარსულში მელანქოლია,
უკვე სხვა მხრიდან დავინახე ჩემი სამყარო,
სულის მეწყვილე მხოლოდ შენით მე მიპოვნია.

მინდა, რომ ჩვენმა სიყვარულმა დრო დააბეროს,
და ცისარტყელამ ცის ტატნობზე დიდხანს გასტანოს,
ჩემი ფიქრები რომ გაფრინდეს დიად ღრუბლებში,
და მარადიულ სტრიქონებად ჩამოიღვაროს.

***

ჩემი ცხოვრების ბილიკები ლამაზი გახდა,
სამყარო ცისფრად მოიქარგა, ურითმოდ ვერ ვძლებ,
გულის კარები შემომიღო ბედნიერებამ
თუ რამ შეგცოდე, მაპატიე, უფალო გვედრებ.

იმედის სხივმა მომიქარგა კვლავ მრუმე დილა,
ალიონს ისევ გავუღიმე...სიცილი შევძელ,
მე სიხარულით ოცნებების ცაზე დავფრინავ
თუ რამ შეგცოდე, მაპატიე, უფალო გვედრებ.

ყოველი წამი სიცოცხლედ და სამყაროდ მექცა
მინდა სიწმინდე არ დაირღვეს მე ამას შევძლებ
ოღონდ შემინდე, შეგთხოვ მკაცრად ნუ მომექცევი
თუ რამ შეგცოდე, მაპატიე, უფალო გვედრებ.

ძალიან მაკლდი

მაკლდი, მთელი წლები, ძალიან მაკლდი,
მზიან ამინდში, დღის სინათლეს სიბნელე ახლდა,
ბევრჯერ, ცრემლებით შემოსილი, მოსულა დარდი,
კითხვები მქონდა, უსასრულო, საკუთარ თავთან.

დრომ გაიარა ტკივილებში, ლოდინში, დარდში,
უტყვ მოლოდინში საოცარი დამცვივდა წლები,
ვიცხოვრე ფიქრში მარტოდმარტო, განდეგილივით,
ბედნიერება აღარ მოვა, შეგრძნებით ვხვდები.

ნამდვილი გრძნობა ვეღარ შეცვლის უფერულ დღეებს,
თვალებს ემჩნევა იარები, გულს - ნატყვიარი,
დასეტყვილია ჩემი სული, ზამთრის ბაღივით,
ეს ჩემი სული-შენი სულის თანაზიარი.

შუაღამეა, ვუმზერ ზეცას, გარინდებული,
და გზის ბილიკებს, ჩვენი ნებით, გაყოფილს ორად,
მივყვები კენტად ამ ცხოვრებას-გრძნობადაცლილი,
ვგრძნობ, რომ სიმშვიდე სიცოცხლეში არასდროს მოვა.

მცივა მარტოსულს, მონატრებას ვერ ათბობს მთვარე,
გზაარეული ოცნებები შემოდის ჩემში,
მოგეპარები წამით სიზმრად, მოგახვევ სუნთქვას,
თანხვედრა სულის, ჩვენი სულის, ჭკუიდან შემშლის.

ძალიან მაკლდი, მთელი წლები ძალიან მაკლდი.

ჩემს ფანჯარასთან

ჩემს ფანჯარასთან ნაწვიმარ გზას აშრიალებს ქარი,
ეალერსება ფოთლებს, ხეზე შერჩენილს, კენტად,
ალბათ, ყველაფერს აქვს თავისი ოცნება, დარდი,
ალბათ, ყველაფერს შეუგრძვნია ცხოვრების სევდა.

ჩვენ კი, სიყვარულს ერთმანეთის თვალებში ვეძებთ,
ხშირად სიცივეს ვხედავთ, გვაკრთობს, მაგრამ არ ვიმჩნევთ,
უკან ჭორები დაგვყვებიან, პირისპირ-ღიმი,
ბევრჯერ კითხვების საპასუხოდ დუმილს ავირჩევთ.

და ასე გადის, მრავლის მთქმელი გადის დღეები,
ჩნდება განცდები, უნაპირო, გიკვნესის გული,
მეწამულ ღამეს ანდობ ტკივილს, მერე კი, დილით
სიცოცხლეს ისევ გააგრძელებ, დაღლილი სულით.

ჩემს ფანჯარასთან ნაწვიმარ გზას ამშრალებს ქარი.

ევა ხუნწარია

უფრთხილდი ფესვებს

ამ ქვეყნად მოვედი განგების ნებართვით,
მივყვები ცხოვრების შეუცნობ მარათონს.
გზაზე მეღობება მღელვარე კითხვები,
პასუხად ფიქრები ფიფქივით დამათოვს.

არ მიყვარს მიბაძვა, რას იზამ, ასეა!
სხვა ფიქრობს სხვაგვარად, რაც მე არ მჩვევია.
უფალო მადლობა, ჩემს აზრს რომ არ ვიცვლი,
მე მხოლოდ ის მიყვარს რაც მართლა ჩემია!

მე,აქ დავიბადე ... ვსახლობ მიწაზე.
ზოგს კი ეჩვენება, მოფრინდა მთვარიდან,
უფრთხილდი იმ ფესვებს,ეკლისაც რომ იყოს,
ვარდი არ იქნები, იწყები გვარიდან!

ვერ გთმობ ოდაბადევ!..

თვალის გუგებში ყველა წამი შემოვინახე.
კინოკადრივით ვახმოვანებ ყოველ საღამოს
და მონატრება, როცა შენთან უკან მეწევა,
მე, შენს სიყვარულს გულზე ვიცხებ, როგორც მალამოს.

სხვანაირია შენი ველი, მწვანედ ბიბინა,
ზღვის ნაპირიდან მოვარდნილი წვიმათა თქეში.
აქ, გაზაფხულიც უცნაურად ახმაურდება
და შეუმჩნევლად დაიბუდებს სიცოცხლე ხეში!

მე, მონატრება სხვანაირი ვიცი შენდამი,
შენც გახსოვს გულში რანაირი კოცონი მენთო.
ეს განშორებაც არასოდეს ყოფილა ალბათ
და ვერასოდეს სიზმარ-ცხადში იცი, რომ ვერ გთმობ...

ჩემი სოფელი

,,იდგა ამაყად ჩემი სოფელი,
გულზე ,,ქიაჩის ხატი,, ესვენა."
ჩემი სოფელი, კოლხეთის თვალი.
სულის სიმშვიდე, ჩემი სიმაღლე,

როცა მთუთქავდა გულს ნოსტალგია,
მოგონებები წამლად ვიწამლე.
შენ ვრცელი ხარ და ძალზედ მაღალიც.
მიტომ ხარ ღირსი ,,ოფუჩი,, გერქვას.

შენს გულზე იშვა მირონცხებულნი,
ვისი გულებიც ქვეყნისთვის ფეთქავს.
იდექი მყარად,ნუ მოირყევი.
ერისკაცები კვლავ ბევრი ზარდე.

მინდა ამაყად გეჭიროს თავი
და ტოტებ გაშლილ მუხას რომ ჰგავდე.
მე, ჩემ წილ სითბოს გაგინაწილებ.
სულს დაგიკოცნი ლექსის ბწკარებით,

როცა ძლიერად მომენატრები,
მოვალ,გისრუტავ ხარბი თვალებით!

არ შეხორცდება!..

თითქოს ვიშუშებ ტკივილებს,მაგრამ
ჭრილობებს მაინც ველარ ვამთელებ.
ჩვენი წარსული ნამსხვრევებია,
ღამეებს მაინც თეთრად ვათენებ...
მოგონებებში ვეძებ სინათლეს,
რომ უკუნ ღამეს ფერი ეცვალოს.
დავებეტები სველ ბაღნარებში,
ტკივილი იქნებ სხივით შევცვალო...
სიკვდილის დღემდე პირს არ შეიკრავს,
არ შეხორცდება ჩემი იარა,
რა მძიმე იყო ის ერთი ლოდი,
გულზე მეხად რომ გადამიარა...

ეს ღამე ისე მოწყენილია...

ეს ღამე ისე მოწყენილია,
მთვარევ ჩამოდი, მითხარი რამე,
შენც იქნებ დარდი მოგძალებია,
მოდი და ერთად ვათიოთ ღამე!..
მოდი,მოყევი შენს სიყვარულზე.
გადაგიშალო, იქნებ მეც გული.
ვფიცავ,გულწრფელი ვიქნები შენთან,
თუმც არვის მიმართ მყოფილვარ მტრული.
მე ხშირად ვფიქრობ, რა გემართება,
სავსე რომ არ ხარ და ხარ ნამგალა.
შენც ალბათ მტრობამ, შურმა დაგღალა..
ჩემი ცხოვრება შენსას ჩამოჰგავს,
მეც ცაში მინდა ავიჭრა შენთან.
მოდი ერთმანეთს შევფიცოთ დობა
და ახლოს ვიდგეთ ცასთან და ღმერთთან!

ალიონი

ალიონი საქართველოვ ,როგორ გშვენის.
ხმელეთს ნამი აბრჭყვიალებს კვასკვასა,
გაზაფხულის და ზაფხულის ჰარმონიით,
აგიჭრელებს თვალებს ფერი ხასხასა.
მთაზე შველი აბდღვრიალებს გიშრის თვალებს.
ჯიხვი კლდის ქიმს შემომდგარა ამაყად,
ბულბულს ნაზად დაუწყია გალობა და
კოდალა ხეს უკაკუნებს თამამად...

მდინარეში ხტიან ოქროს კალმახები,
ზღვის ნაპირზე თოლიები ნავარდობს.
თუკი ვინმე პოეზიის მსახურია,
განთიადი საიდუმლოს გაანდობს...

სამყარო!

უკიდეგანო სივრცეში
ღამე ვარსკვლავი კიაფობს.
დილით რომ გაგეღვიძება,
მზე თავის სიზმარს გიამბობს!
დაბდღვრიალებს თვალებს და
ხმელეთს ღიმილით დახედავს!
სულში სიამეს ჩაგიღვრის,
ლექსის საწერად დაგხედნავს...
გასრიალდება უეცრად,
ღრუბლის ტალღებში მოყვება,
წვიმა ჩამოვა სტუმრად და
ცრემლით ცის ამბავს მოჰყვება.
ჭექა-ქუხილიც ხომ ხშირად
წვიმის მაყრიონს მოჰყვება.
დასჭექავს, დაიგრუხუნებს
და ისიც ღრუბლებს გაჰყვება...
მზეს თვალი მოეხუჭება,
სამყაროს ძილს შეაპარებს.
მოგეპარება მთვარე და
სიზმარში თავს შეგაფარებს!

მანანა მიქაძე

სიბერის წლები

ჩამოღვენთილი უპეები ჰქონდა სამყაროს.
ნატანჯი გონით დაღლილიყო ირგვლივ
ყოველი.
დაკოჟრილ ვაზი ციმციმებდა დილის ცვარ-ნამით
და ცახცახებდა მოხუცის ნაჯაფი ხელი!
ველარ შენელდა ეპოქის დრონი მრბოლელი,
გატყორცნილ ისარს დაემსგავსა წლები განვლილი.
მოგონებადღა დარჩა გარჯილს თვისი
წარსული
და ამას ჰქვია უცილოდ „მეფობენ დრონი!"
ღიმილი შემორჩა სახეზე ხატებად,
ცხოვრებამ დირეს სიზმრად ჩაუარა,
მიმალულ გრძნობების გულის იარად.
რამდენმა დარდმა გზად სულს დაუარა!
სიბერე, თურმე ყოფილა საბელი.
თრთოდა მოხუცი სევდით დაღლილი.

ყოფნა არცაა ასე სანატრელი,
კანკალებს მაჯა ძალა გამოცლილი!
მწუხრად გაჰყურებს შორეთს ბერიკაცი.
ვინ იცის თავზე, რამდენი დარდი
დაუტრიალდა წისქვილის ბორბალით,
მაინც სავსე აქვს გული სიყვარულით!
აფსუუს, ეშორება ამ წუთისოფელს,
დარდის საუფლოს ჯავრით გამომქრალი!

***

თუ ლოდინით დამაბერებ,
ეს ლოდინიც არად მინდა.
ქარი კალთას გიფრიალებს,
თვალი მომჭრა შენსკენ მზერამ!
სუსხიანი ქარი დაჰქრის,
ზუზუნებს და არწევს ტალღებს.
გროვა-გროვა ყვითელ ფოთოლთ
გზაში გუნდად დაგფრიალებს!
როგორ მინდა დაგივიწყო,
ფიქრით მაინც შენსკენ ვიწევ.
ჩუმად გეტყვი...სიხარულო,
მენატრები სიგიჟემდე!
თითქოს ისევ ზამთარია,
თითქოს ისევ ცივა გარეთ.
ვთბები, ფიქრი არა მთოშავს!
ეს ლოდინიც წინასა ჰგავს
და წამითაც ვერ გშორდები.

შარი-შურის ხმა მოისმის
და შორიდან ვიღაც მოდის!
მე კი შენთან შესახვედრად,
ისევ ვდგევარ სულელივით.
ქარი ისე ძლიერად ქრის,
გემს ტალღები აქანავებს!
თუ არ მოხვალ, ავშლი აფრებს,
ნაპირს მწუხრად გავეცლები.
გავცურავ და მოსაგონრად,
ზღვის კაეშანს დაგიტოვებ!

მლოცველი არაბი!

გერგეთის მთაო, აზიდულო, ცად აწვდენილო.
დამშვენებულო, მწვერვალიდან ჩამომზირალო.
ღმერთების საუფლო, სამების ტაძარო,
ცაში ვის მადლიანმა ხელმა აგაგო!?
აღმართში ამავალს არაბი შემომხვდა.
ჭარმაგი, თხელი, ვით კაფანდარი.
თითქოს გადეყარა მხრებიდან დარდები,
ლაღად მოდიოდა ტანით შესადარი!
შევდექი წამით, თვალი გავაყოლე,
დამშვიდებული დაღმართს მიჰყვებოდა.
ნაცრისფერ სახეზე შევერცხლილ წვერებს,
ბუნების მშვენების ხიბლი დაჰფენოდა!
ვიდექი, წარსულის ფიქრმა გამიარა.
საიდან მოსული, სად ლოცულობდა!

არაბი, მცხოვანი, თეთრ კაბიანი,
თურმე ნისლიან მწვერვალზე ოცნებობდა!
რა ნატვრამ იხმო გერგეთში მლოცველი?!
იქნებ, ჩვენებურმა სულმა უყივლა!
რამდენი ქართველი უწინ გაყიდულა,
ეგვიპტე, არაბეთსმამლუქად გაზრდილა!
საიდან შემხვდათეთრ წვერა ხნიერი,
მშვენება ქართველი კაცის იერით.
იქნება, არაბი შორიდან მოსული,
სულაც ბადიშია ჩვენი წარსულის!

წუთისოფელი!

თუ სიცოცხლეში არად ჩამაგდებთ,
სიკვდილის შემდეგ ცრემლს ნუ დამიღვრით.
ნუ გამაცილებთ დატირებული,
სიცილ-კისკისით იჯერეთ გული,
რომ ამ სამყარომ დაცალოს ცრემლი!
რაც გავიწამე მყოფნის ტბა ცრემლის,
მოვედი ქვეყნად ატირებული,
ხოდა, თქვენც ახლა გზა დამილოცეთ,
ნუ გაბრიყვდებით მოჩვენებებით.
სხივებს ავყვები, ზე ავიჭრები
ცაში გაფრენილ ოცნებებივით!
ვინც გადანაცვლდა, წყურვილი წაჰყვა,
ხარბი სიცოცხლის უკმარისობის.
სულს არ ეთმობა განსაშორებლად
გამოთხოვება ამ წუთისოფლის!
დაფერფლილ გულში მაინც დაგვრჩება,

ხსოვნა აქ, სითბოს მოგონებების.
ვინ სთქვა სხეულთან, რომ კვდება სულიც?
განეშორება ტრფობის ციალით!
ზევით მიიწევს ცის კაბადონში,
მარადისობის დასამკვიდრებლად.
თქვენ სიყვარულით მასაზრდოვებდით,
სულის სიამეს სიზმრებში მგვრიდით!
ზეცაც იშუშებს ჭრილობის ტკივილს,
მამულს დაჰყურებს იმედის თვალით,
როცა მამული შვილებს იბრუნებს,
მოგონებების ქარტეხილებით!
ყველა ზაფხულზე დასკდება კვირტი
სულში შემოჭრილ ნიავ-ქარებით,
კვლავ ძველ იარებს დავეკვირტები
და...შენ, ძვირფასო გეამბორები
იმ სიყვარულით დაოკებული.
შემოგეჭდობი კისერზე მწველად
და გულზე ნამად დაგეკონები!
გაგენაბები მიხუტებული
და ტკბილი განცდით განგეშორები!
აჭიხვინდება სული ტრფიალით,
მინდორში გაჭრილ ბედაურივით.
ვერ დავიოკე ის ტკივილები,
წუთისოფლისგან მასვი ფიალით!
ვაი, თუ ისევ მეორედ მოსვლით,
კვლავ გამახსენდი და შემიყვარდი!
ღმერთს შევავედრებ, რომ გვერდში მყავდე
და სული წმინდის მადლით ვიდოდეთ!

ხათუნა დარბაიძე

დღეს საქართველო

მკითხავთ, რად მტკივა ჩემი ქვეყნის ყველა ტკივილი?
თვალცრემლიანი რად შევყურებ სამშობლოს მთებსა,
დარდმა და სევდამ რად დაჩრდილა გულში ნათელი,
ვერაგი მტერი მოსდგომია მის საზღვრებს დღესა.

დაუნდობელი მრისხანებით მძვინვარებს დათვი,
მხეცური ჟინით გადმოჰყურებს სამშობლოს ჩემსა,
მძლავრი ტორებით ჰგლეჯს გარშემო მის ნაპირებსა,
გემრიელ ლუკმებს უნაწილებს ტურებს და მგლებსა.

ვაია მტერი, უი - მმართველი ჩემი ქვეყნისა
და სატკივარი მტკივა ორმაგად ხვალინდელისა,
დღეს უგუნურებს კვლავ უჭერიათ სადავე რაშის
და მის ჭენებას კარგი მხედარი აღარ ეღირსა.

მამაო ჩვენო, შეისმინე ვედრება ქართვლის,
მშობლიურ მიწას დღეს ასველებს ცრემლები ვაზის,

გთხოვ, წმინდა ნინო მოუვლინე ჩემსა მხარესა,
რომ მოაქციოს ერი მეორედ ქრისტეს გზებსა.

რომ მოძმის ჭირი ყველამ გულით გაითავისოს,
ერთსულოვნებით დადგეს კვლავაც „დიდებულ - წამი",
გვერდიგვერდ დგომით გაძლიერდეს დღეს საქართველო,
კმარა ცრემლები, აღზევების დაგვიდგეს ხანი!

დაბადება

დაბადებიდან დაბადებამდე,
ცხოვრების ფერი იცვლება როდის?
ერთი წუთია ამა სოფლისა,
მეორე - ჟამი მარადისობის.

აქ დაბადებულს, სპეტაკი თოვლის,
გული აქვს სუფთა ვით ანგელოზის,
იქ მოხუცებულს, დაბადებისას,
მიაცილებენ ვითარცა ცოდვილს.

დაბადებიდან გარდასახვამდე,
გამჩენი ჩვენი ცოდვა-მადლს წონის
და თუ სამოთხის კარი შეაღე,
სწორად გივლია მართალთა შორის.

* * *

ხანდახან მუზებიც ქრებიან,
გაჩერდა დღეს ჩემი კალამიც,
ფიქრები დადუმდნენ, ხვდებიან
სათქმელი ხან ღირს და ხან არ ღირს.

უსულოდ ლექსს ხორცს ვერ შეასხამ,
უგრძნობლად სიტყვები არად ღირს,
სასმისით დღეს ღვინოს შევსვამ და
სიყვარულს მოვუხმობ მარადის.

როცა სიყვარულს ვატარებ,
გული ხან ხარობს, ხანაც ტირს,
ქვეყანავ, მაშინ მადარდებ,
როცა შეგატყობ გასაჭირს.

ხოდა შენ ჩემო კალამო,
ფიქრი სჯობია არა ფიქრს,
მუზების ზღვაში შევცუროთ
და გავსცდეთ ხავსიან ნაპირს.

* * *

სათანადოდ ვერ ვილოცე უფალო,
ალბათ ისევ ძალა გამომელია,
ჩემს ცხოვრებას ნირი უნდა ვუცვალო,
შევიმშრალო წამწამები სველია.

ტკივილს რაც მგვრის თავიდან მოვიცილო,
გულს მივანდობ ისევ კალამს მელნიანს,
ცხოვრებაზე არასდროს დავიჩივლო,
ჩემგან ღიმილს, მხოლოდ ღიმილს ელიან.

არაფერი არის ქვეყნად უნაკლო,
მზეც კი ზოგჯერ ისე ძლიერ მწველია,
დამანახე, მაგრძნობინე უფალო,
რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია.

დარჩი ადამიანად

თუ ცხოვრებას ვერ ცვლი, თვითონ გცვლისო, გამიგონია,
კაზაზე მიმავალს, ხან მშვიდობა მაქვს, ხანაც ომია,
ბედთან ჭიდილში შემომაწვა მელანქოლია,
ამ დამთბარ გულში იცით რამდენჯერ დაუთოვია?

დაუთოვია და ნაკვალევიც დაუტოვია,
მაგრამ დრო წაშლის, გული ტკივილებს არ აჰყოლია,
ცხოვრების ფერი ცვალებადია ასე მგონია
და გაზაფხულის თბილი დღეები კვლავაც მოდიან.

ცხოვრება ზღვაა და ჩემი გული თეთრი თოლია,
ცუდი დროების სიშავე სულში არ ჩამყოლია,
ფერისცვალება მე სიკეთისკენ გამიგონია,
ადამიანად დარჩე ბოლომდე, არა სჯობია?!

ანიტას

ზეცას მიიწვიე, შენთან საუფლოში,
რაღა ანუგეშებს დედას?
ხელიდან გაუსხლტა თავის ანგელოზი,
დარჩა ამ ქვეყანას ცრემლად.

ღმერთო, რად დაუშვი ასე უდროოდროდ?!
შეწყდა ციცქნა გულის ფეთქვა,
მშობელს ჯერ აჩუქე, მერე წაიყვანე,
ამას ვერ გაგიგებ, ვერა.

შეუცნობელია ვიცი გზანი შენი,
გვიჭირს ჩვენ მოკვდავებს ხედვა,

ჯერ რომ სიყვარული გულში ჩაგვისახლე,
შემდეგ - განშორების სევდა.

მე სამყარო თბილი მინდა

იცი? გულში როცა ცივა,
ველარა გრძნობ როგორ გტკივა,
მზეს წაართვა მთვარემ ბინა
და სამყარო სულ გაცივდა.

აქ ფოთოლი სცვივა ხიდან,
იქ ვარსკვლავიც ქრება ციდან,
ამ ქვეყანას ჩვენც მოვწყდებით
მოვეფეროთ ერთურთს მინდა.

გული როცა სითბოს სცლიდა,
მადლსა ცოდვა არ აცლიდა,
წუთისოფლის სტუმრები ვართ
გავუფრთხილდეთ ერთურთს მინდა.

ზეცა წვიმას ცრემლად ღვრიდა,
წვეთი ქვას ხვრეტს თუ გაწვიმდა,
განა ბზარი გამთელდება?
გულს ნუ ვატკენთ ერთურთს მინდა.

იცი? გულში როცა ცივა,
ველარა გრძნობ როგორ გტკივა,
მზემ დაიდოს ჩვენში ბინა,
მე სამყარო თბილი მინდა.

თეა გურგენიძე

მაკოცე

მაკოცე... ვაშლები სირცხვილით დაწითლდნენ,
სიომ ეს ამბავი ქვეყანას მოსდო.
გამიშვი... მე ლამის ბავშვივით ავტირდე
და შენ კი იცინი როგორ.
ლოყები ეწვებათ ვაშლებს ჩემს მაგივრად,
კისკისებს ბუჩქებში რაკრაკა წყარო...
ლამაზი სიზმარი რა მწარედ ამიხდა,
მთლად გადამრიე და დამტოვე მარტო.
რძისფერი კვამლი შავ ღრუბლებში გადაიხლართა,
აწვიმს აივნებს...
ტირის ეს ზეცა გარდაუცვლელად დაკრძალულ სულებს...
შენ რა გატირებს?..
იწვის ცისკარი, მოდებია ალი გარიჟრაჟს,
ღამე კანკალებს...
ვითვლი სარკმელთან ქალის ცრემლივით სხივციმციმა,
ციცქნა ვარსკვლავებს...
ხელზე მიწყვია ოცნებები შიშისაგან ათრთოლებული,

ვდგევარ დაღლილი
და მახვევს სამოსს მონაცრისფროს ხელის კანკალით
შენი აჩრდილი...

ქარია...

შენამდე მომიყვანს ქარი და
თან ღიმილს მოგიტან უხვად
მე, შენზე ფიქრებით უღმერთოდ მთვრალი ვარ,
ოცნებით დავიწვა მსურს და
მოვალ და მოვარღვევ ცის ცისფერ თავშალს და
ჯანდაბას, გაწვიმდეს თუნდაც...
მოვალ და მოგიტან ნადარდს და ნაფიქრალს
გეტყვი, რაც მწვავდა და მსურდა
ქარია... შენამდე მოვყვები ფეთიანს
ვიცი, რომ არ უნდა ვენდო
და ვშიშობ, ღრუბელზე ფეხი არ დამისხლტეს,
ქარს შენთან მოვყვები ჩემო...

თოლიგე–ჩემო თვალისჩინო

აგრემც შენ ჩემ თვალებ შემოგევლოს,
ბნელში გემსახურონ კელაპტრებად...
ისე ამირიე გზა და კვალი,
შენთვის არც სიცოცხლე მენანება.
მთაში წაგიყვანდი, ჩემ ნებ იყოს,
ცისკე გატარებდი ბილიკებით,
ღრუბლებს გავყვებოდით აღმა–დაღმა,

ბარში მდელოებზე ვიწვიმებდით,
მერე, მთის წვერზე რომ დავბრუნდებით,
ღრუბლის პაწაწინა ნაფლეთებად,
მზისკენ ხელს გავიწვდი ღიმილით და
გული სიამაყით ამევსება.
ლურჯი მთის კალთებზე მოგიკრეფავ
ჩემს სულს, ყვალილებზე ნაციმციმებს.
მერე?..
რაღას ვჩივი თვალისჩინო?!
მერე სამუდამოდ მივიძინებ!

სიზმარს აყოლილი ლექსი

ძენი მოკრეფილი ხილი მენატრება,
შენი დაკოჟრილი ხელები.
რა ავი ყოფილა ცხოვრება ტიალი...
არ მინდა და მაინც ვნებდები.
შენი ჩახუტება ნატვრად გამიხდია,
ვისა აქვს სხვას გული შენფერი?!
ერთხელაც, სურვილი ამიხდება
და "იქ" უეჭველი შეგხვდები...

***

შარშანდელი წვიმა მახსოვს,
თოვლ და ქარშენაპარი.
ცეცხლის მწველი ნაკვერჩხლები,
ცეცხლის პირას ნაბადი.
ახლაც ისევ ქარი ქრის და

ახლაც მკლავენ ფიფქები.
გამყინვია სიცივეში
პაწაწინა იმედი.
ქარი მინებს აწკარუნებს,
სადღაც, სულში შემცივდა...
გულის სითბო სულ რად მოგეც,
შემენახა ჩემთვისაც....

უცნობი სევდა

ცა ლურჯი იყო ძვირფასო როგორ,
სამების ზარი ხმამაღლა რეკდა,
მე ვიყავ ვიღაც უცნობი გოგო,
შენ იყავ ჩემი უცნობი სევდა
გინთებდი ჩუმად ლიცლიცა სანთელს,
შენს მზერას მხრებზე თითქოსდა ვგრძნობდი...
ღმერთმა ხომ იცის, არ გვსურდა არცერთს,
მაინც აგორდა უბანში ჭორი...
ისევ უცნობად დავრჩები ალბათ,
შენც უცნობ სევდად ჩადექი თვალში...
შენი ღიმილი მომპარა ქარმა
და შეშლილივით გავარდა კარში...

***

მოინადირა არწივმა შველი...
დღე იყო თითქოს სიკვდილით სავსე...
შეგროვილიყვნენ კაცები გზისპირს
და შვლის თვალების ხსოვნისას სვამდნენ...

დღე იყო სავსე დარდით და ურვით
მზე მიბნედილი თითქოს ქრებოდა...
ჩამომტვრეოდა ნაპირი დუმილს
და სიშორეში იკარგებოდა...

***

შენამდე ვარსკვლავთა ბილიკებს მოვყვები,
შენამდე რაოდენ შორია...
მე მაინც ჯიუტად მოვიწევ ზეცაში,
მანდ, კართან დამხვდები მგოსია.
სიზმართა ფერხულში ჩაება ოცნებაც,
რაც უწინდელივით კაშკაშა ლურჯია.
ირჟრაჟზე სიზმრები, ზეცა და ცისკარი,
საოცარ იმედებს მჩუქნიან.
მთებს შორის აისი იღვიძებს ნელ–ნელა,
სიცოცხლე თვალების ციმციმით მიღიმის.
გული თუ ოცნებას აჰყვება ერთხელაც,
რა მოხდეს, ვინ იცის?!

***

ნუ დამიტირებ!.. ტირილამდე ისე შორია,
ისე საბრალო ჩანან ფიქრები,
ისე დაბლა ფრენს ზღვაზე თოლია,
ლამის შევახო ფრთებზე თითები...
ნუ დამიტირებ, შეინახე ცრემლები ცივი,
თბილი ხელები სანუგეშოდ გამომიწოდე.
ვფიქრობ, არ კმარა, როგორაც ვიწვი,
ის კი არ ვიცი, უფრო ძლიერ, როგორ ვიწვოდე...

ია კურტანიძე

სხვას ვერაფერი ვერ ვანდე

თუ სხვის ჭკუაზე, ვიარე
მაშინ ამ ჩემსას რა ვუქნა
გულს მოწოლილი დარდები
რით ვანუგეშო რა ვუთხრა.

ანდა ის ვიღაც, მრჩეველი
ჩემსას ყველაფერს გაიგებს,
თუ ისე ვითომ, უბრალოდ,
მხოლოდ სიტყვებით მარიგებს.

ხანდახან მეც თვითონ მიჭირს
ჩემი აზრების, მორევა,
ძლივს ვაკოწიწებ ერთმანეთს,
ვცდილობ თავი რომ მოვაბა.

ბევრს თუნდაც ამოსაცნობად
ბლომად უნაყავს მარილი,

სხვისი ზნე-ჩვევის შესწავლა
სულ არ ყოფილა ადვილი.

ბევრჯერაც თავი, ვარიდე
რამდენჯერ ვსინჯე, ვეცადე,
სხვა სხვის საქმეში, ბრძენია
ესეც ბევრს უთქვამს ჩემამდე.

ცხოვრებამ თვითონ, მასწავლა
რას როგორ უნდა მოვექცე
არც ის არ მინდა, ვიღაცას
ამ ერთ სიტყვაზე, რომ ვეცე.

ამას ვერეფრით, ვიკადრებ,
ხან ვჭრიდე ხან კი ვკერავდე,
ამაში, გამოცდილი ვარ,
სხვას, ვერაფერი, ვერ ვანდე.

ღამის სიჩუმეს ვაღმერთებ

მოსაღამოვდა, შევძელი
ფიქრებთან მარტო დარჩენა
ღამის სიჩუმეს, ვაღმერთებ
ეს უკვე წესად დამჩემდა.

ზუსტად ეხლა და ზუსტად ამ წუთში
ზღვა, ოცნებებში გადავიკარგე
მთლად მოვიარე მთელი სამყარო
კიდევ კარგი, რომ არ დავიკარგე.

ასე უსაზღვრო, მონატრებაში
გული ყველასთან ახლოს მივიდა
ჩემთვის, ფიქრებში ვიმოგზაურე
სანამ ღრმა ძილი, არ მომივიდა.

მგონი შევძელი, თავს მოვერიე,
ქარს გავატანე ჩემი დარდები
და არაფერი არ შემაწუხებს,
ხვალ დილით, როცა ფეხზე ავდგები.

გულო შენ ერთს მოგენდობი

ბევრ რამეზე, თავს ვიკავებ,
თვალებს ფართოდ არც კი ვახელ,
განა ჩემს გულს, ეშველება,
ვინმეს რამეს თუ გავუმხელ.

არც მკითხოთ და ვერც გაგანდობთ,
ამ აზრს მე ვერ გადავუხვევ,
ჩუმ ფიქრებს და ჩუმ ოცნებებს,
ჩემს აჩრდილსაც ვერ გავუმხელ.

ბოროტ ძალებს გზა გაეხსნათ,
გულში ნადებს ვერვის ვუმხელ
და ვერავის ვერ გავნდობ
რას ვფიქრობდი თუნდაც წუხელ.

საკმაოდ ბევრს შევესწარი
ქვეყნად უკვე ბევრი ვნახე

გულო შენ ერთს მოგენდობი
საიდუმლო შემინახე.

გული სადღაც ერთ კუნჭულში გმალავს

მე შენს აჩრდილს ვერ ვიშორებ
შენს სახეს კი თვალის ჩინი ფარავს
ჩუმ ფიქრებს კი ვერ ვერევი
გული სადღაც ერთ კუნჭულში გმალავს.

ერთადერი იმ დროს ალბათ გერქვა
აღიაროს ჩემს გულს ეხლაც არ სურს
ველარავინ დაეწევა გზაში
წლებს გაფრენილს უკვე ჩვენგან გასულს.

ურჩ ქარივით ჩაიქროლა წლებმა
და ვერაფრით დავაბრუნებთ წარსულს
გულს თუ ვკითხავ მიპასუხებს ვიცი
რომ იმ წლების დავიწყება არ სურს.

არც შიგნიდან არ შემჭამდა დარდი
სიმართლე რომ თავის დროზე მეთქვა
რა ვქნა თუკი ვერ ვხვდებოდი მაშინ
ჩემს გრძნობას კი სიყვარული ერქვა.

დღესაც ძაან ცოტა რამე ვიცი
სიყვარულის ნაზ და სპეტაკ სულზე
იშვიათად თუ ვსაუბრობ ეხლაც
სკოლის..ძველ და პირველ სიყვარულზე.

გულს რომ ვუთხარი გადაირია

ეხლაც ისეთი მტკივნეულია
ეს სიყვარულის ძველი იარა
ფარხმალს არა ყრის და არ მშორდება
თუმც წლებმა უკვე გადაიარა.

თითქოს მოდუნდა თითქოს მიყუჩდა
არც აღარაფერს აღარ მავალებს
მაგრამ აქ სადღაც გულის სიღრმეში
მაინც ბობოქრობს ჩუმად მაწვალებს.

დღეს მე სამყაროს სხვა თვალით ვუცქერ
დღეს ყველაფერი სხვანაირია
მის არსებობას თითქოს ვუარყოფ
გულს რომ ვუთხარი გადაირია.

ეს რთულზე რთული რამე ყოფილა
თურმე ნუ იტყვი თურმე ნუ ბრძანებ
როგორც არ უნდა ბევრი ეცადო
გულს შენ ვერაფერს ველარ უბრძანებ.

წლებმა ყველაფერს დაღი დაასვეს
დრომ ჩემს ცხოვრებას ფერი უცვალა
მასთან დამარცხდა ვერაფერს გახდა
ეს დიდი გრძნობა მან ვერ შეცვალა.

მე დანებებას არც კი ვაპირებ
რომ ვაღიარო ესეც რთულია
მაგრამ ამას კი თამამად ვიტყვი
ცხოვრების აზრი სიყვარულია.

კარგი ამბავი ჩიტუნა

დილიდან სულმოუთქმელად
რატომ ჭიკჭიკებ ჩიტინა
ნუთუ რაღაცას განიცდი
ნუთუ ნერვებმა გიმტყუნა.

რის თქმას აპირებ ნეტავი
რას ამბობ ან რას აცხადებ
თუ გახარებას მიპირებ
მაშინ რატომღა ცახცახებ.

ჩემთან თუ უკვე მეგობრობ
მაშინ რად შიშობ რადა ფრთხი
მე შენ ხალისით გიყურებ
შენც ხომ ზემოდან დამძახი.

ახლოს მოდი და მითხარი
კარგი ამბავი ვის უნდა?
მასე ჭიკჭიკით მახარე
კარგი ამბავი ჩიტუნა.

მერი ცხადაძე-ვეშაპიძე

***

ზაფხულის ხვატი ფიქრების გროვა,
ერთი რომ წავა მეორე მოვა,
ღრუბლებში მთვარე ნელნელა იწვის,
საათიც ისევ აგრძელებს წიკწიკს.
ვისწორებ ბალიშს, ვბრუნდები გვერდზე,
არა ეს ხრიკი არა სჭრის ჩემზე,
ირევა თავში ათასი ფიქრი,
საათიც ისევ აგრძელებს წიკწიკს.
წარსულის კადრებს მივყვები ნელა,
ჯერ კიდევ დრო მაქვს ჯერ ისევ ბნელა,
ვეხები ხელით ოცნებებს ლამაზს,
ვხედავ ფერებით მოხატულ დარბაზს.
ასრულებს პორტრეტს მხატვარი ფუნჯით,
სახე ჩემია, ფონი აქვს ლურჯი,
ღიმილი მეცნო ვიგრძენი თრთოლვა,
ნუთუ ის არის, ის ჩემთან მოვა,
ეშვება ფარდა, სრულდება კადრი

ვრჩები ფიქრებთან და მრჩება დარდი.
ვხედავ ფანჯრიდან ნამგალა მთვარეს,
ვესაუბრები მე ისევ ღამეს,
ათასი ფიქრი ირევა თავში,
ალბათ ასეა, აღარ ვარ ბავშვი.

ხანდაკს

მუხავ ძლიერო, ბებერო მუხავ,
წყაროვ ანკარავ ქვეშ გამდინარევ,
ჩემო გიჟმაჟო ლაღო კავთურავ,
ამაყო მტკვარო დიდო მდინარევ,
ჩვილი ბავშვივით მკერდში ჩაგიკრავს
სიცოცხლით სავსე განა ჯანდაქი
მრავალ ჭირვარამ გადატანილი
ჩემი პატარა, კოხტა ხანდაკი.
შრომით დაღლილი შენს მუხის ჩრდილში
მოვალ, დავჯდები ვიგრძნობ სიგრილეს
მერე შენს წყაროს დავეწაფები
ოფლით დაცვარულ შუბლს გავიგრილებ
დიდხანს ვუყურებ დაკოჟრილ ხელებს
ფიქრით რაღაცას, ფაქიზს ვევლები
და მახსენდება კვლავ დაკოჟრილი
ჩემი დაღლილი დედის ხელები.
რა სწრაფად გარბის დრო ულმობელი
თითქოს ვიყავით ლაღი გედები,
ვერცკი ვიგრძენით როგორ დავქალდით
და როგორ გავხდით უკვე დედები.
რაღაც მშობლიურს მეჩურჩულება

მტკვრით მონაქროლი ნიავი შენი
შეგესისხლხორცე ჩემო კავთურავ
და სიყვარულის შემყრია სენი,
რიგორღა გავძლო რომ არ მესმოდეს,
შენი ღრიალი ან თუ კივილი
და შენს ზვირთებში ჩვენი შვილების
ჟრიამული და ჟივილ-ხივილი.
ან შენს ღვთისმშობელს რომ არ ვეწვიო
მუხლმოდრეკილი სანთლებით ხელში
ჩემი სათქმელი შენ რომ არ გითხრა
თითქოს ბურთივით მაწვება ყელში.
როცა დამათოვს თმებზე ჭაღარა
და მოგონებებს ამიშლის ფიქრი
ამ სახეს ალბათ წლები დაღარავს
გაგვიფრინდება სიცოცხლეც თითქმის
მოვალ ყავარჯნით, წელში მოხრილი
დადუმებული სიკვდილის შიშით
და თვალს შევავლებ ონავარ ბავშვებს
ახლადაფეთქილ სხვა მუხის ჩრდილში.
არა არ წყდება ძაფი სიცოცხლის,
მე მწყდება მხოლოდ ცრემლები თრთოლვით
რომ ვქრებით ასე უხმოდ, უღმერთოდ
ვით შარშანდელი მოსული თოვლი.

ჭაღარა

დაბერავს ქარი და შემოდგომაც უკვე კარზეა,
ჩამოჰკრავს ზარი და სულიც ალბათ სიმშვიდეს ელის.
ჭაღარა ჩემი ღრმა სიბერის უკვე მაცნეა,
და არაფერი ამ სატკივარს აღარა შველის.

მიმოვიხედავ შემოძარცვულ ჭადართა შორის,
დავლანდავ ალბათ ჩემს სილუეტს განმარტოებით,
გამახსენდება გაზაფხული ნანატრი შორი
აფეთქებული ცეცხლისფერი ატმის რტოებით,
და მზის სხივებში გახვეული პატარძლის ცეკვას
თითქოს ბურუსი ეფინება ვით დაღლილ თვალებს,
თმაჩამოშლილი ტირიფივით გავიშლი თმებსა
და მივიხურავ გულდაწყვეტით სიცოცხლის კარებს.

სოფო დურულს და მამუკა ლობჟანიძეს

სულ ქორწილების, ძეობების გვეშალოს სუფრა
მაღალი ყანწი კვლავ პირამდე შეივსოთ მინდა
ქართველნო ყველამ დაგვილოცეთ ახლად შექმნილი
ფუძეძლიერი, მუხლმაგარი ოჯახი წმინდა
ნეფე-პატარძალს ჩაუგორეთ კალთაში ვაჟი
წლისთავს გვირგვინად რომ უმკობდეთ ღიმილი მისი
მხოლოდ სიმრავლე დაგებედოთ მხოლოდ ღიმილი
და არ გენახოთ თუ რა არის სევდა ტკივილი
კვლავ შემობრძანდა შემოდგომა ხვავით, ბარაქით
შემოეძარცვათ სამკაული ხეებს და ბუჩქებს,
მაგრამ ქართული ქორწილებო მამულო ჩემო,
მრავალჟამიერ ამშვენებდეს სახლებს და ქუჩებს.
ისევ ქართული დოლის ხმაზე გავშალოთ ხელი,
ისევ ვიმღეროთ ერთხმად, ტკბილად ჩვენი სულიკო
ისევ დუდუკი ავამღეროთ, ან სალამური
გენი ქართული არასოდეს დაკარგულიყოს.

კვლავ ქორწილების, ძეობების გვეშალოს სუფრა
მაღალი ყანწი კვლავ პირამდე შეავსოთ მინდა
ქართველნო! ყველამ დაგვილოცეთ ახლადშექმნილი
ფუძეძლიერი, მუხლმაგარი ოჯახი წმინდა.

***

"საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი"
გულს როდემდე უნდა გვტკენდეს საზარელი ამბავი
როდის უნდა მოვიშოროთ თალხა შავად მოსილი
როდის ვნახოთ ქართლის დედა ფერადად შემოსილი
როდის მოვა ჟამი ჩემი ქვეყნის ამობრწყინების
ანდა როდის შეგვეძლება დაფასება გმირების
სამუდამოდ გადაგვარდა ნუთუ მოდგმა თამარის
დამანახეთ საამაყო საქართველო სად არის
სად წავიდა ბრძოლის ჟინი თავმოყვარე ვაჟკაცის
გვერდში დგომა და იმედი მეგობრის და ძმაკაცის
ნუთუ წყევლა მოგვეწია ბოროტის და შაეთნის
ნუთუ ღმერთთან წარსადგენი სიტყვა არცერთს არ გვეთქმის
რას იტყოდნენ ნეტავ ჩვენზე ჩვენი მამა პაპანი
სად ირწევა გადახვეწილ ქართველ ბავშვის აკვანი
ვინ თარეშობს ჩემს მიწაზე გაუშლია კარავი
ქედმაღლურად რომ გვიყურებს არად გვაგდებს არავის
ღვთისმშობელო შეისმინე ქართველ დედის ვედრება
ჩემს უტურფეს საქართველოს ქვეყნად რა შეედრება
ვიცი გტკივა ჭრილობები ჩემო ტკბილო მამულო
წინაპრების სისხლითა და დედის ცრემლით ნამულო
რამდენისთვის გაგიძლია ნურც ეხლა ნუ შედრკები
გწამდეს კიდევ იზრდებიან ალგეთს მგლისა ლეკვები.

ნინო მღებრიშვილი

***

წუხელ დუქანში ვქეიფობდით მე და ნიკალა,
მთვარე ვარსკვლავებს უყვებოდა მიჯნურთა ზღაპარს,
და მნათობებიც მაღლა ციდან ჩუმად უმზერდნენ,
დუქნის სარკმელში თვალს უკრავდნენ საყვარელ მხატვარს.

ის კი ლხინობდა... არხეინად წრუპავდა ღვინოს,
მრგვალი მედუქნე სიხარულით უვსებდა ჭიქას,
"სულით მდიდარი, ჯიბით ღარიბი, ნეტავ რას ფიქრობს,"
ვნატრობდი, "თვისი საწუხარი იქნება მითხრას."

როცა ზარხოში გასხივოსნდა, გაკრთა თვალებში,
როს გენიოსმა გადახედა ცარიელ სუფრას,
მითხრა; – ღვინოში დარდი მღერის, ვხედავ და მესმის,
და სიყვარული სილამაზედ ფერებში სუნთქავს!

წუხელ დუქანში ვქეიფობდით მე და ნიკალა,
ღვინით, ო, არა! მეინახით ვიყავი მთვრალი,
და ეს უბრალო სიდიადე ძლიერ მხიბლავდა,
ვაგლახ, რომ მისთვის არ ვიყავი ნანატრი ქალი!

ემიგრანტის ლოცვა

სურათებიდან დანახულო ქართულო ზეცავ,
ემიგრანტების შემოგცქერის თვალი – ნამიანი,
უღრუბლო კაბა, დაე, მუდამ უსაფრთხოდ გეცვას,
დაე, მარადჟამს გიფარავდეს წმინდა მარიამი!
ქართულო მთებო, აზიდულო ცამდე, ხნიერო,
მუდამჟამს ძუძუს გაწოვებდეს მიწა – მადლიანი,
ზურმუხტისფერო, ვარდისფერო სამშობლოვ ჩემო,
დაე, ყოველთვის გიფარავდეს წმინდა მარიამი!
მარად ჰყვაოდეს შენი მთა და შენი ბუნება,
მეგუთნის ღიღინს ვერ ჰფარავდეს ხმები სახნისის,
შენ უფლის დედის წილხვდომილი გქვია ქვეყანა,
და ის ქალია, შენი დიდი დიასახლისი.
ჩემო ლამაზო, დახატულო ქართულო ზეცავ,
ემიგრანტების შემოგცქერის თვალი – ნამიანი,
უღრუბლო კაბა, დაე, მუდამ უსაფრთხოდ გეცვას,
დაე, მარადჟამს გიფარავდეს წმინდა მარიამი!

***

ყვავილებმა დაიბანეს პირი,
შუბლზე ოფლი მოიწმინდა ზეცამ,
გულში ჩუმად დაგუბებულ ტკივილს,
თურმე ჩვენი განშორება ერქვა.
წყარო ჩუმად მიყვებოდა შენზე,
შენი სუნთქვა მოჰყვებოდა ნიავს,
აღარ გელი, არა, აღარ გეძებ,
და წარსული ცრემლებს უხმოდ მიაქვთ.
ისევ მარტო გავუყვები ქუჩას,
სიყვარული ატირდება სულში,

ჩვენი გრძნობის სპეტაკ ჭირისუფალთ,
თეთრ გვირილებს ჩავიხუტებ გულში.
ყვავილებმა დაიბანეს პირი,
შუბლზე ოფლი მოიწმინდა ზეცამ,
გულში ჩუმად დაგუბებულ ტკივილს,
თურმე ჩვენი განშორება ერქვა...

სიყვარულის გაზაფხული

გაზაფხულმა ჩუმად მითხრა:
– სიყვარული გეძებს,
ულამაზეს ყვავილებად
შემომჯდარა ხეზე.
პირველ ელვად დაგრუხუნებს,
ამოსულა იად,
თვალი ხომ არ მოგიკრავსო,
ეკითხება ნიავს.
მერცხალივით მოჭიკჭიკეს
ღაწვს უნამავს ცრემლი,
იმ გოგონას დავეძებო,
ისევ იმას ველი...
ციცქნა ჭიამაიები
მზვერავებად ჰქრიან,
ამ ყველაფერს სიყვარულის
გაზაფხული ჰქვია.
შენ კი... შენ კი დამალულხარ,
მაგ ვერცხლისფერ თმაში,
აბა, როგორ გიპოვისო,
ბავშვი იყავ მაშინ...
გაზაფხულმა ჩუმად მითხრა,

სიყვარული გეძებს,
ულამაზეს ყვავილებად
შემომჯდარი ხეზე!...

კაცი – მარტოსული!

წელან უცაბედად კარებზე მომადგა,
კაცი მარტოსული და კაცი - დაბნეული,
იქნებ მოლოდინით დაღლილი და
იქნებ სიყვარულით თავგზაარეული.
- შენ ვინღა ხარ - მეთქი, - წყნარად ვიკითხე და
პასუხის დალოდება არც მიცდია,
რადგან მოლოდინით დაღლილ თვალებს,
სხვისი სიყვარული არ სჭირია.
ღვინო შევთავაზე, არ დალია,
გრძნობა სიტყვისაგან დაეცალა,
და რომ არაფერი აუხსნია,
ჩუმად, უხმაუროდ გამეცალა.
წელან ჩემს კარებთან კაცი მოდგა,
კაცი მარტოსული და, კაცი, - დაბნეული
იქნებ მოლოდინით დაღლილი და
იქნებ სიყვარულით თავგზაარეული.

მზესავით ნათელო ჭაბუკო!

შენ დარჩი ოცნების ჭაბუკად,
ასეთი კარგი და ცისფერი,
ვერცხლი გიბრწყინავდა თმაში და,
იმედი მოგქონდა იმდენი...
გული შეფრთხიალდა ჩიტივით,
შეგხედე, გამითბა ოცნება,

იყავი ლაღი და თამამი,
სანთლად ანთებული ლოცვებად.
ცრემლებად დაღვრილი წარსული,
სულში აკაშკაშდა ფერებად,
მზესავით ნათელო ჭაბუკო,
ცხადი იყავი თუ ჩვენება...
ვეფხისტყაოსნიდან მოსული
მთავარი გმირივით ძლიერო,
გაჩენისთანავე გამქრალო
გრძნობავ, სიცოცხლეზე ხნიერო.
შენ დარჩი ოცნების ჭაბუკად,
ასეთი კარგი და ცისფერი,
ვერცხლი გიბრწყინავდა თმაში და
ხურჯინით მოგქონდა იმედი!

გოგო, მზესავით ნათელი

გოგომ მზესავით ნათელმა,
მზის სხივი მსტყორცნა დილითა,
მისი თვალების იები
იმ წუთს გამიხდა თილისმად.
გოგომ მზესავით ნათელმა,
დღეს დილა ამიმზიანა,
ტანში დავლილმა ელდამ,
ქარივით გაიშრიალა.
მისმა უმანკო ღიმილმა
სამყარო ამიხმიანა,
გული ყინულად ქცეული
ჩიტივით ამიფრთხიალა.
უმისამართოდ დავდივარ,
ვეღარც ვიძინებ ძილითა,
ერთი ნატვრა მაქვს, ნეტავი,
შემომხვდებოდეს დილითა!

ნინო ზათიაშვილი

სინდისის სარკეში

გამორჩეული?
- არა, რას ბრძანებთ.
აბა სნეული?
- კი, ნაწილობრივ.
დროში ძლეული?
- ეხ, გამაცინეთ.
იქნებ, გრძნეული?
- ვფიქრობ დამცინით და
- თან მამცირებთ.
მაშ, ვინ ხართ მეთქი?
- სული ეული.
ჟამი განგკურნავთ.
- გადარეული?
ფიქრნი სად ქრიან?
- გაზაფხულივით ვარ არეული.

მაინც რას ფიქრობთ?
- დისონანსს ვჭვრეტ და
- ვუსმენ სამყაროს კაკაფონიას.
ამას ვეძახით ჩვენ აგონიას.
- აკი ვართ კიდეც აგონიაში.
ადგილს ვერ ჰპოვებთ ჰარმონიაში?
ასმაგად სცოდავთ!
- რას ჩამაცივდით , გეყოთ ეს ბოდვა
- ვითომ და ნეტა რომ შეგვიფუთეთ
- გონის საამოდ.
- სინდისი მაინც არა გტკივად
- გულივით ცოტა?
კითხვებს აქ მე ვსვავ!
- კაი ბატონო.
- მსმენია სიბრძნე-
- დათვს ბაბაია დაუძახეო,
- როს მოგერევა.
ნუ აგერევათ აწმყო წარსულში!
-კარგად აღნიშნეთ, სწორედ
- მანდა გვჭირს
- უკურნებელი
- ჭირი სულისა.
- ფესვებს რომ ვიჭრით ,
- და ჯიშს ვამყნობთ
- კვირტზე – კრულისა.
ისევ წარსულის ლანდებს მისტირით?
- ჩემმა თაობამ
- იცოდა კარგად შავ-თეთრთ რაობა.
მაგით რას ამბობთ, ჩვენ დალტონიკნი ვყოფილვართ აბა.
- თვით უარესნი,

- გულში ლახვარს რომ ჩაიცემ და
- მტერს ფეხებს დაბან
- რომ წაგიბილწოს
- ეზო და ბანი.
განა ასე გწამთ მომავლისა?
თქვენ ცინიკურად ეკიდებით ჩვენს "ნოვაციებს "
- ცინიკურადო?
- და ვის ვანთხიო გველივით გესლი.
- ჩემსავე ხორც-გვამს?
- ამას ვერ ხვდებით უგუნურნო
- და მე მაციებს,
- რომ წარმოვიდგენ სისრულეში
- მოყვანილ გეგმებს.
ისევ დაიწყეთ?
- და დავამთავრე ნეტაი როდის.
- ბოღმა მგუდავს და
- ეს აზრებიც
- ცრემლივით მომდის.
მოდი დაწყნარდით და
ბოლო კითხვას დაგისვავთ კარგი?
ლოცვად რას მეტყვით?
- კაცობრიობამ აჭრას ის თარგი
- ადამიანს რომ დაუფარავს
- სულზე - ხორცის დგამს
- და იგრძნობს ისევ გრავიტაციას
- დედა მიწისას
- მყარად რომ დგას ...
თქვენ ამის გწამთ?
- შე დალოცვილო,
- ამიტომა ვარ გამო – რჩეული

- და არ ძლეული,
- მაგრამ,
- ეული,
- უფლით სნეული
- ერი უკვდავი!

გავინაპირებ

რამდენი რამ მაქვს სათქმელი
რამდენს ვერ უბრობს ენაო.
აზრი - ქონივით სათლელი
გონება - ბედისწერაო.
რამდენმა გულის ნადებმა
უცებ ჩამწყვიტა ზენაო.
აზრნი - ვით ნაქადაგებნი
მაინც ვერ დაიწერაო.
რამდენი დღეთა სიმწარე
რამდენ წუთ-წამთა დევნაო.
აზრი ჩემი რომ - ვიმწარე
გონებამ მერე - მდევნაო.
რამდენჯერ ვცადე - ავაგე
ფიქრნი ვით - სულის ტაძარი.
გონზე - გონი ვერ დავაგე
გამოდგა ხორცზე ნაძვალი.
რამდენი თავთავთ თავთუხი
ჩამოფქვა წუთის სოფელმა.
ისევ ვმაჭრობ - ვერ დავდუღდი
ვერც შემსვა - ავის მყოფელმა.
რამდენჯერ ვმტკიცე, გავცერი
ცრემლით ნაზელი მასველებს.

სულის ფსკერს გული ჩასცქერის
ვით სარკის ნაბზარ ნამსხვრევებს.
რამდენი რამ მაქვს სათქმელი
რასაც ვერ უბრობს ენაო.
სიკვდილი - სულის საშველი
სიცოცხლე - ბედის წერაო.
რამდენჯერ დავსვი წერტილი
წასვლას თუმცა - არც ვაპირებ.
გამოღმა ვწამობ - ჩემ წილით
გაღმაც მწამს - გავინაპირებ.

სა -ალალო

თუ წვიმს გული კვნესის საავ-დაროდ.
უწინ მახარებდნენ ავდრებიც.
ნუშის თვალება და სა-ალალო
რომ ვიყავით მერცხალ ბალღები.

თუ თოვს გულშიც ისევ ინამქრება
მოგონება წარსულ თოვლ-ზვავთა.
კაცი აბა სხვა რას ინატრებდა
სიცოცხლე თუ კლდისებ მოზვავდა.

წვიმს და გულ-მზე სულის მცხუნვარება,
ცისარტყელას ფერებს ასხივებს.
რას დაგაკლებს სხვათა მდუმარება
შენ ან მზედ გაბნეულ ცად სხივებს.

თოვს და წარსულთ ლანდებს ისე ვერწყმი
ვით, ცას პოლარული ნათება.
მხცოვანი ვარ, მაგრამ ბავშვად ვრჩები,
ისე ნატვრებიც არ ახდება.

მანანა მჭედლიშვილი–დვალიშვილი

წმინდაო მარიამ

წმინდაო მარიამ, მოვედი შენთან,
გული მოგიტანე დარდებით სავსე.
ჩვენს შვილებს მიეც ბედნიერება,
დედა ვარ, მიტომ ვლოცულობ ასე.

შენს წინ დავდგები და დავიჩოქებ,
ხელის კანკალით ავანთებ სანთელს,
მოგეფერები და ჩაგჩურჩულებ
გულწრფელად გეტყვი ჩემს გულის სათქმელს.

დღეს გაზაფხული თუ მომილოცეს,
მორცხვად იებმა და ენძელებმა,
მიიღე ჩემი ლოცვა-ვედრება,
ეს ერთი ლოცვა რად გეძნელება.

მამულო ჩემო

მამულო ჩემო მე შენს გულზე დავიარები,
რად მომესმის შენი კვნესა, გლოვის ზარები,
წინ დაგიდგები,
ტყვიას მკერდით ავეფარები,
რომ არ დაგაჩნდეს გულზე დაღი, ნატყვიარები.
მტერი რომ იყოს, კარგად იცით რასაც ვიზამდით,
ქართველ ვაჟკაცებს არ ეშლებათ სროლის მიზანი.
მტერი მეგონა, მტრის მაგივრად ძმა შევიცანი
საით ვისროლო მეც არ ვიცი, მტერი ვინ არის.

დრო სწრაფად მიდის

დრო სწრაფად მიდის, მიჰქრის,
არ ჰგავს ფოთოლთა ცვენას,
არც ნახტომია ირმის,
არც ბელურების ფრენა.
ძველ, ბებერ მუხას ტყეში
ქარი წაართმევს ფოთოლს,
წამოვა წვიმა-თქეში
და ისევ მალე მოთოვს.
ამოვა ძველი ფესვიდან
ნერგი ქორფა და პატარა,
მე დღეს აღარა ვკვნესივარ,
თუმც მომეძალა ჭაღარა.
წარმავალია ყოველი:
გულიანი თუ უგულო,
განა მე მისთვის მოველი

სიკვდილ-სიცოცხლეს ვუყურო?
ასე ყოფილა ღვთის ნება
განმეორდება ყოველი,
ბებერი ვეფხვიც თუ კვდება,
მასაც დარჩება ბოკვერი.
რა შეაჩერებს დროთა სვლას,
განა უკვდავად მოველით?
ესაა ამაოება,
ესაა წუთისოფელი.

ჩემი ბაღის იასამნები

ჩემი სახლის წინ პატარა ბაღში
ისევ აყვავდნენ იასამნები,
მე ყოველ დილით მეგებებიან
და მეც ღიმილით მივესალმები.

მზე კი გულუხვად უგზავნის სხივებს
და ყოველ დილით თავზე ევლება.
თავის ფიალას სიცოცხლით ივსებს,
ხან კი ცვარ-ნამი დასდის ცრემლებად.

როცა მზე წითლად ამოანათებს
გულზე ნათელი მოეფინება.
სიო რომ ფოთლებს ააშრიალებს
სიცოცხეს მაშინ მოევლინება.

და სიხარულით მოფრინდებიან
ტკბილი გალობით ჩიტი-გვრიტები.

გულში სიხარულს ვერ დაიტევენ
გაიშლებიან ქორფა კვირტები.

ხან კი მოიწყენს, ცრემლი სდის ღვარად
და თავის სურნელს მაინც არ კარგავს,
დღე მზის სხივები ეფერებიან
ღამე კი მთვარე უამბობს ზღაპარს.

ერთმანეთს ტკბილად ვესაუბრებით
და ერთმანეთის ჩურჩულიც გვესმის.
ამაყად დგანან ნორჩი ტოტები,
რადგან ძლიერი ჰქონიათ ფესვი.

როცა დარდები შემომეჩვია
ის ავირჩიე სულის მეგობრად
და მეგობრობაც ასეთი ვიცი
მე მას ვენდობი, ის მე მენდობა.

თუ უცნაური მოხდება რამე,
ბევრი რამ ხდება ისე, შემთხვევით.
მე იმედი მაქვს, რომ სამერმისოდ
ჩემს იასამნებს ისევ შევხვდები.

ვის თვალში მზე ვარ...

ვის თვალში მზე ვარ, ვის თვალში მთვარე
ერთი მცნება მაქვს, ვიყო მართალი.
ავწონ-დავწონი სიტყვას ათასჯერ
და ერთხელ მოვჭრი, როგორც ნამგალი.

მტერიც ბევრი მყავს, თუნდაც მოკეთე
ისევ ისა ვარ, რაც უნდა ვიყო,
არ მინდა გავხდე სხვისი მოკეღლე,
არც მსურს ქონება სხვისი გავიყო.
ღმერთს მადლსა ვწირავ ყოველ ცისმარე,
ვერ შევედრები უძირო ზღვასა,
მძულს ბოროტება, მიყვარს სიკეთე
და არც სიშურით გავხედავ სხვასა.
რაც მე სიკეთე მიკეთებია,
ვერც გავზომავ და ვერცა ავწონი,
მადლის კეთება უფლის ნებაა
თვითონ გაზომავს, თვითონ აწონის.

მსურს დაგივიწყო

მე ზღვა მაგონებს შენს მღელვარე გულს,
ფსკერზე ნალექი გრძნობას დარდიანს.
ნუ გაუწყრები ფიქრებს არეულს
უმისამართოდ თუკი დადიან.
დავიარები მე ზღვის ნაპირას,
გულმა შეიგრძნო უშენოდ დაღლა.
შენ შორს იყავი და შენს მაგივრად
მეფერებოდა ზღვის თბილი ტალღა.
რად მიმატოვე, რატომ გამირბი,
ცრემლით გავლიე მე ზღვის ნაპირი.
ყველა ოცნებამ ახსნა აღვირი,
არ მეკითხები მე თუ, რად ვტირი.
გულში ჩავიკრავ ზღვის ლამაზ კენჭებს,
მსურს დაგივიწყო,აღარ გინატრო,
ჩემი თვალები მხოლოდ შენ გეძებს,
გული ვერა სძლებს უშენოდ, მარტო.

მაია- მაო გიუნაშვილი

***

მგონი გიცნობთ, შემხვედრიხართ ადრე სადღაც...
არ მღალატობს თვალთახედვა ცნობის...
თქვენც კი მიცნობთ, რად მარიდებთ ასე მზერას,
ან რად გინდათ ეგ თამაში შფოთვის..
ნუ აღელდით, მე არ ვითხოვ თქვენგან რამეს..
ეს უბრალოდ, გამიკვირდა თქვენი მზერა...
მახსოვს, ერთდროს თქვენც იყავით მათხოვარი,
ახლა მე ვარ თქვენს ადგილას ხედავთ...
ნუ შეგრცხვებათ თუ არა გაქვთ ჩემთვის გროში,
გახსოვთ?!.. მითხარ, ჩვენ ორივე ავცდით დროში...
ასეთია ეს ცხოვრება უსამართლო,
ჰქენ სიკეთე ისე, რომ არ დაამადლო...
რად მიყურებთ გაოცებით, შევიცვალე?..
დრომ მარგუნა თქვენი ნებით ეს,, ფიასკო,,...
ამიარეთ გვერდი ვითომც არ მიცნობდეთ,
იქნებ უფრო დიდ საბადოს კვლავ მიაგნოთ...

კვლავ შევხვდებით თანასწორნი უფლის ნებით,
სასწაული გადაკვეთავს ზეცად ჩვენს გზებს...
თვალს მარიდებთ? ! ღმერთი თქვენი გზით წაგიყვანთ,
მე კი უკვე შევეგუე ნარგუნებ ბედს...

მახსოვს, ერთ დროს თქვენც იყავით ჩემს ადგილას...
და მოერგეთ სხვის ნაწვალებს სულ ადვილად....

***

საიდან დავიწყო უფალო მოყოლა...
უამრავ ცოდვების რომ გავხდი მზიდავი,
შენი რომ არ მწამდეს, ასე არ მიცავდე,
კი იცი აქამდე მე რასაც ვიზამდი...
საიდან დავიწყო??!..
პირველად რაც ვცოდე?..
ვერაფრით დავძლიე მეზიდა ბოლომდე
ის ტვირთი, რაც მერგო, გულიანს უგულოდ...
და მაინც რამდენი,
რამდენი შევძელი...
იცი, რომ რამდენჯერ დავეცი უსულოდ...
საიდან დავიწყო უფალო მოყოლა,
ისედაც რამდენჯერ გაწუხებ ვედრებით,
რამდენჯერ ღვთისმშობელს თვალებში შევყურებ
და კალთას ვუსველებ ჩემ მწარე ცრემლებით..
და მაინც სასჯელი რად მერგო ასეთი,
შენსავით მეც ჯვარზე გაკრული ვწამულობ...
სიყვარულისთვის, გაღებულ სითბოსთვის

შენსავით დამსაჯეს, ამის თქმას ვკადრულობ...
საიდან დავიწყო, ვერც ვიგებ უფალო...
სიკეთის კეთება სასჯელად ითვლება?!..
თუ მაინც, თუ მაინც მე ვცოდე ბრიყვულად,
პატიებას გთხოვ, გადავრჩე იქნება...
რამდენი გამომრჩა, ვერ გითხარ თამამად
იარებს ვერაფრით ვიშუშებ ცოდვილი..
ხარხარებს ვიღაცა, ვინც დამცა ბოლომდე,
სულზეც კი დამადო მარადის ბორკილი..
საიდან დავიწყო, ვერც გავალ ბოლომდის,
შემეძლოს მოყოლა ყველაფრის ნეტავი..
ეს აღსარებაა, მიმიხვდი უფალო..
გაწუხებ, მადლობა, ვწამულობ შენსავით...

***

ღრუბლიანი ცის ქვეშ მდგარი
გადაღლილი ხე მზეს ნატრობს...
ქუჩა ქუჩა დაძრწის ქალი
და გაჩენის დღეს კვლავ ნანობს...
გულში ტრფობა ჩამარხული
თან დააქვს და არვის უთმობს,
ქუჩებს ცრემლით დაუყვება
ყველა შემხვედრს ღიმილს უკრთობს..
ღრუბლიანი ცის ქვეშ მდგარი
მორჩილებით უმზერს ტაძარს,
დაიმორცხვებს, როცა ნაცნობს
ძველებურად ვეღარ ნახავს..
გაუყვება დაძონძილი
კაბით სირცხვილ ნამწარები,

განა მისი გაჩენის დროს
ეს არგუნეს განაჩენი...
ქალი, ერთდროს ქალი ლაღი
ახლა ყოფით დარცხვენილი,
ნებით არა, უნებლიედ,
სულაც სხვისით წახდენილი...
ღრუბლიანი ცის ქვეშ მდგარი
ქალი ძალაგამოცლილი,
ქალი ერთდროს მართლაც ქალი,
ახლა ფუძეგამოცლილი...
მიუყვება ქუჩას მორცხვად,
ცოტა კაბა დაძონძილი...
გიკვირთ ალბათ, თან იცინით
ეს რომ არ გაქვთ გამოცდილი...
ქალი ვნება, ქალი ერთდროს
ქალი მუდამ მომღიმარი,
დგას შეჰყურებს ღრუბლიან ცას
ცრემლით ბედთან მომდურავი...
დაძონძილი კაბის მიღმა
გული კი აქვს წრფელი, მაგრამ
ქალი ერთდროს მყარად მდგარი
მიწას ფეხსაც კრძალვით ადგავს..
ცას შეჰყურებს, რიგში დგება..
ზეცას გულნატკენი აჰყავს..
მერამდენე?!.. მერამდენე?!..
რიგში დგას და ელის ავლას..
ქალი ზეცად ამავალი
ცას შეჰყურებს, იწყებს ათვლას...
მერამდენე, მერამდენე,
ფიქრობს, როგორ შეძლებს ამას...

***

არ ვარ კარგად, მიმკურნალეთ გევედრებით,
მომიჩინეთ სულ პატარა პალატა...
ოცნებებთან დავეტიო, ფიქრთან ვიწვე
სხვა სიცოცხლე აღარ მიღირს არაფრად....
მიმკურნალეთ, სიყვარულმა შხამი მასვა,
მოწამლული სულით მტოვა ზვარაკად...
მომიჩინეთ სამკურნალოდ სარეცელი...
ეს სიცოცხლე აღარ მიღირს არაფრად...
გათენება მინდა ვიგრძნო ძველებურად,
ღამემ ისევ შემამზადოს ლამაზად...
ავადა ვარ, სიყვარულის შხამი მასვეს
და დამტოვეს ოცნებების ზვარაკად...

***

ღვთისმშობელო, დედავ ღვთისავ
ალბათ როგორ დაგისველდა კალთა...
ჩვენს სამშობლოს პირმშოები აკლდებიან,
ვეღარ ვუძლებთ ამ დანაკარგს, რა ვქნათ....
ალბათ როგორ ლოცულობდი, მაგრამ
გაგეცრიცა დალოცვილი კაბა...
ვერ უშველეთ ამდენ გულისტკივილს
რატომ ხდება, აღარ ვიცი რა ვთქვა...
ვერ ვიგლოვებთ ახალგაზრდის წასვლას,
უმალ ვიგებთ დაღუპულებს ახალს...
ღვთიშობელო შეგავედრებ მაინც
მოგვაფარე მადლმოსილი კალთა....
სანთელს ვუნთებთ გარდაცვლილთა სულებს
და სატანა მაინც ცდილობს ჯოგნას...
თუ სამშობლო დაიცლება სისხლად,
რა აზრი აქვს მაშინ ასეთ ყოფნას....

ნორა ედიშერაშვილი

რაც მიყვარდა

შემომიჩნდა ეს ფრთიანი სევდა,
სულზე მადებს მოუხეშავ თათებს...
შენზე ფიქრი რა ჯიუტად მდევდა,
მაფხიზლებდა თეთრად ღამენათევს.
დავეწევი თრიალეთის ღრუბელს,
გავაღვიძებ მიძინებულ გრძნობებს,
მივეფერო მინდა ჩემივ უბნელს,
გავუმაგრო გარღვეული ღობე.
ქარვის ვენახს მდინარესთან ვეძებ,
დასიცხულა მოქათქათე რიყე,
წლებმა ერთად ჩაგვიარა გვერდზე.
დრო ვერ შლიდა კლდეებსა და რიფებს.
მომენატრა ჩემი სოფლის ფერი,
ტირიფებთან მოსისინე ქარი,
შარაგზაზე ავარდნილი მტვერი
და მეზობლის გაღებული კარი.
დავიწყება როგორ შევძლო შენი,
ნაწვიმარზე მოცახცახე სხივის,
ალიონზე ნაზი ბინდიც გშვენის,

და ურმულის უჩინარი სიმიც...
თავთან მადგას ეს ფრთიანი სევდა,
სულზე მადებს მოუხეშავ თათებს...
რაც მიყვარდა ოცნებებში მხვევდა,
მაფხიზლებდა თეთრად ღამენათევს.

და ვლოცულობდით!

ვიღაცა წუხელ უკრავდა შოპენს...
მუსიკა ზეფირს მისდევს და ერთვის...
ვარდის მაისი ქარგავდა სოფელს
და ვლოცულობდით მეცა და ღმერთიც!
დაღლილი ღამე ლულავდა თვალებს,
დუმდნენ სახლები, რულდაძლეულნი,
ღრუბლების მაღლა მიჰქონდათ ქარებს,
ფიქრები ჩემი, ლოცვად ქცეული...
გზა ხერგილებით არის სავალი,
მზით სავსე გვინდა ქართული ჭერი...
უფალო, ახლა არის მთავარი,
გადაგვირჩინო სამშობლო ჩვენი!...
ვიღაცა წუხელ უკრავდა შოპენს,
მუსიკა ზეფირს მისდევს და ერთვის...
თეთრი ვარდები ათოვდა სოფელს,
და ვლოცულობდით მეცა და... ღმერთიც!

მე გაზაფხული მედგა თვალებში,

გარეთ ბარდნიდა დეკემბრის თოვლი,
გაბეზრებული ქარის თარეშით.

ვგავდი წყვდიადში დაკარგულ ლტოლვილს.
ჩამქრალ კოცონთან ეძინათ ლანდებს,
თოვდა და მწვავდა სურვილის ხვატი,
ვიღაც არხევდა დაბინდულ ფარდებს.
სარკმელთან იდგა შენივე ხატი.
მერე, ოცნება მოკლეს, უბრალოდ,
ზღურბლთან დამტოვეს დილის სტუმარი,
ის მირაჟებიც გაქრა, უკვალოდ,
ვით უხილავი და უჩინარი.
დაღლილ მინდვრებში ვეძებ გზავნილებს,
ნაზამთრალ მიწის ორთქლიც კი მათრობს,
იმ წლებსა ვკინძავ, უქმად ჩავლილებს,
და მაინც, შენზე ვფიქრობ და გნატრობ!

მოდი, სანამ გეძახიან,

ვიდრე გეძებთ და გნატრობთ...
განა ცრემლი ზედაშეა,
ან თვალის ნისლი, მარტო?!
მოდი. ქომაგად დამიდექ,
გელის იმედის ერდო,
მზის კელაპტარი დამინთე,
ერთგულებაში გენდო...
დამიცხრე სულის იარა,
მაჩუქე რწმენა ხვალის...
დარდებში ჩამეზიარე,
მითხარ, მთისა და ბარის...
იქნებ, ვაღვიძებ ოცნებებს,
წამომაშველე ხელი,

რომ სანამ ბედი მომცელავს
დავტკბე მამულის ცქერით..
საწუთრო ჩამოთავდება,
მუხანათია... გვიმტრობს!..
არც ვინმე... კაცი, თავდებად,
არცა ვინ... სადმე გვიხმობს!

***

ვიღაც თავისთვის მღეროდა... წუხელ...
გვინაწილებდა გულსა და სითბოს...
მსმენელი... ვინმე... ტკივილს და წუხილს
ბნელ „ჯურღმულებში“ მალავდა თითქოს.
ცას კი ჰკიდია ნისლის ფარდები,
ხეებსა ლეწავს როკაპი ქარი...
გზებზე დახტიან ჭინკის ლანდები
და სადღაც რეკავს მიმწუხრის ზარი.
ვისმენ და თვალზე ვიმშრალებ კურცხალს,
რად გვქონდა წლები მკაცრი და მძიმე,
გულგრილად მივდევ დღეების ფურცვლას,
და ღმერთთან ვეძებ დაკარგულ იმედს,

***

გავითავისებ ამინდებს,
ცერზე შემდგარი ვხვდები...
უშენოდ როგორ წავიდე,
ვძებნო მამულის გზები?!

ბილიკებს შევყვე თრიალეთს,
ჩავმუხლო, ძლიერ ხატთან...
სად ცოდვა-მადლი ტრიალებს,
ძველი კლდეკარის კართან...
ცისკრის ვარსკვლავებს შევწვდები,
თეძამს გადავალ ფონით,
ღვთისა და კაცის შეწევნით,
მზეც არ გვექნება შორი.
საწუთრო გულზე მაბიჯებს,
წლების სიავეც მეძმო...
დავითვლი დროის ნაბიჯებს,
რომ შენთან მოსვლა შევძლო!...

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

რა უნდოდა დეკემბერში წვიმას?!
ჯანყი წევს და ნაცრისფერი ნისლი...
სულშიც ისე უსაშველოდ ცივა,
სველი ქარის სისინიც კი ისმის.
შენს სიშორეს, რა ვქნა, ველარ ვითმენ,
სად წაუვალ ჯერაც უთქმელ დარდებს,
მზის სხივები გამიშალო, იქნებ,
ეს ლოდინი იმედებსაც ბადებს.
დევის ძალას რა ამაოდ ვეძებ,
სამართალი კუს ნაბიჯით დადის,
წლებმა ფუჭად ჩამიარა გვერდზე,
დრო კი გარბის ულაყივით მარდი.
არ სრულდება ოცნებები, ვიცი,
მოწყენილა ჩემი სახლის ჭერი...
ზამთრის ღამემ ფიქრის ცვენა იცის,
მონატრება გაზაფხულის ფერის...

ეთო გორგილაძე

***

ყოველი დღე-ახლის დასაწყი'აია,
ახალ შანსებს კვლავ იძლევა უფალი,
უიღბლობა გასულ დღეს გაატანე,
დილიდან კი-იყავ თავისუფალი.
უმადლობდე უფალს გათენებისთვის,
უღრუბლო ცა, რომ დაგყურებს თავზე,
სევდიანი დღე დატოვე არქივში,
და იფიქრე-ნათელ მომავალზე.
შინაგანად მხნედ იყავი ყოველთვის,
რწმენა გქობდეს მუდამ ზეცით უფლისა,
გწამდეს შენთვის ილაჟვარდებს მნათობი,
თვითონ შესძელ დამშვიდება სულისა.
ახალი დღე-ახლის დასაწყისია,
არ შეგშურდეს წარმატება სხვისია,
სიკეთისთვის ბოლომდე დაიხარჯე,
შეასრულე-ქვეყნად შენი მისია.
გადახედე-შენს იქეთაც რა ხდება,

ნატვრა უცებ არასოდეს ახდება,
იქნებ ვინმე მაგ შენს ბედსაც შენატრის,
შენი დარდი-უცებ ნული გახდება.
უმადლოდე უფალს მისთვის რაცა გაქვს,
ყოველი დღე, რაღაცით ხომ გადაგაქვს,
სხვის იმედად არასოდეს არ იყო,
საამისოდ შენ უფლისგან ძალა გაქვს.
დილა ლოცვით დაიწყე და მადლობდე,
ყოველ დღეს და ხანგრძლუვობის წამებსო,
საწოლს არ ხარ მიჯაჭვული გახსოვდეს,
არც ეკუთვნი დასაკრძალავ გვამებსო.
ცოცხალმა კი-ყველაფრისთვის იბრძოლე,
თავისით ხომ არაფერი არ მოვა,
შინაგანად მხნედ იყავი ყოველთვის,
გჯეროდეს, რომ ყველაფერი გამოვა.

***

ამ ცხოვრებას ნუ გაილევ ცრემლებით,
და წარსულის სინანული ნუ მოგკლავს,
იქ ვერაფერს ველარ შეცვლი იცოდე,
და სიბერე ნაადრევად ნუ მოგყავს.
ნუ იცხოვრებ მწარე მოგონებებით,
წინ იყურე, მომავალი დასახე,
რაც გინდოდა, თავის დროზე არ ახდა,
ეცადე და შენი ხელით დახატე.
ნუ დაუცდი – სხვა მოვა და გიშველის,
სხვის იმედად ვერაფერს ვერ უშველი,
ბედნიერი წუთი თვითონ შექმენი,
ცხოვრების გზა ნუ გგონია ულევი.
დროს ნუ კარგავ ცრემლებში და დარდებში,

თუ იტირებ, ნაადრევად დადნები,
სამომავლოდ დაისახე მიზნები,
არ დანებდე, ბედნიერი იქნები.
ეს ცხოვრება ხანმოკლეა გახსოვდეთ,
ნუ გადადებთ აუხდენელ ოცნებას,
არ დანებდე, კიდევ მეტი იბრძოლე,
და რაც გსურდა, ნახავ ისე მოხდება.
დააფასეთ ყოველი დღე და წუთი,
შენს მაგივრად, სხვა არაფერს არ იზამს,
ყოველი დღე უფალს უნდა მადლობდე,
კიდევ უფრო გაგახარებს გაისად.
არავისაც არ გასწირავს უფალი,
თუ იცხოვრებ რწმენითა და იმედით,
პირადად თუ ნეტარება ვერ პოვე,
სამომავლოდ გაიხარებ შვილებით.
თქვენს წილ ბედნიერებას,
ნუ დაკარგავთ ეცადეთ,
მხიარული განწყობით
დღე დაგეგმეთ ეხლავე.
ნუ გადადებთ უცმელად,
კაბას სხვა დროისათვის,
ნუ დაუცდით მნიშვნელოვან თარიღებს,
იკეკლუცე შენთვის, და არა სხვისათვის.
ბედნიერი იყავ დღეს და ამ წუთში,
სხვა დროს, სხვა საათს ნურასოდეს დაუცდით,
დღეს ვართ, ხვალე იქნება და არც ვიყოთ,
და ოცნება იქეთ არა წავიღოთ.
ყოველი დღე ისე გამოიყენე,
თითქოს იყოს შენთვის უკანასკნელი,
და ახლობლებს მოეფერეთ,გაათბეთ,
არ დატოვოთ გულში სიტყვა სათქმელი
აიხდინე,ის რაც სხვებში მოგწონდა,

ვის ცხოვრებას შენატროდი ნეტავი,
მოისროლე სადღაც დაძაბულობა,
აიხდინე ფიქრი შენი ნეტარი.
ყველაფერს აქვს თავის წილი საზომი,
ეს ცხოვრება არვისტვისაა საძღომი,
გაიხარე დღეს და ახლა ამ წუთში,
თავს ნუ გაყოფ სასიკვდილოდ მარყუჟში.
ყოველი დღე უფლის საჩუქარია,
მზის ამოსვლა გიხაროდეს,ჰმადლობდე,
უკურნებელ სენს თუ არა,არ ებრძვი,
იმის იქეთ, არაფერზე დარდობდე.
ჯანმრთელმა კი ყველაფრისთვის იბრძოლე,
დამიჯერე, ყველაფერი გამოვა,
გაიხსენი, გახალისდი,ნუ ტირი,
ბედნიერი წამი მისიტ წამოვა.

***

ვიცი დრო იტყვის ჩემს სათქმელს,
რაც დავუმალე მე დღეს სტრიქონებს,
შორეულ წარსულს გადახედავენ,
და სინანულით მე მომიგონებთ.
ბევრი ვერ ხვდება და ვერ აფასებს,
სითბოს რომელიც დამიხარჯია.
უმადურთათვის დახარჯული დრო,
ბევრჯერ ცრემლებით დამინამია.
გაყალბდა გრძნობა, ხალხი გაცივდა,
ზამთრის სუსხივით სულშიც აცივდა.
იგნორი ადევს ყველას სახეზე,
ღიმილი მხოლოდ ვიცით ფარსია,
გულწრფელი გრძნობა გაიშვიათდა,
დღეს მეგობრობა სიცოცხლის ფასია.

ნიღაბს ატარებს ყველა მეორე,
ქვეყნად გულწრფელი გამოილია,
ვერვინ აფასებს აწმყოს, რაცა აქვთ,
თუმც ცხოვრების გზა გამოვლილი აქვთ.
ხშირად იტყვიან, წუთია სოფელი,
თუმც იშვიათად იციან არსი,
მჭერმეტყველობენ სხვის გასაგონად,
თუმცა ყოველი ეს არის ფარსი.
თუ კი ვიცით რომ წუთია სოფელი
რად არა ვცდილობთ ვიყოთ კარგები,
კეთილი საქმე რომ გავაკეთოთ,
ღიად გავშალოთ ცხოვრების კარტები.
გავათბოთ ყველა, ვინც გულით გვიყვარს,
ენას ვათქმიოთ ტკბილი სიტყვები,
რატომ ვერავინ ვერა ხვდება, რომ
ქვეყნად მუდმივად არვინ ვიქნებით.
უთქმელი "ნეტავ" გულში არ დაგვრჩეს,
სიცოცხლეშივე დატკბით ცხოვრებით,
მძიმე დანაკლისს რომ განიცდიდნენ,
ირგვლივ ყოველი, შენი ცხონებით.
გამოადექი ყველა გლახაკსა,
ცრემლი შეუშრე ყველა მტირალსა,
სხვის სიხარულიც გაიზიარე,
გული გაუთბე სახემცინარსაც.
– "წუთია სოფელი", მართლაც ასეა,
და მოასწარით კარგის კეთება,
ცხოვრებით დატკბით, სხვებიც ახარებთ
ეს არის მხოლოდ უფლისა ნება.
წუთია სოფელი, უნდა მოვასწროთ
ყველას გათბობა და მოფერება,
დღესა ვართ, ხვალე იქნებ არც ვიყოთ,
ასეთი არის უფლისა ნება.

ცაგო აბაშმაძე

***

ცოტაც კიდევ და დაბერდება ჩემში ფიქრები,
არ მიერთგულებს ძველებურად ლაღი ოცნება,
შემომიწვიმებს სულის სარკმელს წვიმის წვეთები
და მარტოობის გავიგონებ ამოკვნესებას....
გაბატონდება დარდი გულის ყველა კუთხეში
და ძველ ლარნაკში იქვითინებს ცრუ მოგონება...
აჩურჩულდება სადღაც, გულის მიმქრალ უბეში,
იმედის სხივი, მომავალი სულის ცხონება....

***

არ მჭირდება ატლასი და ფარჩა,
არ ვსურვილობ მქონდეს ოქრო ვერცხლი ,
ოცნებებში ერთი ქოხი დამრჩა
და ამ ქოხში ჩემს მომავალს შევცვლი...
მეყოლება შვლის ნუკრების ფარა
და ღრუბლების ცხვარ-ბატკანში ავრევ...
ვიტრიალებ ქოხში, როგორც ჯარა

და სიცოცხლეს შენს მკლავებში დავლევ..
გვეყოლება უთვალავი შვილი,
ვარსკვლავებით აივსება ეზო,
მე ვიქნები ლამაზი და მშვიდი,
შენ იქნები ბედნიერი ეგზომ.....

***

სულის კივილმა უკუნეთი გაფატრა ზეცა...
და ნირწამხდარი ჩაიკეცა ალვებში მთვარე...
აკივლდა ქარიც.. დააგლიჯა ტოტები ძეწნას,
ღამეს შეჰბღავლა! რატომ! რატომ გადამიყვარეთ!
შეშლილი იყო სამყაროში ყოველი წამი,
უფლის ნაბოძებ სიცოცხლეებს გვპარავდა ეშმა,
და არსაიდან არ ისმოდა იმედის ჩქამი...
მერე... უეცრად, სევდიანი ჩურჩული მესმა!
შეინანეთო, შეინანეთო ადამის მოდგმავ,
განა იმისთვის გაგაჩინეთ ცოდვები გეშვათ?
ლოცვას შეეშვით, მიგაჩნიათ უაზრო ბოდვად,
მოყვასისათვის უმოწყალოდ ხელი რომ გეკრათ?
კმარა! უაზრო ქვითინი და ცრემლების ფრქვევა,
სიკეთის ნაცვლად რაც დათესეთ იმკით იმასვე,
სამშობლოს ჰყიდით, არ განაღვლებთ რწმენის აღრევა,
ისე დაეცით, ვერ ამდგარხართ,რჩებით იქავე!
თქვა და დადუმდა, ან კი მეტი რა უნდა ეთქვა,
დაღლილი იყო ჩვენი ცოდვით და ალბათ გვსჯიდა,
კიოდა ქარი...გულს მიგლეჯდა იმისი მოთქმა..
და უსასოოს ეს სიმართლე ჭკუიდან მშლიდა...

***

დღეს ალბათ ისევ იწივლებს ქარი,
შემოიფხრიწავს ნისლისფერ კაბას,
მე გავიჭრები ვით ნიავქარი,
პეპლებს ვუამბობ წუხანდელ ამბავს....
რამდენი სითბო ვიპოვე შენში,
კოცონად მექცა მთელი სამყარო...
იდგა წუთები სიგიჟის,შეშლის..
ჩემი ოცნების დიდო მაყარო.
მკლავზე მეწვინა შიშველი ვნება,
კრთოდა სინაზის და კდემის რიდით,
ვიცი, არასდროს განმეორდება,
ტკბობის წუთები, გულს რომ მაყრიდი...
და ეს სიგიჟე,ვნებათაღელვა,
რომ განმეორდეს ისევ სიზმრებში,
მე ველოდები იმ წამებს, როცა
ჩემს ოცნებებში შემოიჭრები...

***

მშვენიერება სულის სიმებს აჟღერებს ნაზად,
ნიავს გადააქვს მელოდია ბანიდან ბანში...
სული ბობოქრობს, ღრუბლებს წვდება ზეციურ ჰანგად...
იწვის სხეული, ვერ ეტევა საკუთარ კანში...
და ზეციური მელოდიის რიტმებში დნება,
ფიქრს აყოლილი ოცნებები ზღაპრული ხედით,
ტუჩზე მადნება სიყვარულზე ნათქვამი ბგერა
და საკუთარი უბედობის ვკვირდები ბედით....

***

იცი? მე ისევ ისე მიყვარხარ,
როგორც მიყვარდი მაშინ...
ახლაც პატარა გოგო მგონიხარ,
ოციოდე წლის ბავშვი..
ახლაც გიბრწყინავს შავი თვალები,
გულიც ძალუმად ფეთქავს..
უშენოდ ობლად დავიარები,
ეგ მინდოდა რომ მეთქვა.
რომ დატუსტუსებ თბილი ჩუსტებით
და დამჭკნარ ხელებს მალავ,
მსურს დაგიკოცნო ე მაგ ტუჩები,
ჩემი ოცნების ქალავ.
შენ თუ დაბერდი, მეც ხომ დავბერდი
და ძველებურად ვერ ვარ,
მაგრამ ჩვენ ახლა უფრო გავბევრდით,
მთელი ქვეყანა ჩვენ ვართ.
თითქოს ჩიტი ხარ, ციცქნა ბეღურა,
მკერდში გიკრავდნენ და გათბობ...
მე ახლა უფრო მეტად მიყვარხარ,
ვფიცავ, ალალად ვამბობ...
სახის ნაოჭებს კოცნით დაგითვლი,
თმებს გაგიწეწავ ანცად,
მერე თუ მეტყვი.. ღრუბლებს ვეწვიოთ...
ფრთები გავშალოთ ლაღად...

***

მზეს ცეცხლისფერი სამოსი ეცვა,
გადასდიოდა ხვითქი ლიანებს,
მარტოსულობა სტკიოდა ძეწნას,
ხელს აფარებდა ცრემლიან თვალებს...

ცეცხლი ეკიდა ყაყაჩოს ყანას
და სისხლისფერი სდიოდა ოფლი,
პეშვი ამივსო წყარო ანკარამ
და სადღეგრძელო.შემასვა სოფლის...
ო, ცაო ჩემო, სავანევ უფლის,
სიზმარეული ლანდი ხარ ახლა,
უშენოდ ყოფნა წამებას უდრის,.
მე არ მჩვევია ოცნებით დაღლა..
გეტრფიალები ისევ ფიქრებში,
შენი ალერსი მუდამ მწყურია,
პაემანზე ვარ ბებერ ჭადრებში
და ერთად ვცეკვავთ მე და გურია...

***

ფიქრებში გნატრობ, ფიქრებში გჩემობ,
ამოკვნესებავ,ყივილო სულის,
შენ,ერთს გეკუთვნის მამულო ჩემო,
ჩემი სიცოცხლე,ჩემი წარსული.
ჩემში მფეთქავი ყოველი ძარღვი,
შენს უკვდავებას უგალობს კრძალვით,
გულს მახვევია ბურუსი, ჯანღი
და თითქოს ვმაგრობ ცრემლების მალვით.
მე შენს ქუჩებში ვნატრულობ დაღლას,
ფიქრებით მუდამ შენსკენ მავალი,
შენი ტკივილი გულს მაწევს დამღად,
შენს სიყვარულში ვარ დამამშვრალი.
მომძალებია სევდა და დარდი,
იმედით ვეღარ ვუცქერ მომავალს,
დარდად ქცეული ვარ შენი ლანდი
და მაინც თვალებს ცრემლიანს ვმალავ...

მარინა ღონღაძე

გალაკტიონი

ჩაბნელებული ოთახი, მწირი,
ჩამოშვებული - მზის მუქი ფარდა,
გალაკტიონი სიბნელეს ებრძვის
და თაფლის სანთელს უმაგრებს შანდალს.
მარტოობის ცრემლს ვინ მიუხვდება,
სიცივე ძვლებში ამტვრევს ბოლომდე,
ხელის ცახცახით წერილს წერს - „იქნებ,
გამომიწეროთ პალტო, როგორმე"...
მთლად გაუძარცვავთ ქუჩაში რეგვენთ,
წაურთმევიათ ფეხსაცმელები,
ჩირად არ უღირთ უვიცებს მისი
ოქროდ ნაქარგი - ჩანაწერები...
უცნაური ხმით დაიწყებს მოთქმას :
- დაუხუჭესო, ნეტავი, თვალი?..
როგორ გავძლოო, ახლა ფხიზელმა?!
თავიც მომბეზრდა ყოველდღე მთვრალი!..
ოჰ, ღმერთო რისთვის?! - მას გახელილი,
ჰო, გახელილი დარჩა თვალები!

იქ, სიშორეში... ო, ჩემო ოლოლ,
სული მეწურვის და მებრალები!
გარეთ ისევ წვიმს, ღრიალებს ქარი
მე მიყვარს წვიმა და მიყვარს ქარი...
მიყვარდა ისიც... და აღარ არის !..
შორიდან სევდით ღიღინებს მტკვარი...
დროდადრო ჩუმად უთვალთვალებენ,
რეჟიმი ებრძვის ცოცხალ გენიას,
აზრის ჩახშობა, ღირსების აყრა -
სიკვდილი! - ნუთუ ეს დარჩენია?!
არარად უღირს პოეტს სიცოცხლე,
კვლავ სანაპირო უხმობს დარდიანს,
რას გაიგონებს კაცი უარესს ?!
ეჰ! ,,კუხარკების" პოეტს ადრიან !..
უნდობლობა და ათასი ჭორი,
არც თანამდგომი, არც გულისწორი
და ქუჩის ბოლოს ხის ძირში მწოლი
ათენებს ღამეს გალაკტიონი...

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!"...

საავადმყოფო როდი შველის სულს დამძიმებულს,
აქაც, საწოლიც ვერ მონახეს, ზურგი აქციეს,
დერეფნის კუთხე მიუჩინეს, შეშლილად ქცეულს.
წეღან მწერლებმაც არ შეხედეს, სახე არიდეს,
უსიტყვობისგან მეფე პოეტს უკვდება გული,
სიკვდილის ლანდი აედევნა, ნაზად ხვევს ხელებს,
ვარდისფერ გზაზე შედგომა ხომ არ არის რთული?!
ნაბიჯი მძიმე, ტვირთი მძიმე, სარკმელი ღია,
სული ნაპირებს ეხეთქება, გაფრენას ლამობს,

გრგვინვა - გრიალით, სადღაც ლურჯა ცხენები რბიან...
სხეულს ტოვებს და დედამიწას დუელით ამხობს!...

***

ისევ იფეთქა ქუჩის ბოლოს თეთრად ტყემალმა,
შეაფერადა სევდიანი დღე, ნაცრისფერი,
ბებერ თოვლივით კვდომა იწყეს ავმა ფიქრებმა,
ქვეცნობიერში მივიწყებას ეძლევა ძველი...
გაცრუებული იმედივით გადის ზამთარი,
ისევ უთოვლოდ, მწუხარებით, უხმოდ, ეულად,
წუხს დედამიწა - კვლავ სნეულთა თავშესაფარი,
ერთ აკვნესებულ, ბნელ ლაზარეთს დამსგავსებულა.
მზე უღიმღამოდ გადმოჰყურებს თითქოს ხეობას,
იებიც კრთომით შექუჩვიან ველთა სიმწვანეს,
შველა სჭირდება, განკურნება ჩემს დედამიწას,
მოგვხედე, მზეო, ნუ მოგვაკლებ სხივთა სიმრავლეს!
სხვას ვის შევჩივლო, ვის მოვუხმო? - ყველა მდუმარებს,
ისევ იწვიმებს, ცრემლს დაიდენს ზეცა ამაღამ,
ღელავს რიონი, ეხეთქება ბრაზით ნაპირებს,
ხმაურ-ღრიალით იმედს აძლევს ხევში ნამახვანს.
ბოლოჟამია! - უარესი რაღა იქნება?
რა დავახვედროთ მობრუნებულ ჟამს განკითხვისას?!
მდინარის ტალღებს შეწირული მართალი გვამი?
ქართული მიწის გამყიდველის ცინიზმი მტრისა?
ო, ღმერთო ჩვენო! ღვთისმშობელო, წმინდა მარიამ,
მოგვეც წყალობა, ამატარე გოლგოთის აღმართს,
შემაგრძნობინე სურნელება ბაღის ტყემლისა,
რომ სევდა ჩემი გავაყოლო სევდიან ზამთარს...

სიყვარულია ...

რად მინდა ხელი, თუ შენს ხელებს ვერ შეეხება,
რად მინდა გული, შენი გული რომ ვერ იპოვოს?!
რად მინდა თვალი, შენს თვალებს თუ არ შეეჩეხა,
ყურიც რად მინდა, შენი ხმაც რომ ვერ გაიგონოს!
მე შენთვის მინდა ყველაფერი, რაც გამაჩნია,
შენი კვალია, გულზე ვარდად რაც რამ მაჩნია,
მწარეც, ეკლებად რაც დაესო ჩემს პატარა გულს,
შენი კვალია, ყველაფერი შენი ბრალია!
მიყვარდი ძლიერ, რომ იცოდე ისევ მიყვარხარ,
არც მიფიქრია, მე ხმამაღლა გრძნობის გამხელა,
სიყვარულია, რომ გიყვარს და თქმაც არ ჭირდება,
რომ შეგიძლია ყველა ჭირთა უხმოდ დათმენა.
სიყვარულია, თვალწინ მდგომიც რომ გენატრება,
სიყვარულია, მძინარს ჩუმად რომ ეფერები,
სიყვარულია, გარეთ გასულს ღმერთს რომ ავედრებ
სარკმელთან მდგარი გულის ძგერით რომ ელოდები.
რა არის წლები, მირბიან და დრო გეწურება,
მომატებული წლოვანება გიხუნებს ფერებს,
სიყვარული კი ფერადია, სულ გაფერადებს,
სიყვარულია, რომ არასდროს არ დაგაბერებს.

***

ფიქრით ამევსო პატარა სკივრი,
ზოგიც ვაქციე გარითმულ სიტყვად,
გადავინახე ბევრიც სათქმელი,
ხელუხლებელად დავტოვე ფიქრად.
ფიქრს რა გამოლევს, სიტყვაა ძნელი,

ფურცელზე, რასაც ამჩნევს მელანი,
სუფთა დაფაზე, სიტყვების მსგავსად,
ვხატავთ ჩვენსავე სახეს ყველანი.
დრო მოვა უნდა დახურო სკივრიც,
სამელნეშიც ხომ შრება მელანი,
ბოლოს ცხენებიც ხომ სწყვეტენ ჯირითს,
როცა უცვდებათ ჩლიქებზე ნალი.
თვით არწივებიც ძირს ეშვებიან,
დრო ფრთებს უკვეცავთ, ტიალ-ვერანი,
თავისუფლების გზაზე ქროლვისას,
ბრძოლის ველზეც ხომ კვდება მერანი,
მაგრამ ჯერ რადგან სულმდგული მქვია,
გული, გონება, აზრი მაწვალებს,
უნდა ვიტვირთო მხრებზე ის ტვირთი,
სუფთა სინდისი ტვირთად რომ მადებს.
გავკვალო ჩემი გზა - გასაკვალი,
პატიოსნად ვთქვა სიტყვა, სათქმელი,
რომ სიკვდილის ჟამს ჭიად არ მოვკვდე,
ადამიანის მერქვას სახელი!

***

როცა ჩემთან ხარ ვმშვიდდები,
თვალს მომშორდები და ვგიჟდები.
მე შენ ერთგულებას გპირდები,
შენ კი გაკვირდები და ვკვირდები,
ადრე დაგწყებია ზამთარი,
დარდად დაგწოლია ფიქრები,
ორივე თოვლივით რომ ვთეთრდებით
ნეტავ, მართლა ხომ არ ვბედრებით?!

დათო ცაბუტაშვილი–ბოდბისხეველი

***

ქალს სიყვარული, ჩახუტება, სითბო სჭირდება,
სახლში მისულს რომ, მომღიმარი კართან დაგხვდება
იმ სიყვარულის ნაყოფი თუ ჩაისახება
ცხრა თვის შემდეგ კი, შენი შვილის დედა გახდება.

ქალს სიყვარული, მოფერება, სიტკბო სჭირდება
მე ქალი ვიცი, დოღის ცხენი გაუხედნია
დაგეხმარება გვერდში დგომა, თუ დაგჭირდება
კაცის ბრალია, ქალს სხვისკენ თუ, გაუხედია.

ნუ ასახიჩრებთ, ნუ წაართმევ, შენს შვილებს დედას,
ნუ შეეხებით, ნუ ამცირებთ, ქალი,ქალია
შენთან არ უნდა? ნუ დაიჭერ, კარი უჩვენე
ისევ და ისევ, ყველაფერი, კაცის ბრალია.

ქალი იაა, გაზაფხულის მახარობელი
და ბევრიც კვდება, ოცნებებში, ქალის ლოდინში

ქალს სიყვარული, მოფერება, სითბო სჭირდება
და არა მხოლოდ, შეტყუება, ღამით ლოგინში.

***

ყველაზე ლამაზი ქართველი ქალია
აბა შეხედე, თვალს ვერ მოწყვეტავ
ქალის გულისთვის, მთას შევძრავ კლდიანს
ცაში იმ ვარსკვლავს, მისთვის მოვწყვეტავ.

მანახე ქვეყანა სადაც რომ არის
ქართველი ქალის მსგავსი ხატება
ქართველი ქალი, მხოლოდ და ისიც
ნიკალას ფუნჯით დაიხატება.

ყველაზე ლამაზი ქართველი ქალია
დაგინახია? ბევრსაც სმენია
ქართველო ქალო ეგ სილამაზე
არ დაგავიწყდეს მხოლოდ შენია.

ნატო, რუსუდან, ნინო, შორენა
ლეილა, მერი, ლალი, ციცინო
არ მოგიხდება, ცრემლი, ჩადრები
შენ უნდა მზესთან, ერთად იცინო.

მანახე ქვეყანა თუ შეგხვედრია,
ქართველი ქალის მსგავსი თილისმა
მინდა რომ მისმა, კოცნამ შემაკრთოს
და გამაღვიძოს სიომ დილისმა.

ყველაზე ლამაზი ქართველი ქალია
აბა შეხედე თვალს ვერ მოწყვეტავ
ქალის გულისთვის, მთას შევძრავ კლდიანს
იმ მთაზე წითელ, ვარდსაც მოვწყვეტავ.

***

რომ არ შეგრცხვება შენი ნამუსის
სარკეში შენს თვალს, თვალს რომ გაუყრი
შენ ვინ იქნები, როცა შენს სხეულს
ყორნებს საჯიჯგნად რომ გადაუყრი

პატარა არ ხარ დაცანცარებდე
დრო აღარ არის, ფლანგვის-ანცობის
შენზე მართალი არავინაა
რომ არ შეგრცხვება, შენი კაცობის

რომ არ შეგრცხვება, შენი ცხოვრების
რა შრომა საქმეც გიკეთებია
არასდროს არ თქვა, იცი ვინა ვარ?
რა საქმეები მიკეთებია

ისე იცხოვრე, შენს სხეულს ყორნებს
გასაჯიჯგნავად ნუ გადაუყრი
კითხვის ნიშანი, არ იარსებებს
სარკეში შენს თვალს, თვალს რომ გაუყრი.

***

თუკი შენი სიყვარული დანაშაულია
შენმა თვალებმა გამასამართლოს
მე არ ვენდობი ნაფიც-მსაჯულებს
მე არ ვენდობი, ამ (სასამართლოს)
თუკი შენი სიყვარული დანაშაულია
დანაშაულის თუ ჩანს ნიშნები
მე აღარ მოვალ, შენს ბაღის ბოლოს
მაგრამ არც სხვაზე დავინიშნები
თუკი შენი სიყვარული დანაშაულია
მზად ვარ სასჯელად, შენ გულში ვიჯდე
შენ (მოსამართლედ) არ გამოდგები
თეთრი მტრედი ხარ, ჩემს მხრებზე იჯდე
ბედნიერია ის ბრალდებული
მოსამართლემ არ გაასამართლოს
ბოლო სიტყვის თქმის, ხომ მაქვს უფლება
მე დღეს ავირჩევ შენს (სასამართლოს)
მე არ ვენდობი ნაფიც-მსაჯულებს
მე არ ვენდობი ამ (სასამართლოს)
თუკი შენი სიყვარული დანაშაულია
შენმა თვალებმა გამასამართლოს.

***

დედისთვის შვილი ერთი წიგნია
დედა! შვილისთვის, დედა-ენაა
ვინ გეტყვის შვილოს, დედაზე უკეთ
ყველაზე ტკბილი, დედას ენაა.

განა ყველა კი, დედა! დედაა!
ან განა ყველა, შვილი-შვილია!
ან ყველა წიგნი წასაკითხია!
რომელიც ჩვენს წინ გადაშლილია!

წერეთ წიგნები! შვილებს და დედებს
ახსოვდეთ სიტყვა, დედა და შვილი
ისეთი წიგნიც მკითხველს რად უნდა
ერთხელაც არ ჰქონდეს გადაშლილი

დედ-შვილობა ღმერთმა ამრავლოს
მათ ერთმანეთის გააჩნდეთ ზრუნვა
სიცოცხლეში თუ არ დააფასე
მკვდარს რაღად უნდა, ცრემლი და ზურნა.

***

მართალი უთქვავთ, რომ მოხუცდები
არავინ გხედავს, არავინ გყურობს
არავინ არის შენი მომხედი
წყლით დაგაწყუროს და დაგაპუროს

ფიცრული სახლი, ირგვლივ არავინ
სტუმარი ისიც, მთვარის შუქია
ძალიან მწარედ ცდება მშობელი
როცა თავისი შვილი უქია.

თვალს გავახელ და წამომაძახებს
შვილო შენა ხარ, სახლში მოხვედი
დავიხოცებით, ამ ფიცრულ სახლში
არავინ არის, ჩვენი მომხედი.

მართალი არის რომ სიბერეში
ერთი-მეორის, იმედით არი
ერთი-მეორეს ბავშვივით უვლის
მოხუცებული ცოლი და ქმარი.

ქეთი ჯაში

***

მინდა დავხუჭო თვალები, ჰოდა
აღარ ვიფიქრო დიდ სიყვარულზე....
არ მინდა მერქვას მე ქალი "მოდა",
მინდა გათელონ ბალახი გულზე...

მინდა ამინთონ მე კელაპტარი,
მდიოდეს ცრემლი წვიმის ღვარებად.
მინდა ეს ჩემი ბოლო სტრიქონი
შენ, რომ მიიღო ჩემ აღსარებად.

მინდა მათოვდეს ყვავილის თოვა,
ვარდმა იცვალოს თეთრიდან ფერი...
მინდა იცოდე - მე ისევ მოვალ...
ჩუმად გიამბო შენ ყველაფერი..

დაღამდა, მაგრამ არა ჩანს მთვარე.
მინდოდა მეთქვა მე მისთვის სევდა.
მეფერებოდა მე ჩუმი ღამე
და უიმედო ფერებში მხვევდა.

***

ვერ ვეგუები დროს,რომელიც ჩემთვის არ არი...
ვერ ვეგუები უმიზეზოდ დაკარგულ წამებს...
არ მიყვარს ნამი, უღიმღამოდ მიმოფანტული
არ მიყვარს, როცა ამძიმებენ ამ ჩემს წამწამებს.
არ მიყვარს სიტყვა მოსროლილი "ძაღლის ძვალივით "...
და არც ღიმილი მიხატული მყინვარ სახეზე...
ვერ ვეგუები დაყვედრებულ სიკეთეს წამით...
ყალბად ნათქვამი: "მინდოდა და ვერ გაგიკეთე"...
მიყვარს მე ჩემში ყოველგვარი გამობრწყინება...
არ დაპირება... და სიკეთით ისე ვიარო.
მიყვარს მე შენი მომღიმარე თვალებზე ცრემლი...
ბედნიერება რომ გატირებს... ადამიანო!

***

ფიქრით დახუნძლულ დარდიან ღამეს,
გარინდულს, წყვდიადს და ჩაფიქრებულს,
ვეება მთვარე დაჰყურებს მალვით,
სახეს უნათებს მას გაფითრებულს.
რომ დასტყობია მას უამრავი,
მრავალ ხაზებად ტკივილი, დარდი.
მასში ჩამქრალა ის კაეშანი...
აღარ კეკლუცობს სიცოცლე მარდი.

მხოლოდ ცრემლების გუბე დგას იქვე,
თითონ დამდგარა გრძელ ბეწვის ხიდზე.
აღარ ადარდებს ქარის ზუზუნი,
მხოლოდ ხელები გაშალა დიდზე.
გადაეხვია დამალულ აჩრდილს,
ის მხოლოდ მასთან დარჩენას ითხოვს.
და აქვითინდა...გულიდან ზრახვით,
დაემშვიდობა ცხოვრებას თითქოს.

***

ხანდახან მინდება დავწერო პოემა...
და შიგ სიტყვა სიტყვით აღვწერო დღეები.
შენი სიყვარულის ყველა მოპოვება,
შენი ღიმილების უსაზღვრო მზეები.
მზეები, რომლებიც მინათებს სიბნელეს,
დახურულ დარაბებს უკან რომ არიან.
და ამ სიყვარულით გამთბარი ხეები,
ყოველ გაზაფხულზე თავიდან ჰყვავიან.

***

სულის ტკივილამდე მენატრები,
ჩემი ოცნებების მბრძანებელო.
ღამით უსაშველოდ მედარდები,
დილით ალიონის მნათებელო.

ფიქრებს ვერ ვუხერხე ვერაფერი,
თითქოს სიზმარია მბრძანებელო.
შენთვის მემეტება ყველაფერი,
ჩემი ოცნებების გამგებელო.

ველარ დავიტიე სურვილები,
მხოლოდ შენთვის ვხატე მთა და მდელო.
შენთვის ავაზვირთე ზღვის ტალღები,
მხოლოდ შენთვის ვმღერი განმგებელო.

მხოლოდ შენთვის მერცხლად ავჭიკჭიკდი,
მხოლოდ შენთვის შევსვი სადღეგრძელო.
მხოლოს შენთვის დამდის თვალზე ცრემლი,
მხოლოდ შენთვის ვცოცხლობ განმგებელო.

***

ბოლო მზის სხივმა აიტაცა ჩემი ოცნება,
შემოხვია და შემოაჭდო თბილი მკლავები.
მთვარემ უცქირა, უცქირა და მის სულს ნელნელა,
ღარად დააჩნდა სიმარტოვის ღრმა ნაკვალები.

ვარსკვლავებს შორის ანთებული მთვარე დიდების,
თითქოს არ იმჩნევს დარდს, რომელიც მის სულს ატყვია.
იღიმის, მაგრამ ვაი... ღიმილს უსასოობის,
გულში იშუშებს ღრმა ჭრილობას ჩუმად... ნატყვიარს.

მიიზლაზნება დრო საათზე... არ უჩანს ბოლო.
ოხრავს და დარდი არ ასვენებს საბრალო მთვარეს.
იღიმის, მაგრამ მასში ახლა მწუხრია მხოლოდ.
მუსიკას უწერს სონეტებად უჩვეულ ღამეს.

შემოანათა გარიჟრაჟზე თბილმა მზის სხივმა,
მოუსწრო მთვარეს და სითბოთი აჩუქა ფერი...
სიყვარულია დღის და ღამის გაყრა-არ გაყრა...
ჩემს ოცნებებში დავინახე სულ ყველა ფერი.

***

ჩემი ცხოვრების წუთმა იარა...
იარა და... დროდ გადაიარა.
აუყვა აღმართს... დინჯად იარა...
დაღმართი უცბად ჩამოიარა.
გზადაგზა ვკრიფე ვარდები ჩემთვის,
ზოგიც ეკლით და ზოგიც უეკლოდ.
ზოგჯერ ვიყავი მეფაიტონე
ლამაზი ეტლით, ხშირად უეტლოდ.
ვეცადე... თუმცა ისევე ვცდილობ,
არასდროს ვიყო თვალზე ცრემლებით.
ფიქრად წასული კვლავ იმას ვფიქრობ,
გავიფერადო დღე მზის ფერებით.
დამძიმდა გული...დარდებით სავსე.
ჩამოამძიმა ფეხებზე ტანი.
ჩემი ცხოვრება უჩემოდ ვმართე,
მიტომ შემარქვეს უმწეო ქალი.

***

მოწყენილობა დააწვა დარდებს,
ცა შეიღება თითქოს ნაცრისფრად,
ჩუმი ნიავი მომიტანს ამბებს,
მომიტანს ამ მთის და იმ ბარისას.
გადმომილაგებს ზღაპარ-იგავებს,
სულს გადამივსებს სიკეთის ამბით,
ედემის ბაღში ისევ ივარდებს,
ვარდი, მგოსანი ბულბულის ხათრით.
დაატკბობს დილით ცას ლაჟვარდიანს,
მზის სხივთან ერთად ჰანგების სითბო,
უცებ გაფანტავს ღრუბლებს დარდიანს,
ბუნებაც ჩვენგან სიყვარულს ითხოვს.

ლეილა ჯანთიშვილი

სამშობლოს ვალზე უფრო სხვა ვალი

ჩემს ბავშვობაში ნაგვის გროვაში,
იქექებოდა ერთი სონია...
სიბერის პირას რას მოვესწარი,
ასეთი არა გამიგონია...

ასობით კაცი ნაგავში ეძებს
ძაღლებთან ერთად, სარჩენად ლუკმას...
და ნიჭიერი მუსიკოსები,
მშიერი კუჭით ქუჩებში უკრავს...

დაინგრა სახლი ქვიტკირ-ნაგები,
შემოეცალა ვარდის მესერი...
ველარ აუდის დამხრჩვალ თბილისელს,
მტკვარი მშვიდი და მტკვარი ბებერი...

სირცხვილი თქვენი ხელისუფლებავ,
უწამლოდ შვილი უკვდება დედას...

ირგვლივ ისმება ცრემლების თასი,
თქვენი თვალები რატომ ვერ ხედავს?!

მხოლოდ სიტყვების რახარუხია,
პარლამენტში რომ მსჯელობთ და მზეობთ...
ჭკვიანი კაცი იმაზე ფიქრობს,
დაუმარხავი არ დარჩეს ზემოთ...

თვალებს ნეტავი რად არ უსწორებთ,
მავთულ-ხლართებში დაკარგულ სოფლებს?!
მსხმოიარე და ატირებული,
ბაღჩა-ბაღები, მოჰგვანან ობლებს...

ხვალე რომ ხალხი გაგასამართლებთ,
სიტყვა არ დაძრათ -- "რა უნდა გვექნა?! "...
სამშობლოს ვალზე დიდი სხვა ვალი,
არსებობს რამე კიდევ ამ ქვეყნად?!

ვაჰ საქართველოვ, გულდაფლეთილო,
შვილები გავხდით ტანჯვის და ცოდვის...
რად გვინდა ხალხო წყაროს ის წყალი,
თუ სათავიდან ჭაობი მოდის?!

გალიაში ვარ ბეღურა თითქოს

კედლებს ვაწყდები ახლა იმგვარად
გალიაში ვარ ბეღურა თითქოს,
მინდა ტრფიალი ძველებურად რომ
აგიზგიზდეს და ისევ აინთოს!

მაგრამ გატეხილ ჭურჭლიდან სული,
ავსების ნაცვლად მხოლოდ იცლება,
ღმერთმა არა ქნას დაცარიელდეს,
თორემ სხეულიც გარდაიცვლება!

იმ ქვეყანაზე მყავდეს იესო...

არავისა ვთხოვ ფუნთუშა პურებს,
მე ჩემი ხმელი პურიც მეყოფა.
ვგავართ ამ ქვეყნად ჩვენ მოსულ მდგმურებს,
ღმერთს ვთხოვ სიკეთით მხოლოდ მამყოფა.

ჰაერიც მყოფნის მე ჩემი წილი,
სამშობლოც გულში ცეცხლად მინთია.
რისგან დავკარგე ნეტავი ძილი,
იქნებ ცხოვრება მართლაც მითია?!

არავისა ვთხოვ ამ ქვეყნად არას,
არვისგან მინდა ყალბი ნუგეში.
ღმერთო მაღალო მომეცი ძალა,
არასდროს ვიყო ცოცხალი ლეში.

სიკეთის თესლი მიწაზე ვთესო,
რომ საიქიოს მეღირსოს შვება.
იმ ქვეყანაზე მყავდეს იესო,
ამ ქვეყნად ვიცი არ მეშველება.

გული წამებით არის დაღლილი,
დაფლეთილია თეთრი ოცნება.
ვეამბორები შენ თითებს, ნათალს,
წმინდა მარიამ მომეცი ნება!

თეთრ გედებივით

იყო დრო, როცა ვოხრავდი შენთვის,
როგორც ნაპირზე მომსკდარი ტალღა.
ის მოგონება დღეს ტკივილს ერთვის,
სხეულმაც იგრძნო მცირედი დაღლა.

დრომ მუხანათმა, თუმცა გაგვყარა,
ვერ დავიოკე ვნებები ძველი. . .
ცხოვრებამ თუმცა ჩამთვალა არად
სიყვარულია ჩემი დამცველი.

ძველ-ნაბუდარი მიხმობს, როგორც ზღვა. . .
მერე მოვდივარ შენს სახლთან ახლოს,
თუმც ჩემს ბუდეში გოგმანობს დღეს სხვა,
შენი სახელი, ჩემს გულში სახლობს.

თეთრ გედებივით გაფრინდნენ წლები. . .
გულს, მარტოობის ატყვია დაღი.
იმედის ხიდი ჩალეწილია,
გათელილია ედემის ბაღი.

სიკეთე მომჩქეფს სულში იებად...

ტკივილით ვმღერი სევდის არეას,
შენი გაბუტვა ჭკუიდან შემშლის,
პატიებას ვთხოვ წმინდა მარიამს,
შენც შემიბრალე გიჟმაჟი, შლეგი.

ყველაძე ძნელი ის არის როცა,
გრძნობ დამნაშავე მხოლოდ შენა ხარ,
სატანამ იმ დღეს ასე დამლოცა,
საკუთარ ქცევამ ურცხვად შემლახა.

ის საქციელი, ჩემსას არა გავს,
სიკეთე მომჩქეფს სულში იებად,
ადამის მოდგმას ბევრი ცოდვა გვაქვს,
შემიბრალე და მეპატიება!

ჩემი სიყვარული ისევ მომინატრებს

ჩემი სიყვარული უფრო მსუბუქია,
ვიდრე მტრედის ფრთები,
ისეთი სპეტაკი და წმინდაა,
ვით ანგელოზთა ხმები.

ისე ნაზი და ჰაეროვანია,
ვით სიოს ზმანება,
ისეთი ძლიერი და ამაყია,
როგორც ხელოვნება.

ჩემი სიყვარული ცის ვნებაა და
შვიდი ცისარტყელა,
სულში ჩამეწვეთა,
როგორც საწამლავი, თანაც ამამღერა.

ჩემი სიყვარული არის თოთო ბავშვი,
უნდა ერთგულება,
ასე მოცახცახეს,თავის დასამალად
მკერდი ეგულება.

ჩემი სიყვარული არის გაზაფხული
ღაწვ-ვარდისფერება,
როგორც ჩემი შვილი,როგორც პაწაწინა,
ისე მეფერება.

ჩემი სიყვარული არის ღამით მთვარე,
შარას რომ მინათებს,
არსად გამექცევა,რადგან კარგად იცის
ისევ მომინატრებს.

ჩემი სიყვარული არის მზის შუქი
და დღის სიდიადე,
მაშ ფრთა გაშალე,ზეცას აფრინდი და
უფრო იზვიადე!

გუთი ბოლნელი

მოჩვენებით ბედნიერი

ძველი ეზო, ძველი ქოხი,
ძველი კიბე, ძველი სხვენი,
მზის სხივებით შემოწნული,
ჩვენი იყო ყველაფერი.

აღარც ჩემი, აღარც შენი,
უდაბური სახლი კარი.
დანგრეული ხიდი ძველი,
ნაბიჯების კვალი მკრთალი.

შენ გაღმა ხარ, მე გამოღმა,
უშენობას ვერვინ შველის,
გიწვდი ხელებს მომეშველე,
რად არ გესმის ნეტავ ჩემი?!.

შვლის ნუკრივით კამკამელა,
ღრუბელს დარჩა თვალი სველი,

ერთხელ, ერთხელ გამაგონე,
ის სიმღერა ძველის-ძველი.

მერე წადი დამშვიდებით,
სულსავსე და უცოდველი,
ვიტყვი... თვითონ გავაცილე,
მოჩვენებით!.. ბედნიერი.

გთხოვ მომიტევე

გთხოვ, მომიტევე, გწერე გშალე ჩუმი ფიქრები,
როგორ წაგშლიდი, - შენ იყავი ყველა რითმები.
მო, მენატრები მინდა გითხრა, რაც ვერ გითხარი,
უყვავილოა მწვანე ფერის მწვანე გვიმრები.

მონატრებულო, მოდი მითხარ როგორ გიყვარდი,
მო, გამომიჩნდი სხივი ციდან გადმომდინარი,
მიბოძე, შენი ფილტვებიდან ჰაერმგუბარი,
სურნელოვანი ჩავისუნთო სურნელმკურნალი.

დღის გათენებავ!.. თვალი შენი ცქრიალ- მცინარი,
მო სიყვარულით!.. კიდევ ერთელ, კიდევ მიცანი,
წყლის წვეთი მინდა,- შენს ხელიდან მწყურვალ-მცურავი,
გწერე და გშალე ჩემი გულის გულსაფიცარი.

მზის სხივი მინდა,- სხივი თბილი უხმო მცხუნვარი.
ფურცლებს წაშლილით ამოვტვიფრე გულისფიცარი,
იმ ცივი წვეთით ულვთოდ გული რომ მომიკალი,
ნუ გამიწყრები,- შენ ხარ ჩემო ჩემი ცისკარი.

მისატევებლად ფორიაქობს,- სული მტკივანი.

მზე იყავი მცხუნვარე

უცნაურად მესიზმრე,
ჩუმი სიზმრის ჩივილი.
სევდიანი ქარების
ქროლვა გულისტკივილი.
თითქოს ღვინომ ქაფქაფამ,
ქვევრში იწყო დუღილი,
ხაპით დოქში ავსილი,
ლიცლიცებდა წყურვილი.
ზმანებათა სიზმრები,
შენთან ყოფნის სურვილი,
ვერ შემოვწვდი ცის კიდეს
შენით ოქროცურვილი.
მიეფარე ზღვის ტალღებს,
დარჩა თრთოლვა-ტკივილი,
ჩემს გულისთქმას ბანს აძლევს
ტალღის შხეფის კივილი...
შენ მზე იყავ მცხუნვარე,
მე - მაგ სხივთა ღიმილი.

სონეტი

გეძახი, გიხმობ, ქარბორბალა ტრიალებს სევდა,
დამშრალ იმედებს კონწიალობს უფერო რწმენა,
ნაავდრალ კედლებს, ნამსხვრევები ელავენ მკვეთრად,
ტანში დავლილი ჟრუანტელით, ყვირილსაც ვბედავ.

შეკვეცილ ფრთების ლაწალუწი აჩერებს მხედარს,
ველარ წაშლილი,- სევდის წიგნის სურათებს ვხედავ.

მილეულ მთვარის სხივანარეკლ ჩეროში დგეხარ,
მგონი ცახცახებ, ქარწვიმების ღრუბელი ღელავს.

იღვენთებიან, ცისფერ თვალა იები ცრემლად,
აწვიმს ტკივილებს სულში კივის სიცოცხლის თმენა,
წამწამ დახრილი ნამიანი თვალების წყენა,
ვერ გალეული სიყვარულით დამშრალი ვენა.

ღრიჭო სარკმლიდან,- უკვდავება დუმილობს ჩემთან,
თავად სურს ასე, განა ჩემგან ითხოვა ნება.

რაფსოდია

აბრეშუმის წვრილი ძაფით, ზღვა ზეცამდე უქსოვიათ,
თეთრი ნავი... იალ[illegible]ანით ტალღებს ცისკენ აჰყოლია,
საოცარი, საკვირველი,- მას მენავე არ ჰყოლია...
ღრუბლის ქულის ცისფერ ტალღებს,- ხელზე მშვიდად
დარწევია.

ნავში თვალი მიულულავს, სიყვარულის სიმფონიას,
დედამიწას ოცნებებში სევდა, ჭმუნვა გარევია,
უდრეკ მწვერვალთ, ყინულების ბადე წნული დაჰფენიათ,
გაზაფხულის მზის სხივები, მიმალული არ სწვევიათ.

გასალღობი, გასათბობი, ვით საბრალოთ დარჩენიათ,
უხმო ფიქრით გავრინდულვარ, მხრებზე შალი მახვევია,
შენი თბილი ჩახუტების, ღიმილების თანმყოლია,
მოგონებას უთბილესი,- ნათითური ამჩნევია.

მოალერსემ სიყვარულით-"მითხარ ჩემო მაგნოლია,"
ბედნიერი თვალთ ციალით, ვითომ კითხვა გაგჩენია,
"ჩემო ერთავ შემახსენე... სიყვარული რა ფერია?.."
სიყვარული რაფერია?.. სიყვარული რა ფერია?..

აფეთქებულ ატმის რტოთა ვარდისფერი ფანტელია,
გულთა ფეთქვის, პულსის ცემის, უსასრულო ნაფერია,
ლოყაწითელ ტრფობის ალი, - ნიავს ცისკენ აჰყოლია,
მომენატრე... მომენატრე... ჩემი სულის რაფსოდია.

განა ბევრი მინდოდა

განა ბევრი მინდოდა... მისხალი და მცირედი,
ჩემო, ერთად გვეპოვა, ნაპერწკალი იმედი,
მზის ნამებით მოგვერწყა პაწაწინა იები,
არ მსურს, შემომეჩვივნენ უსასრულო ბინდები...

განა ბევრი მინდოდა... მსურდა შენი ტრფიალი,
მოჩითული კაბებით ცეკვა, როკვა, ტრიალი...
შენი ბაგის ღიმილი, სანატრელი იერი,
თვალი სათნო, კეთილი, გათენების ზიარი...

განა ბევრი მინდოდა... დრო არ მსურდა ტიალი,
ოხრავს, ბორგავს, ადიდდა, ტალღის შხეფით ლიახვი,
ოი, როგორ ბობოქრობს, მღვრიე ოხერტიალი,
სურნელება გაფანტა, აყვავებულ იელის...

თორღვა ანატორელ-თიღილაური

ქრისტე აღდგა,გეშინოდეს სიკვდილო!

ქრისტე აღდგა, გეშინოდეს სიკვდილო!
შენ გაქრობის დრო და ჟამი დამდგარა,
უნამუსო და გონება მიხდილო,
შიში არ გვაქვს, ვერ გვაშინებ ცანცარა..
ყველამ იგრძნოს რომ სამყარო მათია,
ლაღი გახდეს, დიდია თუ პატარა,
ქრისტეს ყმობა, დღესა ყველას გვმართია,
უარყოფსა, მარტო კაცი ავარა.
ქრისტე აღდგა, ისმის ციდან გუგუნი,
ანგელოზნი ბანს აძლევენ:-ამდგარა!
სიმართლეა, ძმებო კი არ წუწუნი,
უკვდავების დრო და ჟამი დამდგარა.

იღბალო, რა შორს წახვედი.

იღბალო, რა შორს წახვედი,
თვალნ დამეღალა ცქერითა,
კა იცი, არ ვარ თავხედი
ბეჩავნ დამიცავ მკერდითა.

რად გიყვარს ჩემი წვალება?
მჩაგრავა ულირს ქცევითა,
ნეტაი? რა გემატება,
ჩემ გონჯად გადაქცევითა.
მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხ,
არ დაგიწვები ფეხთითა,
და არცა ვაი-უშს ავტეხ,
გაბრაზებული, ფეთვითა.
გაიგე! არა მჩვევია,
ვხოხავდე მალვა, ტანჯვითა,
თუმც, შენ სუსხ შემომეჩვია,
მალულად, უკან პარვითა.
ვერ ამჩნევ? ღმერთი, მფარველობს,
მის ანგელოზნი ზენითა,
პატიოსნებას გამგებლობს,
ვადიდებ, არ ვარ ეჭვითა.
სახელი ვის მოუხვეჭავ,
აობით, სილის გაკვრითა,
ეს გსურს, მაგრამ ვერ მბოჭავ,
ვეც ჯაჭვით, ვერც სხვა რამითა.

ტირილ მწადია ვერ ვტირი.

ტირილ მწადია ვერ ვტირი,
ცრემლ არ მადგება თვალზედა,
ვაი, მართლა მაქვს სატირი,
ამცდარს ილიას გზაზედა.
უცხო ჭილ-ყოვნი მოსულნი,
წამოგვსხდომიან თავზედა,
ძმანი და მათი ძმისწულნი,
დამდგარან ეშმას კვალზედა.

ვინ-ღა ხარ? შენსა მამულში,
ვერ ლაღობ ნარნარ ხმაზედა,
გულ გარეულა ტრაულში,
არაა თავის ჭკვაზედა.
ამოსვლა სწადის მკერდიდამ,
ტოკამს, არისა ძალზედა,
შობილი გმირი დედიდამ,
წოლა არა სურს მხარზედა.
ვხდები,რომ ამოფრინდება,
დღეს, ან ხვალ,დილის სარზედა,
ნუ გონავთ გაირინდება,
და არ იქნება შარზედა.
უმცრუებს აიყოლიებს,
მიმდგარი მათსა კარზედა,
მიჰფანტ-მოჰფანტავს ავყიებს,
რამოდენიმე წამზედა.
ტირილ მწადია, ვერ ვსტირი,
ამცდარს ილიას გზაზედა,
მამულო, გესმას ნაყვირი,
იქნებ მოვიდეთ ჭკვაზედა.

ლექსმა თქვა ბობოქარამა

ლექსმა თქვა ბობოქარამა,
მორწმუნეს დავემწყემსები,
რო არ გამფანტოს ქარებმა,
ზეცაში მიდგასა ფესვები.
ოდეს პოეტი მომიხმობს,
იმწამს სკნელს ჩამოვეშვები,
ჩემითა ბრძენი ზეიმობს,
მეც ვილხენ და ვიგეშები.
დღეღამ მის გონში დავცურამ,

ვით ზღვაში ჭრელ-ჭრულ თევზები,
გალაქტიკასა გავცურამ,
არ დამიცვდება დეზები.
როს სამყაროსა მოვივლი,
ბევრ გამიჩნდება მყვარები,
გულჩვილი ამეტირება,
გახდება დასაწყნარები.
კეთილი გულით დამლოცამს,
გაუბრწყინდება თვალები,
საოცნებოდა აღმითქვამს,
გახდება მუდმივ მტარები.
ლექსმა თქვა ბობოქრობითა,
უჭკოს არ გავეკარები,
პოეტთან თბილი ძმობითა,
ვიცი, არ დავიკარგები.

სახელი....რკინა არ არი!

სახელი...რკინა არ არი!
სასწორით იწონებოდეს,
და არცა საწნახელია,
ყურძენი იწურებოდეს.
არცა საწერი ფურცელი,
ლექსი რო იწერებოდეს,
გინა ჭურჭელი საწყავი,
ფქვილ-ქატო ინახებოდეს.
არცა საცავი საჭურჭლე,
ჭურ-აბჯარ ინახებოდეს,
ანა საჭრელი ბასრ რკინა,
ძელები იხვრიტებოდეს.
-სახელი უსაზომოა,
არსია ერთგულებისა,

ის მუდამ შეწყობილია,
სიბრძნის და ძლიერებისა.
ლაღადა მხრეებგაშლილია,
მგმობელი ჰოლოკოსტისა,
მზის სხივებივით შლილია,
მადიდებელი ძმობისა.
სახელი...კა ყმათ ხვედრია,
მლახვრელი ავი მტრებისა,
სიმართლის მკერდი, ფარია,
შიშის დამცემი მტრელისა..

შენაირ დედა, ქალაო!

შენაირ დედა ქალაო!
ვით თითნი დაითვლებისა,
უფალმა მოგცეს ძალაო,
გამზრდელო რუხი მგლებისა.
უშიშნი, შეუდრეკელნი,
მარდად მომხმარენ ხმლებისა,
კა ყმანი, არა მკრეხელნი.
გონ რო არ შაეშლებისა.
არცა ვისიმე ქებითა,
ვით ლოთი დაითვრებისა,
ანკიდე ქალას მზერითა,
სირცხვილით დაიწვებისა.
არ გადასდებენ საქმესა,
მემრე, და მემრის- მემრითა,
არჩევენ შავს და ნათელსა,
ალალნი გულის მღერითა.
გმირ დედავ, გლოცავ ხევსური
პატარა ლექსის წერითა,
თქვენი დიდების მესური,
ბავშური აღმაფრენითა.

მაია ტურაშვილი

იაპრილებს მალე

ისევ მიუყვები აღმართს ნამიან გზის,
მარტიც შეაბერდა ამ წლის აგონიას...
მესამყაროები რთული გზებით დაღლილს,
სულს კი უშენობა სცივა, ძლიერ სცივა...
გზა აბნეულს ვიცი,
კვალს, მიკვალავ გზნებით,
მე უშენოდ არ მაქ
მაინც არსად ბინა...
ჩემი ლექსის რითმა დიდმა შემოქმედმა,
ჩვენ სიყვარულს
მხსნელად მოგვივლინა.
არ მეგულვის არსად
სანუკვარო ჩემო,
შენი გულის გარდა სხვა ფუძე და ჭერი..
შენ ერთს მოგეკედლე
სამუდამო ერდოდ,
მხოლოდ შენ ხარ ჩემი
სამოთხის დამცველი..

მალე იაპრილებს,
ჩვენი ბედის ხიდთან,
ცისარტყელაც სარკმელს შემოაღებს ვნების
დღენი განაგდებენ ნაზამთრალევ მანტოს
და გრიგალებს ისევ
მტკიცე რწმენა შეცვლის...
ისევ მიუყვები ნამიან გზის აღმართს
მარტიც შეაბერდა ამ წლის აგონიას,
იაპრილებს მალე ჩვენი ბედის ხიდთან
იმედები ფერთა პალიტრაზე ცვივა.

ფიქრთა ზვინებს

ღამით ქარი როგორ წეწავს ფიქრთა ზვინებს,
დარდთა ხნულში კვლები როგორ მრავლდებიან,
როგორ იწვის ზეცის თაღზე გრძნობით მთვარე,
ვარსკვლავები სიყვარულად იბნევიან.
როგორ მიჰქრის დღენი ჩვენი სიჭაბუკის,
და ნაკვალევს როგორ ტოვებს ნაპერწკლებად.
მაგრამ ერთი სანუგეშო ის გამხდარა,
ამ ყველაფერს ვერ ეხება დაბერება...
დროში რჩება ყველა დღე და ყველა წამი,
ისეთივე როგორც არის, როგორც იყო.
არ ეხება ასაკი და დარდის ღარი,
მოგონებად გადაქცეულ ძვირფას სტრიქონს.
დღეს, მივტირით გუშინდელს და გუშინწინდელს,
ხვალ, ვიგლოვებთ დღევანდელს რომ ვერა ვგრძნიბდით,
რადგან ყველა წამი წუთთან შენაჯერი,
ჩვენ სიცოცხლეს აკლდება და ვეღარ ვშველით.
თუნდ ეს წამი ეხლანდელი ამ წუთისა,

დაგვტოვებს და დაიტოვებს დღეის ვნებას,
და წამები, წამებს ცვლიან
ისე სწრაფად,
რომ სიბერე ვერას აკლებს
დროის მძევალს...
ღამით ქარი როგორ წეწავს ფიქრთა ზვინებს...

უშენობა არ მიწერია...

როცა დამღლის და გადამქანცავს ქვეყნის ჭიდილი,
სასოება კი უსასოების მსხვერპლად იქცევა...
როცა რითმებიც გაიწევენ მწუხარებისკენ,
და ლექსის წერა გულს რატომღაც არ მოუნდება,
გადამინათებს სულს დაბინდულს შენი ხატება,
წამს აჩრდილივით ჩემს გრძნობებში აისახები.
გულს გამიხარებ, სულს გამითბობ შენი ალერსით,
და შენს მკლავებში კვლავ სფინქსივით აღვიმართები.
რადგან სიყვარულს უდიდესი მადლით შემოსილს,
ვერ უორგულებ, ვერ გავწირავ, ვერ შეველევი.
ეს მაძლებინებს ამ საწუთროს ჩემო მიჯნურო,
თორემ უშენოდ უმალ წვიმად გარდავიქმნები.
წამოვალ ციდან, აცრემლებულ კოკის პირივით,
ვერ შემაკავებს ვერა ძალა,ვერცა განგება.
ატირდებიან მთანი, ტყენი, და თვით სამყაროც...
რადგან სიყვარულს ვეღარ ჰპოვენ გულის მითებად."
მაგრამ მანამდე სანამ ქვეყნად სიყვარულია,
ჩემო ტრფიალო უშენობა არ მიწერია...

ცხოვრება მისი დანაპირებით...

ცის იდუმალი მიუწვდომლობა,
და
მთვარის როკვა, მიმწუხრის ბოლოს.
ნარიჟრაჟევზე ღამის ჭიდილი, სიკვდილ-სიცოცხლე,
შობა და ბოლო...
არავინ იცის სად რა მთავრდება,
ან რა იწყება
დასასრულიდან...
დედამიწა კი მაინც მრავლდება,
მაინც მრავლდება გაზაფხულიდან...
აპრილის ფერად თვალთა
ალები,
სულს სამიჯნურო ტატამზე იწვევს...
იასამანთა გრძნობის მარები,
ისევ მიგიჟებს მუზას და რითმებს...
შემომეცალა დარდის ალმური,
ახლა სიმშვიდის დროა,
დარია...
როგორც არასდროს ისე
გგრძნობ ახლა
სიცოცხლევ ჩვენო სულის არია.
შემომენისლა მარტი ამ წლისა,
აპრილის ცისკარს ვხვდები იმედით,
მოდით ყვავილნო!
ამიფერადეთ,
ცხოვრება,
მისი დანაპირებით...

მჯერა სიყვარულად მოვა...

მარტიც ჩაიფერფლა დროში,
ყვავილთ დაგვიტოვა თოვა.
ისევ გადავიყრი ნისლებს,
შენთან სიყვარულად მოვალ.
გული გაზაფხულად იწვის,
სურნელს ვეღარ სწვდება ნეტარს.
სადღაც გადატყორცნილს ცალად,
შენი სიყვარული მლოცავს.
ფიქრთა საუფლოში გიწვევ,
ისევ მათეთრდები ღამედ.
გრძნობა შემიჩერე დროში,
რიჟრაჟს უშენობა თან სდევს.
ასეთ განაწამებ ღამის,
დილა ვერ აღმიქვავს მშვიდად.
ახლა ყავის ფინჯნით ხელში,
მარტო ველოდები ცისკარს...
ცრემლი უნებურად მოდის,
გული აჩქარებით მიცემს.
აპრილს ვეგებები ამ წლის,
ვნება შენ აჩრდილთან მიწვევს,
და მუდამ გრიგალობ ჩემში,
ისე ვით სიცოცხლე წამზე.
შენი შემოხედვა ერთი,
გულში ცისარტყელას ავლებს...
მარტიც ჩაიფერფლა დროში,
ყვავილთ დაგვიტოვა თოვა.
აპრილს ვეგებები ამ წლის,
მჯერა სიყვარულად მოვა...

კობა ადეიშვილი

***

ცივი სახლის დუმს კედლები,
დუმს, სიჩუმის ფასადი!
აშლილია საფეხური,
ყველა ხერხი ნაცადი.

აივანი ჩანს უდაბნოს,
პირამიდას მწერვალი!
ქვიშის საათს, უცდის ბგერა,
მგზავრობს ცრემლი საგზალით.

ქარი ანგრევს, სულის ნაწილს-
დარაბები დავხურეთ!
დაღლილია დედამიწა,
მზეც კი გადავახურეთ;

ომის ქარცეცხლს ველოდებით!
აქილევსის ქუსლია.
დაჩოქილი შევღაღადებით
მთავრის დისკოს გუნდია.

აქლემების ქარავანი -
წყალზე ალი ბანაობს!
(ვაჭრებს) ფარჩა შეუკვეთავს,
ქალი, შლიდა მარაოს.

ბრძოლის ველი აცრილია!
კარისკაცი ითვლის ნელა,
დაღუპულან ვარსვკლავები -
გლოვობს, ჩვენი ბედისწერა!

ტრამალები დაცლილია,
მდინარის პირს ასდის ბოლი!
საუკუნე დაკარგული,
წელთაღრიცხვა გახდა ნოლი.

მისტიკური გარეკანი,
წიგნი სოფლის ნობათი.
ოქროს თევზი აკვარელში,
სადღაც უკრავს მოცარტი!

შოპენს! ბახი ჩაანაცვლებს,
მღერის ნორჩი გუგული!
ედემის ბაღს ბინადრობდა,
წითელგულა ბულბული.

პოეზიის სამეფოში!
ნებივრობდა მუზის გრალი,
ღმერთო იქნებ მაპატიო,
თუკი სადმე დამრჩა ვალი.

ცხელი შანთი, ჭრელთვალება
საიდუმლო ჭედურა.

ვარდი ეკალს ემიჯნება!
დანიშნული მხედრულად.

ჭადრის რიგებს, ცივ მონოლოგს
იწვის ვერხვის გორგალი.
სადღაც ჩუმად უთვისტომო,
ცაში კვდება მგოსანი.

ქარი ანგრევს სულის ნაწილს!
დარაბები დავხურეთ.
დაღლილია დედამიწა:
მზეც კი გადავახურეთ.

ჯვარცმა

წესისამებრ გტანჯეთ, ცეცხლში გაწამეთ!
ჯვარი ძელის საწამლავად აგკიდეთ.
შუბის ტარი, ტანში გაგინაწილეთ,
შურით ყველამ, ლოცვა არ დაგაცადეთ.

ბრბო შევკარით, ცინიზმს ირგვლივ ვაფრქვევდით!
საზიზღრები! წნეხით გჭამდით იარებს.
იარაღი მოვიმარჯვეთ მათრახი ...
იუდას ვერცხლს მივეტსმასნეთ, ვღრიალებთ.

ბაღში ცეცხლის ეროზიას ვაწყობდით!
მახვილ ღამეს უკუნითი დღეობდა.
მოგიყვანეთ სისხლიანი ჯალათი,
პილატე კი აივანზე მღეროდა!

კაიაფა დადგმულია ალები...
მზე უცქერდა დიდსულოვნად მარიამს!

გველეშაპი ზულუქებდა ლავაში -
გიდუღებდით სატანჯველად შარიათს.

ცხელი წვიმა სამყაროში გათრიეთ!
იხრჩვებოდა ყივილისგან მამალი,
პეტრე - მცირე ხონჩას აღელვებული,
მოციქულებს შეგყურებდათ მავანი.

დავაბნელეთ! ჩამოვხიეთ ფარდები -
გოლგოთას მთას გაურბოდით მალულად!
ალაყაფი გახნილია გელოდით,
ჭეშმარიტის საუკუნოდ აღდგომას.

წესისამებრ გტანჯეთ - ცეცხლში გაწამეთ!
სიშიშვლეში ცრემლი თბება იღვრება,
კაცის ვალი, დაგრჩენოდა ბედკრულის,
ნაზარეთი ზეთის, ხვამლად ეპყრობა.

წყალს ითხოვდი, ძმარი გასვით ღრუბელით!
გადმოცხოვრდი! საბრალონი გიკივით -
ვღრეობთ! წვალობ სანუგეშოდ გვიღიმი,
ჰე! მეფეო ეკლიანი გვირგვინით...!

***

სულის მჭირდება ამოძახილი !
ვიცი დღეები სხვაგვარად ლამობს,
ცხოვრება ხდება ენა უთქმელი,
ადამიანი ადამიანობს...

შიშმა, წალეკა აჩრდილის ფერი!
ზვავი მზაკვრულად იცინის მთაში,

ზღვას დაეწია მდინარეები,
ზეცა ტიროდა ადამიანში...

უცხო მოყვასის განწირულ სევდას!
დღეები ეხლა სისხლის ფერია,
თოვლის ნალექი წალეკავს მარტოს,
ადამიანი! ბნელის მტერია.

დგება იმ დროთა სივრცის ნაყოფი!
ნაჟური წვეთის მოედინება,
,,წამი ნაწამი" წუთიერ საზრდოს,
ადამიანის გამოგონება ...

თმაზე, ლეჩაქი თეთრ კანზე ჩნდება!
აღსრულებულა გმირის მოტივი,
ნოეს კიდობანს ვერბალი რჩება
გადარჩენილო ადამიანის....

ყველანი ეხლა ერთ გემში ვსხედვართ,
სული მწარეა იქნებ მიმიხვდეთ,
ღრუბელი რთულად ეპოტინება
უნდა გვიშველო შენ! ადამის-ძევ...

გაჭიმულ ფერებს, მონაღვთის ალერსს!
შენთვის ვიმეტებ, მე! დარდიანო,
რა დროს ცრემლები ,რა დროს სიკვდილი
შენი ფანი ვარ! ა დ ა მ ი–ანო !.

სამყაროს ერწყმის ყვითელი გული!
დრო ვერ დაჩაგრავს, სტრიქონებს მიჯნას,
სადმე ჩვენც ცრემლში მოგვიგონებენ,

ადამიანო! ვგებულობთ მიზანს.
არსება შენი უფრო მეტია!
ვიდრე, ეს მწირე ლექსების ჯარი,
დიდხანს ვფიქრობდი ვერ ამოვიცან,
ადამიანში ადამიანი?!

გრძნობის მარწუხებს ჭიდილით ვიწვევ!
ტერიტორია ჩვენი მგელია!
ბორკილებს თუნდაც მიწაზე ვათრევ,
ადამიანში ჩუმი ღმერთია:

მწვანე ჯეჯილი, თავთავი პურის!
დღე ონავარი გუშაგის ფირებს
დრომ შეაჩერა ადამიანი,
ადამიანო! წაუშლელ ფიქრებს...

გზაზე ყვავილი მარტო უმწეო,
გვირილებს ახლავს სათუთი ცრემლი,
მხოლოდ ეს მინდა ამ ქვეყანაში
ა დ ა მ ი ა ნ ი რომ იყოს ბევრი.

დარჩება მხოლოდ ის მოლოდინი!
წუხილს უმატებს ქართველი დედა,
ბარიკადები აღუმართიათ,
ადამიანო- შენ გესმის ნეტა?..

გაჭიმულ ფერებს, მონა ღვთის ალერსს,
შენთვის ვიმეტებ მე! ,,დადიანო "
რა დროს ცრემლები! რა დროს სიკვდილი!
შენი ფანი ვარ ა დ ა მ ი ა ნ ო.

ქემო ქავთარი

სიტყვა

"თავიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან."
თვით ღმერთი იყო სიტყვა და შემოქმედის ნება.
მერე განკაცდა სიტყვა, დარჩა ადამთან ერთად,
ამეტყველდა და იქცა მრავალი ერის ენად.

მას შემდეგ კაცთა მოდგმას მეგზურივით თან დასდევს,
სიტყვა შენივთდა ლოცვად და ღვთის განგების მაცნედ,
იგი გადმოსცემს გრძნობას და გამოხატავს განცდებს,
ურთიერთობას ლამაზ, დახვეწილ ფორმებს აძლევს.

დიდი ძალა აქვს სიტყვას, დიდ ენერგიას იტევს,
კარგად ნათქვამი სიტყვა კარგ შედეგებსაც იწვევს.
უნდა უფრთხილდე სიტყვას, შენს ნათქვამს ღმერთი ისმენს
და ყველაფერს ნუ იტყვი, რაც მოადგება ფიქრებს!..

თორემ, თუ სთქვი და გასცდა, სიტყვა საკუთარ ბაგეს,
მას ვეღარ დააბრუნებ, რა იცი, როგორ ახდეს?..

ხან მწარე და ხან ტკბილი, ხან გავნებს, ხანაც გარგებს,
ზოგჯერ გატირებს ცრემლით, ზოგჯერ თავზარსაც
დაგცემს...

სიტყვამ მოძებნა რითმა და სიტყვა გახდა ლექსი,
ლექსიც ყოფილა ღვთისგან, თუ სიტყვა უფალს ერთვის!..
თავიდან იყო სიტყვა, ღვთიური სიტყვა ერთი,
სიტყვა ყოფილა ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი!..

ჰეი, სიკვდილო!..

უჩინარი ხარ, ვერ გხედავდი და შორს მეგონე,
აქვე ყოფილხარ, კუდში დამდევ, თურმე, სიკვდილო!..
ბევრი კაი ყმა წაიყვანე და მე დამტოვე...
ვერ გამიგია, ვიცინო თუ უნდა ვიტირო.

ერთი ბოლო აქვს მდიდარს, ღარიბს, კეთილს და ბოროტს,
სუსტსა და ძლიერს... ცას და მიწას ვინ შერჩენია?..
აქ წუთისოფლის სტუმრები ვართ, დროებით ვცხოვრობთ,
ყველა მოკვდება, ქვეყანაზე ვინც გაჩენილა...

ჰეი, სიკვდილო, სანამ წავალთ თხოვნა მაქვს ერთი,
სულეთს მისულმა, რაღაცა ხომ უნდა ვაკეთო...
ისეთი საქმე მომინახე, დაგლოცავს ღმერთი,
იმ ქვეყნიდანაც ვემსახურო ჩემს საქართველოს!..

მასპინძელი

ო, პარდონ მუსიე... მომიტევეთ!.. ხომ არ გაწუხებთ?
თუ კი ინებებთ ორიოდე რჩევას გაჩუქებთ.
ჩვენ ქართველები პატივსა გცემთ დიდად ფრანცუზებს,
თუმც თქვენ კრუასანს მიირთმევთ და ჩვენ კი ნაზუქებს.

ბუენას ტარდეს კაბალერო!.. თქვენც აქ ყოფილხართ,
იბერიელო, ჩვენ ხომ ერთი შტოდან მოვდივართ?..
ჰეი, გუტენ თაგ ფროილაინ!.. რუჯი მოგიხდათ...
მუსტაფა ბეი, ხოშგელდინიზ!.. ველქამ!.. მოდით აქ!

ჰელოუ მისტერ!.. ჩაო სინიორა!.. ბარო ახპერჯან!
აქეთ მობრძანდით ყველას ერთად გეტყვით სათქმელსა.
ჯერ ქართულ ღვინოს გაგასინჯებთ ღვთიურ სასმელსა,
სუფრის კულტურას ვერ შეხვდებით სხვაგან ასეთსა.

დავაი ვანია, ნალივაი!.. მე ვარ თამადა...
გადახდილია, თქვენ ნუ სწუხხართ, არ ღირს ამადა,
გაგვათანაბროს სიყვარულის დიდმა ძალამა...
მიროპე არმენ!.. მამედას ნუ უბღვერ ავადა!

ისტორია გვაქვს უძველესი, ალბათ გსმენიათ,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მასპინძელნი ვართ,
სტუმრად მოსულნი გვიყვარს, მაგრამ მტერიც ბევრია,
ხორუმსაც ვცეკვავთ და ჩაკრულოს ისევ ვმღერივართ.

მოდი, იხილე საქართველო, ჩუნგო ჰანიო,
თავი იგრძენი როგორც სახლში, ძმაო, ამიგო,

მაგრამ გახსოვდეს, სტუმარი ხარ, უნდა გაიგო...
იმ წყალს ნუ ამღვრევ, ხვალე ჩვენ რომ უნდა დავლიოთ.

პატივი ეცი ჩემი ქვეყნის ადათს და კანონს,
ტყეს ნუ მიჩეხავ, ნუ დამიშრობ ანკარა წყაროს,
ეცადე, რომ გულს ბილწი ზრახვა არ გააკარო
და ქართულ მიწას ნუ მომტაცებ ჩემო სტუმარო!

ნაწილი ძალით გამოგვტაცა მტერმა ხელიდან,
მავთულხლართები მოცოცავენ ჩრდილოეთიდან,
დანარჩენს აგერ ფულზე ყიდის ვაიელიტა,
მგონი დროა, რომ გამოვფხიზლდეთ ამიერიდან.

სტუმართმოყვარე მასპინძელნო, ძმანო ქართველნო,
სტუმრის სტატუსით მოძალადემ რომ არ გაგვთელოს,
ფიალის გარდა გამჭრიახი გონიც ვაჩვენოთ
და ქართლის დედის უქარქაშო ხმალი ავლესოთ.

ჩემი სათქმელი, დაგენაცვლე შალომ, ეს არის,
ყველა სტუმარი განურჩევლად მიყვარს ღმერთმანი,
სანამ დაიწყებს მბრძანებლობას ჩემსავე სახლში,
სანამ სტუმარი ღვთისაა და არა ეშმაკის.

ნალეი ვანია!.. ეს შეავსე, განსხვავებული,
სადღეგრძელო მაქვს გულში ლექსად ამღერებული,,
ღმერთმა დალოცოს ის სტუმარი გამორჩეული,
ვისაც უხარის საქართველო გაბრწყინებული!

მთიულური გაზაფხული

ალევის ქედის ძირში მიდგას ქვითკირის სახლი,
მამისეული ეზო-კარი სუნთქავს ხეებით,
მშობლების სითბო მიცოცხლდება ფოთოლთ შრიალში,
როცა არხევენ ტოტებს ჩემი ძუძუმტეები.

გადაიარა ყვავილობამ თეთრად ვაშლების,
შუა მაისში მოვარდისფროდ აყვავდა კომში,
მთებზე მიცოცავს გაზაფხულის მწვანე ხავერდი
და ზამთრის სუსხი იყუჟება მთის თხემზე თოვლში.

ცოტაც და ისიც ჩამოდნება მზე-წვიმისაგან,
წვეთ-წვეთ ნაჟური ნაკადულებს ააჩხრიალებს,
ხევებს ჩაჰყვება, აადიდებს არაგვის ტალღებს
და გაზაფხული ახლა ქვემოთ ჩაიგრიალებს.

მე აივნიდან თვალს ვადევნებ ამ გარდასახვას,
გაღმა ღვთიური მადლით ავსებს მზე მგზოვანის წვერს,
შავ არაგვს იქით, გაღმის გაღმა სპეტაკი ფარდა...
ნისლების კაბა ჩაუცვია გუდამაყრის ქედს.

ნეტავ რამდენჯერ დაიღვარა ქართული სისხლი,
დღეს მთიულური გაზაფხული რომ გვეგრძნო ცეცხლად?
აქ ჩაიარა უკვდავების გზაზე შემდგარმა
სამასმა გმირმა და სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად.

ღმერთო, დალოცე საქართველო, ეს მიწა-წყალი
არ დაანებო სათარეშოდ მტერსა და დუშმანს,
მომეცი ძალა, კეთილ საქმეს მივუძღვნა თავი,
სიკვდილის შემდეგ ვალმოხდილი ვეახლო უფალს!

ეკა ნადირაშვილი

***

სიცოცხლევ მაცალე, დავტკბები ცოტაც და
ჯერ ისევ ბავშვივით ფრთხიალებს ეს გული,
მერე რა ციფრები აჩვენებს შუა ხანს,
მერე რა სარკიდან თეთრი თმა მიმზერის.

ჩემს გულში პატარა ლამპარი, ანთია,
არ ქრება არასდროს იმედად ნაპერწკლის.
მზის ხელი, ამ გულს ხომ სხვაგვარად ატყვია,
ვით, პირმშოს თავისი დედიკოს ხელები.

სიცოცხლევ მაცალე, დავტკბები ცოტაც და
დღეს მოვასწრებ და სიყვარულს, აგიხსნით
ცაზე გამოვსახავ ფთილებით მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ,
ახლა კი გაგიმხელთ თუ როგორ მჭირდებით.

სიცოცხლევ მაცალე, დავტკბები ცოტაც და
ხვალ იქნებ, მზეც ჩაქრეს, წყვდიადმა ჩამყლაპოს,
ჩემი სიყვარული ყველას უნაწილე
ამას დაგიტოვებ ანდერძად სამყაროვ.

სიცოცხლევ მაცალე დავტკბები ცოტაც და...

***

როგორც არასდროს, ისე მომინდა,
ნუგეშ მომცემი, სიტყვები თბილი.
ვარდის ფურცლებით, მირთავდეს ოთახს,
სანუგეშებლად ჩამჭიდოს ხელი.

დღეს მართლა, ისე მომაწვა დარდი,
ცუდმა ამინდმაც ამიყოლია.
ხოდა გინატრე, სულ ერთი წამით,
ჰო, ამ დარდის დასავიწყებლად.

როგორც არასდროს, ისე მომინდა,
ნუგეშ მომცემი, სიტყვები თბილი,
ოჰ, იმ წყაროსთან შეხვედრა ისევ,
და საამური სიმღერა ჩიტის.

მინდა გიყვარდე

მინდა გიყვარდე,
მინდა მიყვარდე,
ერთად გავლიოთ
ლამაზი წლები.
ერთად ვაშენოთ
ეს სიყვარული,
ულამაზესი საშენი ქვებით.
არ გბეზრდებოდე,
არ მბეზრდებოდე,
თვალის ჩინივით
ვუფრთხილდეთ ერთ-ურთს.

მინდა ამ გრძნობას
წყალიც დავუსხათ,
ლამაზ ყვავილად
ვუზარდოთ ერთ-ურთს.
და მერე მისი
შეხედვით დავტკბეთ,
როგორც გაზრდილი
პირმშოთი დედა.
არ გბეზრდებოდეს,
არ მბეზრდებოდეს,
ულამაზესი გრძნობის ფერება.
ისე გვიყვარდეს,
როგორც მარტის თვეს
ამშვენებს მუდამ
სიგიჟე ქალის.
ხან გაიავდროს,
ხანაც გაგვათბოს,
ხოდა ამგვარად
გავლიოთ წამი.
მინდა ამ გრძნობას
ვარდსაც ვადრიდეთ.
მისი სურნელით
თვრებოდეს ყველა.
პოეტს კი წერის
მუზა უვლიდეს და
ჩვენს სიყვარულს
უმღერდეს ნეტავ.

მინდა გვიყვარდეს, ისე როგორც,
არავინ არავის არ ყვარებია ....

მიყვარხართ!

მარტო სული ვარ, ობოლო ბავშვივით,
ბედმა მარგუნა ეს მწარე იარა,
მაგრამ, ეს ღიმილი გულწრფელი ბავშვის,
ბუნებამ მიბოძა და მისაჩუქრა.

მარტო სული ვარ ობოლი ბავშვივით,
ვვანცობ და მივიკვლევ ჩემს წილ შარა გზას.
არ გავბოროტდი, თუმც ქონდათ წადილი
არ გავიმრუდე ბილიკი, გზადაგზა.

ოჰ, ძლიერი ვარ, ჩემს თავს ვარწმუნებ,
ეჭვი არ გაუჩნდეს, არ მინდა მოეშვეს.
არ შეუშინდეს ყინვებს და ქარაფებს,
ცხოვრების აღმართებს რითმებად აუყვეს.

მარტო სული ვარ, ობოლი ბავშვივით,
მარტო მივიკვლევ მიუვალ გზასაც და
ხან წავიფორხილებ, გამკაწრავს ეკალი.
უფალო შენამდე მოვიკვლევ ახლა გზას.

ჩემს შვილებს

სანთლებს ავანთებ ცრემლმორეული,
ჩემს ორ სიცოცხლეს ვავედრებ უფალს,
ჩემი გული კი ფრთხიალებს ისე,
როგორც დაჭრილი ბეღურა ხტუნავს.

დავიარები უცხო მიწაზე
და ხელით დამაქვს ჩემი ორი მზე,
სიბნელე იყოს გზასაც მინათებთ,
როს შემამცივნოს, თქვენ მათბობთ ისევ.

ჩემ ორ სიცოცხლეს ვავედრებ უფალს,
და ჩემი გულით დამაქვს ორი მზე
თქვენ ჩემს ცხოვრებას ამშვენებთ მუდამ,
ვით დედამიწას, შვენის ცის კიდე.

სანთლებს ავანთებ ცრემლმორეული,
ჩემს ორ სიცოცხლეს ვავედრებ უფალს.

***

მონატრების წყურვილი კლავს ამ სულს ახლა,
ოცნებებში ეფერება თავის მხარეს,
ოცით!? უნდა მერცხალივით ფრთები ესხას,
გაზაფხული მიახაროს ყველა ქართველს..

მეგობრობა

უანგარო მეგობრობის ტრფიალი მკლავს,
ბევრს კი ვიცნობ ანგარება სუფევს მასში,
მე ამ ლექსით ვეტყვი ახლა იმ მეგობარს,
ნუ გაყიდის ერთგულებას ვერცხლის ფასში.

მიყვარს, ვეტრფი ჰო ჩემს გულსაც ვანაცვალებ,
მეგობრობის სადღეგრძელოს ყანწით დავცლი,
თამადობას დავიჩემებ ამ სუფრაზე,
ჩემს სიცოცხლეს დაემუქრონ თუნდაც საფრთხით.

უანგარო მეგობრობას თაყვანსა ვცემ,
ქედს მოვუხრი, მუხლს მოვუყრი, ერთგულებას,
მე ამ გულით ჩემს თავს მართლა ვანაცვალებ,
ჩავიხუტებ მეგობრობის ნამდვილ გრძნობას.

ლიკა ქათამაძე

უმადური ადამიანი

უმადური ხარ, მუდამ რაღაც მიწიერს ეტრფი
წუწუნში გაგყავს ეს ცხოვრება და მცირე დღენი
საცდელი დროით გამოგგზავნა განგებამ დაბლა,
შესდეგ და გეყოს ადამიანო ამდენი ცრემლი.
რაცა გაქვს იმით, კმაყოფილი არასდროს არ ხარ,
მიილტვი ისევ ცდუნებისკენ და მრუშობს სული,
გახარებს წამის ნეტარება, შორდები უფალს,
ეშმაკის ხელი დაგტყობია და მალე შეგშლის.
რატომ არ გესმის ყველაფერი დაგჩება ოხრად,
რისთვის ან ვისთვის ააშენე სასახლე დიდი,
არაა გვიან დაამარცხო სატანა გულში,
შენ ხომ იცი რომ, სასუფეველი სუყველას უცდის
და როცა უფალს ეახლები სამოთხის კარზე,
ანგელოზები დაგხვდებიან, გვირაბში ივლი,
სინათლის სხივი აინთება ,გვირაბის ბოლოს

თუკი სიკეთე გააკეთე ამ ქვეყნად დიდი.
და თუ დათესე ბოროტება ემონე ეშმაკს
არ გწამდა ქვეყნად სამოთხე და არც დიდი ღმერთის,
შეგცხვები შენი საქციელის თავს დახრი დაბლა,
მიხვდები ფუჭად გაატარე მრავალი წელი.
შეხედავ კოცონს მოგიზგიზე სინათლის ალზე
მიმოფანტული ნაცნობები რომ ცოცხლად იწვის,
გამოფხიზლდები თუმც იქნება ცხოვრება გვიან,
ვერ ჩააბარე მიწიერი გამოცდა ღმერთის.

ჩემი სოფელი მომაგონდება

და როცა მთვარე, მიეფარება გაჭვარტლულ ზეცას,
როცა სიწყნარე დაისადგურებს,დიდ ქალაქს ძინავს
იქუხებს ბარში აპრილები იფეთქებს ყველან,
სამყარო მწვანედ შეიმოსება, დათბება ყველგან
ჩემი სოფელი მომაგონდება ძველ დღეთა მიღმა,
ჩემი მშობლები, მოფუსფუსე ბებია, პაპა,
მიუყვებოდით სოფლის შარას ყანაში მარდად,
ფინიას ყეფა, შეძახილები სიმღერის ჰანგად.
დახუჭობანა, მგელობანა, ოცამდე ათვლა,
გაითვალეო ვიხუჭები ჭიჭყინში დაღლა,
ხუთქვაობანა, გაქცევა და კისკისი ბავშვთა,
სხვა დრო მოვიდა, დაიკარგა და გულში დარჩა.
მე მოვესწარი და ვამაყობ სიწრფელე ჩანდა,
სიყვარული და მეგობრობა სუყველას წამდა,
სოფლის ცხოვრება სულ სხვაა და არავინ არ თქვას,
რომ სოფლელობა სირცხვილია და ქალაქს არ გავს.
სწორედ რომ არ ჰგავს, შენ რა იცი? რა დღეებს კარგავ,
როცა, რიჟრაჟზე მამლის ყივილს ვერასდროს ნახავ,
ტალახის სუნი, მობიბინე სიმწვანე ბაღთა,
თუკი, ფეხშიშველს არ გირბენია მოეშვი ახსნას.

დაღლილი გლეხი ,ნატეხ ჭადზე და დამჭკნარ პრასზე,
კოკიდან ღვინოს როგორ აწვდის ქალაქელ მგზავრსაც,
ომახიანი სადღეგრძელო დალოცვა გვარის,
უნდა გვახსოვდეს ტრადიციები ვასწავლოთ მათაც.
შემოუნახოთ, ის ძირძველი ლაბაზი დღენი,
შთამომავლობას არ დაუკარგოთ სიწრფელის განცდა,
ვასწავლოთ ისევ გამოვზარდოთ ისეთი შვილნი,
რომ არასოდეს არ გადაშენდეს ფესვები გვართა.
არ კმარა მარტო ქართველობა მტკიცების ნიშნად
შევცვალოთ ხედვა დავაფასოთ ალალი პური,
მცირედი გვეყოს და არ ვიყოთ ცრემლსა და დარდში,
იყო დრო როცა ჭადზე ზრდიდნენ მეომარ მხედართ.
და ეხლა ისე მენატრება სოფელი ჩემი,
ის კარ-მიდამო, სადაც ფეხი ავიდგი დედა,
ორღობეებში ხეტიალი, ტალახის სუნი
მადლობა უფალს სოფლელობა მარგუნა ბედმა.

თუკი უფალი გამასამართლებს

თუკი მომიწყობს სასამართლოს, უფალი ცაში,
გამასამართლებს, სიყვარულის მხევალს დარდიანს
იცოდე, მხოლოდ დავაშავე რომ მწამდი ესე,
შენს იქეთ, სხვა გზა არასოდეს არ მიძებნია.
დავატარებდი უბით მუდამ ცრემლიან ბარათს,
სადაც სტრიქონში შენი ტრფობა ისევ წერია,
ვერ შეველიე იმ სიყვარულს ბედმა რომ სცადა
შენი სახელი ნამსხვრევებად გადაექცია.
გულმა ვერ დაგთმო, სიყვარული არასდროს ქრება,
მანძილი შორი, მოგონებებს ვერ ერევიან
დამნაშავე ვარ, რადგან ვიცი არ უნდა მწამდე,
მაგრამ მიყვარხარ, ამ ცოდვისთვის არ ისჯებიან.

ჩვენი თუთის ხე

სულის კიდეზე ამღვრეულ სევდას,
მოგონებები არხევდნენ ქარში,
მეწადა შენი ნახვა და კოცნა,
თუმც სიამაყე ჩამაკვდა ტანში.
აპრილი დუმდა უშენოდ ბაღში,
შეხვედრის ადგილს, რატომღაც არ შლის,
თუთის წინ მდგომი, ეგ შენი სახე,
გულის კუნჭულში, კვლავ არღვევს მანძილს.
ნაწვიმარ მინდორს ამბორი ტკბილი,
ბალახის სუნი იფრქვევა ნამში,
მიყვარხარ, როგორც არასდროს არვინ,
თუმცა გამცვალე მე უკვე სხვაში.
არ მინდა უკვე ჩივილი ბედთან,
აღარ აქვს ახსნას, რაიმე აზრი,
უბრალოდ ჩემში, ისევე ცოცხლობ
და მეც სიცოცხლეს, ვაგრძელებ შენში.

საქართველო

იდგა მოწყენილი ჩვენი საქართველო!
მტრისგან უსაშველოდ ძალზედ გადაღლილი,
ღრუბელს ემალება, არ სურს დაინახოს,
როგორ ჩამოშლილა ძველი კლდის ნაპირი.
ირგვლივ გაბნეულა, ყველგან ცოდვა ბრალი,
ნუთუ დაიკარგა ჩვენი სამართალი,
მტკვარი ველარ ჰყვება წარსულ ისტორიებს,
მთებზე აღარ მოჩანს წმინდა ჩირაღდანი.
ცრემლებს დაუნამავს ირგვლის არემარე,
ქართველს დაუკარგავს, ყველა ღვთის მსახური,
ველარ უერთგულა ჩვენმა ვაჟკაცებმა,

ყველას მოეძალა ქრთამის სიყვარული.
მიწა გაიყიდა, ისევ ოქრო-ვერცხლზე,
ისევ გროშებია ყველას სადარდელი,
არა ვერ ვუცქერი ესეთ საქართველოს!
სადაც თვალებია ცოდვით დანამული.
რატომ ველარ იცავთ, მამის დანატოვარს?
განა არ იბრძოდნენ თქვენთვის წინაპრები?
მხოლოდ გამარჯვება, თავსაც შესწირავდნენ
მათთვის ბრძოლა იყო მხოლოდ უმთავრესი.
გუგუნს ვერ გაუძლო ხსოვნის სიდიადემ,
წითლად ამოხეთქა მიწამ ყვავილები
სისხლის ყოველ წვეთზე ცრემლად ამჩნევია,
ჰქვია ყაყაჩო და დარჩა ნაკვალევი.

შეჩერდი ჟამო

ჰეი, შეჩერდი, შავ ბურუსში ჟამო ტიალო,
უსამართლობის დიდ მორევში არ გვატრიალო,
ჩვენ, ჩვენი გველის წუთისოფლის მძიმე სამრეკლო,
ცოდვათა მოდგმას გადმოხედე გუმბათ ზარებო.
ვარდისფრად ვცდილობ, მიმოვსატო ჩემი სამეფო,
ვერ შეგაკადრე საყვედური ბედის დამწერო,
ვერც დაგემონე, თავად შევქმენ ჩემი სამეფო,
სადაც მარტო ვარ პლანეტაზე, უკეთ ვარსებობ.
თუმც დავიღალე ,შევეცადე კარი გამეღო
ეს მძიმე ჯვარი ველარ ვზიდე გული გამეპო
უსამართლობას ბევრს წავაწყდი ნუთუ არ მეყო
ბედნიერება შევეცადე უკეთ გამეცნო.
ჰეი, შეჩერდი, შავ ბურუსში ჟამო ტიალო,
უსამართლობის დიდ მორევში არ გვატრიალო,
თუკი ჩემი ხსნა დღეს გამხდარა უფლის სამრეკლო
ჯერ მაზიარე სამართალი, რადგან არ მეყო.

ცისანა ხუციშცილი

ბაბუაწვერა

სანამ არ არსებობდა ინტერნეტი,
ბაბუაწვერას ვატნევდი, ჩემს სურვილებს ღმერთთან.
პასუხი არასდროს მოუტანია, არადა, სულ მაინტერესებდა,
ოდესმე მიუტანა ნეტავ?
რომ დავბადებულვარ, სულ რაღაც წამით,
ჩაუხუჭავს ღმერთს თვალი,
ჩემი არსებობა მისთვის არ უცნობებიათ
და დავრჩი გაუფორმებელი ქალი.
მეც დიდხანს მიმალავდნენ ღმერთის არსებობას,
გვიან ამეხილა თვალი,
ამიტომ მასთან მისაახლოებლად
იმდენი ვიწვალე, დავკარგე 2/3 თვალის.
ახლა კი ყველა ღონეს ვხმარობ,
ბოლომდე მივენდო
და როგორმე ჩაიბაროს ჩემი
არც მთლად უცოდველი თავი.

***

მძულს. საკუთარი თავი,
კი არა, სიცოცხლე მძულს.
მსურს. სიკვდილი, კი არა,
ღმერთთან გაფრენა მსურს.
მტკივა. მთელი არსება მტკივა.
მშია. მე არა, ჩემს სულს შია.
ყოველთვის ყველაფერი მეძლევა,
როცა უკვე ძალიან გვიანია.
ცდიან. ჩემს მოთმინებას ცდიან.
დრო გავა და დარწმუნდებიან,
რომ ზედმეტს მიშვებიან.
ცრუ ბიჭისა არ იყოს,
რომ იტყუებოდა,მოვიდაო მგელი
და როცა მართლა მოვიდა,
ყველას ეგონა იტყუებოდა
და არვინ გამოუჩნდა მშველელი,
თუ მხსნელი.
ასე დამემართება მეც,
ამიტომ გაგრძელებას აზრი არა აქვს
და წერას დროებით ვწყვეტ...

ნუთუ ამაოდ?!

ველი. ველი. ველი!
შავი დარდით დაიფარა მოთმინების ველი.
აღარ მოვა. აღარ მოვა.აღარ მოვა. არაო!
ის დეიდა-ბიძიამ მისთან წაიყვანაო.

შენ კი...შენ კი...შენ კი...
არც იქით არ უნდიხართ,
იხალისე მანდაო!-
ეს ამბავი უცნაურმა ლურჯმა
ჩიტმა ახლა მომიტანაო.

გულები

გულები. გულები. გულები.
მკერდის, ხელის თუ ფეხის.
ყველანი სხვაგვარად გვტკივა:
გვიკვნესს, გვჩხვლეტს, ან გვეწვის.
მაგრამ მორწმუნე სხვისაგან,
რით განვსხვავდებით გეტყვით:
ჩვენ მოთმინების ძალა გვაქვს,
ყველას შენდობას ვვედრით.
ჩვენ, მორწმუნეთ გვაქვს მოთმენის
და მიტევების ძალაც,
ლოცვის და მარხვის წყალობით,
ყველა ჩვენს ტკივილს ვმალავთ.
მხოლოდ ისეთზე ვწუწუნებთ,
რაც გვწამს სხვებს უფრო სტკივათ,
ჩვენ ვერვინ ვერ გვეხმარება,
თავს ჩვენი რწმენით ვკურნავთ.
არ ვეპუებით გასაჭირს,
(თვით ქრისტე აცვეს ჯვარზე),
მხოლოდ ის გვტკივა, რომ ერთ დროს,
ჩვენს მტარვალებს და მწამებლებს,
არ მიუტევებს ცოდვებს.
ვიცით, რომ ოდაათ ვერცხლად,

ქრისტე გაჰყიდა იუდამ.
ჰოდა, მე რა რას გავახერხებ
და მხოლოდ ჩემი ძალებით
რას ვუზამ მათ, ვისაც ჩემი წამება მოუნდათ?
ვიცი, არიან ვამპირი,
(მათ შორის ენერგოც),
ვინც ჩემნაირთა წამებით
ერთობა, გადის ფონს.
მე მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი,
ღმერთი თუ ჩათვლის შეერგოთ,
ჩემიდანც შეენდოთ!
ჰო, არ მაშინებს წამება,
სული, გულის და ხორცის.
ყველაფერს მოევლება და
მეც ძალა შემწევს მოცდის.

***

მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ,
სულით და გულით მორწმუნე.
ლოყაში მტკიცეს, არად ჩავაგდე,
პირიქით,მივუშვირე მეორე.
რადგან მიხვდნენ,რომ მერეოდნენ,
იმეორეს და იმეორეს.
მერე ღმერთს ვთხოვე შველა.
მითხრა: სულელო შენა,
ღალატი,
ტყუილი,
შური,
სიხარბე,
უსამართლობა,
გაუტანლობა

და არ დანდობა
არ აპატიო არავის,
სწორედ ზედმეტი პატიებაა მიზეზი,
საქართველო რომ ამ დღეშია
და მისი დარდი აღარ აქვთ არავის
და ეს ცხოვრება რომ ჰგონიათ მხოლოდ ქეიფი,
დროსტარება
და ჰარი-ჰარალე.

***

"აღარც მაისი მახარებს,
აღარც ვარდი და იაო".
გულწრფელი ადამიანი
სიცოცხლეს მირჩევნიაო.

მაგრამ ამ ბოლოს რაღაც სჭირთ,
ასეთნი იცვლებიანო.
"არა"თავსართის საყიდლად,
ნემსის ყუნწს გაძვრებიანო,

არავის არ დაინდობენ,
ოღონდ განკურნონ ფიაო.
ხანდახან აზრზზე მოდიან,
სირცხვილით იწვებიანო.

მანამ გაყიდეთ მაგ "არა",
სანამ სულს გაგირყვნიანო,
თორემ აზრზე როცა მოხვალთ,
მერე იქნება გვიანო.

მე კი სუყველა მიყვარხართ
მატყუარნ-მართალიანნო.

ნიკა შამათავა

მეოცნებე პოეტი

ჯანდაბას ვიყო პოეტი
დარდებში ვიყო მცხრომარე
კვლავ შევარჩიო მომენტი
შენს კართან მნახო მჯდომარე

დაე გიკრეფდე იებსა
ზამთარში თოვლში ჩაკარგულს
გამაგონებდე სიტყვებსა
შენს გულში ძან ღრმად დამარხულს

ჩვენი გაცნობის საღამო
გვექცეს ტკბილ მოსაგონებლად
შენი ტუჩები დავღალო
ტკივილის მოსაშორებლად

ბუხარი ხურდეს ოდაში
თბილად მელოდეს შინ ქალი
არ ჩამითვალო ცოდვაში
შველი რომ თოფით მოვკალი

პატარას აკვანს დავურწევ
ლეიბს ჩაუფენ მას რბილსა
რომ გაიზრდება გაუწყებ
დღეს ცოლი მოყავს ჩვენს შვილსა

ბებია ბაბუ გამიწყრა
შენთან მორბოდეს საშველად
ნადირი თოფით დაწყვიტა
ვაჟკაცი ქვია სახელად

რა ვქნა რომ მარტო დაგტოვე
ცრემლით მისველებ ბაგესა
მე ჩემით არ მიგატოვე
ბებერმა ტყვიამ დამგესლა

უკვე შენც გვერდით მიწევხარ
ბედი ვაი რომ მქონია
ცხოვრებავ რა ჩქარა მირბიხარ
მეც ხშირად გამიგონია

ჯანდაბას მერქვას პოეტი
ოღონდ არ ვნახო სიზმარი
ვერ შეგირჩიე მომენტი
მიყვარხარ ველარ გითხარი

***

ზამთრის ბილიკებს მივყვები ნელნელა
წვიმას და სიცივეს მხარიც კი ავუბი
ნეტავ სად არის ჩემი პეპელა
ნუთუ ჩემსავით წარსულს გაურბის

ზაფხულის სიცხეში მახსოვს დამტოვე
თითქოს ვუძლებდი უშენოდ მაგ წუთებს
სიზმარშიც გაქრი და მიმატოვე
ახლა კი ვებრძვი ტკივილის მარწუხებს

წვიმიან ამინდში დავდივარ ქუჩაში
ახლაც დავყვები შენს ნაბიჯს ძვირფასო
რომ არ დასველდეს ვინახავ მუჭაში
ფუნჯებს რომლითაც გხატავდა პიკასო

ღვინის და დარდის ნაზავით ვთვრები
მინახავს თოვლში ჭკნობა ყვავილის
მე კი უშენოდ ნელნელა ვკვდები
მცივა და ზამთარიც მალე გაივლის

როდესაც შენზე დავწერე პირველად
მახსოვს რომ მაშინ არც კი გიცნობდი
ახლა კი ვტირი ვიღვრები ცრემლად
რომ არ იცოდი ისე გყვარობდი

იმედი რომ მაქვს ამით ვთავხედობ
შენზე ლექს რომ ვწერ ესეც ბევრია
იქნება ახლა მაინც გავბედო
რომ ჩემი გული ისევ შენია

მე ხომ სახელად პოეტი მქვია
ეს ლექსი გახსოვს ვალად რომ დამედო
მაინც დავწერე ძალიან გვიან
ჩემო ძვირფასო ისევ ვთავხედობ.

დაკარგული ახალგაზრდობა

ცხოვრება მიედინება ასაკი ახალგაზრდა
სხვადასხვა მეთოდით ვიბრძვით თითქოს
ცხოვრებამ გამოზარდა თითქმის არამზადა
ჩვენზე ბედისწერა გაყინულ ხელს ითბობს

კარგი ცოდვილად იქცა ეს ახალგაზრდა
ნიღბად მოეფარა ტანჯულ სიმწიფეს
ღმერთო მეც ვარ დღეს ახალგაზრდა
და სიცოცხლეში სიკვდილიც მიწევს

ყველგან აირია ცხოვრების რიტმი
ფეხის აწყობას საერთოდ ვინ ჩივის
არარაობად მიმაჩნია რამეზე ფიქრი
კვირაში შვიდი დღეც უაზროდ მიქრის

აზრი ვერ ვპოვე ხვალინდელი დღის
არაფრად მექცა დღევანდელობა
ყველას რომ ვკითხოთ იმედი გაქვს რის
პასუხი ერთია სიმხდალეა თვითმკვლელობა

სიმხდალეა მაგრამ მაინც ვაღიარებ
სიცოცხლეს ყველაფერი სჯობს
ღმერთო დამეხმარე ვხედავ ვაგვიანებ
შენთან შესახვედრად სიცოცხლესაც ვთმობ

რასაც ვფიქრობ მიჭირს გამოთქმა
ნერვებს ვერ ვთოკავ შიგნიდან მჭამს
ჩემთვის პატივია თქვენს წინ გამოსვლა
ისიც პატივია რომ ვიღებ ხმას

ახალგაზრდა სხვა რა ვუწოდო ჩემს თავს
მეც ვიხარშები ცოდვის იმ ქვაბში
სადაც გვიწოდა ვიღაცამ არამზადა
ღმერთმა კი გაგვრია დამცინავ ხალხში

ცხოვრება მიედინება ასაკი ახალგაზრდა
ბედმა გამოუცდელი თაობა დატესტა
გახსოვს რომ უწოდე ურცხვად არამზადა
მან კი შენზე მეტი სიკეთე დათესა...

გიორგი ზუბიტაშვილი

პეიზაჟი

მთის ბილიკებზე მოქრის მარულა,
ვით ქარიშხალი ამდგარი დილით,
ამ მთის გადაღმა გადამალულა,
ქალი მზისფერი ალმასის მძივით.

ქალი - მთელავი ჩემი ოცნების,
გაყვა ბილიკს და მთას მიეფარა...
ხელში ჩამიჭკნა კონები იის
და წარსულივით ქარს მიებარა.

ახლა მზე აწევს კახეთის სოფლებს,
მთებიდან თეთრი აყრილა ნისლი,
ასკილი ანთებს ქვითკირის ღობეს,
ის ქარიშხალთან აპირებს ტირილს.

განა გაუძლებს ქარიშხალს ქუჩი?! -
ქარიშხალს ავს და მცელავს ბალახთა,
ან თვალნათელი, ქალიმზე ურჩი,
გულში ტყვიად რომ დამიბანაკდა.

აქ...

ეს ქუჩები, ეს სოფელი ჩემი,
ბავშვობა და გალავანზე ია...
ვით ლამაზი ღიღინი და ლექსი
გულის გულში ისე ჩამრჩენია.

რა ხანია დავავიწყდი ფაცერს,
ჩელთის ტოტებს, იგი მელის აღარ...
ეს კალამიც კიდევ მრავალს დაწერს,
ლექსებს, როგორც ყვავილგამონაყარს.

აქ, ოდესღაც ვთამაშობდი ლაღად,
და დღეს იმ ბავშვს მხოლოდ დედა ეძებს.
აქ, ბავშვობა შეეწირა ქაღალდს,
აქ ბავშვობა შეეწირა ლექსებს.

***

რამდენი ლექსი დავხიე უკვე,
რამდენ წერილში ჩავანთე ცეცხლი,
სხვა გზა, რომ აგცდე ვერ მოვისურვე,
ვერც დრო, რომელიც ოდესმე შეგცვლის.

რამდენი ღამე გავტეხე ასე,
ვით ბავშვობაში ყულაბა მტრედის,
ერთი სურვილით ვიყავი სავსე,
ოდესღაც კიდევ შენთან შეხვედრის.

რამდენი სახლის დაინგრა ბანი,
რამდენჯერ გზა-გზა მოგისაკლისე,
შენზე ფიქრებით მე - დამაშვრალი,
წამომცდა ბევრჯერ - ქალო, რა იქენ?!

და ასე ჩუმი, წყნარი და მშვიდი,
ფიქრით გზის ლევა შემომეჩვია,
არც ამ წელიწადს იფეთქებს შინდი,
არც ამ წელიწადს იფეთქებს ია.

ბევრჯერ გინატრე, ბევრჯერ მომსურდი,
სადღაც გეძებე, არსად იყავი,
და მოდიოდა ღამე ვით ქურდი,
მინდოდა შენ რომ მოსულიყავი.

რამდენი ლექსი დავხიე უკვე,
რამდენ წერილში ჩავანთე ცეცხლი,
სხვა გზა, რომ აგცდე არ მოვისურვე,
არც დრო, რომელიც ოდესმე შეგცვლის.

***

გაჰქუხა ცაზე ძლიერად,
ციდან ჩამოწყდა ვარსკვლავი,
გაფრინდა ვიღაცის სული,
მთაში დამწიფდა შალშავი...

ამ ქვეყნად არვინ დარჩება,
გარდაუვალი რამ არი.
შეაღებს სული ზეყანას,
თეთრი ყვავილის სადარი.

მთებზე ცვარ-ნამი მარწუხობს,
ჰყვავის საოცრად ატამი...
გასცდება სული საწუთროს,
ცრემლით გაცვდება წამწამი.

***

ო? - ვიმღერ განა რა მემღერება,
ვიტირო? - ტირილს ვერ დაგპირდები...
ღამეა, ღამე მომეფერება,
დადუმდებიან პირამიდები.

აყვავილდება იასამანი,
ზამბახებს ჩუმი ააელვარებს,
იცეკვებს ტანგოს ქალი ლამაზი,
ჩემ გულს რომ ლტოლვით ააღელვარებს.

როცა იქნება მეც გავფრინდები,
როგორც მერცხალი დაუდეგარი,
აყვავდებიან ჩემი შინდები,
და ატირდება იასამანი.

და იქნებიან კიპარისები,
მაგრამ მაისი აღარ იქნება,

ვიტირო? - ტირილს ვერ დაგპირდები,
ვიმღერო? - განა რა მემღერება.

უცნობ გოგონას

არ ვიცი ვინ ხარ, შემხვდი ქუჩაში,
(ველურდებოდა სიოსგან ქარიც)...
რაღა დროს ჩემი დაღუპვა იყო,
გიცნობდე მაინც...

ბნელში მზის სხივად შემოიჭერი,
სულ ერთი წამით და ხელში ვარდით...
სახეზე გენთო ელფერი მარტის, იმ ერთი წამით.
ვაჰ, რა დროს ჩემი დაღუპვა იყო!

***

ლექსო, სიმღერით ნათქვამო,
სიმღერა გქონდეს სულადა,
იერ შეცვლილო ჭალაო,
ნუ შეიცვლები სულ მთლადა,

ტკბილად სასმენო ხევებო,
კვლავ ირაკრაკეთ მარადა,
ნისლ-აკრეფილო გორ-მთებო,
ჯვარი გეწეროთ ჯვარადა.

დალი წიკლაური

ჩემს ლაშას

თხუთმეტი წელიწადი გაფრენილა,
შენი დაბადების დღიდან, ჩემო ...
მას შემდეგ შენს სახელს ვფიცულობ,
შენს ლამაზ სიყვარულს ვჩემობ!
    შენ დაარღვიე ჩემი სიმარტოვე,
    ტკივილი შემიცვალე ლხენით,
    ფუჭი ოცნებები წარსულს შევატოვე,
    შენით გახალისდა დღენი!
შენ უნდა გაიზარდო კარგი ბიჭი,
უნდა სთქვა, რაც გულს აქვს სათქმელი.
მამულს მოახმარო შენი ნიჭი,
დაიწვა, ვით წმინდა სანთელი!
    ჩემო იმედო და ჩემო საფიცარო,
    ჩემო ერთადერთო, ლაშა!
    ღმერთისთვის არაფერი მითხოვია
    ეხლა ვთხოვ, შენი ფრთების გაშლას.

შენს დიდრონ, თაფლისფერ თვალებში,
არასდროს ჩამდგარიყოს სევდა,
ღმერთო, აუცხადე ყველაფერი,
შვილს, რასაც უსურვებს დედა!

ძმის ხსოვნას

სასაფალაოდან
ისევ ისე,
ჩუმი ტკივილით,
ნაღვლიან მზერას
არ მაშორებს
ძმის საფლავის ქვა,
მთელი სამყარო
შევაჯერე
მოთქმა-ტირილით,
მაინც ვერ ვუთხარ,
რაც მინდოდა,
მაშინ რომ მეთქვა.
მინდოდა მეთქვა:
„მიყვარდი და
დამაკლდი ძლიერ,
რომ ვეღარ ვუძლებ
ზვავად მომსკდარ
უმძიმეს სევდას,
არდავიწყებით
შენს მკლელსა და
სიკვდილს რომ ვძლიე,
და ძველებურად

ლაღსა და ამაყს
ცოცხლებში გხედავ!

შემოდგომის სევდა

ფერდაკარგული ფოთლები ცვივა,
წარმავალია ირგვლივ ყოველი,
შემოდგომის ჟამს სულშიაც ცივა
და შენთან ყოფნას აღარ მოველი.

ნაცრისფერ ზეცას ჩამოსდის წვიმა,
განწირულ ფოთლებს აწვალებს ქარი,
მე შენ დაგკარგე დიდიხნის წინათ
და მერე , გრძნობას გაუჩნდა ბზარი.

ტანში აჟრჟოლებთ განძარცვულ ხეებს
აღარ დაადგა საშველი ლოდინს
როცა ვიგონებ უშენო დღეებს,
მელანქოლია თავისით მოდის.

დედა !...

დაჩოქილი შენდობას გთხოვ, დედა!
მაპატიე, გაწყენინე რაიც,
ხშირად შენთან კამათსაც კი ვბედავ,
მაგრამ... გულში ბოდიშს გიხდი მაინც.
ეხლა ისე მენატრები დედა,
შენს კალთაში ავქვითინდე მინდა,

ჩემს ტირილზე ვიცი, იგრძნობ სევდას,
აიმღვრევა შენი გული წმინდა.
მე კი, მინდა, იცინოდე დედა,
არასოდეს აგიცრემლდეს თვალი
საფეთქლებთან შენს ჭაღარას ვხედავ,
და ვგძნობ, მაწევს შენი დიდი ვალი.

დედას !

რვა მარტს მოგილოცავ დედა,
ქალთა უძვირფასეს დღეს,
და მინდა, ყველაზე მეტად,
სწორედ დღეს გხედავდე მხნედ.

გხედავდე მხიარულს და ამაყს,
კმაყოფილს საკუთარ ბედით,
რომ ამ დღეს საოცრად ლამაზს,
შუქს ჰფენდეს ღიმილი დედის.

მჯერა, მაპატიებ კარგო,
ვითარც წესი არის დედის,
ყველა დღესასწაულს მარტო
ლექსით რომ გილოცავ, დედი!

მაისი მოდის....

მაისი მოდის, მაისი მოდის,
ეჩურჩულება ყვავილი ყვავილს,
ბოლო მოეღო მოსაწყენ ლოდინს,
ბაღებში უკვე ატმები ჰყვავის.

აფეთქებულა თეთრად ყველა ხე,
ამწვანებულა ირგვლივ ველები,
ძველ სიამაყით ვუმზერ ვენახებს
და ვგძნობ, სიცოცხლეს ვერ შეველევი.

ვერ შეველევი ლურჯთვალა იას
და მარტოდ შთენილ მტირალა ტირიფს,
გულს ტრფობისათვის დავტოვებ ღიად
და ვაზის ცრემლით დავიწყებ ტირილს.

ეს გაზაფხულიც...

ეს გაზაფხულიც მომიტანს სევდას,
სხვა გაზაფხულთა დარად
შენთან შეხვედრას თუკი გავბედავ,
შენს მზერას ვიფარებ ფარად,
მერე მოვძებნი მტირალა ტირიფს,
ვეტყვი, ზამთარმა რომ გაიარა,
ეხლა ჩვენს გარდა რომ არვინ ტირის,
არვინ იგონებს წარსულ იარას,
მოვეფერები ჩვეული კრძალვით
და არასოდეს დავტოვებ მარტოდ,
რადგანაც ჩვენი არ ესმის არვის,
ვერვინ გაგვიგო, რაზედა ვდარდობთ.

გელა გეგუჩაძე

***

ნუ გაფრინდები მერცხალო,
ბინას გიპოვი უბეში,
მაგრამ თუ წახვალ, წაიღე
ჩემი ცრემლი და ნუგეში.

ან ზღვაზე წამოგეწევი,
რაც უნდა ბევრი იფრინო,
მერე ტალღების ქოჩორზე,
მზესავით გამოვიძინოთ.

წამოდი

წამოდი, წავიდეთ, მოვშორდეთ ორღობეს,
მთებს მივაშუროთ,თოვლიანს, ქათქათას.
ქალაქის ქუჩები ვის უნდა,მას ჰქონდეს,
წავიდეთ საჯიხვეს ღვთაებრივ ზღაპართან!

წამოდი, წავიდეთ მზესთან და მთვარესთან,
ხელი შევახოთ ლურჯთვალა ცის კიდეს,
ტკივილი დავტოვოთ ეშმაკის კარებთან;
წამოდი, მყინვარის მწვერვალთან მივფრინდეთ!

არწივებს დავუფრთხოთ ჭიუხთა სავანე,
კლდეებში ჯიხვები ვაჭენოთ შმაგურად,
ზეცაში მზიური ზეწარი გაშალე,
ალპებზე ვიცხოვროთ შველივით, ალპურად.

ცვარ - ნამი ვიპკუროთ ნამიან მდელოზე,
მკერდი ვუშვიროთ ქაფქაფა ჩქერალებს,
ხვარამზეს სიმღერას ფანდურზე ვმღეროდეთ,
ჩამოვახიოთ ნისლები მწვერვალებს.

წამოდი, წავიდეთ, არავინ შეგვრისხავს,
მთაში რომ გავმართოთ ცეკვა და ფერხული,
თუში მეცხვარე მწვადებს თუ შეგვიწვავს,
ყანწებს თუ მოგვაწვდის ამაყი ხევსური.

ცის თაღზე დავკრიფოთ ვარსკვლავთა ყვავილი,
მდელოზე ნისლების გავშალოთ ზეწარი,
მუცოდან ჩარგალში ვაჟასთან გავივლით,
მერე გავარღვიოთ ყაზბეგის კლდეკარი.

წამოდი, წავიდეთ, არ არის გვიანი,
მთებს მივაშუროთ თოვლიან მწვერვალებს.
ჯიხვებს დავუკრიფოთ დეკა და ღვიანი,
მკერდი მივუშვიროთ ქაფქაფა ჩქერალებს.

წუხელ

წუხელ, თითქოს, ამიჯანყდა ღამე,
თავი ვეღარ დავაღწიე ტკივილს,
ალვის ტოტებს შემოედო მთვარე,
შორს ვხედავდი შენს დამცინავ ღიმილს ...

ქარი თითქოს დასწიოდა ფანჯრებს,
შეშლილიყო ლამის მთა და ბარი,
ღრუბლები კი ცაზე შლიდა აფრებს,
ცა სკდებოდა თითქოს ელვის ბზარით.

ჩემს კარებთან ავად ყეფდა ღამე,
მეხვეოდა გულზე შენი სუსხი;
ორსახოვანს ვხედავ ჯიუტ თვალებს
და მე მაინც კვლავ სიყვარულს გჩუქნი.

ყორნის ჩხავილს ჰგავს ზუზუნი ქარის,
ალიონი ემუქრება ღამეს;
ვერ შევნიშნე, გაპარულა ღამით
ალვის წვეროს შერჩენილი მთვარე.

***

ჩამოთითოკაცდა თითქოს საქართველო,
ცალ-ცალკე გარბის ერი და ბერი;
ამდენი იარა როგორ გავამრთელო,
როგორ გავახარო ამდენი მტერი!

საჯიშე ხარებსაც რქები მომტვრევიათ,
ერთად ლოცულობენ ურჯულო-რჯულიანი,

კავკასის მწვერვალებს ნისლი მოხვევიათ,
კლდეებიც მორღვეულა მაღალშუბლიანი...

ცოდვა დაზოზინებს მძიმე ნაბიჯებით,
ბრალი ბრალისათვის გვეზღვევა, ალბათ,
პირისგან მიწისა სანამ წავიშლებით,
უფალს შეევედროთ, გვაკმაროს დასჯა.

ჩვენ გვერგო წამება ჯვრისა და ხატისთვის,
ათასჯერ ჯვარს ეცვა ქართველთა ჯიში,
და რწმენა თუ იყო იმედი კაცისთვის,
დღეს რატომ ვკანკალებთ სიკვდილის შიშით.

გათითოკაცება დაგვლევს და გაგვაქრობს,
ადვილად გავხდებით იუდას მსხვერპლი,
ამაზე, მერწმუნეთ, არავინ კამათობს,
ამ მიწას დარჩება ქართველთა ფერფლი.

ნუთუ აღარ გვჯერა ჩვენი ბედისწერის,
ეშმაკის სიზმარიც უთუოდ ახდება,
დავიკარგებით, როგორც ნემსის წვერი,
დაღუპვას გვპირდება გათითოკაცება.

ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები, იები,
გულში ერთმანეთის სიმღერას ვმღეროდეთ,
დავიცვათ მიწა და დავიცვათ შვილები,
ერთ უფალს ვფიცავდეთ და მისი გვჯეროდეს.

გვეყოფა ამდენი სისხლი და ცრემლები,
ფიცვერცხლი ვჭამოთ და შევფიცოთ ძმობა,
ბაზალეთური გვახსოვდეს ცხედრები,
სასტიკი ცოდვაა ძმის სისხლით თრობა.

მტრის ღარზე მივუშვათ ცოდვა საავადო,
რაც მოხდა, ჩავთვალოთ, ის იყო ზღაპარი,
შენ გესავ, უფალო, იქნებ დამანახო
ერთ მუშტად შეკრული ქართველთა ლაშქარი.

***

ძეწნის ნაწნავებს წეწავდა ქარი,
აფახულებდა ზესკნელი თვალებს,
სულისშემძვრელად ჭრიალებს კარი,
ალვის ტოტებში ჩამჯდარა მთვარე.

შორიდან მესმის კივილი ჭოტის
და შიშნეული მისი ხმა მზარავს,
შემოეხიზნა სულს ავი შფოთი,
ეშმაკი ეტრფის ღამეულ სკვარამს ...

ამეღამ, ალბათ, ლოდინი დამღლის,
მაგრამ არ ვიცი, რას ველოდები,
ტკივილებს ვებრძვი ფიქრებში გაცრილს,
შენ კი არასდროს მოგაგონდები.

ბედუკეთური ჩავრეცხავ იმედს,
უკანასკნელი იელვებს წამი,
ძეწნიდან ქარი ჩამოკრეფს მძივებს,
ზეცაში უცებ ჩაქრება თვალი.

თუ გახსოვს, როდის დამტოვე მარტო,
მას შემდეგ ასე ჭრიალებს კარი,
მაშინაც ჩვენი გულების ახლოს
ძეწნის ნაწნავებს წეწავდა ქარი.

ალეკო ბელთაძე

ნაცნობ გრძნობებით ნაცნობ განწყობებს

ღრიჭო კარებში, უსასრულო, ამ გრძელ ლოდინებს,
დაქანცულობა- სწორედ, მაშინ, უნდა მოვპარო,
სავსე მთვარე რომ მზის ამოსვლას მოილოგინებს,
და ცვრიან ბალახს- შეაჟრჟოლებს, მამლის სოპრანო.
ნაცნობ გრძნობებით, ორღობებს, ისევ გადავშლი...
ავედევნები სიყმაწვილის- ვიწრო ბილიკებს,
და გამომწვევად- ვერდამალულ ჩითის კაბაში,
შენს სითამამეს!.. სიმორცხვეს რომ გამიქილიკებს.
დავეჩოქები- სათონესთან ვინც ქადებს ახვევს,
ხორუმში ჩამდგარ- მწვერვალებზე რომ თოვს და ბარდნის,
აპეურაკრულ - ხარებისთვის მოქნეულ სახრეს,
და ცეცხმოდებულ- ხანჯლებშუა ჩაგდებულ მანდილს.
ვერ დავივიწყებ: ვეფხისა და მოყმის ბალადას;
შთამომავლობას- წინაპრებმა, ის, რაც გადასცა,
იბერიის ცას და მის მიწას, სულ ერთ კალათას,
ქართულ მარიფათს, პლანეტა რომ შეაბარბაცა.
ბრგე ვაჟკაცებს და გამუდმებით მებრძოლ ასულებს,

რამდენს მათ შორის - გაკრეფილებს აწი გზამართალს,
ვერ დავივიწყებ: ხერთვისს, ნოსტეს, მეტეხს,ასურეთს...
გლეხის მარჯვენას, დედის კალთას, და ღვთის სამართალს.
ღრიჭო კარიდან - უსასრულო ამ გრძელ ლოდინებს,
დაქანცულობა სწორედ ახლა უნდა მოვპარო,
სავსე მთვარე რომ მზის ამოსვლას მოილოგინებს,
და ცვრიან ბალახს შეაჟრჟოლებს მამლის სოპრანო.

სული ხორციდან ამომავალი

აზარფეშებიც ველარ მიგრილებს -
ცხელ გულს, დარდებით ისე ვივსები.
ლოცვად წარმოთქმულ წყევლის გვირილებს,
მაწვდის, ნოებრის სუბსარქისები.
თეთრი ნისლები მომდევს მთებიდან,
და დაზაფრული, დაღლილ თვალებით,
ტირილს – დაწყებულს დაბადებიდან,
ცრემლებს ვუმშრალებ გარდაცვალებით.
ყველა მცდელობა გაცვდა, დაოსდა,
ვერც ტოლუმბაშებს გუობს სუფრები,
და გენიოსთა სასაფლაოსთან,
დგას იდიოტთა ჭირისუფლები.
ჩანს უმეცრება გრაის ალპებად,
ლოდინს გაყრია უკვე ყამარი,
თითქოს ძველ მარანს ისე ალპება,
მარტოსულ მიწას ზეცის ყავარი.
ცრუობს სასახლე, ცრუობს კარავიც,
ყრუა ორთავე, ვით ქვის კედელი,
არსად არასდროს, არსად არავის,
ჯერ არ ჰქონია მისადრეკელი.

სამრეკლოს ზარებს ვინ დააქუხებს,
დადის უკუღმა წაღმა მავალიც,
რწმენას მორიგი განუდგა წუხელს,
წინამორბედი როგორც მრავალი.
დროს მერამდენედ გაებრიყვება,
რომ აბურგძვნია გრძნობებს ბანალი,
დაუფიქრებლად ეშმაკს მიჰყვება,
სული–ხორციდან ამომავალი.

ეპოსიც გახდა ეპოქის ჯირკი

გადავკრავ არაყს და მოვალ ფერზე,
რომ შეუკურთხო "ტვიტერს" და "ფლეშკას",
რომ არ ავმხედრდე მორჩილი ღმერთზე,
ან არ გავეგო, ხალიჩად ეშმაკს,
არ დავებრიყვო, ასაკის დამთვლელს,
ცხენის ძუაზე გამობმულ ხანას,
ერთხელ ჩავხედო თვალებში ქართველს,
და ასჯერ ყელში გამოსმულ დანას.
არ მინდა, ფითრი მოედოს მუხას,
ჭკვიანს ხიბლავდეს, კლოუნის როლი,
პრომეთეს ცეცხლით, დანთებულ ბუხარს,
თუ ამირანად ამოსდის ბოლი.
ეპოსიც გახდა ეპოქის ჯირკი,
და ელის ელამ საღირას ნაჯახს,
რას ვხნავ, რას ვთესავ, ანდა რას ვიმკი...
კვლავ წარამარა, ვისინჯავ მაჯას.
დავიყრი ტანზე, კეჟერას ფოთლებს,
რომ გრილი სული, ხვალამდე მიმყვეს,
და ცარიელი არაყის ბოთლებს,
მივაფშვნი დამცხრალ გრძნობების რიყეს.

წავიდე და წავიყოლო საიქიო

გახსენება გამიმძაფრებს ძველ იარებს,
ჭიჭონები იღვრებიან ცრემლის ტბებად.
შენს სურვილზე ვერა და ვერ გავიარე,
მაინც ისევ, შენი ხილვა მენატრება.

მრავლისმთქმელად შეყინვია დუმილს ბაგე,
დაღვრემილი კანკელის წინ ვანთებ სანთელს,
და ჯიუტად კვლავაც ურცხვი სივეტაგე,
მორცხვ და მორჩილ ერთგულებას მისამართლებს.

ხვალის განცდაც ბოშასავით მიმატოვებს,
მერამდენედ შენს სახელზე ვიჭრი შავებს,
ცივ სარკმლიდან თვალს შევავლებ სიმარტოვეს,
როგორც ხურმებს შემოსეულ ბოლოშავებს.

შენი ნდობით, აქ თუარა, იქ მქონებმა,
ორლესული - შაჰის რისხვით გავიქნიო,
ლაღუმივით ავიფეთქო სტრიქონები,
წავიდე და წავიყოლო საიქიო.

ჭიჭონი-ტირიფი 39-ის შემდეგ

სად მიმათრევენ, ეს ბილიკები,
და ნირწამხდარი მწვანე კორდები,
როცა მომავალს ვექილიკები,
როცა აწმყოდან წარსულს ვშორდები.

მომეძალება სევდა ქართულის,
მივაშტერდები შქერს და იელებს,
და შემიხუთავს, წინ აღმართული,
სულს - ვებერთელა სიცარიელე.
ამ განცდებისგან გავისრისები,
თუ სიახლოვეს დაველანდები,
შემიბრალებენ მარტო ნისლები,
მთა-ხეობების ვარემანდები.
ეს სიბრალურიც, ვიცი ომია,
ვიცი, ბაგირით დადის ბორანი,
მე,შეჩვენებულს,დღესაც მგონია,
მაინც, თეთრდება, ხეხვით ყორანი.
მაინც, მგონია, სიტყვა- ღმერთია,
მგოსნის ტრფიალით გასანთლულები,
და პოეტები - ერთადერთია,
ვის საფეთქლებთან, თვლემენ ლულები.
როგორ გაუძლებს გული ამ ზაკვებს,
როგორ დარჩები გამრყვნელს უვნები,
როცა უვიცებს და ავაზაკებს,
მამულის თვალით წაელულები.
არ აქვთ საერთო, ჩემთან ამ არყებს,
უცხოს სამკვიდროდ იქცა სოფელი,
თუ ამაჯანყებს, მე ამაჯანყებს,
მეცხრე გარსი და მეფისტოფელი.
ჩემსას ვუმატებ, ახლა სხვის ცოდვებს,
და მაინც მოვდევ, მოვდევ ქარავანს,
არ მოიტყუო თავი იცოდე,
რომ ვიყავი და ახლა აღარ ვარ.

თამარ ლომიძე

***

ოღონდ შენ მენახე მოხუცი და
თუნდაც მოვეკალი ტყვიას!
ოღონდ მიმაკარა შენს სხეულს და
ისევ თბილად ჩამახვია!
როგორ მინდა შენთან აღსარება,
გითხრა, ყველაფერი გითხრა,
ამოვიღო დიდი გულის დარდი,
კარგი, დამშვიდდიო მითხრა!
იქნებ სიზმრად მაინც დამენახო,
თავზე ნაზად გადამისვა ხელი,
თორემ სადაცაა გასკდა გული,
გელი, მოუთმენლად გელი!
სიცილის და ღიმილების უკან,
იმალება ვერაგი და შავი,
დარდი, საზიზღარი მუდამ,

მკვლელი, ორპირი და შმაგი.
მინდა, სიხარული მინდა,
მინდა, სიყვარულიც მწველი,
მაგრამ უკვე მართლა მივხვდი,
ერთხელ ხდება ნაღდი, ალალი და წრფელი!

გადარჩენა

არვის ეგონოს ისე კარგი ვარ,
რომ ცოდვის გემო არ გამისინჯავს,
ამის მერე კი დარდით დავდივარ,
ისეთი დარდით სულს რომ მიგლიჯავს!
მაგრამ ცოდვა კი იმის ცოდვაა,
ზუსტად შენნაირს რომ მოერიოს,
ყველა პრინციპი, ყველა კანონი,
ადგეს და გვერდით გადაგიწიოს!
თან ხითხითებდეს, რომ მოგერია,
რომ დაგანარცხა, დაგცა და მოგსპო,
არც შეგიცოდებს, ის ხომ მგელია,
წინ რომ შემოგხვდა სპეტაკს და ოქროს!
როლში შეიჭრა, დაგჩეხა, დაგჭრა,
ისევ და ისევ უნდა დაგარხრჩოს,
მას ხომ ამაში ჩუქნიან დაშნას,
კიდევ ბევრი რომ დაასამაროს.
მაგრამ შენში ხომ კეთილი სული,
წმინდა გული და ნამუსი ფეთქავს,
შენში რწმენაა უფლით მოსული,
საკადრის პასუხს გასცემ გიენას!

ქმარი

ჰო, მიყვარს, რით ვერ გაიგეთ,
ამდენი წელი, ამდენი ხანი,
ჰო, მიყვარს როგორც არავის,
არ ჰყვარებია ამ ქვეყნად არვინ!
ჰო, მინდა რომ დამავიწყდეს,
აღარ მსურს ამდენი დარდი,
ჰო, ამოვიგლეჯ და სადმე გავუშვებ,
რომ დამანებოს თავი!
ჰო, მსურდა მისი სხვით შეცვლა,
მეც ხომ ქალი ვარ, ქალიიიიი!
ჰო, დავაპირე სხვაზე მეფიქრა,
არ დამანება თავი!
ჰო, მიყვარს, რით ვერ გაიგეთ,
სულ ეს მაჩერებს წამით,
ჰო, ქმარი დაგერქვა ჩემი და
შენა ხარ ჩემი ქმარი!

მე რომ მინდა?

შენ თუ გინდა დამივიწყე,
შენ თუ გინდა სულ ნუ მოხვალ,
შენ თუ გინდა დაგივიწყებ,
შენ თუ გინდა, მეც არ მოვალ.
შენ თუ გინდა არ შემხედო,
შენ თუ გინდა არც მაკოცო,
შენ თუ გინდა არ შეგხედავ,
შენ თუ გინდა არც გაკოცებ.
შენ თუ გინდა გამიბრაზდი,
შენ თუ გინდა ხმაც არ გამცე,

შენ თუ გინდა გამებუტე,
შენ თუ გინდა ხმას არ გაგცემ.
შენ თუ გინდა მომეფერე,
შენ თუ გინდა არც შემეხო,
მე რომ მინდა მოფერება,
და მაგ თვალებს რომ შევეხო

ის დღე.....

იმ დღეს იქნება შხაპუნა წვიმა,
და რატომ წვიმა?-- მე მიყვარს წვიმა!
იმ დღეს იდგება ქვეყანა ხალხი,
ხალხი რატომღა?-- მე მიყვარს ხალხი!
იმ დღეს იტირებს ჩემზე ქალაქი,
რატომ ქალაქი?-- ჩემი ქალაქი,
მიტირებს ბევრი, როგორც თავის შვილს!
მიტირებს ისიც, ვინც ნერვებს მიშლის!
ისიც კი ვიცი რასაც იტყვიან,
ეს რა გავიგეთ, იქნებ ტყუილია,
ასეთი დიდი სიცოცხლის უნარს,
როგორ შეეხო ღმერთო, ფორტუნა!
არადა მე კი სულაც არ მინდა,
არც ახლა, მერეც და მერეს მერეც,
არ მინდა წასვლა დედამიწიდან,
აქ მინდა ვიყო ხვალეც და ზეგეც.
მე ვინღა მკითხავს, დამსტაცებს თათებს,
და ჩამიხუტებს იმ სოფლის მხრიდან,
ჩემს წასაყვანად მოსული სიო,
რომელსაც ვეტყვი ... ჯერ იქ არ მინდა!

დილა მშვიდობის

დილა მშვიდობის, ჩემო კარგო, დილა მშვიდობის,
უკვე წლებია სანატრელი გამიხადე ასეთი დილა,
თვალს რომ გავახელ შემომეფეთოს შენი სხეული,
რომლის სურნელიც, შეხედვაც და შეხებაც მიყვარს.

დილა მშვიდობის, ნეტავ სად ხარ ღიმილის ბიჭო,
ნეტავ თუ ხედავ ყოველ დილით ჩემს ასეთ დილას,
ნეტავ თუ ხედავ როგორ მომკლა ამ მარტოობამ;
დიდი ხანია ასე სიცოცხლე რომ აღარ მინდა.

არც ერთ ეტაპზე არ შემიწყვეტავს არც ერთი ბრძოლა,
წავქცეულვარ და წამომხტარვარ უმალვე მკვირცხლად,
ვერ დამაჩოქა მუხანათმა, მკაცრმა ცხოვრებამ,
რომელმაც ასე, დაუნდობლად მცემა და მჯიჯგნა.

მაგრამ აღარ მსურს ასე ყოფნა, აღარ მსურს დარდი,
საღამოს მარტო, დილასაც მარტო, სულ მარტოდ მარტო,
აი ამ ბრძოლას ვერ მოიგებს ვერასდროს ქალი,
ეს ხომ ზემოდან იგზავნება, მეც ვნატრობ, ვნატრობ.....

დილა მშვიდობის ჩემო კარგო, დილა მშვიდობის,
ისევ ვიტირე, გადავხედე გვერდით სიცივეს,
მე აღარ მინდა უსიყვარულოდ ჩემი სიცოცხლე,
კარი გამიღე, ჩემი სიყვარულით, შენთან მიმიღე!

როლანდ აზმაიფარაშვილი

***

ბებერ ალვებში ქარი ჰღრიალებს
და მიცვლილ ფოთლებს სარკმელს ახვეტავს.
ვკითხულობ: - აღარ გადიცრიალებს
და ნოემბერი დარდად მაღვენთავს.
მზე დაიღალა ცაზე ბოგინით,
მწუხრი ელვარებს, როგორც მაისი.
მარტოსულობა, სენი, ლოგინი,
მხოლოდ ცივ ლანდთა ხმები გაისმის.
ქარაშოტს ვვედრი, გულქვას ქარაშოტს
ჩაიმუხლებდე მცირეხანს ნეტავ...
იგი გიჟური ქროლვით თამაშობს
დამიცვლილ ფოთლებს სარკმელს ახვეტავს.
თიოქოს გაგქვავდა ყველა საათი
და მოვხვდი მარტო გრიგალთა ტყეში,
მაგრამ ხომ მოვა ფანტელთა ხატით
ბერი ზამთარი, ბურტყუნით,ხვნეშით.
ხომ გამიჩნდება მწუხარეს წმინდა
ოცნება თეთრი სერაფიმების;
შევმახებ ზეცას: - სიცოცხლე მინდა
პოეტურ წვით და ტანჯვითს წვიმებით.

ბებერ ალვებში ქარი ჰღრიალობს
და მიცვლილ ფოთლებს სარკმელს ახვეტავს.
ვკითხულობ - აღარ გადიცრიალებს,
და ნოემბერი დარდად მაღვენთავს!

***

გამარჯობა ალუბკავ,
ჭლექიანთა სავანევ!
შენი ფითრის ედემი
ბევრ სიკეთეს მავალებს;
წამოვდგები სემეიზს,
სევდიდ გავისეირნებ,
მოვეხვევი მკვდარ ზღვას და
ციყვით სავსე ხეივნებს;
შემდეგ აი პეტრიზე
უსვენებლივ ავიარ,
ყველას ვეტყვი ერთ სიტყვას
კეთილი თუ ავია.
გამარჯობა ალუბკა!
გქონდეს დილა ნათელი
წასულიყოს აქედან
ყველა ღმერთსებრ ნათელი.
გამარჯობა, ალუბკა
ჭლექიანთა სავანევ...

***

ალუბკაში, რესტორანში იმდღეს
ქალი ვნახე ტურფა, „პროსტიტუტკა"
საწყალ დიაცს პანღურები მისცხეს
ნერვი ჩამწყდა, გული დამეთუთქა;

იანვარში თუ გულს დაებინდა
და ფიფქები ჰგვანან ჭაბუკ იებს,
ხანძარია! წყალი, წყალი მინდა
გინდ ანკარა, გინდ მწუხრივით მღვრიე.
და მივდივარ ამ ზღვა ხალხში ობლად
ნაადრევად დაბერებულ ცეცხლით.
მსდევენ ლექსის წიკარები გროვად,
მომდევს მთვარე-მაცდუნებელ ვერცხლით.
მივდიოდი და სულ ერთი იყო,
ჩემს სულში რა ჩააქრობდა ხანძარს.

***

ფიქრო ჩემო აწეწილო ზღვასავით
მანიაკებს არაფერში არგიხარ
გულო ჩემო, მართალს იტყვი რაც უფრო
მეტად მეტად შეგიძულებს საწუთრო.
ჩანგო ჩემო, სთქვი რადა გმტრობს ჭინჭველა,
როს თვრებიან შენით სერაფიმები;
გველეშაპმა ხახა რატომ გიჩვენა
დასაწყვეთად ღვთაებრივი სიმების?
სისხლო ჩემო, მონობა არ გჩვევია,
თუმც მრავალი დამპყრობი გახვევია.
ლექსო ჩემო, უნაზესო, გულწრფელო,
რად ანთიხარ სულის ზღვაში ჩაჰქერი;
მაინცა სურთ დაგლეწონ, გადაგაგდონ,
ამოგახრჩონ ქვა გრძნობათა ნამქერით.
იქნებ ყალბმა სიყვარულმა გაცდუნა,
სულო ჩემო, მითხარ რამ მოგადუნა?
ფიქრო ჩემო, აწეწილო ზღვასავით
პირფერობა არ გვჩვევია სხვასავით.

გაგრძელება იქნება

ზიზღს ჰგვრის ჩემი პალტოც
ეჰ ნუ შეჰყრი ღმერთო ჩამოსახრჩობს.
მათთვის ცხოვრებაა - აწყობილი ნართი,
ეჰ, მუდამ ვაგებდი არ ვცინოდი სოფელს
ჩემთვის უცხო იყო დადიანის დარდი.
ვმსახურობდი ათგზის, ცირკს-ვით მზურნველ მშობელს
ქვეყნად ვინ ხარ, რა ხარ? - ვეკითხები სარკეს
და მივტირი სადღაც სასაცილო ილეთს.
ღმერთო მითხარ ხალხში ასეთი რა დავრგე,
რომ არ მაძლევენ ცირკში შესვლის ბილეთს?
ხან მეფე ვიყავი, ხან ვირი, ხან ჯირკი, ლუკმას ვშოულობდი,
ხალხს არაფერს ვნებდი ჩემი ოხუნჯობით მდიდრხებოდა
ცირკი...
ცირკში მერე ველარ შეხვალ თუ გრძნობ ჩამობერდი.

***

მგონია,
მგონია,
მგონია,
როცა თოვს,
როცა წვიმს
და ყინავს...
სერაფიმთ გუნდებით ივსება სულის ცა
და ოცნების ბინა.
მგონია,
მგონია,

მგონია,
როს ვწუხვარ,
როს ვმღერი
როს ვთრეები...
შენდება სადღაც შორს,
სადღაც შორს,
შვიდფერი ლექსების ცისკრაბი
მგონი,
მგონია,
მგონია,
ვიმხსვრევი
აზრების ქუხილით.
პოეტი,
პოეტი,
პოეტი,
წუხილი, უსაზღვრო
წუხილი.
მგონია,
მგონია,
მგონია,
როცა თოვს,
როცა წვიმს
და ყინავს...
სერაფიმთ გუნდებით
ივსება
სულის ცა,
და ოცნების ბინა.

ლილე კავკასიშვილი

ასე ვიგრძენი შენი სიკვდილი მარინა წერეთელს!

გაზაფხულია ძვირფასო
ტოტებს ასკდება კვირტები;
წვიმადა ქარიშხალია
თებერვლის დანატოვები;

ზამთარი მართლაც ბევრს ავნებს
თუმცა მარტია ვერაგი.
ამ აღტკინებას ბუნების
ვეღარც შენ დაემალები;

ზოგი კვირტები დასცვივა,
ზოგი მოკვდება ყვავილიც;
გაზაფხულს იმედით შესცქერს
დაბერებული სულებით;

ვეღარ შველიან მოკვდავებს,
ვინც ვერ ესწრება გაზაფხულს;

სიცოცხლე ასე გრძელდება,
რადგან ძლიერი ნავარდობს;

გაზაფხულია ძვირფასო!
ტოტებს ასკდება კვირტები.
წვიმადა ქარიშხალია
თებერვლის დანატოვები

***

ვისაც მიმართავ შველას თხოვ -
მასვე ჰყიდი ,,ოცდაათ ვერცხლად".
არ გირჩევნია? გადადგა ნაბიჯი მტკიცე
და ,,ჯვარს გაგაკრან ვით ავაზაკნი"
ქრისტეს გვერდით ყოფნა არჩიე...

რაჭა ლამზირა კერვალიშვილს

მთაზე ღრუბელი გაწოლილაო თითქოს,
განრთხმულა თეთრი ბამბასავით;
მზე წვალობდა ამოსვლისას და მერე როგორ
ღრუბელმა ვერც გაბედა აკრეფა მაღლით;

რამდენჯერ ნახე მზის ამოსვლა ჭიბრევის მთიდან.
სახლის აივანს გარს ამშვენებს ფიჭვები ნორჩი.
მისტირის წარსულს, ენატრება სახლი აივნით
და სახლის უკან დიდ ფაცხაში სინათლე ცეცხლის;

რაჭა შეუცნობელია, არ გაგიქებული;
უთვალავია სიმდრიდე მისი.

დაჯავშნულია ქართველ მეფეთგან,
რომ შთამომავალს გადაეცეს საუნჯე რაჭის;

ასახლებულა არაერთი სოფელი მთების
დამწუხრებულა თითქოს ჭიბრევი
დროდადრო მოსულ შთამომვლობას
კვლავ ახსენდება სიცოცხლე მთებში

შემონახული სადღვები რძისა,
თიხის ჭურჭელი საკმაოდ ძველი;
ჭერის საყრდენზე დიდი ლურსმნები
რაჭული ლორით დამშვენებული;

ასახლებული არაერთი სოფელი მთისა,
კვლავ ელოდება განახლებას მიმოსვლას გზების;
იქით ფარახეთს მოსჩანს შუქები
იმედი ჩნდება დაუბრუნდებაო კერიას ცეცხლი.

***

მჭადივით გამოგდისო ნამცხვარი
გემრიელიაო, მაგრამ...
გადავაფასე ყველა რეცეპტი
ჩემით ვიგონებო ზღაპარს...

გითხოვს მამული! ცანი ეპოქა!

თუ ერთმა მსხვერპლითავად გაიღო,
გადარჩა მეორე ნებით ღვთი;
შენს მიწა-წყალზედ შეწირულ ყოფნას,
მაინც არასჯობს ხიბლი უცხოის;

ასე გრხელდება სიცოცხლე ვრცელი,
უკიდეგანო არს მისი გზები;
სხვის კარზე მდიდრად ყოფნას ნუ ირჩევ,
რადგან მამული გითხოვს ეული;

,,გურიაში წავალ, მაგრამ"
ძნელად უძლებს გონი
გული ფეთქავს, სუნთქვა მეკვრის
მრხოლის მუხტი მელის...

ნინო ბზვანელს

არქეოლოგთა კვლევებით
ნახეს ქალაქი მრავალი;
ადამის მოდგმავ
ვანის მიდამოს ნუ ეხუმრები!
ქრისტესშობამდე მრავალთა შორის
იყო ქალაქი ვანი და ბზვანი.
და მერმე ქრისტეს ნათელმა
შემოგვინახა გვარი ბზვანელი;
თვით ხელოვანი ლექსს წერს ბზვანელი;
და მერმე ტაძარს აღავლენს ლოცვებს;
თორმეტი შვილი აჩუქა მამულს
და შვილიშვილი მრავალი კიდევ;
ის ევდრება ლოცვებით უფალს
საქართველოის გამრავლდეს ერი!
გამრავლდეს ბერი!
მრევლი ერთგული,
რათა დამარცხდე მტერი გრძნეული;
უფალი ისმენს ბრძენი ქალის ბზვანელის ლოცვებს;

რადგან ეს არის დღეს მთავარი
საქართველოი! ღმერთო გადარჩეს!

მამაო!

შლეგად ეჩვენე მამაო სოფელს!
შიგნით იყავი წმინდა და წრფელი;
რა დალევს ქვეყნად უნამუსობას
გაჩენის დღიდან კაცობრიობის;

არგაუხდია ანაფორადა
შიგნით მით უფრო იყო ნათელი;
საქმით სიწრფელე უჩვენა მამულს
დაუვიწყარი მამათა მოდგმის;

ღმერთი გვიჩვენებს გზას დიდებისკენ,
როს თავმდაბლობით თავს დაბლა დავხრით;
ჩვენგან მამული მსხვერპლს ითხოვს მამაო,
თქვენც თავგანწირვით მზად ხართ მარადის;

უფსკრული შორის გადებულია
დგეხართ ამნაპირს და ელოდებით,
როდის აავსოთ ქვებით ეს სიღრმე
და ხიდი გადოთ ორ სოფელს შორის.

***

ჩემთვის ფიქრთა ფიქრო მარადჟამიერო
ჩემო საქართველო! მრავალ ჟამიერო!
წამით ცისმიერო! ფერით ლურჯთ იერო!
მარად უკვდავება, მრავალ ჟამიერო!

თეიმურაზ ბაკურაძე –სეველი

ნახევარი მთვარე

ღამის სამის ნახევარზე,
ზუსტად ნახევარი მთვარე!
ცხელი დღიდან შვებად მდგომი,
გრილი ღამის არე-მარე!

ღამედ დამდგარ თეატრიდან
ხმა გამეცით ვინმემ ბარემ!
მაგრამ ,ღამის სიგრილეში,
მხოლოდ ნახევარი მთვარე!..

***

ეს სიყვარული დარჩა,
როგორც უკვდავი სული!
სხვა სიამე კი არ ჩანს,
არ ჩანს სხვა უფრო სრული!
ბედი კი თავზე გახვევს,
თავის უცნაურ ჩვევას,
უკვე წლების ხარ შვავში,
გრძნობ ზოგჯერ თავბრუს ხვევას

და როცა უკვე ხედავ:
მომავალს როგორც ეკრანს,
გრძნობ დარჩენილი წლები,
როგორ მიაფრენს მერანს!..
უკვე ბზარი გაქვს ხმაში,
ძველი აღარ გაქვს მზერაც,
თითქოს იცვალა ფერი
და ხასიათი ერმაც
და საიდუმლო ხმებით,
თითქოს ჩამოკრა ზარმაც,
არვის მოსვლია თავში,
ის რაც მე მომდის აზრად.
ეხლა ცხოვრება იქცა,
ბრძოლად კი არა ბაზრად,
ღირსება აღარ მოჩანს
სულის და გულის ხაზად!...
ეს სიყვარულიც კვდება,
როგორც ცოდვილი სული
და სულელადაც თვლიან,
თუ ვინმე მოჩანს სრული!...

***

პოეზიის ღამეა,
მაგრამ, მე არ ვიცოდი.
როცა მთვარეს შევხედე,
მთვარე იყო პოეტი!
ცივი ქარი მოქროდა
გამოვფხიზლდი სრულებით,
ციდან ხორცშესხმულები,
მიღიმოდნენ სულები.

მუზამ ამიყოლია,
ვერ ვუთხარი უარი,
მთვარეს იდუმალს ხდიდა,
მისი ღრუბლის ვუალი.
მარტოობის ღამეში,
გამეღვიძა ტკივილით,
მთვარემ!..
" მეც, ხომ მარტო ვარ!"
გამამხნევა ჩივილით.
პოეზიის ღამეა,
მაგრამ, მე რა ვიცოდი,
როცა მთვარეს შევხედე,
მივხვდი იყო, პოეტი!

მოხუცი ქალი და გაზაფხული

მოხუცი ქალი, მიდიოდა თავისთვის მარტო.
აპრილი იდგა, მაგრამ, ისევ ემოსა პალტო.
უძლურ მუხლებზე, მოერია სიმძიმე წლების
და ბაღის კიდეს ის ჩამოჯდა წვალებით წელის.
მის გამოხედვას ეტყობოდა ამაოება,
თვალებში ჩანდა სინანული და სათნოება.
ახსენდებოდა შორს წასული ახალგაზრდობა,
წარსული წლების სიამე და ძველი ზრდილობა.
მას ემჩნეოდა დიდებული უბრალოება,
ძველი თაობის სისადავე და სულგრძელობა!...
ის მოწყენილი გაჰყურებდა სიცოცხლის ჩქეფას,
თავის სიბერეს და ახლოს მყოფ სიკვდილის ყეფას!....
მოხუცი ქალი მიდიოდა თავისთვის მარტო,
აპრილი იდგა, მაგრამ მაინც ემოსა პალტო.

ლელა ნიშნიანიძე

ორიგამის მეგობარი

ჩემი ორიგამის მეგობარო,
ცხოვრების ვარამით დამაშვრალო,
ქაღალდის გემები ავაგოთ და
დარდების ხურჯინი გავატანოთ.
იქნებ, გავყოლოდით კიდეც სადმე,
უცხო, უსასრულო ნაპირამდე!
მზის სხივებს გრძნობები გავუშიშვლოთ
დაკარგულ კუნძულზე გარიყვამდე.
გულში ანთებული ცეცხლის ალით
ნაპირთან კოცონი გავაჩაღოთ,
ის ღამე, სიცილში გათეული,
ყმაწვილურ სიგიჟედ გავასაღოთ.
დარჩენილ ტკივილთა ნამსხვრევები
ქვიშის ორმოებში გადავმალოთ,
და მერე ტალღების მღელვარება
მოპარულ ნამსხვრევებს დავაბრალოთ.
ისევ ორიგამის თვითმფრინავი

ჩვენი ოცნებებით დავამძიმოთ,
ცამდე აწვდილ კლდეზე ავიტანოთ,
იმ კლდის მწვერვალიდან გავაფრინოთ.
მერე, ალბათ, მალეც გვიპოვნიან,
წრფელი სურვილების ანაბარა,
ჩვენი ორიგამის გემებს უკან
გინდა, გამოვყვეთ და გინდა - არა.

მინდა დავიკარგო

ახლა ისე მინდა დავიკარგო,
სადმე ბალახებში ჩამეძინოს,
წვიმის მოფერებამ გამაღვიძოს,
თმებზე მძივებივით დამეფინოს.
მერე საბანივით მომეხვიონ
მხრებზე გვირილები ეჭვიანი,
სადმე როიალს რომ მოსწყდებოდეს,
ტანგოს აკორდები ეშხიანი,
სულაც ფეხშიშველი ვიცეკვებდი,
ტანგო იქნებოდა, თუნდა ვალსი,
ცეკვით დაღლილს როგორ მომხიბლავდა
მწველი მზის სხივების რევერანსი!
ახლა ისე მინდა დავიკარგო,
სადმე გვირილებში ჩავიძინო,
ანცი ქარის კოცნამ გამაღვიძოს,
თვალი ჩამიკრას და გამიღიმოს.

მასწავლეთ

თურმე რა ძნელია იარო
ისე, რომ სადღაც არ დაეცე,
მასწავლეთ ნაბიჯის გადადგმა,
საკუთარ თავს როგორ გავექცე.
რა რთული ყოფილა გრძნობების
კიდიდან კიდემდე გატანა,
მასწავლეთ ამ წუთისოფელის,
ცხოვრების სიძნელის ატანა.
მივდივარ, სად თუმცა არ ვიცი,
ან რჩება რამდენი კიდემდე,
მასწავლეთ სირბილი ისე, რომ
ჩემს აჩრდილს უკან არ მივდევდე.
ადგომა მასწავლეთ ისეთი,
რომ გამიადვილდეს წაქცევა,
ნაბიჯის გადადგმა მასწავლეთ,
საკუთარ თავიდან გაქცევა.

პარადოქსი

თიხისგან კი არა
პარადოქსებისგან ვართ აგებული
ადამიანები.
თუ ადამიანობას ვუწოდებთ ამას.
სიხარულს კი არა,
ყველაზე მეტ ტკივილს ვაყენებთ,
ვინც სიცოცხლეზე მეტადაც გვიყვარს.

ჩვენს სიყვარულს კი ვიმეტებთ მათთვის,
ვისაც არასოდეს უცდია, მიეღო იგი,
არ დაუმსახურებია.
უჯრედებისგან კი არა
პარადოქსებისგან შევდგებით
ადამიანები.
თუ ადამიანობად შეიძლება ჩავთვალოთ,
რომ მწარე სიმართლეს
ტკბილი ტყუილი გვირჩევნია ხშირად ძალიან
და პირფერებსაც უფრო ვწყალობთ,
(ბევრნი არიან)
ჩვენი ღიმილით, ვიდრე გულწრფელებს.
სიკეთისთვის ხომ ბოროტება თუ არა
უმადურება მზად გვაქვს პასუხად
თითქმის ყოველთვის.
და ჩვენში ხშირად
იმედიც კი პარადოქსია.

ჩემი ცხოვრება რომ წიგნი ყოფილიყო

ჩემი ცხოვრება რომ წიგნი ყოფილიყო,
სახელად "ზედმეტს" დავარქმევდი,
ყდაზე რელსებიდან გადასულ მატარებელს დავახატავდი,
ფურცლებს ზამთრის სურნელი ექნებოდათ...
ჩემი ცხოვრება რომ წიგნი ყოფილიყო,
აქამდე ყოველი თავის ბოლო ფურცელი ამოხეული
იქნებოდა,
ლოგიკური დასასრული რომ ვერ გეპოვნა.

ჩემი ცხოვრება რომ მუსიკა ყოფილიყო,
ორი-სამი აკორდი იქნებოდა საკმარისი მთელი
მონოტონურობის გადმოსაცემად,
ოღონდ ბეთჰოვენიდან, რომ ხასიათიც ზუსტად გამოეხატა...
ჩემი ცხოვრება რომ ღვინო ყოფილიყო,
იქნებოდა ნახევრად ტკბილი,
ოღონდ ისეთი, რომ სვამ და არ გათრობს,
მაგრამ მაინც რომ სვამ ბოლო წვეთამდე...
ჩემი ცხოვრება რომ მგზავრი ყოფილიყო,
ქუჩის მეორე მხრიდან მომავალი იქნებოდა,
რომელიც შეიძლება ვერც შეამჩნიო,
ვერც შეხვდე, ისე ჩაგიაროს...
ჩემი ცხოვრება რომ თავსატეხი ყოფილიყო,
აქამდე ამოუხსნელი იქნებოდა...
ძნელია, იყო განსხვავებული...
არა სულელი ან ჭკვიანი,
არამედ სულელი ჭკვიანებს შორის და პირიქით...
მაგრამ უფრო ძნელია თავს გრძნობდე ფაზლის ერთ
ფირფიტად,
სადაც მთელი სურათი უკვე აწყობილია...
ან იყო სხვა ორგანიზმიდან მიკერებული მეექვსე თითივით
ხუთთითიან ხელზე...
ჩემი ცხოვრება რომ წიგნი ყოფილიყო,
სახელად "ზედმეტს" დავარქმევდი"...

აველინა სილაგაძე

ია

ველზე ია ამოსულა
უწყინარი, პაწია.
მივესალმე, გაუხარდა,
თავი ნაზად ასწია.

აქეთ-იქით გაიხედა
გააღვიძა ყველა.
თან ჩურჩულით ლოცულობდა
საქართველოს კერას.

ველზე გაზაფხული არის
და ზეიმობს ყველა,
იქვე ტყეში ჩიტუნებსა
დაუწყია სტვენა.
ზეიმია, ზეიმია, იზეიმოს ყველამ...

***

ავამღერე მე ფანდური,
მთისა, ცისა ვით დაკრული,
საქართველოს სიყვარულში
დამწვარი და დათაგული...

როცა ვმღერი მე ჰანგებზე,
თრთოლავს ბაგე ანამღერი,
საოცარი მოტრფიალე
მიყვარს მისი მთა და ველი....

საქართველო ვის არ უყვარს,
თვით სამშობლოს, თავის ერი.
შორს წასულსა, ლოცავს მუდამ,
დააბრუნოს თავის შვილი,
დააბრუნოს სამართალი...

ვინ დაკარგა ჩვენი ძალა,
ქართული და შემართული.
ნატავი რისთვის დასჭირდა,
რისთვის ატკინა ასე გული
ასეთმა რთულმა ცხოვრებამ,
რომ ამოაძრო სული...

ადამიანი დათანგა
სიკვდილსა უხმო მავალი,
ამ ცხოვრებაში იცოდეთ,
სიყვარულია მთავარი.

ლექსი სამშობლოზე

სამშობლოს ტკივილს ვერ ვიტან,
გული არა მაქვს ქვიანი.
თვალები ცრემლით მევსება,
ჩვენ უნდა ვიყოთ მთლიანი.

ვინა სთქვა საქართველოზე,
ბაგე ვინ გახსნა რძიანი,
გავხლიჩოთ, გავანადგუროთ
მიწა არ დარჩეთ ცვრიანი...

რომ მისი მთქმელი ავწეწოთ,
ხორცი არ დარჩეს ძვლიანი.
ვინ გაუბედა სამშობლოს
ასეთი გული ქვიანი...

სამშობლოს არვის დავუთმობთ,
გინდ გული შეგვეხუთება,
მტერს როცა ავუხირდებით
ვაჟკაცს ის უფრო უხდება.

არ გვინდა ომი, მშვიდობა გვსურს.
ტირილი გვაშოროს, ნანატრი გულს.
არ დავემსგავსოთ ცხოვრებას ნულს,
მშვიდობა იყოს ის უფრო გვსურს.

ჩემი ლექსები

ჩემი ლექსები ყველა მწარეა,
ყოველ სიტყვაზე, ცრემლის კვალია,
მონატრებული სიცოცხლე მისი
ზღვაში დაფრინავს როგორც თოლია.

ჩემი ლექსები, ჯაჭვით შეკრული,
ეძებს მხსნელს,
ეპოტინება ხავსიან ქვებს,
უნდა ავიდეს მაღლა
და აიკეცოს იმედის კალთა...
მაღლიდან როცა გადმოიხედავს
და დაინახავს ბარს,
იმედი მაშინ მას გაუჩნდება
და მაშინ იწყებს თქმას...

ჩემი სამშობლო

ჩემი სამშობლო,
ასე მადლიანი,
ნეტავ ვინ გაგხადა
ასე დარდიანი...
ასე უმწეო და
ასე დაღიანი,
ასე უძლური და
ასე ნაღვლიანი...
ნეტავ რას ერჩოდნენ,
ვინ რა ვერ გაიყო,
ვის რა დააკლდა,
მშრომელი ქართველი
ოდითგან მთლიანი...
ეხლა კი შუაზე გახლეჩილი
ჩვენი საქართველო
თავდახრილი და
ასე დარდიანი...
უფალო შეინდე მისი ხმა
მქუხარე შარმიანი,
მიეცი ძალა,

რომ ადგეს მადლიანი,
სულით აღსავსე,
დაარწიე აკვანი...
გაზარდე მამულიშვილი,
მიეცი სიმრავლე
ერის და ბერისა,
ჭერი ახადე სიმღერით
მრავალჟამიერისა...

ცხოვრება თამაშია

ცხოვრება თამაშია
სიკვდილი ჭეშმარიტება,
ეს რომ ნამდვილად ესეა
სიმართლე ამაშია.
დედის სიმღერა ნანაშია,
ძალა ხომ მაჯაშია,
ხორცი კი მიწაშია,
სული კი ცაშია,
სიმართლე ამაშია
ცხოვრება თამაშია...
თვალს რომ გაახელ
სინათლე მასშია,
სამოთხეს რომ ანათებს
სანთელი ალშია,
ლაპლაპს რომ დაიწყებს
სული ხომ მასშია,
სიმართლე ამაშია
ცხოვრება თამაშია,
სიკვდილი ჭეშმარიტება
სიმართლე, სიმართლე ამაშია.

ნატალია სამუშია—ფიფია

ჩემო სამშობლოვ

დღეს ისე მინდა რამე დავწერო
თავს ველარ ვაბამ, არ მაქვს მიზანი.
ისე ძლიერად მომნატრებიხარ
გულში გამიწყდა მე სისხლის ძარღვი.
გუშინ მეგონა აპრილი იყო,
დღეს კი მოსულა მაისი ავდრით
ეს აკაცია ცამდე ასულა,
ღრუბლებს მიმწვდარა იქიდან ყვავის.
მე კი ვუყურებ ამ სილამაზეს
ვფიქრობ შენზე და სუნთქვაც კი მიმძიმს,
ჩემო სამშობლოვ სიყვარული ხარ,
მონატრებაც ხარ, დარდიც და ფიქრიც.
მინდა გათენდეს ისეთი დილა
რომ შენ გხედავდე, შენს ლამაზ აისს.
დაღამებამდე გულს რომ მითბობდე
საღამოს ტრფობით შევხედო დაისს.
შენი მზის სხივი და მცხუნვარება
არა აქვს არცერთ ქვეყნისას იცი?

ზღვა ლურჯი,მწვანე, ცა კი ცისფერი
არსად მინახავს სად არ ვიყავი.
ამიტომ მინდა იყო ძლიერი
შენ წილხვედრიხარ დედა ღვთის მშობლის
უფლება არ გვაქვს რომ არ დაგიცვათ
რადგან უფალი არ დაგთმოს ვიცი.

„შენი ბრალია"

შენი ბრალია რომ დავიღალე და ვიტანჯები
დღესაც ისე როგორც მაშინ ასი წლის წინთ,
ცხოვრებამ ურჩად აღარ დამინდო
ვერ გამოვედი მე გამოცდიან.
მიდის დღეები წლები მიჰქრის
და არ ჩაყუჩდა ტანჯვა გოდება.
და თუ მე დღესაც არ გამიმართლა
შენი ბრალია გესმის? რაც მოხდა.
გულს ვერეოდი იმის იმედით
რომ გაქრებოდი შენ ამ გულიდან,
მაგრამ იქ დარჩი, ცარ მიმატოვე
და მე ეს უკვე აღარც კი მინდა.
აღარც კი მინდა რომ არსებობდეს
ჩემში ის შენი რასაც კი ქვია,
შენი ბრალია ეს ყველაფერი
ისევ და ისევ შენი ბრალია.

***

ვფიქრობ და ვერ გამიგია
რად შეიცვალა ეს ხალხი
რად ხდება ასე ცბიერად
ერთმანეთისა ღალატი.
ჩვენ ქართველები ოდითგან
განვირჩეოდით სიმტკიცით.
გვიყვარდა ერი, მოყვასი,
სამშობლოს მტრისგან ვიცავდით.
ახლა კი იყიდებიან
ოც ვერცხლად სასაცილონი
იმას უშვებენ რასაც კი
არ დაუშვებდნენ მოძმენი.
გული მიტირის ვერ ვითმენ
რომ არ ვთქვა ჩემი სათქმელი
ოღონდაც თვითონ გამოძღნენ
სულ არ ანაღვლებთ ქართველნი.
ჩემო ქართველნო გონს მოდით
ნუღა გაყიდით მიწა წყალს
თორემ ხომ იცით გამყიდველს
არ მიიბარებს მიწაცა.
უფალი აღარ მიიღებს
მოღალატეებს ზეცაში,
ამიტომ გირჩევთ დაფიქრდეთ
თავს ნუ ჩაიგდებთ ცოდვაში.

***

ჩვენ უშეცდომო არავინ არ ვართ,
და შეცდომებზე ვსწავლობთ ცხოვრებას.
ზოგი აგრძელებს ცხოვრებას მერეც,
ზოგი იქ რჩება სადაც დაეცა.
ზოგი კი ეძებს ფულს და სიმდიდრეს
ზოგიც კი ცდილობს ფეხზე ადგომას.
მივესალმები იმ ადამიანს
ვინც ტანჯვა ტანჯვით ფეხზე წამოდგა.
და გააგრძელა გზა სიამაყით,
არ დაუხრია თავი ცხოვრებას,
და ამიტომაც მე მჯერა ხალხო
სიკეთეშია ბედნიერება.

***

ისეთი მიყვარდი როგორიც იყავი
გჩუქნიდი სითბოს და სიყვარულს უამრავს,
არც მიფიქრია ბავშვები ვიყავით
რომ შეგკითხვოდი შენ თუ გიყვარვარ.
მჯეროდა მხოლოდ მე მაშინ ერთის
მომავალს ფერებში ვქარგავდი ჩვენთვის,
მე რომ ცხოვრება წარმომედგინა
ასე არ მოხდა ოცნებას შევრჩი.
მაგრამ უეცრად ცა მოიღრუბლა,
თითქოს დამეცა მე თავზე, მეხი
იმ დღეს რაც მოხდა იღბლად ჩავთვალე,
არც მიფიქრია იმ დღეზე მეტი.
წლები გასულან ძალიან ბევრი,
არც კი მიმხვდარვარ რომ მე დავბერდი,
და კიდევ რას მთხოვ შენ გულო ჩემო
მაკმარე ამდენი წლების თარეში.

ჩემო სამშობლოვ ერთი დღე არ იქნება რომ არ მახსოვდე,

არ ვიფიქრო, რა დღეში ხარ და როგორ გიჭირს,
ვინ რომელ კუთხეს უმოწყალოდ სხვას როგორ ჩუქნის,
ან კიდევ ძალით რამდენი ფრთა შენ შემოგაჭრეს.
ისედაც მორცხვო და პატარავ ჩვენო სამოთხევ...
ღვთის მშობლისაგან ნაბოძებო მიწავ სვიანო.
ვერ გაგიფრთხილდით, ვერ შეგიშვნეთ, ვერ დაგაფასეთ
აბა გვითხარი ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ.
ერთი მუჭი ხარ დარჩენილი ისედაც ციცქნა
გული მიკვდება რომ გიყურებ შველა არსიდან.
განა შენ მტრები მოგერეოდა?!
გეფიცები შენს სახელს ვფიცავ,
შენ რას გიზამდა სპარსი, რუსი ან კიდევ ვინ სხვა.
რომ არა იყოს მოღალატე ქართველები შიგა და შიგა.
ჩემო სამშობლოვ ფარსადნები სულ გყავდა მაგრამ...
გამოიარე ამდენი ომი შენ ფეხზე დგახარ.
ახლაც გამაგრდი არ დაეცე გემუდარები
ისევ დადგება წმიდა გიორგი
შენს საზღვრებზე შენს დასაცავად.
არ მიგატოვებს შენ უფალი ოღონდ ქართველებს.
აზრი, გონება გაუნათდეს და ერთად დადგეს
იქნებ შეჩერდნენ, იქნებ მიხვდნენ რომ უსამშობლოდ,
მტერი მაგათაც არ დაინდობს დასცემს მიწაზე.
მგონი დრო დადგა ქართველებო,
რომ ჩაწვდეთ ამას
ფულზე ნუ ყიდით სულს, სამშობლოს და თქვენს მომავალს,
მოდით დავფიქრდეთ იქნებ ჯობდეს მოვინანიოთ
და ერთად დავდგეთ დიდ-პატარა მის დასაცავად.

მთვარისა ზეინკლიშვილი

ქარელი ჩემი სამოთხეა

ქარელო, ჩემო ქარელო!
წალკოტის შესადარებო!
,,სარკის" ტყიდან ყინწვისისკენ,
ჩამოქროლო ქარებო!

ნიშ- მონასტრების სამკვიდროვ,
სალოცავების კერაო,
ღმერთს ციდან ჩამოუსხია,
ვერ აღწერს კაცის ენაო.

მის გადაშლილ გულს ამშვენებს,
ძამის ხეობის ლხენაო,
უხდება მტკვრის სანაპირო,
ცას შევარდნების ფრენაო.

თრიალეთს უზის კალთაში,
გაშლილა მტრედის ფრთათაო,

კლდეებს ჩამოჰქუხს წყარონი,
კულულად ქალის თმათაო.

სტუმრებს გრძელ გზიდან მოველით,
რა ლხენით და რა დღითაო,
მობრძანდებიან დამხვდურით,
,,მგელაძის" ხეივნითაო.

,,ბებნისის" ღრმულა კალთაში,
ტბა ზის ტალღებად აშლილი,
თბილი წყლითა და თევზებით,
პირთამდე არის ავსილი.

ხიდს მოადგებით? მოგხარით,
ჩვენი ღვთიური ტაძარი,
ასეთი მშვიდი ღვთის უბე,
მგონია არსად არ არი.

თქვენ ხომ არ იცით, ამ ხალხში,
რა თბილი გული ფეთქავს,
სტუმრის ნახვაზე მზეც ხარობს,
ქარი ნისლს წამოკრეფავს.

ლხინსა და ჭირში ერთად ვართ,
დარშიც ვშრომობთ და ავდარშიც,
დილ - დილაობით გვამხნევებს,
ზარების რეკვა ტაძარში.

ვინც არ ყოფილხართ მობრძანდით!
გვესტუმრეთ, გვნახეთ რა ვართ!
ალალებიც ვართ, ისედაც,
ანგელოზებსა ვგავართ!

დედა

შენი წყალობით დედა,
მე აღმოვცენდი შენში,
წლები იზრუნე ჩემზე,
ქალი აღზარდეთ ჩემში.

მე შემალიე წლები,
ვარ გამართული წელში,
შენ კი შვილმა და წლებმა,
ბოლოს მოგხარეს წელში.

შემომჭკნარ დედის მანტოს,
ვერას დააკლებს თქენში,
წვაც კი ჩემთვის გინდა,
რომ მომაწოდო ფესვში.

მე კი მივიწევ მაღლა,
სიცოცხლე ხარობს წვერში,
შენი სისხლით ვარ სავსე,
ფესვში, ტანში და ფრთებში.

შენს სურნელებას ვაფრქვევ,
შენს ჩრდილს დავყურებ მზეში,
მე ვხარობ, შენ კი დაჭკნი,
ჩაგაგდე მე ამ დღეში.

მე გაგიმართლებ იმედს,
სხივებს აგინთებ თვალში,
შენს ადგილს მეც დავიკავებ,
დრო მიდის წლების თვლაში.

რძისფერი კაბა

მე შემოდგომის მოლოდინში შემადნა კაბა,
მოხდენილი, ტანზე მომდგარი, რომ მეცვა ნაზად.
მოგონებები დამეფინა ყვითელ ფოთლებად,
ჩემს ბილიკებზე მოფენილა ის ფიანდაზად.

მღელვარებაში, გულის ფრიალში გასულა წლები,
მე კი სიბერე არც მომსვლია არასდროს აზრად,
მთელი ცხოვრების აკინძული წელთა სათქმელი,
მარმარილოს ქვას ეწერება მხოლოდ ერთ ფრაზად.

ასე ყოფილა ჩემი ბედიც, ბედი, სვებედი,
უკვე არ მშვენის, აღარ მიხდება რძისფერი კაბა,
თავს ძალას ვატან, ჩემს ბაგეზე იჯდეს ღიმილი,
თორემ სიცოცხლე რაღად მინდა, მითხარით აბა.

ყვითელ ფოთლებმა დამიფარეს რძისფერი კაბა,
თეთრ „ბროლის" ყელზე მოვიხვიე ლექსების არზა.
მარგალიტებად არ დამბნევია არსდროს თავგზა,
ახლა სიბერეს შევეგუო, არა მაქვს სხვა გზა.

და შემოდგომის მოლოდინში შემადნა კაბა,
კაბას სირმები, თვალში სხივი ჩამქრალა ნაზად,
ჩემ წარსულ დღეთა, სიწმინდე და უბრალოება,
ჩემს ბილიკებზე დამფენია მე ფიანდაზად.

ოქტომბრის მთვარე

გაღმა მუხაზე ჩამოდგა მთვარე,
ჩემს თვალწინ ტოტზე მოიკალათა,
მაღლით შავ ღრუბბლებს არიდებს სახეს,
ძირს ჩამობერტყა სხივთა კალათა.

ეს სასწაული როცა ვიხილე,
ვერ დავიძინე, ვუთიე ღამე,
მე ვესაუბრე ჩუმი ფიქრებით,
იდუმალმა კი არც მითხრა რამე.

შუაღამისას დაიძრა თითქოს,
ტანს ვეღარა სწევს, არ უნდა წასვლა,
ძლივს ჩამობრძანდა დედა- მიწასთან,
მგონი არ უნდა, კვლავ ზემოთ ასვლა.

განთიადისას აცურდა ცაზე,
არ გაასწორა ხეზე საწოლი,
კვლავ მობრუნდება ალბათ ამაღამ,
ჯერ გეგმები აქვს გადასაწონი.

ის შუბლნათელი, წმინდა სახისა,
ის დედამიწის მეგობარია,
ამ უცნაურმა ღამის სტუმარმა,
ჩემი ფიქრები არივ- დარია.

და აი კიდევ ჩამოდგა მთვარე,
შორს,დიდ მუხაზე მოიკალათა,
მაღლით შავ ღრუბლებს არიდებს სახეს,
თან წამოიღო ვარსკვლავთ კალათა.

ლამზირა შეყილაძე

***

როს, მწყემსებმა შეამჩნიეს
ცაზე უფლის ვარსკვლავი.
ვარსკვლავს ფეხით აედევნენ,
ბეთლემამდე სდიესო.
ღვთისმშობელმა ქვეყნად გვიშვა,
სულთ მეოხი იესო...

სიცოცხლის ნიში

დუმს არე-მარე, დუმს ქალაქი, დადუმდა ქუჩა,
წევს დედა-მიწა, უსულგულოდ ცოდვებით მთვრალი.
რაც გამაჩნია სათაყვანო წამართვან უნდა,
უღრანებიდან წუთებს ითვლის მშფოთვარე ჟამი.

რამდენჯერ უნდა, ჩაგვამწარონ აპრილის მოსვლა,
მხურვალე გულში ჩაგვისახლონ შხამი და შიში.
თილისმად დაგვაქვს უკვდავება ჩვენ, უფლის მმოსავს,
გალაქტიკების სიმხურვალე, გრძნეული ფიქრი..

შიგნიდან მიმტვრევს გულის ფიცარს დაჭრილი გული,
ცარიელ ქუჩის ექოს ხმაურს ვერ ვეგუები.
თუნდ ცოცხლად მკორტნონ ყვავ, ყორნებმა ხეზე მიბმული,
სამშობლოს, ტკივილს ვერასოდეს შვეგუები.

რა მომასვენებს ჩემს სამშობლოს, როდესაც უჭირს ,
ღმერთმა გვარგუნა, დალოცვილმა, სიცოცხლის ნიში.
გამიშვით გარეთ, ნუ მაკავებთ, გახსენთ კარიბჭე,
სამშობლოს, უნდა გადავუსხა ძარღვებში ს ი ს ხ ლ ი...

უთქვენობით ვკვდები

სანოვაგე გავამზადე,
მთის სურნელი მიყვარს.
ფიქრი სახლში ვერ ჩავკეტე,
იალაღზე მიმყავს..

არც ცაში ვარ, არც მიწაზე,
ვერ გავიგე სად ვარ...
ფიქრს ვაგზავნი მთაში თორემ
თავად სახლში ვზივარ.

მტერს სახლიდან ვებრძოლები,
კარებს არვის ვუღებ.
სარკეში, რომ ვიყურები,
საკუთარ თავს ვუღრენ...

თქვენთაგანის წყურვილი მკლავს,
უთქვენობით ვკვდები...
ახლა ვინმემ დამირეკეთ,
სანამ გავგიჟდები...

ნუ დაღონდები

დღეს, საქართველო გასაჭირშია
თავზე დააცხრა ბაცილი ავი...
სახლში დავრჩეთ და არავის ვავნოთ,
ანტიქრისტესგან დავიცვათ თავი.

ჩემო, სამშობლო ისე მიყვარხარ
ვით სიცოცხლე და მზე, სული-წმინდა
როცა შენ გხედავ დარდისგან დაღლილს,
ობოლ ბავშვივით ტირილი მინდა.

ღმერთო, შენა ხარ ის ერთად-ერთი
ჩაფერფლილ იმედს ვინც მინათელებს..
აელვარდება ცაზე მზის ცეცხლი
და ჩემს სამშობლოს გამიჯანმრთელებს..

ამ დარდს და წუხილს წაიღებს ქარი
წარსულის დროში ჩაიზვირთება...
და საქართველო სამყაროს თვალი,
მზის წიაღიდან ამობრწყინდება.

ნუ დაღონდები... სამშობლოვ ჩემო
თუ, ჯვრიდან მოხსნა ჯერ არ გეღირსა...
ბედნიერი ხარ, შენ საქართველო
რადგან შვილი ხარ, უკვდავებისა...

შენ მზედ იყავი ქვეყნად მოსული

შენს მონატრებას ვერ გავუძელი,
შენი სურვილით უკვე ვკვდებოდი...
და გამოვყევი სოფლის შარა-გზას
მეგონა შინ თუ დამიხვდებოდი.

რარიგ მწყუროდა ნეტავ იცოდე,
შენი თვალების სითბო მეგემა...
შენ აღარ შემხვდი დედა ჭიშკართან
და ციცი ქარი შემომეგება.
ვდგავარ მდუმარედ, გახევებული,
ცარიელ სახლში შესვლას ვერ ვბედავ.
დედა შინ რადგან აღარ მეგულვი
ასე მგონია გამხმარი ხე ვარ...
სახლის გარშემო ფშვინვარებს ხავსი,
სევდით შევყურებ სახლს წელში მოხრილს,
მამისეული დარგული ვაზი
შემოხვევია ფეხებზე კოპიტს.
მწარე ცრემლები დამდინდა თვალთა,
ბავშვივით ტანში მაკანკალებდა.
ჩემი ბავშვობა დამიხვდა კართან
და ფეხშიშველი დატანტალებდა.
მყის გამახსენდა პატარა გოგო,
თავის და-ძმებთან როცა ლაღობდა
შენ ფუსფუსებდი დიდ თბილ ოჯახში
მამა ოჯახის ზრუნვით ხარობდა.
სიცოცხლით იყო ეზო ავსილი.
იყი ხალისი და ჟრიამული.
მერცხლები თავზე დაგვჭიკჭიკებდა
მზეს ასდიოდა ტანზე ალმური.
თვალი წავასწარ რომ ჭერის თავზე
ორშიმო ისევ ხეზე ეკიდა...
ვარდი შევნიშნე შენი დარგული
და შენებრ გულზე შემომეჭიდა.
შენ მეძახოდი სახლში შემოდი,
შვილო, მგზავრობა ძლიერ დაგღლიდა.
სულში ჩამიდგა ზღვა სიხარული.
მზე ამოვიდა ჩვენი სახლიდან.

ზურა ქობალია

***

ჰო, ღმერთებთან სასაუბროდ
გვაქვს ჩვენ სამი ენა,
საიდუმლოდ შეგვინახა,
დღემდე მალავს ზენა.
ამ ენებში დამალულ არს
საიდუმლო დიდი,
თუ ბიჭი ხარ ამოხსენი,
აბა, სცადე, მიდი.
ბევრმა დიდმა მეცნიერმა
შეალია წლები,
ჰოდა, მიდი, შენცა სცადე,
შეალეწე რქები.
ესე დიდი საიდუმლო,
მიდი, ამოხსენი,
ჩაეძიე, ჩაჰკირკიტე,
ამოუღე ხსენი.
საიდუმლოდ გითხრა უნდა,
კიდევ საიდუმლო,

ჩაეძიე სულ ბოლომდე
და იყავი უნდო.
ჰო, ღმერთებთან სასაუბროდ
გვაქვს ჩვენ სამი ენა,
ერთმანეთზე უკეთესნი,
მათ არა აქვთ წყენა.

***

სულ სხვა ხალხი დადის აქ და
სულ სხვაგვარი დარეზია,
ის სამყარო სადღა არის,
ფარდა აუფარეზიათ.
სხვა სამყაროდ მოჩანს ეს დღე,
სხვანაირად ამრევია,
ვარსკვლავეზი მოციმციმე
მთვარეს შემიდარეზია.
სულ სხვა გემო დაჰკრავს ჰაერს
მთეზია და ქანეზია,
ზღვაზე თბილი, მთაში ცივი
ჰაერი და ქარეზია.
სალაღობოდ მიჩანს მაინც,
ეს ქვეყანა მყვარეზია,
ცის ვარსკვლავი, დაბლა ზღვასთან,
კენჭთან დამიდარეზია.
აქ სხვაგვარად მოჩანს სივრცე
სხვა ხალხი და დარეზია,
იმ დროს ამ დროს ვერა ვადრი
და ვერც დამიდარეზია,

***

დილა მშვიდობისა,
სიტყვა როგორ იშვა,
სიყვარულმა ღვთისმა,
არა რამე შიშმა.
მარად მინდა გითხრათ:
დილა მშვიდობისა,
მიყვარხართ ვით ღვთისა,
პირით წერა ჯვრისა.
მარად თქვენთვის ვლოცავ,
ღვინითა თუ ჯვრითა,
დილა მშვიდობისა,
დილა მშვიდობისა!..

***

მზე ამობრწყინდა თავისით,
განა ვინმენ დააძალა,
შენსკენ უნდა გამოუშვა,
თუ მეყოფა ამის ძალა.
მინდა ვიყოთ ერთ მზისქვეშეთს,
გვანათებდეს სულში, გულში,
სითბო მისი ყველას შეხვდეს,
ვინც ირჯება ჩემს მამულში.
შენთვის ცალკე ღრუბელს ვატან,
რომ გიჩრდილოს ხან-ხან გრილად,
სიყვარულის ასახსნელად
ფსონს ამ ლექსით ჩამოვდივარ.

სარჩევი

გერმანე საზანოელი 5
სოსო სიგუა 7
ია ნანეიშვილი 11
ნუგზარი კობერიძე 16
დეზი ემანულიძე 21
ზურა მამულაშვილი 26
ხათუნა წიქორიძე 31
გულნაზი ხარაიშვილი 36
ნათელა გოგიავა 41
მაია ჯალიაშვილი 46
ირმა მინაძე 51
მადონა კისკეიძე—ქორიძე 57
ლია სანაძე 62
ჯუბა ნიაბელი 67
მარიამ პატიაშვილი 72
ივეტა რეხვიაშვილი 76
თენგიზ პაპაშვილი 81
იოსებ აბულაძე 86
სოფიო სამანიშვილი-აბულაძე 89
თენგო ფანცულაია 94
მანანა სამყურაშვილი 99
დავით გასიტაშვილი 104
თიკო თათხაშვილი 110
ლანა ბიბილურიძე 115
დალი ბანცაძე 120
ლია კუპატაძე 126

ქეთევან ცაბაძე 132
მაია ანთაძე 137
მაია ირემაშვილი 142
მაკა ღიბრაძე 147
ნანა ყალიჩავა 152
ნანა მომცელიძე 157
მარი კუბლაშვილი 162
ლალი კორთავა 167
ნელი სანებლიძე 171
ზაზა ფელიაშვილი 176
მამუკა ოჩიაური 181
ნანა ჩარკვიანი 186
მაგდა გორგიძე 191
სპარტაკ ლაცაბიძე 196
ირმა ალფაიძე/იმერელი/ 201
ევა ხუნწარია 205
მანანა მიქაძე 210
ხათუნა დარბაიძე 215
თეა გურგენიძე 220
ია კურტანიძე 225
მერი ცხადაძე—ვეშაპიძე 231
ნინო მღებრიშვილი 236
ნინო ზათიაშვილი 241
მანანა მჭედლიშვილი—დვალიშვილი 246
მაია —მაო გიონაშვილი 251
ნორა ედიშერაშვილი 256
ეთო გორგოლაძე 261
ცაგო აბაშმაძე 266

მარინა ღონღაძე 271
დათო ცაბუტაშვილი—ბოდბისხეველი 276
ქეთი ჯაში 281
ლეილა ჯანთიშვილი 286
გუთი ბოლნელი 291
თორღვა ანატორელ თიღილაური 296
მაია ტურაშვილი 301
კობა ადეიშვილი 306
ქემო ქავთარი 312
ეკა ნადირაშვილი 317
ლიკა ქათამაძე 322
ცისანა ხუციშვილი 327
ნიკა შამათავა 332
გიორგი ზუბიტაშვილი 337
დალი წიკლაური 342
გელა გეგუჩაძე 347
ალეკო ბელთაძე 352
თამარ ლომიძე 357
როლანდ აზმაიფარაშვილი 362
ლილე კავკასიშვილი 367
თეიმურაზ ბაკურაძე—სეველი 372
ლელა ნიშნიანიძე 375
აველინა სილაგაძე 380
ნატალია სამუშია—ფიფია 385
მთვარისა ზეინკლიშვილი 390
ლამზირა შეყილაძე 395
ზურა ქობალია 399

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნინო პატარაია

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
სტამბაში

ქაღალდის ზომა 60x84 1/16
ნაბეჭდი ფორმა 25,3125